ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ფონდი

X 26.353
4

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ძველი ხელნაწერები

IV

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
თბილისი — 1956

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
ГОСУДАРСТВЕННЫЙ МУЗЕЙ ГРУЗИИ им. акад. С. Н. ДЖАНАШИА

ОПИСАНИЕ ГРУЗИНСКИХ РУКОПИСЕЙ ГОСУДАРСТВЕННОГО МУЗЕЯ ГРУЗИИ

РУКОПИСИ БЫВШЕГО МУЗЕЯ ГРУЗИНСКОГО ОБЩЕСТВА ИСТОРИИ И ЭТНОГРАФИИ (КОЛЛЕКЦИЯ Н)

Под общей редакцией К. С. Кекелидзе

ТОМ IV

Составила и подготовила к печати
Е. Метревели

ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
ТБИЛИСИ — 1950

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი ეროვნული ბიბლიოთეკა
091

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია)

კორნელი კეკელიძის საერთო რედაქციით

ტომი IV

შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული ელენე მეტრეველის მიერ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
თბილისი—1950

ეროვნული ბიბლიოთეკა

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

ხელნაწერთა აღწერილობის წინამდებარე IV ტომი შეიცავს H ფონდის (ყოფილი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების) ხელნაწერთა აღწერას 1500 ნომრიდან 2000-მდე. აღწერილობა შესრულებულია I ტომის წინასიტყვაობაში წარმოდგენილი წესის მიხედვით. დამატებით ხელნაწერებიდან გადმოღებულია მინაწერები. ერთი ნაწილი ამ ტომისათვის ნაკარაუდევი ხელნაწერებისა, როგორც არაქართული, აღწერილობაში არ შევიდა. ასე მაგ., ხელნაწერები 1559-დან 1600-მდე წარმოადგენენ ლათინურ-იტალიურ-ფრანგული დოკუმენტების კრებულებს, გადმოწერილს სხვადასხვა არქივებიდან მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი ს მიერ, ან თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი ს ა თ ვ ი ს. ეს მასალა, ცალკე დამუშავებული, შეურთდება მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი ს პირად არქივს. ჩვენს ტომში შევიდა მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი ს მხოლოდ იმ ხელნაწერთა აღწერილობა, რომლებშიც ძირითადი მასალა ქართულ ენაზეა წარმოდგენილი.

წინამდებარე ტომში წარმოდგენილი მასალა, თავისი ხასიათით, მეტად მრავალფეროვანია, ამით არის გამოწვეული, ზოგ შემთხვევაში, აღწერილობის საერთო წესის დარღვევა და აღწერილობის წესების მასალისადმი შეფარდება. ასე მაგ.: აღწერილობაში შესულია სიგელ-გუჯართა რამდენიმე კრებული, ხელნაწერად აკინძული. ეს კრებულები აღწერილია არა ხელნაწერთა, არამედ საბუთთა აღწერილობის ჩვეულებრივი წესით. აღწერილია ყოველი საბუთი, მისი რაობის, გამცემ-მიმღებისა და თარიღის აღნიშვნით. ასევე თავისებურ აღწერას თხოულობდა ამ ტომში შესული ფოლკლორული ხასიათის მასალა: ფოლკლორული კრებულების აღწერილობა გულისხმობს კრებულების მთელი მასალის აღნუსხვას და მათ თემატიკურ-ჟანრობრივ დალაგებას „შესაწყობში“, „შენიშვნაში“ „შენიშვნაშიცა“ შეტანილი კრებულში დაცული ცნობები ფოლკლორული მასალის მთქმელებისა და შემკრებთა შესახებ.

ამ ტომში აღწერილი ხელნაწერებიდან ყურადღებას იპყრობს რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი კოლექცია. განსაკუთრებით საინტერესოა ექვთიმე თაყაიშვილის მიერ 1919 წლის ივერეთში მოგზაურობის შედეგად ჩამოტანილი ჯრუჭის, ნიკორწმინდის, სავანისა და ხოტბეის ეკლესია-მონასტრების ხელნაწერები. ცალკეულ ხელნაწერებიდან აღსანიშნავია X საუკუნის ჯრუჭის ოთხთაეი (№ 1660), „ძველი ჯრუჭის“ სახელით ცნობილი, გამოცემული აკად. ა. შ ა ნ ი ძ ი ს მიერ[1]; X—XI საუკუნის ხელნაწერების სამი ფრაგმენტი: „იერუსალიმის განჩინების“ ტექსტით (№№ 1831, 1893 გ, 1895). ეს ფრაგმენტები ამ მნიშვნელოვანი ძეგლის უძველეს ნუსხას წარმოადგენს.

აღწერილობამ გამოაელინა 1040 წელს პალავრაშ გრიგოლ ხარიტონწმიდელის გადაწერილი და შემდეგ დერტავს (პალესტინაში დიდათა მონასტერი) შეწირული წმიდა მამათა სწავლანი (№ 1662). ეს ხელნაწერი ჯრუჭის მონასტერში პირველად უნახავს მარი ბროსეს თავისი არქეოლოგიური მოგზაურობის დროს. ხელნაწერის მოკლე აღწერილობა[2] ანდერძებითურთ მან გამო-

---

[1] ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, გამოსცა აკაკი შანიძემ, თბილისი, 1945 წ.

[2] მ. ბ რ ო ს ე ს ეს ხელნაწერი იოანე ოქროპირის ცხოვრებად მიუჩნევია.

აქვეყნა[1]. ამ ხელნაწერის კვალი მ. ბროსეს შემდეგ დაიკარგა და სამეცნიერო ლიტერატურაში ჩვეულებრივ სარგებლობდნენ მ. ბროსეს მოწოდებული ცნობებით.

საინტერესოა 1048 წლის ოთხთავი (№ 1741), რომლის მომგებელია მცხეთელი ხუცესი სტეფანე, პალავრის მოღვაწე, ხოლო გადამწერი მიქაელ მცხეთელი. ხელნაწერი გადაწერილია გეხსამანაში, საბაწმიდური დედნიდან.

მეტად მნიშვნელოვანია XI საუკუნის გიორგი ათონელის რედაქციის მაისის თვის „თვენი“ (№ 1710), სადაც თარგმნილ საგალობლებთან ერთად წარმოდგენილია ქართველ ჰიმნოგრაფთა—გიორგი ათონელის, ბასილი ბაგრატის ძისა და სხვათა ორიგინალური საგალობლები.

საინტერესოა XI საუკ. მოწამეთა წიგნები №№ 1708, 1709, განსაკუთრებით უკანასკნელი, რომელიც გადაწერილია XI ს. ცნობილი მოღვაწის ერისთავთ-ერისთვის იოანე დადიანის მიერ.

მნიშვნელოვანია XII საუკ. თარიღიანი ხელნაწერი (№ 1661).—გიორგი ათონელის რედაქციის დიდი სვინაქსარი, გადაწერილი 1156 წელს იერუსალიმში ქართველთა ჯვრის მონასტერში. ხელნაწერს გააჩნია საინტერესო მინაწერები ჯვაროსნების ტაძრელთა ორდენის წევრთა.

შესანიშნავია და უნიკალური XII საუკუნის ოთხთავი (№ 1667), „ახალი ჯრუჭის“ სახელით ცნობილი, რომელსაც გააჩნია 334 ჩინებულად შესრულებული მინიატურა და თავსამკაულები.

აგრეთვე საინტერესოა XV საუკუნეში პეტრიწონის მონასტერში გადაწერილი სადღესასწაულო საკითხავები (№ 1760).

მოგვეანო ხელნაწერებიდან ყურადღებას იპყრობს XVII ს. „ჯრუჭის დავითნი“ (№ 1665), სადაც ხელნაწერის ტექსტს ერთვის ბევრად უფრო ადრეული (XV ს.) ხელნაწერიდან გადმოტანილი მინიატურები დიდი რაოდენობით.

აღწერილობაში წარმოდგენილია ს. ს. ორბელიანის ლექსიკონების საინტერესო ნუსხები: 1. ს. ს. ორბელიანის ავტოგრაფი (№ 1658) 1716 წელს კონსტანტინეპოლში გადაწერილი; 2. 1730—40 წლებში მაკრინას მიერ გადაწერილი ნუსხა (№ 1740); 3. 1756 წელს მელქისედეკ კავკასიძის მიერ პეტერბურგში გადაწერილი (№ 1736).

დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვთ: კვინკლოსებს, ათაბაგების სულთა მატიანეს და სიგელ-გუჯრების კრებულებს, რომლებიც წარმოდგენილია აღწერილობაში ცალკე კრებულებისა თუ ხელნაწერთა მინაწერების სახით. ამ მნიშვნელოვანი და, ზოგ შემთხვევაში უნიკალური ხელნაწერების გვერდით წინამდებარე ტომში აღწერილია X—XVII საუკუნეების ხელნაწერთა ფრაგმენტები, რომელთა უმრავლესობა პალიმფსესტებია.

ხელნაწერთა აღწერილობაზე მუშაობდნენ: ელ. მეტრეველი (აღწერა 1500-დან 1912 ნომრამდე), ელ. ვირსალაძე (აღწერა ფოლკლორული მასალები 1913-დან 2000 ნომრამდე), რიგი ხელნაწერებისა აღწერა ქრ. შარაშიძემ.

ელ. მეტრეველი

[1] M. Brosset, Rapports sur un voyage archeologique, XII rap.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1501

წერეთელი აკაკი — წერილები. 1914

100 ფ.; 36×22,5; ქაღალდი; უყდრო; ხუსხური; ავტოგრაფი; 1914 წ.; (79 ს); დაუწერელია: 4 ს—5 ვ, 8 ს—9 ვ, 22 ს—23 ვ, 27 ს—28 ვ, 31 ს—32 ვ, 39 ს—40 ვ, 44 ს—45 ვ 52 ს—54 ვ, 56 ს—57 ვ, 61 ს—62 ვ, 68 ს—69 ვ, 73 ს—74 ვ, 77 ს—78 ვ, 82 ს—88 ვ 88 ს, 90ვ, 100 ს—100 ვ.

1. „ჩემი აღსარება.—ზოგიერთები „სომხიყლაპიას“ მეძახიან და ეს უსამართლობა რომ შევიფერო, შეუძლებელია!...“ 2 ს—3 ვ.

2. „სოფელ ალას აოხრება.—როცა ჩემ სოფელში ვარ ხოლმე, ძალიან მიყვარს მოხუცებულ სოფლელებთან საუბარი...“ 6 ს—7 ს.

3. „ივანე კლდიაშვილი.—სიტყვის უმეტნაკლებობა ნიჭიერების სასწორსაზომია...“ 10 ს—13 ს.

4. „ქართული თეატრის დაარსება საქართველოში (სიტყვა წარმოთქმული მ. საფაროვის ქალის პატივსაცემად გამართულ „დილაზე“). —ერთხელ გიორგი ერისთავი მივიდა დიმიტრი ყიფიანთან...“ 16 ს—21 ვ.

5. „ქართველი ქალები.—როცა ქართველ ქალებზე ჩამოვარდება ხოლმე საუბარი, ჩვენ სასაფლაოებისაკენ ვიწევთ და გადასულ დედებს ვიგონებთ...“ 24 ს—26 ვ.

6. „შესანიშნავი მოღვაწე და დიდი გენიოსი.—ხუნდოვან სილოვანიძე... ტფუ! თვალი კი დაუდგა სიბერეს...“ 29 ს—30 ს.

7. „როგორ დაარსდა ჩვენში გაზეთი.—ამ ნახევარ საუკუნის წინეთ, როცა გაზეთის ხსენებაც არ ყოფილა ჩვენში, დიმიტრი ბაქრაძემ, ბესარიონ ღოღობერიძემ, ნიკოლოზ ღოღობერიძემ და ვახტანგ თულაშვილმა მოინდომეს სტამბის დაარსება და გაზეთის გამოცემა...“ 33 ს—38 ს.

8. „აკაკის წერილი.—ქუთაისიდან პეტერბურგში ქართული გაზეთი მომივიდა...“ 41 ს—43 ს.

9. „აკაკის წერილი.—საქართველოში ბურთაობა იყო შემოღებული. დიდი და პატარა მოცლის დროს გატაცებული იყო მითი...“ 46 ს—51 ს.

10. „23 თებერვალი.—ბალღი სანამ ფეხს აიდგამდეს, ფორთხვას დაიწყებს...“ 54 ს—55 ს.

11. „დაგვიანებული პასუხის საპასუხოდ.—სახალხო გაზეთის № 858-ში დაბეჭდილია ბ. კიტა აბაშიძის წერილი...“ 58 ს—60 ს.

12. „სიზმარი.—გადასულ ერებში ყველაზე მეტად ურიები მომწონს...“ 63 ს—67 ს.

13, „ჯუჯყვა და პუწვა.—ძმაო თედო! მოხარული ვარ, რომ შემთხვევა მეძლევა ძმად გიწოდო...“ 70 r—72 r.

შენიშვნა: სათაურის ქვემოთ, წითელი მელნით, რედაქტორის ხელით მიწერილია: „ბ. თ ე დ. ჯ ო რ დ ა ნ ი ა ს“.

14. „ოთხი შემთხვევა.—ჩემს ხანგრძლივ სიცოცხლეში ბევრი სიმწარე გამომიცდია...“ 75 r—76 r.

15. „ნადირობა.—ვეძღვნი სამეგრელოს თავადს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს. ერთ ზაფხულს სამეგრელოს თავადმა ამიწვია გორდში რამდენიმე დღით...“ 79 r—81 v.

16. „ნარკვევი.—რაჭა-ლეჩხუმში ჩემი სტუმრობა და იმათი დახვედრა, სწორედ, საარაკო და საზღაპრო იყო...“ 85 r—87 r.

17. „მესხიშვილის იუბილე.—ელადიმირ ალექსისძე მესხიშვილი რომ პირველად სცენაზე გამოვიდა, ქართული არ იცოდა...“ 91 r.

18. „ქ-ბ. საფაროვის ქალის იუბილეის გამო.—წყალში ნაშობი მარგალიტი, სანამ ზღვის სარდაფშია გამომწყვდეული, არაფრად ღირს...“ 92 r.

19. „ქ-ბ. ელენე თარხნიშვილის ქალი.—აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთ საქართველოში გამოვიდა ხმა, რომ ქ-ბ. ელენე თარხნიშვილმა თავისი სიმღერით დაატკბო იქაური ქართველობაო...“ 93 r.

20. „აკაკის განცხადება (გეგეჭკორის შესახებ).—როცა გაზეთებიდან ამოვიკითხე, რომ ლიდერი სოციალ დემოკრატების გეგეჭკორი შეეხალა და შეეკამათა პოლონელების „კოლოსო“, მე გულის-წყრომამ ამიტანა და დავსწერე მაშინ ლექსი გეგეჭკორზე...“ 94 r.

21. „მცირე რამ განცხადება.—ჩემს ნახსოვრობაში მე ძვირად მინახავს ჩვენში ასეთი თავ-დადებული, გულწრფელი და ბუნება—თანაზიარე მოღვაწე, როგორაც იყო ვანო მაჩაბელი...“ 95 r.

22. „მცირე შენიშვნა.—დავათვალიერე ბ. ნიკოლაძის ატელიე...“ 96 r—v.

23. „პოლონეთს დავეხმაროთ!—სნეულს უფრო თანაუგრძნობს მისივე მსგავსი სნეული...“ 97 r.

24. „აკაკის წერილი.—ორასი ათასი მეომარი გამოიყვანა ჯერჯერობით ამ პატარა საქართველომ და იძულებითი არა ყოფილა რა!...“ 98 r.

25. „პასუხად.—გაზეთ „კავკაზის“ № 13-ში დაბეჭდილია საცოდავი, სასაცინო წერილი, თავხედური სიცრუით გაჟღენთილი და გაბერილი...“ 99 r.

შენიშვნა: 1. თავფურცელზე ს. გ ო რ გ ა ძ ი ს ხელით წერია: „სხვადასხვა შინაარსის წერილები: პუბლიცისტური, საპოლემიკო, კრიტიკული, მოგონებანი, შენიშვნები და განცხადებანი. (გადმოსცა ჩვენ საზოგადოებას „თემის“ ყოფილმა რედაქტორმა გრ. დ ი ა ს ა მ ი ძ ე მ)“.

2. კრებულში თავმოყრილია და ერთად აკინძულია ა კ ა კ ი ს ავტოგრაფები.

3. ტექსტი ალაგ-ალაგ ნასწორებია წითელი მელნით და გააჩნია რედაქტორის შენიშვნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1502

წერეთელი აკაკი—წერილები. 1911—1914

32 ფ.; 36×22,5; ზაზიანი საწერი ქაღალდი; უყდო; მზედრული; ავტოგრაფი; მეოთხე ფურცელს მოხეული აქვს ქვემო ნაწილი; 1911—1914 წ.; დაუწერელია: 1 r—v, 2 v—3 v, 4 v, 5 v, 6 v, 7 v, 8 v, 9 r—11 v, 19 r—21 v, 25 v, 26 r—27 v, 30 v, 31 r—32 v.

„მადლი შემოქმედს! საოცარია საქართველოს ბუნება და საარაკო ცხოველზე მისი ზედ-გავლენა...“ 2 r—8 r.

შენიშვნა: წერილი უსათაუროა, სათაურის ადგილას წითელი მელნით, რედაქტორის ხელით წერია: „ზეპირსიტყვაობის შესახებ“.

„გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიან,
რა გული წავა, იგიცა წავლენ და მისკენ მიდიან“.
გვეუბნება „ვეფხის-ტყაოსანი“ და ამ მცირეოდენ სიტყვებში დიდი მსოფლიო სიბრძნეა გატარებული!...“ 12 r—18 v.

შენიშვნა: წერილი უსათაუროა, სათაურის ადგილას რედაქტორის ხელით წერია: „სიტყვა გიორგი საყაძის გასამართლების გამო“.

„დიდი ჭკუა და მაღალი ნიჭი ყოვლად გამოუსადეგარია, თუ ადამიანი კეთილად არ ხმარობს!..“ 22 r—25 v.

შენიშვნა: წერილი უსათაუროა, სათაურის ადგილას რედაქტორის ხელით წერია: „ქართველ ქალთა განათლებისათვის“.

„მართლაც, რა[ს] წარმოადგენს დღეს ქართველი ინტელიგენტი?...“ 28 r—30 r.

შენიშვნა: 1. წერილი უსათაუროა, სათაურის ადგილას რედაქტორის ხელით წერია: „ქართველ ინტელიგენციაზე“.
2. კრებულში ერთად არის აკინძული აკაკის ავტოგრაფები.
3. თავფურცელზე ს. გორგაძის ხელით წერია: „უსათაურო წერილები. გადმოსცა ჩვენ საზოგადოებას „თეძის“ ყოფილმა რედაქტორმა გრ. დიასამიძემ“.

1503

ს. გორგაძე—აკაკი წერეთლის ავტოგრაფების სია და მათი ანბანური საძიებელი. 1915—1917

43 ფ.; 36×23; უყდო; მზედრული; ავტოგრაფი; დაზიანებულია: თავფურცელი, ქვემო და ზემო საცავი ფურცლები; 1915—17 წ.; დაუწერელია: 38 r—43 v.

I. „ავტოგრაფების სია.—აკაკის ავტოგრაფები ჩვენს საზოგადოებას სხვადასხვა დროს გადმოეცა, ამიტომ თავდაპირველად იგინი მიღების კვალობაზე ინუსხებოდა და კონვერტებში იწყობოდა...“ 2 r—37 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: 1. ხელნაწერი შეიცავს შემდეგ ნაწილებს: ა) ავტოგრაფების სია (2 ს—21 ს). ბ) აკაკის კერძო მიწერა-მოწერა. 21 ს.

2. აკაკის ავტოგრაფების სია გაკეთებულია შემდეგი გრაფების მიხედვით: 1. №№ რეესტრისა და კონვერტისა; 2. ნაწარმოების სათაური და დასაწყისი; 3. როდის არის დაწერილი; 4. ავტოგრაფია თუ არა; 5. სად არის და როდის დაბეჭდილი.

3. თავფურცელზე წერია: „ს. გორგაძე. აკაკი წერეთლის ავტოგრაფების სია და მათი ანბანური საძიებელი. შედგენილია 1915—17 წლებში. თბილისი“.

4. ხელნაწერი წარმოადგენს ყოფილ საისტ. და საეთნ. საზოგადოების მუზეუმში დაცულ აკაკის ავტოგრაფების სიას.

•

1504

წერეთელი აკაკი—თხზულებათა კრებული. XIX—XX

60 ფ.; 21,5×17; ქაღალდი; რეგული, კალენკორგადაკრული ქაღალდის ყდით; მხედრული; [გიორგი ბაბანიძის ხელით] იხ. H: 1505, 01 ს; [XIX—XX ს.]; დაუწერელია; 1 ს—1 v, 60 v.

1. „მერცხლისა და ჰივჰავის ომი.—ამოწუმპული, მცივანა,
ჩანჩალით მოდის ზამთარი...“ 2 ს—4 v.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ, მარჯვენა ველში, მიწერილია: „1890 წ.“.

2. „მზე და მთვარე (გადმოღებული).—ბნელაში მთვარემ უეცრად
აკანს სხივები მოჰფინა...“ 4 v—6 v.
3. „არწივი (ნათარგმნი რუსულიდან).—გალიაში ზის არწივი
ველარ ახერხებს ნავარდსა...“ 6 v—7 v.
4. „ლეგენდური.—ღმერთმა ბრძანა: „მზე და მთვარე
ახლდეს თამარ-დედოფალსო!..“ 7 ს—8 ს.
5. „ლომი და ბუზი.—ბუზმა ლომი გაიწვია
საჭიდაოდ მოედანზე...“ 8 v—9 v
6. „მამალი და ძაღლი.—ერთხელ მამალმა ძაღლს უთხრა:
ჩემო ძმაო მურიაო!...“ 10 ს—12 v.

შენიშვნა: ლექსს სათაურის გასწვრივ მიწერილი აქვს თარიღი—„1891 წ.“.

7. „ვირი და მგელი.—ერთხელ ვირი საძოვარზე
დაიმარტოხელა მგელმა...“ 12 v—13 v.
8. „ბაყაყი და მორიელი.—იყო და არა იყო რა...“ 13 v—15 ს.
9. „მთიული.—ვიღაც ბეჩავი მთიული...“ 15 v—16 ს.
10. „კატა და ლომი.—კატამ ნახა ლომის ლეკვი...“ 16 v—17 ს.
11. „დათვი და მელა (მონადირის ნაამბობი).—დიდსა დათვსა დათუნასა...“ 17 v—19 v.
12. „ობოლი და დედა მისი.—ობოლი მშობელს კითხავდა...“ 19 v—20 ს.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ, მარცხენა ველში, მიწერილია: „1892 წ.“.

13. „დათვი.—ყველა მხეცი ხომ მხეცია...“ 20 v—22 r.
14. „ჩიტი გალიაში.—პატარა ჩიტი ჩიოდა...“ 22 v.
15. „ხალხური.—ქვეყანამ ეთერს მშვენებით...“ 23 r—24 r.
16. „ტკბილი და მწარე.—მეფემ უბრძანა სახუცესს...“ 24 r—25 r.
17. „ძველი და ახალი წელიწადი.—ძალით მოსული სტუმარი...“ 25 r—25 v.

შენიშვნა: ლექსს სათაურის გასწვრივ მიწერილი აქვს „1893 წ.“.

18. „ახალი წელი მოგვდის...“ 25 v—26 r.
19. „მეფე და მხატვარი.—ერთ ცალთვალ მეფეს მხატვარი ჰყავდა...“ 26 r—26 v.
20. „გაზაფხული.—მიიპარება ზამთარი...“ 27 r—27 v.
21. „თვალი—პატიოსანი.—ღვთის მშობლის დიდებულ გვირგვინს...“ 27 v—29 r.
22. „ლომი და მგელი (კრილოვი).—დაბრძანდა ლომი საუზმედ...“ 29 r—30 r.

შენიშვნა: ლექსს მიწერილი აქვს თარიღი: „1895 წ.“.

23. „ჩემი თხა (საუბარი).—ჩემო ლამაზო ბეკეკა...“ 30 v—31 r.

შენიშვნა: ლექსის სათაურის გასწვრივ მიწერილია თარიღი: „1895 წ.“.

24. „ობოლი (ხალხური).—დედის ტკბილი რძის ჭირიმე...“ 31 v—32 r.
25. „მამალი რას ყივის? (ხალხური).—ქვეყნის სიბრალულით გულ-ავსებული მაცხოვარი მიბრძანდა ტბის პირად და მეთევზეები ნახა...“ 32 v—35 r.
26. „პატარა ტარიელი.—დიდი ხანია ჩვენ გამნაზიაში მისთანა გულისყურიანი არავინ ყოფილა, როგორც დიტო ცალქამანიძე გამოდგა...“ 35 r—48 v.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ, აშიაზე მიწერილია თარიღი: „1897 წ.“.

27. „ჯეჯილის ათი წლის გამო.—ათი წელიწადი შესრულდა, რაც ეს ჯეჯილი გამოდის...“ 48 v—50 r.
28. „შედარება.—ფუტკარმა თქვა: ჩემი თაფლი...“ 50 r—50 v.
29. „ქ-ნო რედაქტორო!—ერთმა ევროპიელმა ბრძენმა თქვა: „ბავშვებს ის არ არგებს, რაც დიდებსაც არ აწყენსო...“. 51 r.

შენიშვნა: წერილი მიმართულია ჟ. „ჯეჯილის“ რედაქტორისადმი.

30. „ვირი.—როდესაც გაჩნდა ამ ქვეყნად...“ 52 r—53 v.
31. „პატარა ამბავი (ი. მაჩაბლის სახსოვრად).—გვითხარ, ძიავ! მამა ჩვენი...“ 54 r—55 v.
32. „კრავი (კრილოვის იგავ-არაკებიდან).—მე გული თუკი წმინდათ მაქვს...“ 56 r—57 v.
33. „გლეხი და ცხვარი.—გლეხმა ცხვარზე საჩივარი...“ 58 r—59 v.
34. „ხალხური.—ქრიშობისთვე ქურქს იკერავს...“ 59 v—60 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1505

წერეთელი აკაკი—თხზულებათა კრებული. XX

01+86 ფ.; 21,5×17; კალენკორგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; [XX ს.]; დაუწუნელია: 1 r—1 v; გადაწერა: გიორგი ზაბახიძე. 01 r.

1. „შოშია (იგავ-არაკებიდან).—ბარტყობისას შოშიას
დაესწავლა სიმღერა...“ 2 r—3 v.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ მიწერილია: „1905 წ.“.

2. „გამოცანები.—ხმას არ იღებს, ლაპარაკობს,
წინ გვიყენებს ცოცხალ-მკვდრებსა...“ 3 r.
3. „გამოცანები.—დედასაც ვჭამთ, შვილსაცა ვსვამთ,
ორივე გემრიელია...“ 3 v.
4. „კურდღელი.—ერთი შეხედვით კატას ჰგავს,
ყურები აუცილებია...“ 3 v—4 r.
5. „გამოცანები.—არც ფრთები აქვს, არც ფეხები,
იკლაკნება გველივითა...“ 4 r.
6. „მელია.—ეშმაკია, კუდურია,
ყურ-ცქვიტინა და კუდ-გრძელა...“ 4 r—5 r.
7. „გამოცანები.—უენოა, მაგრამ უხმოდ
ბევრი რამ კარგის მთქმელია...“ 5 r.
8. „გამოცანა.—ფეხში რომ ხელი მომკიდეს,
ზღვაში ჩამკიდეს თავითა...“ 5 r.
9. „მგელი.—მელაზედ ბევრად დიდია,
არა ჰგავს წუპაკ ტურასა...“ 5 v—6 r.
10. „დათვი და შინდი (ხალხური თქმულობა).—
დათვი მოუწვა შინდის ხეს,
ნაადრი ნახა ყვავილი...“ 6 r—7 v.
11. „შარადა.—პირველი—ყვავილი არის,
მეორე—ცხენის გვარია...“ 7 v.
12. „გარეული ღორი.—ეძებს და არ დაუკარგავს,
კვნესის და არა სტკივა-რა...“ 7 v—8 v.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ მიწერილი აქვს თარიღი: „1906 წ.“.

13. „ჯიხვი.—კლდის შვილი ღრუბელს იმოსავს,
დიდი და მაღალ-რქიანი...“ 9 r—10 v.
14. „დაცდა.—ჩიტმა დამძახა დილაზე,
ვერ მოვასწარი თოფიო...“ 10 v—11 r.
15. „მერცხალი და ბავშვები.—მერცხალო! შენმა ჭიკჭიკმა
მთელი ზაფხული გვახარა...“ 11 v—12 r.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ მიწერილი აქვს თარიღი: „1908 წ.“.

16. „ღორი.—ეძებს და არ დაუკარგავს,
კვნესის და არა სტკივა რა...“ 12 v.
17. „მამალი.—ფეხებზე იკრავს დიზებსა
და თავზე იდგამს ჯიღასა...“ 13 r.
18. „კამბეჩი.—დადის და დაიზლაზნება
გადაჭრილ სიარულითა...“ 13 v.
19. „თიკანი.—წუხელი ჩვენ თხას, დედილო,
თიკები მოუგიაო...“ 14 r—15 v.
20. „შოშია.—პატარა ჩიტი გავზარდე
პირდაღებული შოშია...“ 15 v—16 r.
21. „მოლაღურის ბუდე.—მაღალ ხეზე, მუხის წვერზე
სამი ძაფით ეშმაკურად...“ 16 r—16 v.

შენიშვნა: მიწერილი აქვს თარიღი: „1909 წელს“.

22. „ირემი.—ძროხის გვარია, ლამაზი,
დაწმენდილ-დახვეწილია...“ 16 v—18 v.

შენიშვნა: სათაურის გასწყრივ აშიაზე მიწერილია თარიღი: „1907 წელს“.

23. „ანგელოზის ნანინა.—უცხო სტუმარი, მოულოდნელი,
დედის ნუგეში, ცუცუნ კატარა
ტიტინებს, პირზე რაც მოადგება...“ 18 v—19 v
24. „აღდგომის განთიადი.—ერთობა და თანასწორობა,
გულით ძმობა, სიყვარული...“ 20 r—20 v.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ, აშიაზე მიწერილია თარიღი: „1907 წელს“.

25. „ნადირობა.—გლეხი შეუყვა წყლის პირსა
თევზების დასაჭერადა...“ 20 v—23 v.
26. „ყვავი და ბულბული.—ყვავმა ყვანრალამ ზამთარში
ბულბული აითვალწუნა...“ 23 v—24 v.
27. „ბრძენი.—ძველათ ერთი ვინმე ბრძენი,
ვირზე მჯდარი, მარტო, ობლად...“ 24 v—26 v.
28. „*** (ინგლისურით).—პატარაობისას ქრისტემ
ბაღი რამე გააშენა...“ 26 v—27 v.
29. „ნასესხები.—ამოიძუა ზამთარმა,
ბოლო ელება, ეს არი...“ 27 v—28 r.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ, აშიაზე მიწერილია თარიღი: „1909 წელს“.

30. „ნაკადული.—სწავლა წყაროს არს ცხოვრების,
სიბრძნე მისი ნაკადული...“ 28 v—29 r.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ, აშიაზე მიწერილი აქვს თარიღი: „1905 წელი“.

31. „გამოცანა.—არც იცის ხტომა, არც ფრენა.
დაცოცავს ძალის-ძლობითა...“ 29 r.
32. „***—ერთ დაღონებულ კაცს შეხვდა ჯარა-ჭკიმი და უთხრა...“ 29 r—29 v.

33. „თოხი-ტარა.—ჩვენს ქვეყანაში ერთი ჩიტია—ჭინჭრაქაზე უფრო პატარა...“ 29 v—38 r.

34. „ბრიყვი და ჭკვიანი. ამბავი.—ბრიყვი და ჭკვიანი შეიყარნენ გზა-ჯვარედინზე...“ 38 v—39 v.

35. „ვინ არიან აზნაურნი (ლეგენდა).—ალექსანდრე მაკედონელმა რომ მთელი აზიის დაპყრობა მოინდომა, საქართველოზედაც გამოილაშქრა...“ 39 v—41 r.

36. „ღამურა.—ერთის ციხე-დარბაზის ჭერ-ქვეშ ბუდობდენ თაგვები თავისუფლად და შეუპოვრად...“ 41 v—47 v.

შენიშვნა: პროზაულ ტექსტში ჩართულია ლექსები: „ციცუნია კატაო...“ და სხვ.

37. „ალექსი (ზღაპარი ყმაწვილებისათვის) [ლექსად].—

შვილო ალექსი!
მსურს გითხრა ლექსი,
საკუთრად შენთვის მოვმართო ქნარი...“ 47 v—67 v.

38. „სიზმარი (ვ. ჭ. მ.).—დღიურ სიცხადით გულდაჩაგრულსა
ძილში მეღირსა ტკბილი სიზმარი...“ 67 v—68 v.

39. „მიჯაჭვული ამირანი.—კავკასიის ქედზე იყო
ამირანი მიჯაჭვული...“ 68 v—69 v.

40. „გამოცანები.—არა სჭამს, მხოლოდ წყალსა სვამს,
გულხარბი ყოვლის მხრითაო...“ 69 v—70 r.

41. „მერცხალისა და ჭივჭავის ომი [მოთხრობა].—

„გაზაფხული დადგაო,
ხეში წყალი ჩადგაო;
ჩიტმა ჩიორამაო
საძირკველი ჩადგაო“. 70 r—73 r.

შენიშვნა: 1. გარდა ამისა კრებულში შესულია: „ვარდი და ეკალი“. 73 v—77 v „ბულბულის სტუმენა“. 77 v—78 r; „ბაყაყის ყიყინი“. 78 r—79 r; „ახალი წელიწადი“ 79 r—80 r; „მონადირე“. 80 r—81 v; „გოჭები“. 81 r—84 r; „გადარჯულებული“. 84 v—85 r; „მოხუცი და ახალგაზრდა“ 85 r—86 v.

2. 01 ფურცელზე ფანქრით წერია: „მღდელი გიორგი ხაბახიძის მიერ გადაწერილია, როგორც გვითხრა სპირიდონ ხაბახიძემ“.

1506

წერეთელი აკაკი—თხზულებათა კრებული. XIX—XX

62 ფ.; 21,5×17; კალენკორგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; [XIX—XX ს.]; დაუწერელია: 45 v—62 v.

1. „პატარა მათხოვარი (ნათარგმნი).—

მომხედეთ, ღმერთი მოგხედავთ!...
მათხოვარი ვარ პატარა...“ 2 r—3 r.

შენიშვნა: ამიაზე მიწერილია თარიღი: „1902 წ.“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. „შოშია (კრილოვის იგავ-არაკი).—ბარტყობისას შოშიას
დაესწავლა სიმღერა...“ 3 r—4 v.

3. „სოფელი და მელია (კრილოვისა).—
მითხარი, მელა კუდაო,
რათა ხარ ჭკომის პარიი?...“ 5 r—7 v.

4. „თრითინა.—ლომმა მოსამსახურედ
აირჩია თრითინა...“ 7 v—9 v.

5. „მეწისქვილე.—ერთი წისქვილის სათავე
ცოტაოდნათ გაიბზარა...“ 9 v—11 r.

6. „ჭრელი ცხვრები (იგავი).—საზოგადოთ ჭრელი ცხვრები
ამოითვალწუნა ლომმა...“ 11 v—13 v.

7. „ფოლადი.—უტარო და უქარქაშო
ხმალი ეგდო სათაროში...“ 13 v—15 r.

8. „ღამისთევა (ვუძღვნი პატარა თამარ-თინას).—
„მამა-პაპის ჩვეულება:
„ღამის-თევა“ და „მზე-შინა“
მოგვაგონდა და გულს დაგულს
ია-ვარდათ მოგვეფინა...“ 15 v—17 v.

9. „ელას დედოფალა.—ამ ჩვენ პატარა ელასა,
კუდრაჭა ცუგრუელასა,
იმის ტოლ-ამხანაგებში
მე ვამჯობინებ ყველასა...“ 17 v—18 v.

10. „ბეტას ხსოვნას.—ანგელოზი ხორც-შესხმული
მოგვევლინა ვით კამეტა...“ 18 v.

11. „მიმკვლევა.—გამხიარულდი, ბუხარო!
გულ ჩახვეული ნუ ხარო!..“ 19 v—20 r.

12. „სონა ციციშვილის ქალის სახსოვრათ.—
ყველა სიკვდილის შვილი ვართ,
შავი დღე გველის ყველასა...“ 20 r—21 r.

13. „ჩიტი გალიაში.—პატარა ჩიტი ჩიოდა:
რათა ვარ დამწყვდეულიო?..“ 21 r—21 v.

შენიშვნა: ამიაზე მიწერილია თარიღი: „1908 წ.“.

14. „გაზაფხული.—მიიპარება ზამთარი,
ძალ-ღონე გამოელია...“ 21 v—22 v.

15. „მზე და მთვარე (გადმოღებული).—
ბნელაში მთვარემ უეცრად
აკვანს სხივები მოჰფინა...“ 22 v—24 r.

16. „სიბერე და სიყმაწვილე.—გულგატეხილო სიბერევ,
სხვაა ყმაწვილის ბუნება...“ 24 v—25 r.

17. „საუნჯე.—ერთი „მაქვს“ სჯობს ათასს „მჭონდას“—
ჰკუას უთქვამს, გულს უგრძვნია...“ 25 v—26 v.
18. „გლოვა.—სად არის კუბო თამარის,
ქვეყნისგან ნაამბორისა?.. 27 r—28 v.
19. „ბაასი.—გული და კუჭი შეიბნენ,
შეეჭნათ დიდი ბაასი...“ 27 v—28 v.
20. „გული.—გულის მსგავსი, პაწაწინა
ნივთი რამე, ერთ კაცს ჰქონდა...“ 29 r—30 r.
21. „დედ-მამა.—ღარიბ დედ-მამამ შკოლაში
ბალღი რომ მიაბარესა,
ცას მისწვდნენ სიხარულითა...“ 30 r—v.
22. „რამ გამოიწვია ვეფხის ტყაოსანი (ლეგენდა).
შუქურ-ვარსკვლავის ჭირიმე,
რა მოკიაფე რამ არი...“ 30 v—33 v.
23. „ურიული მოთქმითი ტირილი საქართველოში.—
ახა, ნარინჯო, ნარინჯო,
შე ბროწეულო, იაო...“ 34 r—36 r.
24. „ავადმყოფი.—საბძელმა უთხრა ქარსაო:
რას მომდგომიხარ კარსაო?..“ 36 v—40 r.
25. „ყმაწვილი და პეპელა.—ჭრელი პეპელა დაათრო
და გააბრუა იამა...“ 40 v—41 r.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ, აშიაზე მიწერილია: „1884 წ. „ნობათი“.

26. „მელა და ყურძენი.—დამშეული კუდა-მელა
ვენახში მიიპარება...“ 41 r—v.
27. „სახსოვრად (ნეკროლოგი).—დღეს სერგეი მესხის მიცვალების წლის თავია...“ 42 r—45 r.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ, აშიაზე მიწერილია „1884“.

1507

წერეთელი აკაკი—თხზულებანი კრებული. XIX—XX

55 ფ.; 36×22,5; ქაღალდი: უყდო; სხვადასხვა ზომის ფურცლები აკინძული; მხედრული, სხვადასხვა ხელი; [XIX—XX ს.].

1. „ანდერძი ჩემს შვილს.—გულს ნუ გაიტეხ, იყავ მხნე,
რაც უნდა ჭირში ჩავარდე!..“ 1 r.

შენიშვნა: 1. ლურჯი ფანქრით მიწერილია: „ე ქ ვ თ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს გადმოწ.“ 1 r.

2. ტექსტის ბოლოს თარიღი: „1909-სა წ. 1 ივნისი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. „ვაშა, დეპუტატს!.—ნეტავ, დარჩა ჩვენში კიდევ
ამისთანა ერთი-ორი,
როგორც არის დალოცვილი
დეპუტატი გეგეჭკორი?!!...“ 2 r—2 v.

3. „კატო, ნიკო და მიხას.—აჰა, სახე მოღრუბლული,
უპირ-ბადო, სწორ-მხატველი...“ 3 r.

შენიშვნა: 1. მარჯვენა კუთხეში მიწერილია: „პირი ავტოგრაფისა“.
2. ლექსის ქვემოთ მიწერილია: „პოეტ აკაკის ნინო ორბელიანისათვის თავის სურათი მიუძღვნია და ეს ლექსი ზედ წაუწერია“.
3. იქვე მიწერილია ს. გორგაძის ხელით: „ორიგინალი ისევ ნ. ორბელიანისას დავუბრუნეთ. მეც შევამოწმე, სწორია ს. გორგაძე“.

4. „კნ. ელ. ორბელიანისას (ალბომში).—თვალად, ტანად, მიხვრა-მოხვრით
პოეტურად შემკობილო...“ 4 r.

შენიშვნა: 1. ლექსის ბოლოს დაწერის თარიღი: „1910 წ. 17 მაისი“.
2. ს. გორგაძის ხელით მინაწერი: „გადმოვიღე ავტოგრაფის პირი 9 ივნისს 1915 წ. ს. გორგაძე“.

5. „ელისაბედ ორბელიანისას (აკაკი უძღვნის თავის საკუთარ სურათზე)—
ფრანციზულად გიყვარს წერა,
რუსულს თარგმნი, ქართულს ვერა,
მაგრამ მაინც ქართველობა,
გეფიცები, შენი მჯერა!!...“ 5 r.

შენიშვნა: ს. გორგაძის ხელით მიწერილია: „პირი ავტოგრაფიდან გადმოღებული. ს. გ.“.

6. „წყევა უკუნისამდეს (?).—იყოს წყეული სოფელი
და მისი სიტკბო-სიამე!...“ 6 r.

შენიშვნა: 1. გადმოწერილია ეკვთ. თაყაიშვილის ხელით.
2. ე. თაყაიშვილისვე ხელით მიწერილია: „ნინო ბაგრატიონის ასულს, კომტე წერეთლის მეუღლეს, აქვს დედანი ნახევარ თაბახ ფოსტის ქაღალდზე დაწერილი აკაკის ხელით“.

7. [სიტყვა ნინოობას ქალთა საზოგადოებაში].—„ბატონებო, ჩემისთანა კაცებს, ღრმა მოხუცებულებს, ყბედობა სჩვევიათ...“ 7 r—9 r.

შენიშვნა: სათაური დაწერილია ს. გორგაძის ხელით, მისივე ხელით მიწერილია: „ექიმის ვახტანგ ღამბაშიძის ხელია“.

8. „თანამედროვე.—დედას, სნეულს და ავანტყოფს (!)
ერიდები, აშორებ თვალს!..“ 10 r.

9. „კოშკი რამე ქვის ნათალი გადმოყურებს მაღლა რიონს...“ 11 r—v.

შენიშვნა: ლექსის ბოლოს სხვა ხელით მიწერილია: „ზოგიერთ ლექსებს აკაკისას, რომელიც არსად არ დაბეჭდილა, ხალხში მღერიან, სხვათა შორის ამას ამღერებენ ჩონგურზე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. „[ეპიტაფია].—შური, სიხარბე და ბოროტება
ჩემგან შორს იყო, მიყვარდა ლხენა...“ 11 v.

შენიშვნა: სათაური დაწერილია წითელი ფანქრით ს. გორგაძის ხელით.

11. „ომი.—რკინას ცეცხლი აფოლადებს,
ადამიანს განსაცდელი...“ 13 r—26 r.

შენიშვნა: ტექსტი ნასწორებია სხვა ხელით.

12. „ზდანოვიჩის სიტყვა (კერძო კრებაზე).—
არც მიხნავს, არც მითესია,
ნამგალი დავატრიალე...“ 28 r—v.

შენიშვნა: იგივე ლექსი სხვა ხელით დაწერილი მოთავსებულია 30 r—v.

13. „ფული.—ფულო, ეშმაკის ნაშედო,
მადანო ჯოჯოხეთისო!..“ 32 r—v.
14. „წერილი პატარა მეგობრებს.—დათუნია, კაკუჩა,
მაიავ და ელენე!
მე თქვენი სახე ხატად
ჩემ გულში ჩავისვენე!..“ 33 r.
15. „ბატონებო! უგულითადეს მადლობას გწირავთ იმ პატივისათვის, რომელიცა გსურთ მე მომანიჭოთ...“ 34 r—35 v.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს მიწერილია: „შეად. 1899 წ. „ივერია“, № 6, „ჩვენი ბანკობია“, პროზა“ 35 v.

16. „ჩანგი.—ლოცვა და ჩანგის ჟღერა
ორივ ტყუპის ცალია!..“ 36 r—v.
17. „ჩემი სიმღერა.—ტიალმა წუთის სოფელმა
ნაღველი დამალევია...“ 37 r—v.
18. „იტირე მიწავ სამშობლოვ (შემოკლებით).—იტირე მიწავ სამშობლოვ!
ზარი აუშვი, ზეცაო!..“ 38 r.

შენიშვნა: ლექსის ბოლოს მიწერილია თარიღი: „1891 წელი“.

19. „ნუ ეხუმრებით ქართულ მიწა-წყალს.—
ნუ ეხუმრებით ქართულ მიწა-წყალს,
და ნუ ადგამთ ბიჯს ზედ წარა-მარად...“ 39 r—v.
20. „გამოთხოვება.—უანგარო მეგობრობა
და უბიწო სიყვარული,
როცა სული სულში ძვრება
და ერთდება გულთან გული...“ 40 r—v.
21. „სიყვარული.—შორის ოხვრით, შორის ბნედით
მიყვარს! მიყვარს სულით! გულით!!...“ 41 r.
22. „პასუხი ახალგაზრდას.—სად გაზაფხული შენი ფერადი
და სად გაცრცვნილი ჩემი ზამთარი?!...“ 42 r-v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

23. „გამოთხოვება.—ვისაც ვეტრფოდი, ვისაც ვმონებდი,
საკუთრად ვისთვისც მიძგერდა გული,
დღეს მას გავურბი...“ 43 r—v.

24. „ღამაზს.—იას სინაზე მოჰპარე,
ვარდს—ფეროვნება, ლამაზო!..“ 44 r.

25. „გაოცება.—მე რომ ენახე, იმისთანა
არ ნახულა სანახავი...“ 45 r.

შენიშვნა: ეს ლექსი და წინა ცხრაც გადაწერილია ს. გორგაძის ხელით.

26. „ბეჟანს.—რომ შევადარე პარიზი
ამ ჩემ სამშობლო მხარესა,
კინაღამ გული გამისკდა...“ 46 r.

შენიშვნა: სჭოლიოში იმავე ხელით წერია: „ეს ლექსი აკაკიმ გამოუგზავნა პარიზიდამ თავის მეზობელსა და სახლიკაცს თ-დ ბეჟან დავითის ძეს წერეთელს“.

27. „ყოლიფერი ტყუილია.—ერთგულობა, შრომა, ღვაწლი...“ 47 r.

28. „ტყუილ მგოსანს.—არ მინდა შენი „ნანინა“
და შენი ძილის პირები!..“ 48 r.

შენიშვნა: 1. ლექსი ს. გორგაძის ხელით არის გადმოწერილი.

2. ს. გორგაძისვე ხელით ტექსტის ქვემოთ მიწერილია: „ესეც აკრძალულ. დაკვგებულია „по журналу Цензурного Комитета 10 октября 1884 года“ გადმოუწერია გ. ლეონიძეს, რომელმაც მე მათხოვა გადასაწერად: ს. გორგაძე. 1924, V, 24“.

29. „სიმართლე.—ფუ! იმ მოედანს, სადაცა
ვირები ბედაუროობენ!..“ 49 r.

შენიშვნა: 1. ლექსი ს. გორგაძის ხელით არის დაწერილი.

2. ს. გორგაძისვე ხელით მიწერილი ტექსტის ბოლოს: „По журналу Цензурного Комитета 1884 года определено: в виду 6 и 90 ст. Цензурного Устава напечатание воспретить и удержать при делах“. ხელს აწერენ კომიტეტის თავჯდომარე და წევრები.

30. „გოდება ებრაელთა, ბაირონით.—
ჰგოდებს ისრაილ, მოსთქვამს იუდა,
და ებრაელნი სტირიან ერთხმად...“ 51 r—52 r.

შენიშვნა: 1. ამ ლექსის თავფურცელზე ს. გორგაძის ხელით წერია; „საისტ.-საეთნოგრაფიო მუზეუმს შემოსწირა ნიკო კეცხოველმა, როგორც აკაკის ავტოგრაფი“.

2. ლექსის ბოლოს მიწერილია თარიღი: „3 ივნობისთვეს, 1901 წ. ტყვიავი“.

3. ქაღალდი, რომელზედაც დაწერილია ლექსი, ძალზე დაზიანებულია.

31. „იუდა.—აქ ყოფილა!.. გვითვალყურებს,
ჰგონია, რომ ვიტყვით რამეს...“ 53 r—54 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: 1. გადმოწერილია ს. გორგაძის ხელით.

2. ს. გორგაძისვე ხელით ტექსტის ბოლოს მიწერილია: „ამ ლექსის ხელნაწერი (არა ავტოგრაფი) გადმომცა გადასწერად ს. აბაშელმა, როცა აკაკის IV ტომის აწყობა უკვე დასრულებული იყო. პირველი ხანის მესამე სტრიქონის გასწვრივ არშიაზე რაღაც თარიღისებურია წარწერილი. 1886. გადმოვწერე 1927 წ. 26 დეკემბერს, ტფილისში. ს. გორგაძე“ 54 r.

32. „მღვდელი და ექიმი.—მღვდელმა უბრძანა დიაკონს:
ხომ ხედავ, ღმერთი სწყრებაო...“ 56 r—v.

შენიშვნა: 1. ლექსი დაწერილია ფანქრით. 55 v-ზე დ. კარიჭაშვილის ხელით წერია: „იხ. საქმე საცენზ კომიტ. 282/19. 1890 წ. თეატრში ყოფილა დასაბეჭდად გამზადე[ბ]ული და ცენზურას არ დაუბეჭდვინებია. დ. კარიჭაშვილი“.

2. 56 v-ზე ს. გორგაძის ხელით მიწერილია: „აკაკის ნაწერებში ამ ლექსის ავტოგრაფიც მოიპოვება (7,25)=ხელნაწერი № 1473. შედარებამ გვიჩვენა, რომ პირი სწორია დედანთან. ს. გორგაძე“.

1508

წერეთელი აკაკი—ფელეტონები. XIX

270 ფ.; 22,5×18; ქაღალდი; უყდო (აკინძული); მხედრული; დაუწერელია: 270 v, 271 r—v; XIX (1867—75 წ.წ.).

1. „დროების“ კორესპონდენცია ქუთაისიდან. სადილი გუბერნიის წინამძღომლისას.—შავ-უკუღმართი დროებისადან დათესილი ძველითგანვე უთანხმოება უბედურებად მოიმკო საქართველოში, როდესაც ის საქართველო გაიწილდა რამოდენიმე სამეფოდ და სამთავროებად...“ 1 r—6 r.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ, მარჯვენა არშიაზე მიწერილია: „დროება“. 1867 წ. № 43“.

2. „რამდენიმე სიტყვა შესახებ კ. ბ. ჯორჯაძისა.—გოლეიან ზაფხულში, როდესაც სიცხით დამწვარი და ნაყოფის ვეღარ აღმომცენი დედა-მიწა მხოლოდ მარტო მტვერს იღენს...“ 6 r—14 r.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ, მარჯვენა არშიაზე მიწერილია: „დროება“ 1868 წ. № 3“.

3. „არც ჩვენია, არც თქვენი, მაშ შუათანად იყოს.—თქვენი უმორჩილესი მონა-მოსამსახურე უმდაბლესად თავს დაგიკრავთ საზოგადოდ ქალბატონებო და ვაჟბატონებო...“ 14 r—22 v.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ, მარჯვენა არშიაზე, მიწერილია: „დროება“, 1868 წ. № 5“.

4. „ცხელ-ცხელი ამბები.—ეს ორი სამი დღეა, რაც რიონში ტობი (ხრამული) შემოდის და ქუთაისში იყრის თავს ქვირითის დასაყრელად...“ 22 v—24 v.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ, მარჯვენა ამიაზე, მიწერილია: „დროება“. 1870. № 20“.

5. „ფელეტონი. ცხელ-ცხელი ამბები.—„სულ ცხელ-ცხელი! სულ ცხელ-ცხელი!! არ შეიძლება ერთხელ ცოვიც გვეღირსო?“ ნაზისა და ნარნარის ხმით გვეტყვიან ზოგიერთები...“ 25 r—30 r.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ, მარჯვენა ამიაზე მიწერილია: „დროება“. 1871 წ. № 27“.

6. „ფელეტონი. ცხელ-ცხელი ამბები.—ერთ მოხუცებულს კაცს დაუბრუნდა უცხო ქვეყნიდამ სამი ვაჟიშვილი...“ 30 v—37 r.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ, მარჯვენა ამიაზე მიწერილია: „დროება“. 1871 წ. № 28“.

7. „ფელეტონი. „ცხელ-ცხელი ამბები.—რა გუნებაზედ ვარ!.. ჩაშაქრულ-ჩაშარბათებულზედ!... აბა ახლა რაც უნდა დავწერო, ტკბილი და სატლაკავი იქნება...“ 37 v—38 v.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ, მარცხენა ამიაზე, მიწერილია: „დროება“ 1871 წ. № 30“.

8. „ცხელ-ცხელი ამბები.—„კარგია ჩვენი სოფელი, მაგრამ ქუჩები კი ტალახიანიაო“. ამ ლექსით იწყება ერთი რუსული სიმღერა, რომელიც ყოველთვის მომაგონებს ხოლმე ქუთაისს...“ 39 r—49 r.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ, მერჯვენა ამიაზე, მიწერილია: „დროება“. 1871 წ. № 31“.

9. „ცხელ-ცხელი ამბები.—ამ დღეებში ერთი საცოდავობა მოხდა გაღმა სილაზედ...“ 49 v—54 r.

შენიშვნა: პროზაული ტექსტის ბოლოს „ჩემო თავო“-ს ტექსტია დართული.

10. „ცხელ-ცხელი ამბები.—ახირებული კაცია თებერვალი არ დაუჯერაძე...“ 54 r—60 v.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ, მარჯვენა ამიაზე, მიწერილია; „დროება“. 1871 წ. № 33“.

11. „ცხელ-ცხელი ამბები.—დიდი ხანია, რაც ქუთაისი გაიტენა ხალხით, მაგრამ ქალები კი ყოველ დღე მაინც თანდათან ემატებიან...“ 60 r—64 r.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ, მარჯვენა ამიაზე, მიწერილია: „დროება“. 1871 წ. № 38“.

12. „ცხელ-ცხელი ამბები.—დიდი ხანია, რაც „ცხელ-ცხელ ამბებს“ თავი აღარ ამოუყვიათ „დროებაში“ და ამის გამო გვესმის მკითხველებისაგან: „ხომ არ გაუყინავსო?...“ 64 r—70 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ, მარჯვენა ველზე, მიწერილია: „დროება". 1871 წ. № 49".

13. „ცხელ-ცხელი ამბები. (ახალი წლის შუაღამე).—შუა ღამეს **ბევრი** აღარ აკლდა რა..." 70 r—76 v.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ, მარჯვენა ველზე, მიწერილია: „დროება". 1872 წ. № 1".

14. „ცხელ-ცხელი ამბები. ჩემი ობოლობა.—თუ კი **სამჯაროებში** საჭირო არიან ადვოკატები, ლიტერატურამ რაღა დააშავა?..." 77 r—82 v.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ, მარჯვენა ველზე, მიწერილია: „დროება": 1872 წ. № 12".

15. „ცხელ-ცხელი ამბები.—„უსაქმური კაცი ყელს **იზომდაო**", ნათქვამია; სწორედ ასე მემართება..." 83 r—94 v.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ, მარჯვენა ველზე, მიწერილია: „დროება" 1872 წ. № 27".

16. „ახმედ ფაშა კახა-ბერი. (ნეკროლოგი).—დიდებულის მდივანის წყალობით უმაღლეს ხარისხამდეა აყვანილი ახმედ ფაშა კახა-ბერი..." 94 v—101 r.

17. „ცხელ-ცხელი ამბები. მიდებ-მოდება.—ძლივს **არ** გადაურჩით ამ სიცხეებს! როგორც იქნა გაგვიაზდარდა, მაგრამ რაღა დროს?..." 101 v—106 r.

18. „დროების" კორესპონდენცია. უფ. ვ. გამრეკელოვს.—ამხანაგობით, მეგობრობით, მტერ-მოყვრობით და ნათესაობით მიდგომას, ჩვენის **აზრით**, არა აქვს ადგილი ლიტერატურაშიც..." 106 r—111 r.

19. „ცხელ-ცხელი ამბები. წინდა და ქუდი.—ერთხელ წინდასა და ქუდს ერთმანეთში ჩხუბი მოუვიდათ..." 111 r—116 v.

20. „შავ-შავი ამბები.—„ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა,
რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა".
რა უფრო სასიქადულოა კაცისათვის: ბედაურზე ჯდომით მჭადის, თუ ვირზე ჯდომით პურის ჭამა?..." 116 v—126 v.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ, მარცხენა ველზე, მიწერილია: „დროება". 1872 წ. № 40".

21. „ცხელ-ცხელი ამბები.—ჩვენში, სხვათა შორის, ორი **საუცხოვო** ჩვეულება **არის**: კაცს **რომ** შეეყრებიან—გამარჯობის ნატვრა და **რომ** მოშორდებიან, გამოთხოვების დროს, გზის დალოცვა..." 126 v—131 r.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ, მარცხენა ველზე, მიწერილია: „დროება". 1872 წ. № 48".

22. „ცხელ-ცხელი ამბები. იმერელი თბილისში.—თქვენ ნუ დამეხოცებით, მართლა რომ კარგი რამ ყოფილა თბილისი..." 131 r—140 r.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ მარჯვენა ველზე, მიწერილია: „დროება", 1873 წ. № 4".

23. „ავაზაკობა სამეგრელოში.—იმ კანონით, რომელიც მშობლებს ვალდებულებას აძლევს, რომ თავის სიცოცხლეში შვილებს არა გაუზიარონ რა, როგორც კეთილ-შეძენილით, ისე სამკვიდროდამაც, ისე ბოროტად არსად არ სარგებლობენ, როგორც ჩვენს ქვეყანაში...“ 140 ვ—144 ვ.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ, მარჯვენა აშიაზე, მიწერილია: „დროება“. 1873 წ. № 11“.

24. „ფელეტონი. ნურაფერს—უკაცრავად.—25 ივნისს უ. ბ. ღლობერიძემ ქუთაისის თავად-აზნაურობის კრებას წარმოუდგინა თავისი ბანკის ტიბიკონი (უსტავი)...“ 144 ვ—149 ვ.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ, მარჯვენა აშიაზე, მიწერილია: „დროება“. 1873 წ. № 26“.

25. „ფელეტონი. ცნობა ქუთაისითგან.—ჩვენი ქუთაისი ისეთ დარდიანობაშია ჩავარდნილი, რომ არ იცის თუ როგორ გაიქარვოს სეედა და თავის მძიმე ტვირთით, მწუხარებით ჯდება ფაიტონში და დასეირნობს მტვერიან ქუჩებზედ...“ 149 ვ—156 ვ.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ, მარცხენა აშიაზე, მიწერილია: „დროება“. 1873 წ. № 390“.

26. „ფელეტონი. ცხელ-ცხელი ამბები. გამოსალმება.—მშვიდობით!.. მშვიდობით!.. მშვიდობით!.. მშ...ვი...დო...ბით! იმდენი დღე არა გეტკინოსთ რა, ჩემო გულძვირო მკითხველებო, რამდენი დღე იქნეს, მე კალამი ხელში აღარ ავიღო...“ 157 ვ—165 ვ.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ, მარჯვენა აშიაზე, მიწერილია: „დროება“. 1873 წ. № 402“.

27. „ფელეტონი. ცხელ-ცხელი ამბები.—ვინ სთქვა, რომ ჩვენში საზოგადო არ არის რაო, მაშინ როდესაც, რაც ერთზე ითქმის, რასაკვირველია აუგობით, ის ათში ცხრასაც ეკუთვნის...“ 165 ვ—171 ვ.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ, მარცხენა აშიაზე, მიწერილია: „დროება“. 1874 წ. № 445“.

28. „ფელეტონი. ცხელ-ცხელი ამბები.—ჩინებული გზა გააკეთეს შორაპნის მაზრაში...“ 171 ვ—177 ვ.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ, მარცხენა აშიაზე, მიწერილია: „დროება“. 1874 წ. № 448“.

29. „ფელეტონი. ლუკმა გავარდაო, ჯამში ჩავარდაო.—ჩვენი სატახტო თბილისი წაგვართვეს, ჩაიგდეს ხელში სომხებმაო...“ 177 ვ—182 ვ.

30. „ფელეტონი. ენების გასამართლება.—სასამართლოში სხედან მსაჯულები, შუაში პირნახული და მრავალჯერილობიანი მოხუცი ქართლოზ...“ 182 ვ—194 ვ.

შენიშვნა: 1. სათაურის გასწვრივ, მარცხენა ველზე, მიწერილია: „დროება“ 1874 წ. № 452“.

2. წერილი მიმართულია გიორგი მუხრანსკის ბროშურის წინააღმდეგ,— „О существе национальной индивидуальности и о мелких нац. единицах вообще“, რომელიც ანონიმურად დაიბეჭდა 1874 წ. და დაეგზავნა უფასოდ გაზ. „Кавказ“-ის თანამშრომლებს“.

31. „ფელეტონი. მკვდრის სულის მოძებნა.—ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა სადღესასწაულო ჩვეულებანი გვიმტკიცებენ, რომ ჩვენი ხალხი ბევრჯელ ყოფილა სხვადასხვა სარწმუნოების გავლენის ქვეშ...“ 194 v—200 v.

32. „ფელეტონი. ეპისტოლე.—ჩემო ძამიავ! დიდი ხანია, რაც ჩვენ ერთმანეთთან განწყობილებას ფრთა-ფარფატმა აღალმა დაუქროლა...“ 200 v—205 v.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ, მარცხენა ველზე, მიწერილია: „დროება“ 1875 წ. № 2“.

33. „ფელეტონი. პატრიოტის აღსარება.—ვინ სთქვა, რომ მე პატრიოტი არა ვარ? მიუქარავს...“ 205 v—212 r.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ, მარცხენა ველზე, მიწერილია: „დროება“ 1875 წ. № 4.

34. „ფელეტონი. ხასიათები. სურათი პირველი.—

„იმერელი ვარო,
არას გარგივარო,
შევსვამ, შეეჭამ,
ისევ წაგივალო“.

უუუ! იმერელს! იიი! კორტოხელს...“ 212 r—232 v.

35. „ფელეტონი. ბოდვა.—მოკვდი. დიდი მგზავრობა გამარონიეს, ბეწვის ხიდზე გამიყვანეს და ბოლოს მამიყვანეს იქ, სადაც მართალთა სულნი განისვენებენ...“. 233 r—237 r.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ, მარჯვენა ველზე, მიწერილია: „დროება“. 1875 წ. № 34“.

36. „საქართველო. მცირე რამ ახალ-დგმაზედ.—ის ყანა, რამელშიც ბალახ-ბულახი ძალიან გამრავლებულია, არა ღირს გასამარგლავად...“ 237 v—264 v.

37. „ფელეტონი. სადიდმარხვო მიდებ-მოდება.—მიიწურა მარხვა სინანულისა. გათავდა პუბლიკური ლექციები...“ 264 v—270 r.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ, მარცხენა ველზე, მიწერილია: „დროება“ 1875 წ. № 42“.

1509

წერეთელი აკაკი—საგაზეთო ფელეტონები და სხვა სტატიები. XIX

96 ფ.; 22,5×17,5; ქაღალდი; უყდო; მხედრული; XIX ს. (1875—76 წ.წ.); დაუწერელია: 81 v—96 v.

1. „ფელეტონი. მომრიგებელი მოსამართლე.—შუა დღეა. ჯერ მსაჯული არ გამობრძანებულა სამსჯავროში...“ 1 r—7 v.

2. „ფელეტონი. ქალი რომელი თვეა.—ვინ არის ის სულდგმული, რომელიც გულგრილად გამოთქვამს სიტყვას: „მაისის ღამე?...“. 7 v—15 r.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ მიწერილი აქვს: „დროება“. 1875 წ. № 43“.

3. „ფელეტონი. საცივი.—ქვა-ნახშირს რომ თეთრი ფერი ჰქონდეს და შავი არ იყოს, ამდენი სხვადასხვა ხელობის ვაჟბატონები ასე მხურვალის გულით არ მოეკიდებოდნენ...“ 15 v—20 r.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ მიწერილი აქვს: „დროება“. 1875 წ. № 51“.

4. „ფელეტონი. ცხელ-ცხელი ამბები.—ძველად, როდესაც საქართველო კეთილი რამ მოენეჭებოდა და ან შავი რამ დღე დაადგებოდა, ჩვენი დედები შეკრიბებოდენ და მისწრაფვიდენ ხოლმე ეკკლესიებისაკენ სალოცავად...“ 20 r—24 r.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ მიწერილი აქვს: „დროება“. 1875 წ. № 52“.

5. „წერილი ეფროსინე კლდიაშვილისადმი.—რასაკვირველია, თქვენ შეტყობილი გექნებათ, რომ თბილისში სკაპენის ცეულლუტობა წარმოადგინეს...“ 24 v—28 r.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ მიწერილია: „დროება“. 1875 წ. № 56“.

6. „ფელეტონი. ცხელ-ცხელი ამბები.—სამი რამ ამშვენებს კაცს: მარილიანი სიცილი, ტკბილი ხმა და მოხდენილი სიარული...“ 28 r—32 v.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ მიწერილი აქვს: „დროება“. 1875 წ. № 68“.

7. „ფელეტონი. მოთქმით ტირილი.—სხვა საჩინო ჩვეულებებთან ჩვენს ძველებს ერთიც ეს ჰქონდათ, რომ მკვდარს „გადასახურავს“ უძღვნიდენ და მოთქმით იტირებდნენ ხოლმე...“ 33 r—40 v.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ მიწერილია: „დროება“. 1875 წ. № 85“.

8. „საქართველო. ნალაგმი.—ის ახალი დგმა ანუ ახალ-თაობა, რომელიც ვერ სარგებლობს წინა დგმის ცხოვრებით და იმეორებს იმათ შეცდომებს, საიმედო ვერ არის და მისგან ბევრს არ უნდა მოველოდეთ...“ 40 v—48 v.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ მიწერილი აქვს: „დროება“. 1875 წ. № 103“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. „ფელეტონი. ცხელ-ცხელი ამბები.—სადაც ცხოვრება უფერულია და ნაწყვეტი, სადაც, თუ არ ავი, კარგი რამ ერთი მეორეზედ არ ეგმის, იქ რომ რამეს მოთხრობაც უფერული და დანაწყვეტი უნდა იყოს,—ეს საეშვო აღარ არის...“ 48 v—51 r.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ მიწერილი აქვს: „დროება“. 1875 წ. № 106“.

10. „ფელეტონი. ძველი ჩინოვნიკის აღსარება.—ღვთისა და თქვენის წყალობით ბუნებითი ნიჭი დამყვა...“ 51 r—58 v.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ მიწერილი აქვს: „დროება“. 1875 წ. № 116“.

11. „სამწუხარო ამბავი მოგვიტანა დღევანდელმა ფოჩტამ: ჩვენი ეპიფანე კალანდაძე გადაცვლილა...“ 58 v—60 r.

12. „ფელეტონი. ნადული.—გთხოვთ, მიცნობდეთ: გვარად გახლავართ ქართველიშვილი და სახელად გიორგი მქვიან...“ 60 r—64 v.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ მიწერილი აქვს: „დროება“. 1876 წ. № 2“.

13. „ფელეტონი. ნადული. „ღმერთმა მტერსაც აშოროს
ვეგობარი შენისთანა...“ 64 v—69 r.

14. „ფელეტონი. ხარლამპიოს მოგონაკის წერილებიდამ.—ყანდია არის ერთი უმდიდრესი და უტურფესი მხარეთაგანი დედა-მიწის ზურგზედ და ამის გამო ძველ დროითგანვე გარეშე მტრები ფუტკრებივით ეხვეოდნენ, რომ ხელში ჩაეგდოთ...“ 69 v—73 v.

15. „ფელეტონი. ჩანგური.—ერთს საკვირველ მოსაკრავეს საოცარი ჩანგური ჰქონდა...“ 74 r—78 v.

16. „ფელეტონი. ნადული.—დარი, ავდარი, გათენება, დაღამება, შიმშილი, გაძღომა, დაძინება, გაღვიძება და ისევ დაძინება! აი, ჩვენი ყოველდღიური მოვლინება!...“ 79 r—81 r.

1510

გადატანილია რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში.

1511

გადატანილია რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში.

1512

გადატანილია რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1513

თვალგრელიძე პაპი (ცახელი) — თხზულებათა კრებული. XIX

47 ფ; 21×17; ქაღალდი; ქაღალდგადაკრული მუყაოს ყდა; მეღრული; შიგადაშიგ ფურცლები ამოხეული.; დაბიანებულია: ფ. 29; თავბოლობაკლული: [XIX ს.]; დაუწერელია: 2 v—23 r, 26 v, 28 v, 29 v, 31 v, 36 r, 37 r—v; ნახატები: 33 v, 34 r.

1. „შენ მოგელი, მომფრინავო ჩემდამი...“.

შენიშვნა: ლექსი მოთავსებულია ზემო ყდის შიგნითა არეზე.

2. „მსხვერპლი შურისა.—მოქმედება პირველი. საწოლი ოთახი, ზალისაკენ შუშიანი კარი აქვს... **ბეგლარი**. (ცალ მუხლს იდრეკს მაროს წინ და ხელზე ჰკოცნის).—ერთის დროს ეს ხელი თვის ალერსით მასაჩუქრებდა,
მაგრამ ისი დრო გაჰქრა, დავიწყდა!...“ 2 r—22 r.

წყდება: „...ის გული, ის სული, ის გრძნობა და ხელი,
რომელსაც გრძნობით და ტრფობით ვიახელი...“.

შენიშვნა: 1. თავფურცელი: „მსხვერპლნი შურის-ძიებისა, დრამმა ხუთ მოქმედებად. პაპი თვალგრელიძე. 1883 წელი“.

2. თავფურცლის მეორე მხარეს (1 v) მომქმედნი პირნი.

3. „ნანა ნანინას“ ხმაზედ.—აწ დამიტირე მკვდარი ვარ,
ხომ შენ მომკალი განავო?...“ 24 r—v.

შენიშვნა: 1. ლექსს წინ უსწრებს განმარტება, თუ რა ფონზე უნდა შესრულდეს ეს ლექსი: „მმვენიერი ღამე იყო. მთვარე ცაზედ სცურავდა... ბულბულის ხმები როცა დაწყნარდებოდნენ, სამარიდამ მოისმებოდა შემდეგი სიმღერა დაღონებულის ხმითა“ (24 r).

2. 23 v-ზე მოთავსებულია დარიგება, თუ როგორ უნდა იმღერებოდეს „ნანანანინა“.

3. ლექსის ბოლოს თარიღი: „30 ივლისი, 1883 წელი“. 24 v.

4. „სიზმარი.—ვნახე სიზმარი ლამაზი, გულ-მომხიბლავი, ფრთოვანი...“ 25 r—v.

შენიშვნა: ლექსის ბოლოს მიწერილია: „პაპი. 29 ივლისი, 1883 წელი“. 25 v.

5. „სასიმღერო კუპლეტები.—ვაიმე! გავბედე
და მიევენდე
ყმაწვილსა ქალსა!...“ 26 r.

შენიშვნა: 1. სათაურის გასწვრივ წერია:
„თვალი დაუდგეს,]
ვინც, რომ ენდოს
ყმაწვილსა ქალსა“-ს ხმაზე.

2. ლექსის ბოლოს მიწერილია: „პაპი. 29 ივლისი. 1883 წელი“. 26 r.

6. „ნიავს.—შორით შოროლეს მფრინავო,
შენ გეფიცები, ნიავო,...“ 27 r—28 r.

შენიშვნა: 1. წინ უძღვის განმარტება იმისა, თუ როგორ უნდა შესრულდეს ლექსი.
2. ლექსის ბოლოს თარიღი: „1883 წ. 27 ივლისი“.

7. „სიმღერა.—ვინც პირველ სიყვარულსა
აუცუღლუტებს გულსა,
იგი წესის მგმობია...“ 29 r.

8. „გამოთხოვება.—გეთხოვებით ბედით გამწარებული,
ნაღვლიანი, ეშხით დატყვევებული...“ 30 r—31 r.

შენიშვნა: ლექსის ბოლოს თარიღი: „24 ივლისი, 1883 წელი“.

9. „გამოთხოვება.—აწ მიჯობს დაგეთხოვო, ჩემო კარგო საჩხერე!...“ 32 r—v.

შენიშვნა: ლექსის ბოლოს თარიღი: „23 ივლისი, 1883 წ. დ. საჩხერე“.

10. „ვარდს.—ვისმა ფუნჩულა, ძვირფასმა
ხელმა მოგკაფა, შენ ვარდო...“ 33 r.

შენიშვნა: ლექსის ბოლოს თარიღი: „1883 წ. ივლისი 23 დღე“.

11. „ვარდს შემდეგ ნაზსა იასა
არრა ყვავილი ედრისო...“ 33 v.

შენიშვნა: 1. ეს და ამის მომდევნო ლექსი დაწერილია სხვა ხელით.
2. ლექსის ბოლოს თარიღი: „1883 წ. ივლისი 12 დღე“.

12. „ბუნების შემამკობარი,
ყვავილთა მეფე ვარდია...“ 34 r.

შენიშვნა: ლექსის ბოლოს თარიღი: „1883 წ. ივლისი. 7 დღე“.

13. „დიდხანს, მანამ ქარ-გრიგალი
არ წაჰბუქავს ჩემს საფლავსა...“ 35 v.

შენიშვნა: 1. ლექსის ბოლოს თარიღი: „22 ივლისი. 1883 წ.“
2. 35 r-ზე ფანქრით, რუსულად, მიწერილია შ ე კ ს პ ი რ ი ს ცხოვრების ზოგიერთი თარიღი.

14. „მინამ კი სული მიდგია.—მინამ კი სული მიდგია,
ეერ შემაძრწუნებს შავ-ბედი...“ 36 v.

შენიშვნა: ლექსის ბოლოს თარიღი: „22 ივლისი, 1883 წელი“.

15. „მტირალი ქალი.—შავს ღამეს ბნელი ზეწარი
ქვეყნისთვის გარდუფენია...“ 47 v—44 v.

შენიშვნა: 1. ამ ლექსიდან მოყოლებული ტექსტები თავდაყირა არის დაწერილი გაუმართავი ხელით.
2. ლექსის ბოლოს მიწერილია: „პ ა პ ი. 10 დეკემბერი. 1882 წელი“.

16. „წინანდელი დედა.—ნეტავ რა ჰქუხს, რა ზიზინებს,
რა ხმაურობს ირგვლივ კარში...“ 44 r—40 v.

შენიშვნა: ლექსის ბოლოს: „პაპი 12 ნოემბერი. 1882 წელი“.

17. „მაისი.—აწ ვიმღერე ბულბულო,
ნუღარ გაწუხებს დარდია...“ 40 r—39 v.
18. „ვისი ნარნარე თითები
აქ ნაზის რხევით ცოგაყდა...“ 40 r.
19. „ვით ამ წყვდიადსა და ბნელსა ღამეს
ანათებს მთვარე სხივ მომფინარე...“ 39 v.

შენიშვნა: სათაურის გასწვრივ წერია: „ბულბულის სტვენა. პაპი. აპრილი 1883 წ.“

20. „ბაყაყის ყიყინი.—გველ-ბაყაყის ბუდე იყო
სიცოცხლეში მისი გული...“ 38 v—37 v.

შენიშვნა: ლექსის ბოლოს მიწერილია: „პკაკი“ 37 v.

21. „სიმღერა.—შრომის შვილო, გლეხო პატარა,
ისწავლე წიგნი, ეცადე ჩქარა...“ 37 v.
22. „პასუხი ჩემგან.—
ვერ დაგივიწყებ, გინდ მომკლან,
გინდ გამითხარონ საფლავი...“ (ქვემო ყდის შიდა მხარე).

შენიშვნა: 1. ლექსს მიწერილი აქვს: „პაპი. 17 ივლისი, 1883 წ.“
2. ლექსს წინ უსწრებს: „ერთის პირისაგან მივიღე წერილი შემდეგის შინაარსისა „ნუ დამივიწყებ“.

23. „შორის მხრიდამ მუდამ.—შორის მხრიდამ მუდამ გიძღვნი სალამსა...“ (ქვემო ყდის შიდა მხარე).

1514ა

თეიმურაზ I—ოჩი ანბანთ ქება. XIX

10 ფ.; 17×22; ქაღალდი (ლურჯი); უყდო; კიდურებმომოცვეთილი **რვეული** მხედრული; XIX ს.; ჰვირნიშანი: 18[35?].

1. „ანბანთ ქება.—ქ. აღახვენ ჩემნი ბაგენი, ღმერთო, სამებით ქებულო,
აერსა ზედა საყდართა დიდებით დამკვიდრებულო...“
1 r—5 v.
2. „ანბანთ ქება.—აღმართა მხსნელმან ჯვარი გოლგათას, სისხლი
დასთხია ადამის ბრალთა...“ 5 v—10 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1514ბ

ახვლედიანი დარია—სიმღერა. XX

2 ფ.; 35,5×22,5; საწერი ქაღალდი (თაბ ხი); მხედრული; [XX ს.]

„სიმღერა.—მთის მწვერვალზე მოსჩანს კოშკი,
დაკიდული ვით ქორთ ბუდე...“ 1 r—2 v.

1514გ

რუხაძე ვარლამ—ლექსთა კრებული, XX

6 ფ.; 35,5×22,3; ქაღალდი (აუკინძავი, თაბახი); მეზუთე ფურცელს ნაწილი მოხეული აქვს; მხედრული; [XX ს.]

1. „მზე და მგოსანი.—პარნასის მთიდან მოსული,
ხელში ლამაზი ქნარითა
მიმოდიოდა მგოსანი...“ 1 r—v.
2. „ტბა.—ტბა ერთ ადგილს უძრავად დგას,
გადუხსნია სარკეთ გული...“ 1 v—2 r.
3. „არიან წამნი (პოეტს).—არიან წამნი, როდესაც გულზე
შემოგაწვება ბოლმა ნაღველი...“ 2 r—3 v.
4. „ტყვე არწივი (ძღვნათ კაკის).—გაგლეჯს, გაგლეჯს გალიასა ის არწივი
დღეს რომ ტყვეთ ზის...“ 2 v.
5. „დამნაშავე ცხოვრება.—ვნახე ქუჩა... თოფით ხელში
იდგა კაცი ბნელ კუთხეში...“ 2 v—3 r.
6. „მკვდრების სიცილი.—ცივ საფლავებში უძრავად ვწევართ,
ჩვენს მყუდროებას ვერა-რა არღვევს...“ 3 r.
7. „დილის ღმერთი ტახტზე დაჯდა, შორს გაჰფანტა ღამე
ბნელი...“ 3 v.
8. „ესენტუკს.—კავკასიის თაიგულო, ლამაზი და კარგი რამ ხარ...“ 3 v.
9. „ოცნების ფერიას.—ჩემო კარგო, ხელს რომ მიქნევ, სად გინდა რომ წამიყვანო?...“ 4 r—4 v.
10. „ოხ, სად არის გაზაფხული?.—ზამთარია, ზამთრის დემონს გაუშლია მძლავრად ფრთები...“ 4 v.
11. „სამშობლოს.—ლამაზი ხარ, კეკლუცი ხარ, ველარ ძღება ცქერით თვალი...“ 5 r.
12. „იგია წყარო ბედნიერების.—მახსოვს, მარტოკა, საღამოს ჟამზე,
ზღვის პირს ვიდექი, გავსცქერდი ზვირთებს...“ 5 v.
13. „დე, მოცლილებმა უცქირონ ზეცას.—მწვერვალზე ვდგავარ, მზე
სხივებს მტყორცნის...“ 5 v.

14. „დეიტანჯე ჩემო სულო!—გარს გარტყია ფიქრთა ქსელი, როგორც ღამე შავი, ბნელი...“ 6 v.

1514 დ

მესხი სერგი—ლექსები. 1862

2 ფ.; 17,5×11,5; ქაღალდი; მხედრული; ავტოგრაფი; 1862 წ.

1. „უცხო თავის მამულში.—ამას რას ვხედავ ჩემსა მამულში,
სადაც ველოდი თავისუფლებას?...“ 1 r—v.

შენიშვნა: ლექსს მიწერილი აქვს თარიღი: „1862 წლის 8 ივლისი“. 1 v.

2. „ა...ი წ...დმი.—სად არის ღმერთი ამ ქვეყანაში?
სად არს გარჩევა კარგს და გლახაში?“ 2 r.

შენიშვნა: 1. ლექსი, შინაარსისა და სათაურის ინიციალების მიხედვით, ა კ ა კ ი წ ე რ ე თ ლ ი ს ა დ მ ი ს უნდა იყოს მიძღვნილი.

2. ლექსი მეორე სტროფის მეორე ტაეპზე წყდება.

1514 ე

გურული ყაჩაღები მეხუზლა და ტარ. დათუნაშვილი. XX

2 ფ.; 35,5×22; ქაღალდი; მხედრული; [XX ს.],

„გურული ყაჩაღები მეხუზლა და ტარიელ დათუნაშვილი.—
სამარიდან წიგნსა მოგწერ, თუ ამითავდა ქაღალდი,
რა უბედობა მეწვია, მტერებო, როგორ გახარდი!...“ 1 r—2 r.

შენიშვნა: ლექსი ხალხურია.

1514 ვ

ვარდიძე სოსო—მგოსან ბალმონტს. XX

1 ფ.; 35,5×11; ქაღალდი; მხედრული; [XX ს.]; ქუთაისი.

„მგოსან ბალმონ[ტ]ს.—მესმის, მესმის შენი ჟღერა,
შენს ჩანგზედა აგებული...“ 1 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1515 ა

ხოჯა კოწია—ლექსები. XIX—XX

2 ფ.; 35×22; ქაღალდი; მეედრული; [XIX—XX ს.].

1. „თავ. აკაკის.—გათენება კარს გვადგია...“ 1 r.
2. „ლოცვა აკაკიზე.—მუხლმოდრეკითა ივერი გვედრის...“ 1 r.
3. „თავ. აკაკის.—შენ მხსენებელი ივერთა ენა
შენვე გადიდებს, მისო დიდებაგ!..“ 1 r.

შენიშვნა: სამივე ლექსს მიწერილი აქვს ბოლოში „ხოჯა კოწია“.

4. „ბაბუა აკაკის (მოლიასაგან).—ბაბულია, გენაცვალე!
რა დროსია ეხლა ძილ[illegible]“ 1 r—1 v.
5. „ბავშვის სურვილი.—მინდა წავიდე და ვნახო
ჩემ ბაბუა აკაკია...“ 1 v.

შენიშვნა: მეოთხე და მეხუთე ლექსს ბოლოში მიწერილი აქვს „აჭარელი კოწია!“

6. „მეგობარს.—ოთხ კედელში ვარ მე ჩამწყვდეული...“ 1 r.
7. „ვის გენიშნება?—შენ მაცოცხლე, შენ მომკალი,
შენვე მითხრი სამარესა...“ 1 v—2 r.
8. „*** შესწყდა მეზა...აღარ ისმის
ჩვენის მგოსნის ტკბილი ხმები...“ 2 r.
9. „7 იანვარი.—დღეს რომ შვიდი ჯანვარია,
მომივლიან მე ბიჭები...“ 2 r.

შენიშვნა: ლექსს მიწერილი აქვს „უცხო უცხოეთში“.

10. „ნათლის ღება.—ქრისტემ, თვით ნათელმა ნათლისაგან,
ნათელა მიიღო ქვეყნად კაცისაგან...“ 2 r—2 v.
11. „აჭარის წყალი.—აჭარის წყალი ადიდდა,
წამოლეკა მთა და ბარი...“ 2 v.

შენიშვნა: ლექსს მიწერილი აქვს „ხოჯა“.

12. „თავ. აკაკის.—ერთხელ შენც იყავ, მგოსანო,
სახელიერთა პატარა...“ 2 v.
13. „ვაის გავეყარე, უის შევეყარე.—ჩიტი მზად იყო გაბმოდა
ჩემგან დაგებულ მახეში...“ 2 v.

შენიშვნა: 1. ლექსს მიწერილი აქვს „კოწია მკურნალი“.
2. მოტანილი ყველა ფსევდონიმი ერთ პიროვნებას უნდა გკუთვნოდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1515 ბ

კოწია მკურნალი—დიდებულ აკაკის უმცირესისაგან. XX

1 ფ.; 22×13; ქაღალდი; მხედრული; [XX ს.].

„დიდებულს აკაკის უმცირესისაგან.—ივერიისა მნათობო,
მთელ ქვეყნად შუქთ მომფინეო!..“ 1 r.

შენიშვნა: ლექსს ხელს აწერს „კ ო წ ი ა მ კ უ რ ნ ა ლ ი“.

1515 გ

ვუძღვნი მგოსან აკაკის. 1908

2 ფ.; 21×13; ქაღალდი; მხედრული; 1908 წ. (1 r).

„(ვუძღვნი მგოსან აკაკის).—ქართველებში ბავშმაც იცის,
რომ ხარ მგოსანი აკაკი...“ 1 r—2 r.

1515 დ

იმერელი—ლექსები. XX

1 ფ.; 35×22; ქაღალდი; მხედრული; [XX ს.].

1. „შემოდგომა.—ოქრო მკედით ნაქსოე ტყე-ველს
მზე დასცქერის გულმოკლული...“ 1 r—1 v.
2. „სიზმარი.—შრომით დაქანცულს, ზნეობრივ დაღლილს
ერთხელ უეცრად ჩამძინებოდა...“ 2 r.

შენიშვნა: ლექსებს ხელს აწერს „ი მ ე რ ე ლ ი“. 1 r.

1515 ე

ლექსი. XX

1 ფ.; 21×13; ქაღალდი; მხედრული; უსათაურო; [თავბოლონაკლული]. [XX ს.].

„***—სული შფოთავს, გული მიხუთავს აწმყოფი და მომავალი...“ 1 r.

1515 ვ

მუხიანელი ს.—ივერიელების გუნდი. XIX

2 ფ.; 20,5×13; ქაღალდი; მხედრული; [XIX ს.].

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ივერიელების გუნდი.—ივერიამ აგვირია
ყველას გზა და კვალი,
აღარ ვიცით სად მივყავართ!!
ვაი, ჩვენი ბრალი!...“ 1 r—2 r.

შენიშვნა: 1. ლექსს ხელს აწერს მ - ლ ი (მუხიანელი).
2. ლექსს ერთვის ავტორის წერილი რედაქციისადმი: „ბატონო რედაქტორო! გთხოვთ, ეს ლექსი დაბეჭდოთ, თუ ძალი.ნ წინააღმდეკი არ იქნეს...“ 2 r—v.

1515 ზ

ევგენინა—აკაკის. XX

4 ფ.; 22×12,5; ჭაღალდი; მხედრული; [XX ს.]. დაუწერელია: 3 v—4 v.

„დღეს აკაკიმ დიდებულმა
წრფელის გულით, ჩინებულათ,
მწარე კვნესით, გულმტკივარმა,
მწრაფლ ამშალა უნებურათ...“ 2 r—3 r.

შენიშვნა: ლექსს წინ უძღვის ავტორის წერილი აკაკისადმი.

1515 ჱ

ორიონი—ჩემი სულამიტი. XX

1 ფ.; 22×18; ჭაღალდი; მხედრული; [XX ს.].

„ჩემი სულამიტი.—ვიცი შავი ხარ, მაგრამ კარგი ხარ, როგორც კარავი სოლომონისა...“. 1 r.

1515 თ

ტირიფი—გალობა. XX

1 ფ.; 22×18; ჭაღალდი; მხედრული; [XX ს.].

„გალობა.—ჟამსა ლოცვისას ჩვენს ტაძარში საკურთხეველთან,
სად ვერ სწვდენია ამა სოფლის ღელვა, გუგუნი...“ 1 r.

1515 ი

„საჟურიო“ ლექსები. XIX—XX

6 ფ.; 35,5×11; ჭაღალდი; სხვადასხვა ხელით დაწერილი; მხედრული; ცალ-ცალკე ფურცლები; [XIX—XX ს.].

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. „აღსარება.—ჩემმა ობლობამ და მარტოობამ
ბევრი იხილა და განიცადა...“ 1 r—1v.

შენიშვნა: საკონკურსო ლექსს მიწერილი აქვს ავტორის დეეიზი „თეთრი ღამე“. 1 v.

2. „ჩემი ვედრება.—რაც გონს მოვსულვარ ერთი ნატვრა მასულდგმულებდა...“ 2 r.

შენიშვნა. ავტორის დეეიზია „ყველას თავისი“. 2 r.

3. „შეთქმული.—საპყრობილეს დავესახლე, დავესახლე და დავები!...“ 3 r—v.

შენიშვნა: ავტორის დეეიზია „გული“. 3 v.

4. „ფუქსავატი (დეკადენტურ ჰანგზე).—მიყვარს ჯდომა, მუქთად ჯდომა
და თვალების პრაწა-პრუწი...“
4 r—v.

შენიშვნა: ავტორის დეეიზია „ხიტა“ 4 v.

5. „ჰიმნი (წყარო).— მოეცეკვა, მომიხარიან! გიჟმაჟი, ბროლის ჭრთიანი,
თან მომტირიან თვალ-ლურჯა, აცრემლებული იანი...“
5 r.

შენიშვნა: ავტორის დეეიზია „ცრემლი“. 5 r.

6. „ზღაპარი.—მზე დასავლეთს ჩაესვენა, ზღვის ემბაზში ჰპოვა ბინა,
ძლევაძოსილ დღისა ფეთქვამ ღამის მკერდზე მიიძინა...“ 6 r.

შენიშვნა: ავტორის დეეიზია „ტყვე“. 6 r.

1515 ია

შაირი. XX

1 ფ.; 28,3×11,3; მხედრული; [XX ს.].

„შაირი.—მას ვერავინ მოერია,
ვერც მღვდლობა, ვერცა მთავრობა,
რჯულის და კანონმდებლობის
იმან იკისრა სარდლობა...“ 1 r.

1516

დავით მიტროპოლიტი (ზურაბ წერეთლის ძე) XIX

15 ფ.; 22×18; ქაღალდი; ფყდო რვეული (1 r—მელნით გასვრილი); [XIX ს.]; მხედრული; დაუწერელია: 9 r და 15 v.

[დავით მიტროპოლიტი].—„უკანასკნელის მეფე სოლომონის საბრძანებს ზურაბ წერეთელი, რომელსაც ქონდა დიდი გავლენა იმერეთის სამეფოშიდ, კაცი იყო შემოსილი ყოვლის გვარის დიდებით...“ 1 r—5 r.

შენიშვნა: 1. ხელნაწერს სათაური არ. გააჩნია.

2. ტექსტი წარმოადგენს დავით მიტროპოლიტის მოღვაწეობისა და პიროვნების დახასიათებას იმერეთის სამღვდელოებისა და ჯრუჭის მონასტრის ბერების ყოფაცხოვრებასთან დაკავშირებით (XIX ს. I ნახევარში).

3. ავტორი დავით მიტროპოლიტთან დაახლოვებული პირი ჩანს, იგი გადმოგვცემს დავითის ცხოვრების ეპიზოდებს. დაწვრილებით მოგვითხრობს წერეთლიანთ სახლის წარმოშობის ამბავს და დავით მიტროპოლიტის მიერ ჯრუჭის მონასტრის განახლებასა და გაფართოებას.

1517 ა

ქორიძე ფილიმონ—ქართული მუსიკა. XIX—XX

2 ფ.; 35×22; ქაღალდი; მხედრული; ავტოგრაფი; [XIX—XX ს.].

[ქართული მუსიკა].—„აგერ ერთი თვე იქნება, რაც გაზეთ ივერიაში მოვიხსენე, სხვათა შორის, რამდენიმე ჩემ მიერ ახალი დაწერილი სიმღერები და მოუწოდე მუსიკის მოყვარე ქართველთ ახალგაზრდობას—გაიცნონ, ისწავლონ და სხვასაც გააცნონ მუსიკაზე მოწყობილი ქართული სიმღერები...“ 1 r—2 v.

1517 ბ

გურამიშვილი თადეოზ—საყვარელო მამული. XIX

2 ფ.; 21,8×17,5; ქაღალდი (მეორე ფურცლის ნახევარი მოხეულია); მხედრული; [ავტოგრაფი]; [XIX ს.].

„საყვარელო მამული.—სრულის ერთგულებითა აღჭურვილი უმდაბლესი ძე შენი, რომელსაცა მესმა რომელთაგანმე ყოველითურთ შენთა უცნობთა კაცთაგან შენზედა და ძეთა შენთაზედა წერილობითი ცრუმეტყველებანი, მოვისწრაფი შენდა წერილითა ამით...“ 1 r—2 r.

შენიშვნა: 1. წერილი თავდება გორდევის წინააღმდეგ დაწერილი ლექსით.

2. ტექსტი ნასწორებია, ტექსტში ამოშლილია ის ადგილები, სადაც საქართველოს მიმართ რუსეთის მეფეების ღვაწლზეა ლაპარაკი და რუსეთის მეფეების სახელების სანაცვლოდ ქართველი მეფეებია ჩაწერილი.

3. ტექსტი გამოქვეყნებულია: (იხ. „სალიტერატურო ნაწილნი თბილისის უწყებათანი“ № 5).

1518

გადატანილია რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1519

გადატანილია რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში.

1520 ა

აკაკისადმი. 1877

2 ფ.; 28,5×22,5; ქაღალდი; მხედრული; 1877 წ. (2 r).

1. «აკაკისადმი».—ახლა გიძღვნი უშნო ლექსსა, ვითომც არის ანბანთ ქება.
კაცსა ზედა თქმული არის: კარგი საქმე არ წახდება...“
1 r—2 r.

შენიშვნა: 1. ლექსს აქვს ავტორის ხელმოწერა, რომლის ამოკითხვა ძნელია [მიქაძე? მიქელაძე?].

2. ხელნაწერის ა შიაზე, ს. გორგაძის ხელით, სინჯურით, მიწერილია: „ეს ლექსი აკაკისადმი ყოფილა მიმართული“.

3. ლექსის პირველი სტრიქონის დასაწყის ასოებში (აკროსტიხულად) აკაკის სახელი იკითხება.

1520 ბ

კულულაშვილი ვახო—ლექსები. XX.

2 ფ.; 35,5×22; ქაღალდი; მხედრული; [XX].

1. „უძღვნი სალამს აკაკის.—სალამს მოგიძღვნი მცირეოდენსა,
ქართველთა დარდის გამქარვებელო...“ 1 r.
2. „არწივი მთის ნაპრალშიდ.—ოჰ, საოცნებო მთანო ქართლისა,
თქვენ, მშვენიერნო, ვინა გპატრონობთ...“
1 v—1 r.
3. „ჩემს არაობას.—წარსულშიდ ფიქრმა გამიტაცა შორს...“ 2 r.

1520 ვ

ვარდიძე სოსო—სალამი მგოსანს აკაკის. XX

2 ფ.; 21×13,6; ქაღალდი; მხედრული; დაწერილია: 1 v, 2 r, 2 v; [XX ს.]

„სალამი მგოსანს აკაკის.—მგოსანო! მსურს, რომ მოგიძღვნა
ჩემი გულწრფელი სალამი...“ 1 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1520₁

აკაკისადმი. XX

2 ფ.; 22×18; ქაღალდი; მხედრული; დაუწერელია: 1 v, 2 r, 2 v. [XX ს.].

[აკაკისადმი]. „ჩვენს დიდ მგოსანს და ნიჭიერს,
ხალხის გულში გამონასკულს,
რომელიც რომ ჩვენს მომავალს
მსხვერპლად სწირავს სულსა და გულს...“ 1 r.

შენიშვნა: ლექსს არ გააჩნია სათაური, არ ჩანს ავტორი.

1520 ე

ქავთარაძე ვანო—აკაკის. XX

2 ფ.; 21×12,3; ქაღალდი; მხედრული; [XX ს.].

„აკაკის.—ჩვენო საუნჯევ, ძვირფასო,
ჩვენო სიმდიდრე, აკაკი!...“ 1 r—1 v.

შენიშვნა: ლექსს დართული აქვს ივანე ქავთარაძის მოკლე წერილი აკაკისადმი. (2 r).

1521

გაჩეჩილაძე სევასტი—მოგონებანი აკაკიზე. 1915

I—III, +45 ფ.; 22×17; ქაღალდი; კალენკორგადაკრული რვეული; მხედრული; ავტოგრაფი; დაუწერელია: I—III, 35 r—45 v; 1915 წ. (29 v).

1. „მოგონებანი აკაკიზე.—ისეთ დიდებულებოვან კაცზე, როგორიც იყო აკაკი, ლაპარაკის ჩამოგდება ძალიან სახიფათოა, ხშირად პასუხსაგებელიც...“ 1 r—29 v.

შენიშვნა: „მოგონებებს“ მიწერილი აქვს თარიღი: „1915 წ. 12 მაისი“.

2. „ზმანება (აკაკის გარდაცვალებაზე).—
გააღვიძე...არც გივიწყებს,
არც სიცილი, არც ტირილი,
აქ კაცს იპყრობს გაკვირვება,
რას მისწვდება აღმაფრენა?
რას აიხსნის დაკვირვება?...“ 31 r—34 v.

შენიშვნა: 1. ლექსი დათარიღებულია 1915 წ. 6 თებერვალით. 34 v.
2. ლექსი „ზმანება“ დაწერილია ფოსტის ქაღალდზე და ჩაკერებულია რვეულში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1522

კაცთათჳს. XVIII—XIX

8 ფ.; 33,5×21; ქაღალდი, ცისფერი, კიდურებშემოცვეთილი; უყდო; რჯეული შუაზეა გადახეული: პირველი ფურცელი გასვრილი და ძნელად ამოსაკითხავია; თავბოლო ნაკლული; პირველი ფურცლის ნახევარი დაკარგულია; მხედრული; [XVIII—XIX ს.].

„წიგნი—ა. თჳს კაცთა საზოგადოდთა. თავი—ა. აგებულება და დაწერება კაცისა.—უკუეთუ გსურს შენ, რაოდენცა არა ხარ შენ სუსტ და არა უმეცნ, ჰოი, კაცო! და რაოდენცა არა სათანადოებ სიმდაბლესა, ჰოი, შეილო მტევრისაო...“ 1 r.

წყებაჲ: „სიღარიბესა აქუს ნაკლულევანება მრავალთა ნივთთა შორის, არამედ სიძუნტე (!) უარყოფს ყოველსა შინა თავსა თჳსსა. ძუნტი არ იყოფნ კეთილ არავისადმი, გარნა არავისადმი არს ესდენ ულმობელ, ვ[ი]ა თავისადმი თჳსისა...“ 8 v.

შენიშვნა: ხელნაწერი შეიცავს რამდენიმე თავს: წიგნი ა—თჳს კაცთა საზოგადოდთა. წიგნი ბ—თჳს კაცისა განსჯასა შ[ი]ა სისუსტეთა მისდა და მოკშედებათა მათთა. წიგნი გ—კაცთა მიდრეკილებათა თჳთ მისა და სხვათაცა მავნებელთა.

1523

ისტორია ეკლესიისა. XX

56 ფ.; 21×17,5; სამი აუკინძავი რვეული; დაუწერელია: 54 v-დან 56 მდე; [XX ს.].

„პირველი ეპოხა.—განხორციელებიდგან სიტყვისა ღუთისა ვიდრე კოსტანტინეს [გა]ქრისტეანებადმდე. (წელი სოფლისა 4004 ვიდრე 312-მდე შემდგომად ქრისტესი).

კითხუა: რომელნი არიან ჳმთავრესნი საუბარნი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტეს შობისა და ცხოვრებისანი?

მიგება: არიან ესენი: ერი ღუთისა ოთხი ათასი წლიდამ მოელოდა სოფლად დაპირებულს მესიასა წინასწარმეტყუელთაგან წართქმულსა...“ 2 r—54 r.

წყებაჲ: „...მიგება: ჯუარით აღუჴურვილ ქრისტიანე მხედართა შეულეს პალესტინესა და მიეახლნენ იერუსალიმსა, და თუმც თათრები დიდის ძალითა და ძლიერებითა ეომებოდენ, მაგრამ ჯუარით აღჭურვილთ ქრისტიანეთა ჳმეტესად მხნედ და ...ირხნედ იომეს და ბოლოს შემწეობითა უფლისა, ორმეოცი დღეს ბრძოს შემდგომ, პარასკევსა დღეს დაიპყრეს იერუსალემი...“.

შენიშვნა: 1. ტექსტი ყრმათათვის შედგენილი საეკლესიო ისტორიის სახელმძღვანელოა.

2. ტექსტს წინ უძღვის შემდგენელის წინასიტყვაობა.

3. საეკლესიო ისტორია შედგენილია კითხვა-მიგებითი ფორმით, შეიცავს ექვს „საეკლესიო ეპოხას“, ამათგან მეექვსე დაუსრულებელია.

3. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. IV.

1524

გვარამაძე ივანე—მშაკის პასუხი ქართველთ კათოლიკეთ კითხვებზედა. 1898

6 ფ.; 32×22; ქაღალდი; აუკინძავი ფურცლები; მხედრული; 1898 წ. (6 v).

„თქვენ ბ. ა. ს. იხაშვილს ამტყუნებთ, ამბობთ: სომეხ კათოლიკეთა ახალციხისა და ართვინისა კოსტანდინეპოლის ლატინის ვიქარ მთავარ ეპისკოპოსთან ქონდათ დამოკიდებულება და არა სომეხთ კათოლიკეთ სასულიერობაზედაო...“ 1 r—6 v.

შენიშვნა: 1. ეს პოლემიკური წერილი ეხება ქართველ და სომეხ კათოლიკეთა ურთიერთობის ისტორიას.

2. წერილი დათარიღებულია 1898 წლით (6 v).

1525

ქადაგებანი. XX

8 ფ.; 35,5×22,3; უყდრო; ქაღალდი (რვეული); მხედრული; დაუწერელია: 5 v-დან—8 v-მდე; [XX ს.].

1. „ბოროტი მაგალითის ჩვენებაზედ.—ორი იგავი ბრძანა იესო ქრისტემ დღევანდელ სახარებაში: პირველი არის მდოგვის მარცვლის იგავი, მეორე არის ცომის იგავი და ამ ორი იგავით იესო ქრისტე აჩვენებს და მოასწავებს როგორ დიდი ბოროტი, ანუ სიავე(!) არის ერთი, რა გინდ პატარა იყოს, უნამუსო, პილწი ლაპარაკი ანუ სიტყვა...“. 1 r—1 v.

2. „სიკვდილის სიძნელეზედ.—დიდი შეძლება არის მართლად იმ ადამიანებისათვის, რომელსა შეუძლია, რომ ორჯერ მოკვდეს...“ 2 r—4 r.

3. „დედ-მამის კეთილს სწავებაზედ.—ჰოი, დედ-მამებო, ეს საქრისტიანო მოძღვრება კიდევ თქვენ ზედაც მოვა, როგორც თუ მესამე წილი თქვენი ვალისა, რომელიც დარჩა გავლილი კვირის ქადაგებაში და ეს არის შვილების კაი გამოზდილობისათვის და საჭირ არის ფრიად დედ-მამების სიცოცხლე...“. 4 r—4 v.

შენიშვნა: 1. ქადაგებების ავტორი არ ჩანს.

2. ქადაგებები დაწერილია უწიგნური ენით.

1526

ქიმიის კონსპექტი. XX

17 ფ.; 20,8×16,8; ქაღალდის დაშლილი რვეული; მხედრული; ბოლონაკლული; [XX ს.].

„მატერიის შედგენილება.—ქვეყნიერებას შეადგენენ ურიცხვი და უმცირესი ატომები, რომელნიც მუდმივ მოძრაობაში იმყოფებიან ერთმანეთის გარშემო და ხან უახლოვდებიან, ხან შორდებიან ერთმანეთს...“ 1 r—17 v.

წყება: „...ამნაირად შინა პირი, პროტოპლასმა და...“.

შენიშვნა: 1. ტექსტი წარმოადგენს ქიმიის წიგნის კონსპექტს:
2. სავარაუდოა, რომ დაკონსპექტებული წიგნი ფრანგულ ენაზე ყოფილა დაწერილი, ვინაიდან ტექსტში და აზიებზე გვხვდება ფრანგული ტერმინები და მინაწერები ფრანგულ ენაზე.

1527

მოგონებანი გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვის შესახებ. XIX—XX

8 ფ.; 35,3×22; ქაღალდი; უყდო; მხედრული; დასაწყისში აკლია 2 ფურცელი; [XIX—XX ს.].

«მოგონებანი გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვის შესახებ».—„...ვანი ხმა კი ჰქონდა. იმას მშვიდობიანობის ჩამოთვლაში ნამდვილი ქართული კილო, ხმის ამაღლებ-დამაღლება ეხმარა და სიტყვები გარჩევით და გაკაფვით წარმოეთქვა, მაშინ მშვენიერება რამ გამოვიდოდა, მღვდელი და მთავარი შეფარებული იქმნებოდნენ. იმოდენა ხალხს, მართლაც, მაგუგუნებელი ხმა უნდოდა, რომ ყველას გაეგონა...“ 1 r—8 r.

შენიშვნა: 1. პირველ გვერდზე წითელი მელნით ს. გორგაძის ხელით წერია „მოგონებანი გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვის შესახებ († 1895)“.
2. „მოგონებათა“ ავტორი არ ჩანს.

1528

ჯავახთა ადათები. XX

8 ფ.; 22,5×17,7; ქაღალდი, უყდო რვეული; მხედრული, ცალგვერდზე ნაწერი; თავნაკლული; [XX ს.].

[საქორწილო]. „...როდესაც მივლენ კარზედ ყველანი, დამხდურნი სამეფოს ცხენიდან ჩამოსმენ. მარჯვნივ მძახე და მარცხნივ მეჯვრე მხარს მიდგმულნი. მეფე რა მიადგება კარებს შესასვლელად, კარს დაუხშენენ; გაუღებენ შიგნითგან მხოლოთ მაშინ, როდესაც მეჯვრე საჩუქარს გაიღებს...“ 1 r—8 r.

წყება: „...ჯავახი ქართველები, სარწმუნოების მიუხედავათ (უფრო ქრისტეანენი), აღდგომის სამი კვირის წინეთ დადიან რამდენიმე გროვებათ ღამით სოფლიდან სოფლად და კვერცხებსა ჰკრებენ, რასაც ჰონა ჰქვიან...“.

შენიშვნა: ხელნაწერში თავმოყრილია ეთნოგრაფიული ხასიათის (საქორწინო, საახალწლო და საყველიერო) მასალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1529

მ. თამარაშვილი—საგაზეთო სტატია. XX

23 ფ.; 27×21; ქაღალდი; დაშლილი, უყდო; მზედრული; ავტოგრაფი; [XX ს.].

„რომი. საკუთარი კორესპონდენტისაგან.—ამ მაისის 13, 20, 27 და ივნისის 10 (ახალი სტილი), რომის ეკლესიამ დიდის ალაით შეასრულა თავის რამდენიმე შვილთა ზეციერ ნეტართა გუნდთა შორის აღრიცხვა...“ 1 r—23 r.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: „...მერვე და უკანასკნელი ამ ნეტართ ამხანაგი იყო იოსებ, კარგი ჩინეთელი, დაბადებული 1832 წ. თრაკის ნამ-დინჯს პროვინციაში. ამან ახალგაზრდობისა...“.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1. ტექსტი დაწერილია ფურცლის ცალ მხარეს.
2. სტატია დაბეჭდილია ჟურნალ „ჯვარი ვაზისა“-ში 1906 წ. № 14 (18 ი).

1530

ბესარიონ კათალიკოზი—აღსარება სარწმუნოებისა. XX

6 ფ.; 26,7×20,6; ქაღალდი; ფრაგმენტი; აუკინძავი (თავში აკლია 4 ფურცელი); გადმოწერილია მიქელ თამარაშვილის ხელით; [XX ს.].

[აღსარება სარწმუნოებისა] „...კიცდა: რამეთუ ჯერ არს ჩვენდა, რათა გვქონდეს და შევინახოთ ხატნი ქრისტესი და ქალწულისა ღუთისმშობლისა და სხვათა წმიდათა და ღირსეულ და მდიდრობას ვცემდეთ მათა...“ 1 r—6 r.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1. ტექსტი რ ო ს ტ ო მ ე რ ი ს თ ა ვ ი ს ხელნაწერიდანაა გადმოწერილი (იხ. 6 r).

2. ტექსტის ბოლოს დაკრულია პაპიროსის ქაღალდზე ტუშით გადმოღებული ბ ე ს ა რ ი ო ნ კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი ს ხელრთვა. 6 r.

3. ტექსტის ბოლოს მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი ს ხელითვე დაწერილი დედნისეული მინაწერია: „ბატონმა ჩვენმა ე რ ი ს თ ა ვ მ ა რ ო ს ტ ო მ წიგნი არიცოდა და მე სტეფანე კათოლიკე წ ი ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ს იმისის ბრძანებით დამიწერია“. (6 r).

4. სათაურის ადგილას წითელი მელნით ს. გ ო რ გ ა ძ ი ს ხელით წერია: „ბ ე ს ა რ ი ო ნ კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი ს „აღსარება სარწმუნოებისადან“. 1 r.

1531

უმანკო ჩასახვის კონგრეგაციის წესების შესახებ. XIX—XX

16 ფ.; 31×20; ქაღალდი; უყდო, აუკინძავი; თავნაკლული: მზედრული; დამწერი—[მ. თამარაშვილი]; დაუწერელია: 13 v-დან 16 r-მდე; [XIX—XX ს.].

[„უმანკო ჩასახვის კონგრეგაციის“ წესების შესახებ].— „...ღვთისმშობელი ქალწული მარიამისა, რათა ამ რიგი შრომით ცხონებისათვის ჯერ თავისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულისა და მერმე სხეების სულებისა შეიქმნეს იგი ღვთის მადლით სძალი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და მიიღოს მისგან დაუჭნობელი გვირგვინი ცათა შინა. ვ. ქონგრეგაციანმან (!) მხევალთა უმანკო ჩასახებისათა, თავის შეძლების დაგვარ, დროდამ დროზედ, გინა თანდათან უნდა განაგოს ხოლმე მისიონები თუ საქართველოში და თუ მის გარედ...“ 1 г—13 г.

1532

ფრანგული ტექსტი.

1533

ფრანგული ტექსტი.

1534

ფრანგული ტექსტი.

1535

ფრანგული ტექსტი.

1536

ფრანგული ტექსტი.

1537

ფრანგული ტექსტი.

1538

ფრანგული ტექსტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1539

თამარაშვილი მიქელ—ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. XIX—XX

553 ფ.; 27×8×21,5; ქაღალდი; უყდო; **თავფურცელნაკლული**; პირველი ორი ფურცელი დაზიანებულია; მხედრული: ავტოგრაფი; [XIX—XX ს.].

[ისტორია კათოლიკობისა] „თავი I. ქართველი კათოლიკენი XIII საუკუნეში.—სანამ ქართველ კათოლიკეთა შესახებ საბუთებს მოვიყვანდეთ, საჭიროთ ვრაცხთ, რამდენადაც კი შეიძლება, გამოვარკვიოთ შემდეგი კითხვა: საქართველოს ეკკლესია რომის ეკკლესიას იმავე დროს, ესე იგი 1054 წ., გაეყარა, როდესაც ბერძნისა და ლათინის ეკლესიანი ერთმანეთს დაშორდენ, თუ არა?...“ 3 r—333 v.

წ ყ დ ე ბ ა: „მე უ-ს პატრი ბონავენთურას ვეთხოვე, რათა ეთხოვა მთავარმართებლისაგან ნება, რათა ჩემი...“.

შენიშვნა: 1. ხელნაწერი წარმოადგენს გამოქვეყნებული წიგნის დედანს (იხ მღვდელი მიქელ თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. თბილისი, 1902 წ. ავტორის მიერ გამოცემული).

2. ტექსტს წინ უძღვის ავტორის „წინასიტყვაობა“ 1 r—2 r.
დართული აქვს „ტექსტები და სქოლიოები“. 334 r—553 v.

3. დაბეჭდილ ტექსტთან შედარებით ხელნაწერს აკლია ნაბეჭდი გამოცემის 530 გვერდიდან—560 გვერდამდე და სარჩევი.

4. ტექსტი ნასწორებია წითელი მელნით, სხვა ხელით.

5. „დამატება“ (537 r—553 v) დაწერილია პატარა ფორმატის (20,5×12,5) ქაღალდზე და აკინძულია ძირითად ტექსტთან ერთად.

1540

ყიფიანი დიმიტრი—კაზარმობა ანუ საქმე ქართველთა შეთქმულობაზედ 1832 წელსა. XX

16 ფ.; 35×22,3; თაბახი ქაღალდი, აუკინძავი; მხედრული; [XIX—XX ს.].

„კაზარმობა ანუ საქმე ქართველთა შეთქმულობაზედ 1832 წელსა.—ახლა მე თითქმის სამოცდაათი წლისა ვარ, ვარ ჯანმრთელი, სულითა და გულით დამშვიდებული და საზოგადო მოღვაწეობისაგან თავისუფალი...“ 1 r—16 v.

შენიშვნა: „კაზარმობა“ თარგმნილია რუსული ენიდან დ ი მ ი ტ რ ი ყ ი ფ ი ა ნ ი ს შვილის, კ ო ტ ე ყ ი ფ ი ა ნ ი ს მიერ.

ანდერძი (მთარგმნელის): „1884-სა წელსა, იანვარში, განსვენებულმა ჩემმა მამამ, დ ი მ ი ტ რ ი ი ვ ა ნ ე ს ძ ე ყ ი ფ ი ა ნ მ ა, დასწერა რუსულად ეს ამბავი ხელო მოხსენებული სათაურით. ახლა ამ ამბავს მე, შვილი მისი, ვსთარგმნი ქართულად, რომ გადავსცე პატივცემულ ახალ ქართულ ჟურნალის „მნათობის“ რედაქციას თავის ჟურნალში დასაბეჭდავათ. ქართველებისათვის წასაკითხავად, რადგანაც ძალიან ბევრმა არც კი იცის, რომ ჩვენს საქართველოში ოდესმე მომხდარიყოს ქვემო მოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სენებული საქმე, რომელსაც მაშინ, ესე იგი 1832 წელს, დაერქვა „კახარმობა“ და მთავრობამ კი უწოდა: „საქმე ქართველთა შეთქმულობისა“. რათ დაერქვა ამ შეთქმულობას „კახარმობა“ და რა მიზეზებმა გამოიწვია საქართველოში ქართველთა შორის შეთქმულობა, ამას პატივის საცემი მკითხველი ქვემოდ ამოიკითხავს. მე მხოლოდ თარგმნით მივსდევ ისე, როგორც ჰქონდა დაწერილი ჩემს მამას და ამ სტატიის დასამთავრებლად ამოვკრიფავ ზოგიერთს შემთხვევებს ამ საქმის შესახებ კავკასიის არხეოგრაფიის კომისიის აკტებიდან, სადაც ფრიად ვრცლად არის მოღსენებული „კახარმობის“ საქმე. ახლა მივჰყოთ ხელი მამი ჩემის ნაამბობს“. 1 r.

1541

არაკების კრებული. XIX—XX

22 ფ.; 17,4×22,3; ქაღალდის რვეული: უყდრო; მხედრული (ფანქრით ნაწერი); მთარგმნელი—ალ. სარაჯიშვილი; დაწერილია ა. ალ. სარაჯიშვილის ხელით; [XIX—XX ს.].

1. „ყვავი და მელა (პოლონურიდან).—ყვავი ხეზე შემჯდარიყო და პირში ერთი ნაჭერი ყველი ეჭირა—ჭამას უპირებდა...“ 1 r—1 v.

2. „ჭრიჭინა და ჭიანჭველა.—ჭრიჭინამ მთელი ზაფხული ხტუნვასა და ჭრიჭინში გაატარა...“ 1 v.

3. „მერძევე.— მერძევე ქალაქს მიდიოდა და თან დიდი სარძევით რძე მიჰქონდა გასასყიდად...“ 2 r—3 r.

4. „მელა და ყურძენი.—შეძვრა მელია ვენახში, ნახა ხეზედ გასული ვაზი თვალშესულის მტევნებითა და სთქვა...“ 3 r.

5. „ვირი და ღორებელი.—ერთი ვირი მიდიოდა (საპალნე) მარილით დატვირთვული...“ 3 v.

6. „ცხვარი, მგელი და ლომი.—მგელს სადღაც ცხვარი მოეტაცნა და შესაჭმელად მიათრევდა...“ 4 r.

7. „ვირი და ბულბული.—ვირმა ბულბული დაინახა და უთხრა: „დიდი ხანია არ მინახევხარ და შენი სიმღერა არ გამიგონია...“ 4 r—4 v.

8. „ერეკლე მეფე და დალაქი.—პატარა კახს ერთი დალაქი ჰყვანდა, რომელსაც ძალიან სწყალობდა და ბევრს სილაღეს უთმობდა...“ 4 v—5 v.

9. „მთიული და ბაღი.—ერთი მთიული, ბაღის უნახავი, ბარად ჩამოვიდა...“ 5 v—6 r.

10. „კუ და მორიელი.—კუ და მორიელი დაძმობილდნენ. წავიდნენ გზასა და გასავალი წყალი დახვდათ...“ 6 r—6 v.

11. „ერთობა.—მეფე ვინმე იყო დიდებული, ოცდაათი ვაჟი ჰყავდა...“ 6 v—7 r.

12. „ყვინჩილა და მზე.—გათენებისას ყვინჩილამ იყივლა: „თენდებაო...“ 7 r.

13. „ღორი და მუხა.—ღორმა, რკოთი გამძღარმა, მუხის ძირს გამოიძინა...“ 7 v.

14. „მეფე და მხატვარი.—მეფე ვინმე იყო ცალ-თვალი, ჰყვანდა მხატვარი ხელოვანი და მიზეზს ეძებდა მის მხატვრისასა...“ 7 v—8 r.

15. „სამი თავი (თათრულიდან).—ორნი ძმანი ტყეში ნადირობდნენ და ერთს ალაგს სამი კაცის ქალა ნახეს...“. 8 r—8 v.

16. „ყაენის ბრძანება.—კურდღელი მორბოდა გულ-გახეთქილი, გზაში მეორე კურდღელი დახვდა და ჰკითხა...“ 9 r.

17. „გლეხი და ვირი.—ერთს გლეხს ვირი ჰყვანდა, ინახავდა ისე, როგორც მის ვირობას შეეფერებოდა...“ 9 r—11 r.

18. „სამაგალითო მეგობრობა (პოლონურიდან).—ყაფაზაში დამწყვდეულს ლომს მიუჩინეს მსახურად, ამხანაგად და მანუგეშებლად ძაღლი...“ 11 r—12 r.

19. „შაპანი (ებრაულიდან).—მამა: რა იქნებოდა, რომ რაც ქვეყანაზე კაცებია, ერთ კაცად ქცეულიყვნენ?—შვილი: ჰაი თუ კაცი იქნებოდა!...“ 12 v—13 r.

20. „უცნობნი (ტურგენევისებური).—ქრისტე-ღმერთი მოწყენილი სამოთხეში დაბრძანდებოდა...“ 13 r—13 v.

21. „ბავშვი და ჩურჩხელა.—ბავშვი ტიროდა: „დედილო, ჩურჩხელა მომეცით...“ 13 v—14 r.

22. „მამალი და მარგალიტი.—მამალი რომ ნაგავს ჰქექდა, ნახა მარგალიტი და სთქვა...“ 14 r—14 v.

23. „ვირი და მელა.—საიდან მოჩანჩალობ ნათლიჯალაბო? ჰკითხა მელიამ ვირსა...“ 14 v—15 r.

24. „უბედური ყომარბაზი.—იყო ვინმე ყომარბაზი მეტის მეტად უბედური...“ 15 r—16 v.

25. „სადაურიაᲐ (ჩინური).—შანხაის მოქალაქეს ტე-ლინგს ორი მეზობელი ჰყვანდა...“ 16 v—17 r.

26. „ნიკორა და შვინდა.—გლეხი კაცი ერთს ულელს ხარს მიერეკებოდა: შვინდასა და ნიკორას...“ 17 v—18 r.

27. „ბაყაყი და ხარი.—ბაყაყმა თავის წუმპიდან დაინახა საძოვარზედ ხარი...“ 18 r—18 v.

28. „მელა და წერო.—მელამ წერო სადილად მიიპატიჟა...“ 19 r.

29. „პეპელა, ჭრიჭინა და ხვლიკი.—პეპელა ბაღში დაფრინავდა, ხან ერთ ყვავილს ეკონებოდა, ხან მეორეს...“ 19 r—20 r.

30. „სამივე სჯობია (ჩინმაჩინური).—მოგეხსენებათ, ჩინეთი უცნაური და საკვირველი ქვეყანაა...“ 20 r—21 r.

31. „უკუდო ვირი.—ვიღასიც უკუდო ვირი, მეტად დატვირთული და ქანც-გაწყვეტილი, ტალახში ჩავარდნილიყო...“ 21 r—22 r.

შენიშვნა: 1. არაკები თარგმნილია ალ. სარაჯიშვილის მიერ.

1542

უალდი ოსკარ—სალომე. XX

40 ფ.: 17,7×22,3; ქაღალდი; (სამი აუკინძავი რვეული); მხედრული (ფანქრით ნაწერი); მთარგმნელი: ალექსანდრე სარაჯიშვილი; დაწერილია მთარგმნელის ხელით; [XX ს.].

„სალომე. ტრაგედია ერთ მოქმედებად ოსკარ უალდისა.—დიდი ერდო იროდის სასახლეში, რომელიც ერთვის სანადიმო დარბაზს. რამდენიმე მეომარი დგას მოაჯირს მიბჯენილი. მარჯვნივ დიდი კიბე, მარცხნივ—მოშორებით ძველი აუზი, დამწვანებულ ბრინჯაოს მოაჯარით შემოვლებული.—ახალგაზრდა სირიელი: როგორა შვენის ამაღამ სალომე ბატონიშვილი!..“ 1 r—40 v.

შენიშვნა: 1. ტრაედიის ტექსტს წინ უძღვის მომქმედ პირთა ნუსხა.

2. რვეულის ბეჭებზე მთარგმნელის ხელითვე დაწერილია ზოგიერთი ადგილის თარგმანის სხვა ვარიანტები.

3. ტექსტი თარგმნილი უნდა იყოს რუსულიდან.

1543

გადატანილია რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში.

1544

გ. იოსელიანის რეცენზია პეტრე კონჭოშვილის წიგნზე: „მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზე“

16 ფ.: 22,3×17,3; ქაღალდი (აუკინძავი რვეული); მხედრული; დაუწერელია: 15 v-დან 16 v-მდე: 1901 წ.

„მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზე დეკანოზის მ. პეტრე კონჭოშვილისა. 1901 წ.—მის შემდეგ, რაც საქართველოში ქრისტეს სჯული დამყარდა, ქრისტეს მოსავნი ქართველნი თითქმის შეუწყვეტლად მიისწრაფებოდნენ იმ წმ. ადგილისაკენ, სადაც იშვა მაცხოვარი ჩვენი, იღვაწა და წამებულ იქმნა...“ 1 r—15 r.

შენიშვნა: ტექსტი ავტორის ხელით არის ნასწორები.

1545

მდუმარე ღამეში (თარგმანი). XX

5 ფ ; 21×16,5; ქაღალდი (რვეული, დაფურცლული); მხედრული; მთარგმნელი — ტასო ყიფიანი (? v); [XX ს.].

„მდუმარე ღამეში.—მზის დასვლა იმ დღეს საუცხოო იყო, ბინდდებოდა, კლდეები სოსანისფრად შეღებილიყვნენ, მიდამო სდუმდა, დაჩრდილულიყო, მთელი დედა-მიწა ბინდს მოეცვა...“ 1 r—5 v.

შენიშვნა: ტექსტი გასწორებულია სხვა ხელით (?).

1546

გაბაშვილი ეკატერინე—ავტობიოგრაფია. XIX—XX

2 ფ.; 35,5×22; ქაღალდი (თაბახი); მხედრული; ავტოგრაფი; [XIX—XX ს.].

[ავტობიოგრაფია]. „ეკატერინე რევაზის ასული გაბაშვილისა, მამით რეევაზ თარხნიშვილის ქალი, დაიბადა ქალ. გორში 1851 წელს, 16 თიბათვეს...“ 1 r—2 r.

1547

განდეგილი—ავტობიოგრაფია. XX

6 ფ.; 22×13,3; ქაღალდი (ცალ-ცალკე ფურცლები); მხედრული; ავტოგრაფი; [XX ს.].

[ავტობიოგრაფია]. „მე დავიბადე მდიდარ ფეოდალის ოჯახში 1864 წელს, 2 ოქტომბერს. მამაჩემი ძველს გამოჩენილ გვარს ეკუთვნოდა, დედა მაიორის ანდრია მარჯანიშვილის ქალი იყო, მდიდარს ოჯახში აღზრდილი, დარბაისელი ქართველი ქალი, ზედმიწევნით მცოდნე საშშობლო მწერლობისა...“ 1 r—6 r.

1548

გადატანილია რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში.

1549

გადატანილია რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში.

1550

გადატანილია რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში.

1551

წერეთელი ვასილ—სიყმაწვილე და სიბერე. 1901

11 ფ.; 35,3×14,3; ჭაღალდი; აუკინძავი ფურცლები; მხედრული; ავტოგრაფი; 1901 წ. (11 r).

„სიყმაწვილე და სიბერე.—ახალი შესული ვიყავი უნივერსიტეტში, მომხიბლველი რამ იყო მაშინ იგი, ახალგაზრდობა უფრო ლაღი და თავმომწონე, უფრო თავის მოიმედე იყო...“ 1 r—11 r.

შენიშვნა: 1. წერილი „ივერიაში“ გამოსაქვეყნებლად ყოფილა დაწერილი (იხ. ავტორის მინაწერი 11 r-ზე).
2. დათარიღებულია 1901 წლის 22 დეკემბრით (11 r).

1552

ჰიშურელი—სახელი გაგვიტყდა. 1902

3 ფ.; 35,5×11; ჭაღალდი; აუკინძავი; მხედრული; 1902 წ. (3 r).

„ჰ ი შ უ რ ე ლ ი.—სახელი გაგვიტყდა...“ 1 r—3 r.

შენიშვნა: ტექსტი სასტამბოდ წითელი მელნით არის ნასწორები.

1553

გადატანილია რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში.

1554

სწავლანი წირვისანი. XIX

52 ფ.; 11,4×8,7; ჭაღალდი; უყდო (რვეულად შეკერილი); მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია: 26 v-დან—48 v-მდე, 50 r-დან 51 v-მდე.

„სწავლანი წა წირვისანი.—რა ჟამს მწირველი .ტრაპეზის წინ მივა, უფლისა ჩვენისა იესი (!) ქრისტეს წასველასა (!) მოასწავებს, რაჟამა მოციქულებთან რომ ბაღში, გინა წალკოტში მი... —ეს ლოცვა თქვი...“ 1 r—25 v.

შენიშვნა: დართული გორის კათოლიკური ეკლესიის შესახებ ცნობები: ა. „ჩყიხ წელსა, ივნისის ლ-სა დღესა იკურთხა საძირკველი მთავარუფროსი პატრი ფრანჩისკო ანტონისაგან და პატრი ონოფრიოსაგან. ვითარ საკვარელ არიან საყოფელნი შენნი, უ~ო ძალთაო!“ 49 r. ბ. „ჩყკბ-სა წელსა, ოქტომბრის კა დღესა, შაბათს, შუადღის ჟამ, გორის კათოლიკეთა ეკლესია იკურთხა პატრი იოსებისაგან დილის ლოცვის თქმით და შემდგომად წა ზიარებით იკურთხა პატრ მთავარუფროსი პატრი ფილიპესაგან გარს დიდებით შემოვლით, მუზიკანტით. ამავ ღამეს ჩირაღდანი, შუშხუნები და მუსიკა იყო. კვირა დილაზედ პირველად პატრი იოსებმა სწირა, მერე პატრი უფროსმა დიდებით სწირა. ამავ დღის სალამოს ვესპრო გარდავიხადეთ“. 49 r—49 v. გ. „ჩყკგ წელსა, იანვრის კგ დღეს პატრ მარიოზ გარდაიცვალა, რომელმაც თავის შრომით ესეცე ზემო ხსენებული ეკკლესია და მონასტერი აღაშენა და თავის ცხოვრება წმიდათ გაატარა, დაეფლა ახალს საყდარსა“. 50 r.

1555

ავგაროზი. 1865

28 ფ.; 11×9; ქაღალდი; ნაჭერგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; 1865 წ. (24 r); გადამწერი—ალექსი გელაძე (24 r).

«ავგაროზი». „შეგინებულისა მიმართ ვილოცოთ.—მეუფეო, უფალო, ღმერთო ჩვენო, რომელი მაღალთა შინა დამკვიდრებულ ხარ და მდაბალთა ხედავ, რომელი წაიღთა შინა განსვენებ! ქებულო ეგე ისრაილისა! მოყავ ყური შენი და ისმინე ვედრება ჩვენი...“ 1 r—19 r.

შენიშვნა: 1. ტექსტს დართული აქვს სია იმ ადგილებისა, სადაც წმ. გიორგის სახელობის ეკლესიებია: „ლოცვა სამას სამოცდაბუთის სენის და ჭირის განმაჭარვებელი.—წა გრი შავარშეთისაო, წა ლიკნის ხვისაო...“ 19 v—23 v.

2. ხელნაწერის 27 r-ზე მოთავსებულია „დადგის“ ცხრილი.

3. 24 v—26 r-ზე მოთავსებულია „პრეტენიკ ალექსის“ ლექსი.

ანდერძი გადამწერისა: „ავგაროზი ესე გადმოწერილ არს პრიჩეტნიკის ალექსი გელაძის მიერ 1865 წყოე-ს წელსა, ოკდომბრის დ-ს დღესა“. 24 r.

1556

წამება წმიდისა მარინასი. XIX

22 ფ.; 11×9; ქაღალდი, რვეულად შეკრული; უყდრო; მხედრული; თავი და ბოლო აკლია; [XIX ს.].

[წამება წმიდისა მარინესი]„... „მზისა და უბრიდა,
მუნ ანტიოქიას შევიდა მეტად დიდისა ერითა,
ბილწთა საქმეთა იქმოდა, მე ვეღარ ვიტყვი ენითა,
დაჯდა მაღალთა საყდართა განცხრომითა და მღერითა,
მუნ მიიყვანეს მარინა პირითა მშვენიერითა...“ 1 r—22 v.

წ უ ხ ე ბ ა: „...რა მარინა გამოვიდა საპყრობილედ ბნელისაგან,
წარადგინეს მის წინაშე, ხმა ისმოდა ხელმწიფისაგან,
რქვა მას მთავარმა: ისმინე, მდიდარ გყო საჭურჭლეთაგან...“.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1. „წამება“ დაწერილია ლექსად, ლექსითი სტრიქონების დაუცველად, გაბმით.

2. ტექსტი ნაკლულია. ძველი პაგინაციით იწყება „ხ“ [7] ფურცლიდან.

1557

ცხოვრება იოანე ზედაზნელისა. 1713

12 ფ.; 25,5×16; ქაღალდი; უყდრო, დაფურცლული; ნუსხური (სათაურები სინგურით, აბზაცების დასაწყისები ასომთავრული); 1713 წ. (11 v); გადამწერი—გაბრიელ საგინაშვილი (11 r); ადგილი—გარეჯის უდაბნოს მრავალმთის ნათლისმცემლის მონასტერი.

„თვესა მაისსა ზ. ცხორებად წ~ისა მამისა ჩ~ნისა იოანე ძედაძნელისა, რომელი ბრძანებითა ღ~ღთა და წინამძღ~რობითა სულისა წ~ისთა მოიღწინა ქ~ყნით შუაჲმდინარით ქყ~ნდ ქართლისა ათორმეტთა მოწაფეთა მისთა წ~თა თანა; განაახლა და განავრცო წ~ნ მამამან ჩ~ნმ~ნ ქ~ს მიერ ქართლისა კათალიკოზმან არსენი, გვაკურთხენ, მამაო!—სულნი მართალთანი ჴელთა შინა ღ~ისათა წერილისაებრ და არა შეეხოს მათ რაჲთურთიით რ~ივე შემაწუხებელთაგანი, ვითარ განწმედილთა მიწ~თაგანი...“ 1 r—10 r.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1. ხელნაწერი ქართველ წმიდათა ცხოვრებათა კრებულის (იხ. A-130) ფრაგმენტს წარმოადგენს და, გარდა იოანეს ცხოვრებისა, შეიცავს გაღამწერის ანდერძს (11 r—v) და წიგნის ხანდუკს (12 r).

2. იოანე ზედაზნელის ცხოვრების სათაურის ტექსტის ზემოთ მთავსებულია იოანე ზედაზნელის „საკითხავის“ დასასრული 1 r.

3. ცხოვრების ტექსტს დართული აქვს: ა) „სახელები წ~თა მოწაფეთა იოანე ზედაძნელისათა: დავით გარეჯელი...“ 10 v. ბ) „სახელები წ~თა მამათა ქრისტეს მიერ აღსრულებულთა ზედაძნის შინა, შემდგომად იოანესაჲ.—ხოვანი ნეტარი იოვანე...“ 10 v.

4. „ცხოვრება“ იოანე ზედაზნელის მეტაფრასული რედაქციაა და მისდევს საბინინის მიერ გამოცემულ ტექსტს. (იხ. საქართველოს სამოთხე. გვ. 193).

ა ნ დ ე რ ძ ი (გადამწერის): „კურთხეულ არს მამაჲ, რომლისა მიერ ყოველივე შეიქმნა და კურთხეულ არს ძე, რომელისაგან ვჰპოვეთ კაცთა ცხოვრებაჲ და კურთხეულ არს სული წმიდაჲ, რომელი უძლურებასა ჩ~ნსა კურნებს და ნაკლულევანებაჲსა ჩ~ნსა ალავსებს, რომელმან უღირსებაჲსა ჩემი არა ულ~რს იჩინა, არაჲ~ე მიმიძღვა მე მცნებაჲთა მისთა გზასა და არა ჴუეებულ მყო კეთილთაგან, არამედ ღ~ის მყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებაათა მისთა აღსრულებად, რომლისა შეწევნითა და მეოხებითა ჴელ ყოვ
მეცა ძალისაებრ ჩემისა მე ულირსმან ხუცეს მონოზოანმა გაბრიელ საგინაო-
შვილმან წ[ი]სა ამის წიგნისა აღწერად უდაბნოსა მას გარესკანისსა მო-
ნასტერსა მრავალმთის ნათლისმცემელისა მას ჟამსა, ოდეს მეუობდა მეფე-
თა შორის წარჩინებული ვახტანგ საქართველოსა ზედან და მჯდომარე იყო
ტახტსა ზედა სპაბარიაქოსა კათალიკოზად ძმა მისივე დომენტი, რომელი მას
ოდენ შე[ე]კრიბა წიგნი ესე ერთად განბნეული, რომელი ჟამთა დავიწყებისაგან მიუა-
რულ იყო ცხოვრებაანი და ღვაწლნი მათნი, რომელნიცა ჩვენ ქართველთა წმინდანი
გამობრწყინვებულ იყვნეს. ჴ[ე]წსა მ[ო]სა მამანი, გინა დედანი ანუ ერის კაცნი
შვილნი მდიდართა და წარჩინებულთანი, რომელთაგ უდაბნოთა შინა მოე[ღ]წათ
ღ[ვ]წლი კეთილი და რომელნიმე ჟალაჭთა და სოფელთა შინა ქრისტეს აღსარები-
სათჳს ბაარბაროზთა მიერ მოწყუდილ იყვნეს. ხოლო მე ესე, რომელი მჯდურ ვიყავ
მონასტერსა მას, რომელი ზემო ვახსენე და ვიქცეოდე ჴელ შინა სულიერთა მათ
მამათა ჩემთაჲთა, ვიტყჳ: წ[ა] ნ[ო]ფრეს, მ[ა]მასა ხ[ა]რ[ი]ტ[ო]ნს და ღირსსა
მოძღუარსა და მასწავლელსა ჩემსა ბ[ე]სარიონს ორბელს ძესა, რომელ-
თა ბრძანებითა და ლოცვითა ჴელად ვიხვედ წიგნი ესე და არა ურჩ ვექმენ ბრძა-
ნებაასაჲ მათსა, არამედ სრულ ყოვ ძალითა ღ[მრთ]ი[სა]თა და შევსწირე მასვე მონასტერ-
სა ჩემსა დიდსა მას ჭადაგსა წინაშორბედსა მუუფისასა იოვანეს საჴრად ცოდვა-
თა ჩემთა. ჱ, შენ ყოველთა ნაშობთა უმეტესო და ყოველთაჲ ცოდვილთა სინანულად
მოჴ[ო]დებელო, დიდო და დიდებულო ნათლისმცემელო ქ[რ]ს, შეიწირე მცირედი ესე
ნაშრომი ჩემი, ვითარცა შეიწირა შენგან ნათელღებულმან მწჳლილი იგი ჭურივისა
და არა გარე მიაქცია, ეგრეთვე შენცა მი[ი]ღოვალე ესე დ[ა]ნუ გარე მიაქცევ პირსა
შენსა ჩემგან დღესა მას სასჯელისასა. ოდეს დაჯდეს მეუფე განკითხვად ცოდვილთა
და მართალთა, მაშინ შენცა მექმენ შუამდგომელ მ[ო]ტევებად ურიცხჳთა ბრალთა
ჩემთა, რათა არა შემრაცხოს მარცხენით თიკანთა თანა, არამედ რათა ღირს მყოს
შერთეაჲთ მარჯჳენით ცხოვართა თანა დამკვიდრებად. ქრონიკონსა ჳა.

ამ ქრონიკონსა მოვიდა ყრმა მცირე შვიდის წლისა ელისე ძმის წული ჩემი,
სადა მე ვმკვიდრობდი მონასტერსა ზემ[ო]წერილსაჲ“. 11 r—11 v.

მინაწერი (გადამწერის): „ი[ე]ნე ზედაძენელო, მეოხ მექმენ გაბრიელს“. 10 r

1558ა

ვახტანგის სამართალი. XVIII

1 ფ.; 20,5×16,7; ქაღალდი; ფრაგმენტი; მხედრული, დასაწყისები სინგურით; [XVIII ს.].

[ვახტანგის სამართალი:] „...მღვდლის სისხლი, ამასთან დიდებულის ვაჭრის ქვემოთის მეორე ვაჭრის სისხლი. ამასთან ასრე დაკლებით მსახურის სისხლი ოცდაოთხი თუმანი. ამასთან მთავარ დიაკვნის სისხლი, ამასთან შუა ვაჭრის ქვემოთის მესამე ვაჭრის. ლგ. გლეხის კაცის სისხლი თორმეტი თუმანი...“ 1 r—v.

წ[უ]დ[ე]ბა: „...ესეცა არის მოხელე, თუ სხუა ბატონის წარჩენელი ყმა ბატონის სამსახურზედ მოუკლავთ, იმისი კიდევ მეტი არის. თუ ხელწიფემ იმ მჭნელს არ უწყრომა, და თუ უწყრომა...“.

1558 ბ

საგალობლები. XVII—XVIII

1 ფ.: 16,7×7,3; ქაღალდი; ფრაგმენტი; ნუსხური, სათაურები სინგურით [XVII—XVIII ს.].

[საგალობელი] „...სათა განსწმიდა სარწმუნოებისა თესლი და სთესე ტიტი. სამხატოვანებით ჰქადაგებდ ერთ ღ~თსა ნეტარო. და მრავალ ღ~თბისა ბნელი წყუდიადი განჰჭრიდე სოფლით და ცნობად ღმრთისა წარუძეღუ ურწმუნოთა, ტიტე...“ 1 r—v.

წ ყ დ ე ბ ა: „...პატივგცემთ შენ, ღმერთშემოსილო ტიტე მოციქულო!... მსგეფსნი და წ~ისნი. უ~გბა დ. ზრ~ა უვლ...“.

1558 გ

მოთხრობა გამოცხადებისათვის ღ~თისმშობლის ხატისა, ტიფინისად წოდებულისა. XIX

2 ფ.; 17 ×11,8; ქაღალდი; ფრაგმენტი; მხედრული; ქაღალდი კიდურებშემოცვეთილი; [XIX ს.].

„მოთხრობა გამოცხადებისათვის სასწაულთმოქმედისა ყოვლად წმიდისა ღ~თის მშობლისა ხატისა და წოდებულისა ტიფინისად სამძღუართა შინა დიდისა ნოეველოროდისა.—წელთა შექმნიდგან სოფლისათა ექუსი ათას შვიდას ოთხმეოცდა ათურმეტსა, დროსა კეთილ მსახურისა მპყრობელობისა დიდისა თავადისა დიმიტრი იოანოვიჩისათა, ხოლო დღეთა შინა უწმიდესისა მიტროპოლიტისა პიმენისა არხიეპისკოპოზთურთ დიდისა ნოეველოროდისა ალექსიისათა ცხად იქნა ყოვლად პატიოსანი ხატი ყოვლად წმიდისა ღ~თისმშობლისა...“ 1 r—2 v.

წ ყ დ ე ბ ა: „...მეყსეულად იწყეს კვეთა ხეთა საეკლრებელისა ტაძრისათვის, რომელიცა დააფუძნეს მასვე მთასა ზედა და ამასვე დღესა შინა შეკვთოს (!) სამი უკუ გვირგვინი და გარეშე მიუწყეს...“.

1558 დ

საგალობლები. XV—XVI

1 ფ.; 12×10,5; ეტრატი; ფრაგმენტი; დაზიანებული; ნუსხური; [XV—XVI ს.].

„...ამბორს უყოფდეთ და ნუ უკუე ესრეთ იტყოდიან მისა მიმართ: აჰა ესერა... მეგობარნი ჩ~ნნი...“ 1 r—v.

წყდება: „...აჰა, ძმანო, ძმათათაგან განვეშორები და მეგობართაჲ ყოველთავე. დაგიტევებჲ და წარვალ და თუ სადა წარვალ ყოვლად...“ 1 v.

1559

ლათინური ტექსტი.

1560

იტალიური ტექსტი.

1561

იტალიურ-ლათინური ტექსტი.

1562

ლათინური ტექსტი.

1563

ფრანგულ-იტალიური ტექსტი.

1564

ლათინური ტექსტი.

1565

ფრანგული ტექსტი.

1566

ფრანგული ტექსტი.

1567

ლათინურ-იტალიური ტექსტი.

1568

ფრანგული ტექსტი.

1569

ფრანგული ტექსტი.

1570

ლათინური ტექსტი.

1571

ფრანგულ-ლათინური ტექსტი.

1572

იტალიური ტექსტი.

1573

ლათინური ტექსტი.

1574

ლათინურ-იტალიური ტექსტი.

1575

იტალიური ტექსტი.

1576

იტალიური ტექსტი.

1577

იტალიური ტექსტი.

1578

იტალიური ტექსტი.

1579

იტალიური ტექსტი.

1580

იტალიური ტექსტი.

1581

იტალიური ტექსტი.

1582

იტალიური ტექსტი.

1583

იტალიური ტექსტი.

1584

იტალიური ტექსტი.

1585

იტალიური ტექსტი.

1586

ლათინურ-იტალიური ტექსტი

1587

ლათინურ-იტალიური ტექსტი.

1588

იტალიური ტექსტი.

1589

იტალიური ტექსტი.

1590

ფრანგულ-იტალიური ტექსტი.

1591

იტალიური ტექსტი.

1592

იტალიური ტექსტი.

1593

იტალიური ტექსტი.

1594

იტალიური ტექსტი.

1595

იტალიური ტექსტი.

1596

იტალიური ტექსტი.

1597

იტალიური ტექსტი.

1598

იტალიური ტექსტი.

1599

იტალიური ტექსტი.

1600

იტალიური ტექსტი.

1601ა

დოკუმენტების კრებული. XIX

48 ფ.; 25×18,5; ქაღალდი: მუყაოს ყდა; მხედრული: გ. დამწერი—მიქელ თამარაშვილი; [XIX ს.]; დაუწერელია: 1 r—v.

1. ალექსის გულის არზა კარდინალთა მამამთავრისადმი. 2 r—3 r.
2. წერილი [შაჰნავაზ] მეფისა კლემენტი X-სადმი. 3 r—4 r.

შენიშვნა: წერილს დართული აქვს შენიშვნა, სავარაუდოა თამარაშვილისა: „NB ეს წიგნი უნდა იყოს გამოგზავნილი 1670—76 წლებში. ამ შანავაზ მეფემ ალექსანდრე VII[ს] მისწერა ერთი წიგნი 1664—ს. ამაზედ იხილე 229 ეოლუმის **რჳეული** მეორე. გვ. 41.

ამ წიგნის ლათინური იხილე წიგ. 2. გვ. 98. აგრეთვე იხილე ტომი 229, ყდა 2, გვ. 41".

3. [შაჰ-ნავაზის] წერილი პატრი ბონავენტურა დე ლეკორატისადმი. 4 v—5 r.

შენიშვნა: წერილი დაწერილია 1675 წ. 5 r.

4. იმერეთის მეფის ბაგრატის წერილი პატრი სერაფინო დე მელიკოჩიასადმი (Melicocia). 5 v.

5. შოშიტა რაჭის ერისთავის წერილი პატრი სერაფინოსადმი. 5 v.

6. ალექსის წერილი პატრი სერაფინოსადმი. 6 r.

7. ალექსის წერილი სერაპიონისა და რაფაელისადმი. 6 r—v.

8. ალექსის (Alessio de Ghiorghianiani) წერილი ფარსადან ბეგისადმი. 6 v—7 r.

9. საქართველოს მეფის შაჰნავაზის წერილი ალექსი დე გიორგიანიანისადმი. 7 r.

10. [ლექსი]. — „თქვენ დომინიკოს იხსენიებთ, ჩვენ არ გვესმა აროსა..." 7 v.

11. ინვენტარი იმ ქონებისა, რომელიც ერთ თავადს (principe) წაართვეს. 7 v—8 r.

12. ასლი მემორიალისა, რომელიც მეფე შაჰ-ნავაზს წარუდგინეს პატრებმა თეოდორე ვართაპეტისა და მარტიროზის წინააღმდეგ. 8 r—v.

13. მემორიალი, რომელიც პატრებმა წარუდგინეს გ. ბატონიშვილს. 9 v—10 r.

14. ფრანგ იოანეს მემორიალი შაჰ-ნავაზისადმი. 10 r.

15. ალექსი გიორგიანიანის წერილი პატრი ბერნარტოსა და სხვა პატრების მიმართ. 10 v—11 r.

16. ალექსის წერილი პატრი ბერნარტოსადმი. 11 v.

17. წერილი პატრი ბერნარტოსადმი. გამგზავნი არ ჩანს. 12 r—13 r.

18. ალექსის წერილი პატრი ბერნარტოსადმი. 13 r.

შენიშვნა: ამ წერილს ერთვის მ. თამარაშვილის შენიშვნა: „ამის შემდგომ არიან ბევრი მოკლე წერილები სომეხ კათოლიკე ხოროშანი ქალისა პ. ბერნადეთან გაგზავნილი. ამათში საინტერესო არა არის რა, თავისი შვილებისა, ოჯახობასა და თავის გულის ამბავს სწერს და ხშირად ერთ და იგივე რამეს ბევრჯელ ახელმეორებს". 14 v.

19. ასთანდარის წერილი. 1682 წ. 14 v—15 r.

20. პატრი ბერნარდესადმი მიწერილი კათოლიკე ქაიხოსროს წერილის მოკლე შინაარსი. 1691 წ. 15 v.

21. ესტატეს წერილი ზურაბ კათოლიკესადმი. 1673 წ. 15 v—16 r.

22. ყულინა ბაყალი (!) გოგინაშვილის წერილი ბერნარდოსადმი. 16 r—v.

23. წერილი ბერნარდოსადმი. 1681 წ. 16 v—17 r.

24. ყულინას წერილი პატრი ბერნარდოსადმი. 17 r—v.

25. წერილი პატრისადმი. არ ჩანს არც გამგზავნი, არც მიმღები. 1677 წ. 18 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

26. ალექსის წერილი პატრი ბერნარდოსადმი. 19 r—19 v.

27. პატრი ბერნარდოს წერილი სპირიდონ გუნაოელისადმი. 1671 წ. 19 v.

28. პატრი ბერნარდოს წერილი ბ-ნ ესტატესადმი. 1682 წ. 20 r.

შენიშვნა: ამ წერილის ბოლოს მ. თამარაშვილის ხელითვე მიწერილია: „ამაგე წიგნში კიდევ არიან რამდენიმე წიგნი, თუ პატრი ბერნარდეს და თუ მასთან სხვადასხვა პირებისაგან მოწერილი. მაგ. დარეჯანასა ხვარაშანასა და სხვა, ამათში საინტერესო არ არის რა. ყველა უმზერს საცალკეო გარემოებას და აგრეთვე სულიერ დრიგებას". 20 r.

29. ქუთაისის კათოლიკეთა წერილები „ლიონის პროპაგაციონ-დე ფუა-სადმი". 20 v—21 r.

30. [თხოვნა]. ახალციხის კათოლიკენი პატრი ფრანჩესკოს საშუალებით თხოულობენ პაპი გრიგოლ XVI-ს შეჩვენების მოხსნას. 1832 წ. 20 r—22 r.

31. ახალციხის კათოლიკეთა წერილი უუწმიდეს მამასთან. 1840 წ. 22 v—23 r.

32. წერილი—შესხმა პატრი ბერნარდესადმი..." 24 r.

33. [ბეჟანიანი] „აჰა პირველი დასაწყისი ბეჟანისა და მანიჟავის საქმე—
თურან ტახტი დაიკარგა, ქორციელი ყველა სცნობდა,
დაემოყვრნეს თავადები, ქაიხოსროს ყველა ჰყმობდა..."
24 r—37 v.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს მ. თამარაშვილისვე ხელით მიწერილია: „კიდევ გადმოსაწერია ბოლო 64 სტრიჭონი".

34. გორელი ალექსი გორიჯანიძეს წერილი პაპი კლემენტი მეათესთან. 1676 წ. 38 r—40 v.

35. ქართველ ქრისტიანეთა ადათების შესახებ. 1672 წ. 41 r—v.

36. დოკუმენტი იტალიურ ენაზე. 41 v—42 r.

შენიშვნა: 1. დოკუმენტებს წინ უძღვის მ. თამარაშვილის ცნობა ხელნაწერის სადაურობაზე „Torre del Greco. Orfanotofio della s. s. Trinita. ეს შემდეგი წერილები არის გადმოწერილი ერთი პატარა ხელთნაწერი წიგნისაგან, რომელიც შემოუკრეფია კაფუჩინ პ. ბერნარდე ნეაპოლიელს. ეს წავიდა საქართველოში 1673, დაბრუნდა ნეაპოლში 1680". 2 r.

2. გარდა ბერნარდე ნეაპოლელის მიერ შეკრებილი მასალებისა, ხელნაწერში მოგვიანო ხანის (XIX ს.) დოკუმენტებიც არის შესული.

3. ბერნარდე ნეაპოლელის მიერ შეგროვილი დოკუმენტების უმრავლესობა და ამასთანავე ცნობები ბერნარდეს შესახებ შეიტანა მ. თამარაშვილმა თავის წიგნში—„ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის". 1902 წ.

მინაწერები: (მ. თამარაშვილისვე ხელით): „პ. ბერნარდო 1680 ნეაპოლში ყოფილა. ეგრეთვე 1679-საც ... ქალაქში ყოფილა. 1678-ში და 1679—ერევანში იყო". (ზ. საცავი ფურცელი).

1601 ბ

ტორე დელ გრეკოს მონასტერში დაცული ქართული ხელნაწერების სია. XIX—XX

1 ფ.; 30,5×21; ქაღალდი; მხედრული; მ. თამარაშვილის ხელით დაწერილი: [XIX—XX ს.].

[ტორე დელ გრეკოში დაცული ქართული ხელნაწერების სია]. „1. წამება წმიდისა ევსტაქესი და მისი ძეთა და მეუღლესა. შემდეგი ამ წიგნისა შეიცავს მოთხრობას ბამან ხელმწიფისა...“ 1 r—v.

შენიშვნა: 1. ქართულ სიას დართული აქვს სხვა ჭაღალდზე და სხვა ხელით დაწერილი იგივე სია იტალიურ ენაზე.

2. სია შეიცავს 11 სახელწოდებას.

3. სიას დართული აქვს სხვა ცნობებიც ქართულ ხელნაწერებზე: ა. „ამ წიგნების გარდა არის სინდაკთან Michele Palombe-სთან ერთი მოკლე დიქსიონერი გრამატიკის ბრუნვებითურთ და ხელნაწერი სახარება ოთხი მახარებლისა“. 1 v. ბ. „ვატიკანის ბიბლიოთეკაში არის ერთი ხელთნაწერი ხუცური სახარება მშვენიერ მინაჭრით, მსგავსი იმისა, რომელიც აქვსთ გელათის მონასტერში“. 1 v.

1601 გ

ორი ქართული ზღაპარი. XIX—XX

4 ფ.; 27×20; ქაღალდი; მხედრული; დაწერილი მ. თამარაშვილის ხელით [XIX—XX ს.].

1. „იყო ერთი ღარიბი კაცი და დღიურად ოროლს ზურგ შეშას მოიტანდის. ერთს გაყიდის და სუმდის, მეორეს კი დაინთებდის...“ 1 r—3 r.

2. „იყო ერთი სახელმწიფო, ორი ჭელმწიფე იჯდა, ერთი მოსამართლე და მოწყალე, ერთი უსამართლო და ზალუმი...“ 3 r—5 v.

შენიშვნა: ზღაპრების ტექსტი გამოქვეყნებულია (იხ. ე ლ. ვ ი რ ს ა ლ ა ძ ე; „მასალები ქართული ფოლკლორის ისტორიიდან“. ლიტ. ძიებანი. ტ. IV. გვ. 363).

1602

იტალიური ტექსტი.

1603

იტალიური ტექსტი.

1604

იტალიური ტექსტი.

1605

იტალიური ტექსტი.

1606

ლათინური ტექსტი.

1607

იტალიური ტექსტი.

1608

ლათინური ტექსტი.

1609

ფრანგული ტექსტი.

1610

ლათინურ-იტალიური ტექსტი.

1611

დოკუმენტების კრებული. XIX

40 ფ.; ქაღალდი; უყდრო; მზედრული; გადამწერი—მიქელ თამარაშვილი; [XIX ს.].

1. წერილი ტერ ანტონ გოდებაძე ხუციანოვისა პატრი იოსების მიმართ. დაწერილი 1836 წლის 12 ნოემბერს. (1 r).

2. პირობის წიგნი. ახალციხის მოქალაქენი პირობას დებენ, რომ არ ჩაერევიან საეკლესიო საქმეებში და ითხოვენ პაპი გრიგოლ XVI-ს შეჩვენების მოხსნას. 1839 წ. 1 v.

3. წერილი პატრი ბონავენთურასადმი ახალციხის კათოლიკეთაგან. 2 r.

4. გრიგოლ ნეფისოვის წერილი პატრი დამიანესადმი. 2 r—v.

5. გრიგოლ ნეფისოვის წერილი პატრი დამიანესადმი. 1842 წ. 2 v—3 r.

6. გრიგოლ ნეფისოვის წერილი საქართველოს „მთავარ უფროსისადმი". 1843 წ. 3 r—v.

7. ტერ იოსებ ხუციანოვის წერილი „საქართველოს კათოლიკეთ სათემო უფროსისადმი“. 1843 წ. 3 v—4 r.

8. ტერ იოსებ ხუციანოვის წერილი. 1843 წ. 4 r—5 r.

9. „ცირკულარი“ პატრი ბონავენთურასი. 5 r—6 r.

შენიშვნა: ბოლოში თამარაშვილის ხელით მიწერილია: „ეს სირჭულერი უნდა იყოს პ. ბონავენთურასი. 1845 დაწერილი“. 6 r.

10. იაკობ მურადოვის წერილი პატრი ქერუბინასადმი. 6 r—v.

11. იაკობ მურადოვის წერილი პატრი დამიანესადმი. 1843 წ. 6 v.

12. წერილი ტერ პეტროსისადმი ახალციხიდან (1843 წ.). ამას ერთვის კონსტანტინეპოლის ეპისკოპოზის პატრი დამიანესადმი მიწერილი წერილის პირი. 7 r—v.

13. იოვანე მამულოვის წერილი პ. დამიანესადმი. 1843 წ. 7 v—8 r.

14. იოვანე მამულოვის წერილი პატრი დამიანესადმი. 1843 წ. 8 v—10 r.

15. წერილი პატრი დამიანესადმი. 10 r—v.

16. წერილი ტერ ანტონისადმი ტერ აკობიანისაგან. 10 v.

17. არზა ღენერალ მაიორი რვალონისა (!) 11 v.

შენიშვნა: არზას აწიაზე მიწერილი აქვს: „საქართველო. იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორის კანცელარია, სტოლი 4. 7 სექტემბერს, 1843 წელ. № 9192. ქალაქი თბილისი“.

18. სამოქალაქო გუბერნატორის სახელზე დაწერილი არზა; ხელს აწერენ: ტერ იოანეზ იერემიან, ტერ სიმონ ტელანიან, გიორგი ზარაფიან...“ 11 v—12 r.

19. არზა ვართაპედ შაჰყულოვისა სამოქალაქო მილიციისადმი. 1843 წ. 12 r.

20. ტერ სტეფანე აღუშოვის წერილი პატრი დამიანესადმი. 1844 წ. 12 v—13 r.

21. არზა დონ ანტონიო გლახოვის ქუთაისის სასამართლოსადმი. 1844 წ. 13 r—14 v.

22. ტერ იოვანე მამულოვის წერილი მამა დამიანესადმი. 1844 წ. 15 r—v.

23. ტერ იოვანე მამულოვის წერილი მამა დამიანესადმი. 1844 წ. 15 v—16 r.

24. ტერ იოვანე მამულოვის წერილი მამა დამიანესადმი. 1844 წ. 16 v.

25. ტერ სტეფანე აღუშოვის წერილი პატრი დამიანესადმი. 1844 წ. 16 v—17 r.

26. ტერ იაკობ მურადოვის წერილი მამა დამიანესადმი. 1844 წ. 17 v—18 r.

27. ტერ გრიგოლ ნეფისოვის წერილი პატრი დამიანესადმი. 18 r.

28. ტერ იაკობ მურადოვის წერილი პატრი დამიანესადმი. 1844 წ. 18 r—v.

29. ტერ იოსებ ხუციოვის წერილი. 1844 წ. 19 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

30. პატრი ფიორენცოს არზა ქუთაისის სამოქალაქო პოლიციისადმი. 1844 წ. 19 r.

31. იაკობ ზუბოვის წერილი პატრი დამიანესადმი. 19 r—v.

32. იოვანე მამულოვის წერილი მამა დამიანესადმი. 1845 წ. 19 v—20 r.

33. ტერ პეტროს აშუღოვის წერილი დონ ანტონისადმი. 1845 წ. 20 r—v.

34. ტერ იაკობ მურადოვის წერილი. 1845 წ. 21 r—22 v.

35. ტერ იაკობ მურადოვის წერილი. 1845 წ. 23 r—v.

36. ანდრია ზუბალოვის წერილი პატრი დამიანესადმი. 1845 წ. 23 v.

37. ივანე ამირაღოვის წერილი პატრი დამიანესადმი. 1845 წ. 23 v—24 r.

38. ივანე ამირაღოვის წერილი. 1845 წ. 25 r—v.

39. გაბრიელ ენდრონიკოვის წერილი პატრი დამიანესადმი. 1845 წ. 26 r.

40. ივანე ზუბალოვის წერილი. 1845 წ. 26 r.

41. ტერ იაკობ მურადოვის წერილი. 1846 წ. 26 v—28 v.

42. ტერ იაკობ მურადოვის წერილი პატრი ფლორენცისადმი. 1844 წ. 28 v—29 r.

43. სტეფანე იზმირელის წერილი. 1839 წ. 29 v.

44. სტეფანე იზმირელის წერილი პატრი ფრანჩისკესადმი. 1832 წ. 29 v.

45. იოვანე ისარლოვის წერილი მამა ფრანჩისკესადმი. 1840 წ. 30 r—v.

46. „ბეთლემიძე დემეტრისაგან მიცემული წიგნი თავისი ქალი ქეთოს მოსყიდულობასა ელიზბარისათვინ". 30 v.

შენიშვნა: სიგელის ბოლოს მიწერილია: „კაფუჩინების რომის არხივებიდგან". 30v.

47. დუქნის ადგილის ნასყიდობის წიგნი. მიმღები—პატრი ფილიპე, გამცემი—იაკობ აბიმელიქოვი. 1826 წ. 31 r—v.

48. ქუთაისის კათოლიკე ეკლესიის გამგის პატრი ქერაბინე სარავეცელის წერილი იმერეთისა და გურიის გამგე არხიეპისკოპოზის სოფრონიოსადმი. თარიღი—1840 წ. 31 v.

49. საჩივრის წიგნი ახალციხის ეკლესიის მიწების ჩამორთმევასთან დაკავშირებით. 32 r—v.

50. ნასყიდობის წიგნი. გამცემი - იაკობ ფარემუზისშვილი. მიმღები—პატრი დამიანე; 1841 წ. 32 v—33 r.

51. ანტონ ყორღანოვის წერილი ბეიბუდოვისადმი. 33 r.

52. წყალობის სიგელი. გამცემი—ერეკლე II, მიმღები—პატრი ანდრია. 1781 წ. 33 v.

53. წყალობის წიგნი. გამცემი—იმერეთის მეფე სოლომონ არჩილის ძე, მიმღები—ქუთაისის პატრები. 1800 წ. 34 r.

54. წყალობის წიგნი. გამცემი—ოდიშთა და გურიათა დედოფალი დადიანის ასული მარიამი, მიმღები—პატრები. 1803 წ. 34 r—v.

55. წყალობის წიგნი. გამცემი—სოლომონ მეორე, მიმღები—პატრები. 1800 წ. 35 r.

56. ნასყიდობის წიგნი. გამცემი—ბაციკაანთ ასლამაზას შვილი, მიმღები—ყორღანაანთ ზაალის შვილი. 1777 წ. 35 v.

57. „ანაწერი ახალციხისა და მისი თემის კათოლიკეთა სოფელთა შორის წელსა მას 1839-სა თუ მონათლულთა, თუ მიცვლილთა და თუ დაქორწინებულთა“. 36 r—37 v.

58. ნასყიდობის წიგნი. გამცემი—ტინის ხიდელი თავაქალაშვილი ზურაბი, მიმღები—ბაღდასარასშვილი იოსეფი. 1763 წ. 38 r.

59. ფიცის წიგნი. გამცემი—გუნებაშვილი გრიგოლა. 1811 წ. 38 v.

60. ნასყიდობის წიგნი. გამცემი—ბერუჩაშვილი, მიმღები—ტინტოლიაშვილი. 1823 წ. 38 v.

61. ხელწერილი. გამცემი—გრიგოლ აკოფაშვილი, მიმღები—პატრი იოსები. 1823 წ.; 39 r.

62. ხელწერილი. გამცემი—კრუხი-ჯამაანთ ოსეფას ძე ბატონჯანა. 1807 წ. 39 r.

63. ნასყიდობის წიგნი. გამცემი—პეტრე ოგანეზასშვილი, მიმღები—პეტრე ვართანასშვილი. 1823 წ. 39 r—v.

64. დამტკიცების წიგნი. გამცემი—ტერ ანტონ თუმანოვი, მიმღები—ქუთაისის ეკლესიის ძმობა. 1819 წ. 39 v.

65. ნასყიდობის წიგნი. გამცემი—ექიმი ოსეფაშვილი, მიმღები—სიმონა ხეჩინაშვილი. 1823 წ. 40 r.

66. ნასყიდობის წიგნი. გამცემი—დალაჩი ანტონ ოსეფასშვილი, მიმღები—პეტრე ოსეფაანთ ანტონას შვილი. 1823 წ. 40 r.

67. პირობის წიგნი. გამცემი—სტეფანე დათიაშვილი. მიმღები—ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესია. 1817 წ. 40 r—v.

68. პირობის წიგნი. გამცემი—ანტონ კნიაზი და მისი მეუღლე თერეზინა, მიმღები—ქუთაისის დეკანოზი პატრი ბერნარდე. 1842 წ. 40 v.

69. პირობის წიგნი. გამცემი—დათოშვილი მარიამ, მიმღები—ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესია. 1842 წ. 40 v—41 r.

70. [კათოლიკეთა უძრაცი ქონების სია]. 1880 წ. 41 r—v.

71. თბილისის კათოლიკეთა უძრავი ქონების სია. 1818 წ. 41 v—42 r.

შენიშვნები: 1. ქართულ ტექსტს ეროვნ. დოკუმენტთა სია. (43 r—44 v)და ერთი დოკუმენტი იტალიურ ენაზე. 45 r—48 v. ეს დოკუმენტი დაწერილია სხვა ხელით, სჭოლიოზე მიწერილი აქვს თამარაშვილის ხელით: „ამის ქართული დედანი რომის კაფუცინების არხივშია“. 45 r.

2. დოკუმენტების წინ უძღვის თამარაშვილის მინაწერი: „ეს ქვემორე წერილები არიან გამოწერილნი ტრაპიზონში მყოფი კაფუჩინების არხივიდგან, რომელიც არის იქ მიტანილი საქართველოდგან 1845-ში მათი გამოდევნის დროს“ 1 r. ეს მინაწერი ეხება დოკუმენტებს 1-დან 47-მდე, ხოლო დანარჩენებს წინ უძღვის შემდეგი ცნობა: „ეს შემდეგ დოკუმენტები გადმოწერილი არის ტრაპიზონი (!) კაფუჩინების დოკუმენტებიდგან, რომლებიც 1898 აგვისტოს პირველსა მოიტანეს იქიდგან რომის კაფუჩინების არხივებში შესანახავად“. 31 r.

3. მთელ რიგ დოკუმენტებს გააჩნია მინაწერები ლათინურ ენაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1612

ლათინურ-იტალიური ტექსტი.

1613

გადატანილია რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში.

1614

იტალიური ტექსტი.

1615

იტალიური ტექსტი.

1616

ლათინურ-იტალიური ტექსტი.

1617

იტალიური ტექსტი.

1618ა

საგაზეთო სტატიები სომეხ კათოლიკეთა შესახებ. XIX—XX

6 ფ.; 35,5×22; ქაღალდი; უყდო; მხედრული; [XIX—XX ს.].

1. „ტფილისის სომეხ კათოლიკების საეკლესიო კითხვა.—1844 წელსა, როდესაც კამუჩინების (!) მისიონერები განაშორეს ტფილისიდგან, ტფილისის სომეხ კათოლიკების დამწყსვა იწყეს ვენეტიკში ხელ-დასხმულ მღვდლებმა სარატოვის ლათინის ეპისკოპოზის უფლების ქვეშ...“ 1 ს—v.

შენიშვნა: 1. წერილს ხელს აწერს „ს ო მ ხ ი ს—კ ა თ ო ლ ი კ ე“.
2. წერილი სომხურად დაიბეჭდა სომხურ გაზეთ „მშაკში“, 1897 წელი, № 110. 1 ს.

2. „სომეხი თუ ქართველი?—ქართველების „ივერია“ გაზეთის № 211 გამოჩნდა ერთი ახალი სტატია „ქართველ-კათოლიკების შესახებ“, რომლის

ავტორი გვიწვევს ჩვენ, რათა ვუპასუხოთ თვის წარმოდგენილ ახალს საბუ-თებსა..." 1 r—5 v.

შენიშვნა: 1. წერილს ხელს აწერს „ა. ჩ.".
2. სომხურად წერილი დაიბეჭდა სომხურ გაზეთ „მშაკში", 1898 წელი, № 190.

1618 ბ

სარუხან—ტფილისის სომხის კათოლიკეების საეკლესიო კითხვა. XIX—XX

2 ფ.; 35,5×22; ქაღალდი; უყდო; მხედრული; [XIX—XX ს.].

„ტფილისის სომხის კათოლიკეების საეკლესიო კითხვა.—1844 წელსა, რო-დესაც კაპუცინის მისიონერები განაშორეს ტფილისიდგანა, მაშინ ვენეციაში ხელდასხმულმა სომხის კათოლიკე მღვდლებმა იწყეს ტფილისის სომხის კა თოლიკეთა დამწყვსა..." 1 r—v.

შენიშვნა: წერილი სომხურად დაიბეჭდა სომხურ გაზეთ „მშაკში", 1897 წელ № 110. 1 r.
2. წერილს ხელს აწერს „სომხის კათოლიკე".
3. წერილს ერთვის შენიშვნა მთარგმნელისა: „ამ სტატიაში მოყვანილი ფაქ ტები თითქმის თავიდგან ბოლომდინ სიცრუეს შეადგენს, სომხის კათოლიკებს არას-დროს ტფილისში არა ჰქონიათ რომელიმე ეკლესია..." 1 v—2 r.

1618 გ

ქართველ კათოლიკეთა კითხვა. XIX

18 ფ.; 35,5×22; ქაღალდი; უყდო; მხედრული; [XIX ს.].

„ქართველ კეთოლიკეთა კითხვა—„კავკაზ" გაზეთში ამა წლის 284, 285 და 286 ნომრებში, ვინმე იზაშვილი ასპარეზედ გამოსულა, დაამტკიცოს, რომ კავკაზიის სომეხთ-კათოლიკეთაგანი მრავალი ნაწილი და ართვინის სომეხ კათოლიკენი მთლად სომეხნი არ არიან..." 1 r—18 r.

შენიშვნა: 1. ეს წერილი სომხურად რამდენიმე ნაწილად დაიბეჭდა გაზეთ „მშა-კის" 1897 წლის შემდეგ ნომრებში: №№ 137, 138, 144, 145, 148, 149.
2. წერილის აშიებზე მ. თამარაშვილის ხელით მიწერილი აქვს შენიშვნები.
3. წერილს ხელს აწერს „ა. ხ.", ალ. სარუხანოვი, ივივე სარუხანი.

1618 დ

სარუხან—ჰეშმარიტება „ქართველ კათოლიკეთა" შესახებ. XX

6 ფ.; 27,5×22; ქაღალდი; უყდო; მხედრული; დაწერილია თედო სახოკიას ხე-ლით; [XX ს.].

„ეშმარიტება „ქართველ-კათოლიკეთა“ შესახებ. (პასუხად ბ. ა. ხახანაშვილს)“. 1 რ—6 რ.

შენიშვნა: 1. სტატიას ხელს აწერს „სარუხან“. 6 რ.

2. სტატია დაიბეჭდა „პეტერბურგის უწყებაში“, 1900 წ., № 156.

1618 ე

სარუხან—კიდევ კავკასიის კათოლიკეთა შესახებ. 1901

6 ფ.; 27,5×22; ქაღალდი; უყდო; მხედრული; დაწერილია თედო სახოკიას ხელით; 1901 წ. (6 რ).

„კიდევ კავკასიის კათოლიკეთა შესახებ.—წარსულ წელს გაზეთ „ს. პეტერბურგის უწყებათა“ სვეტებზე მე პოლემიკა მქონდა გამართული ბატ. ხახანაშვილთან ზემოხსენებულ საგნის შესახებ. ბაასი იყო გამართული სერიოზულ კითხვის შესახებ, რომელიც ყოველმხრივს გამოკვლევას ითხოვს...“ 1 რ—5 რ.

შენიშვნა: 1. სტატიას ხელს აწერს „სარუხანი“. 5 რ.

2. სტატია დაიბეჭდა „პეტერბურგის უწყებაში“, 1901 წ. № 98.

3. სტატიას დართული აქვს თედო სახოკიას წერილი მ. თამარაშვილთან; წერილის თარიღი—1901 წ. 6 რ.

4. ეს სტატია და წინა სტატიაც რუსულიდან თედო სახოკიას უთარგმნია. 6 რ.

1618 ვ

ზ. ჰიჰინაძე. ისტორიული ცნობები. 1899

14 ფ.; 22×17,5: ქაღალდი; უყდო; მხედრული; ავტოგრაფი; 1899 წ. (2 ს).

[ისტორიული ცნობები]. „...სომეხთა ძველათვე დაიჩემეს ახპატისა და სარანის მონასტერი. ეს მონასტრები აღშენებულია ძველათვე ბორჩალოს მაზრაში...“ 3 რ—14 ს.

შენიშვნა: 1. „ცნობებთან“ ერთად ხელნაწერში ჩართულია ზ. ჰიჰინაძის წერილი მ. თამარაშვილთან (1 რ—2 ს), სადაც ზ. ჰიჰინაძე პირდება მ. თამარაშვილს ამ ცნობების გაგზავნას.

2. როგორც წერილიდან ირკვევა, „ცნობები“ წარმოადგენს მ. თამარაშვილის მიერ ზ. ჰიჰინაძესთან გამოგზავნილ კითხვების პასუხს. მ. თამარაშვილის კითხვები იხ. ქვემოთ (1618 ზ).

1618ზ

მ. თამარაშვილი. ისტორიული ხასიათის კითხვები. XIX

9 ფ.; 17×21,5; ქაღალდი; ლურჯი მუყაოს ყდა; მხედრული; [XIX ს.].

„კითხვები, რომლის პასუხებს თხოულობს პ. თამაროვი.

1. ნუ თუ მართალია, რომ არარატიანი მამით სომეხი და დედით ქართველი ყოფილყოს...“ 1 r—9 v.

შენიშვნა: სარუხანის სტატიებთან დაკავშირებით (იხ. ჩვენი აღწერილობის №№ 1618ა, 1618ვ, 1618დ, 1618ე). მ. თამარაშვილი უგზავნის ზ. ჭიჭინაძეს კითხვებს და სთხოვს კითხვებზე პასუხებს (პასუხები იხ. ჩვენი აღწერილობის № 1618ვ).

1618ჱ

თხოვნა ქართველ კათოლიკე მღვდლებისა ეპისკოპოსს იოსებ კესსლერისადმი. 1910

6 ფ.; 35×22; ქაღალდი; უყდო; ნუსხური; 1910 წ. (2 v).

„მის ყოვლად უსამღვდელოესობას უფ. ტირასპოლის რომის კათოლიკე ეპარქიის ეპისკოპოსს იოსებ კესსლერს ძირითად ქართველ-კათოლიკეთა მცხოვრებთ ქ. ახალციხეს მრევლთა ეკლესიებისა: წ[ა] იოანნე ნათლისმცემელისა, წ[დ] ჯვართ ამაღლებისა, იულიტასი, წ[დ] ჯვარისა, აბასტუმანის წ[დ] ღვთის-მშობლისა; სოფლებისა: ვალესა, არალ და უდესი ბოლაჟურითურთ ახალციხის ნაზრისა; ხიზაბავრის, ვარგავის და ბნელოსი ახალქალაქის მაზრისა და მრევლთა იმ ეკკლესიებისა, რომლებიც ამ მაზრის სოფლებშია, თხოვნა.—მოწყალეო მწყემსთ-მთავარო! ჩვენ, ქართველ-კათოლიკები ძირეული მცხოვრებნი ახალციხის და ახალქალაქის მაზრებისა, რომლებიც შეადგენს ნაწილს ქართველთა ერისა უხსოვარ დროიდან, გვაქვს სურვილი გადავიდეთ რომის კათოლიკის რიგზე, რომელიც ჩვენთვის სასურველი და აუცილებელია. თუმცაღა დიდიხანია ვირიცხებით სომეხ კათოლიკეთ რიგზე, მაგრამ ჩვენ ქართველები ვართ, როგორც შთამომავლობით, აგრეთვე ეროვნებით...“. 1 r—2 v.

შენიშვნა: 1. თხოვნას ხელს აწერენ: იოანე გვარამაძე, პავლე ტატიანაშვილი, მიხაილ ვარძელაშვილი და სხვები.

2. ამავე ტექსტის ფრანგული თარგმანი მოთავსებულია 3 r—6 r-ზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1618 თ

მ. თამარაშვილი —სომეხ კათალიკოზთა სიები. XIX—XX

10 ფ.; 21×13,5; ქაღალდი (ფოსტის); მხედრული; ავტოგრაფი; [XIX—XX ს.].

1. „რიცხვი და სახელები სომხის იმ კათალიკოზებისა, რომლებიც იყვნენ შიზმატიკნი.—1. ნერსეს მეორე (ანუ აშედარაკ). ეს კაცი მეტად ამპარტავანი, თავმოყვარე და დაჟინებული იყო. ამან არ მიიღო ქალკედონის კრების გარდაწყვეტილობა ორ ბუნებაზე...“ 1 r—4 r.

2. რიცხვი და სახელები სომხის იმ კათალიკოზებისა, რომელნიც ყოფილან რომთან შეერთებულნი და ერთგულნი კათოლიკენი.—1. გრიგოლ გამნათლებელი. ამან სილიბისტრე პაპის ნახვის შემდგომ, რომლისაგანაც მიიღო თავის ეპისკოპოზობის დამტკიცება, გამოაცხადა თავისი კათოლიკე სარწმუნოება...“ 5 r—10 r.

1618 ი

არზა. 1824

2 ფ.; 35×22; ქაღალდი; მხედრული; 1824 წ. 2 v

[არზა] „მათს ყოვლად მაღალს და უუწმიდესს საყდრობას და ბრწყინვალე პატიოსნებას უფალსა ჩვენსა ვინჩენციო მთავარსღვეპისკოპოზსა დიდის სიმდაბლით და კდემით მათი ღირსი სიწმიდისაგანი და საუფლო ნათელ მოსვილობისაგან ვითხოვთ ნიშთა მადლთასა... მერმედ მათს უუწმიდესს საყდრობას მივართვამთ ამ ჩვენს მცირე არზასა...“ 1 r—2 v.

შენიშვნა: არზას აგზავნის ტერ ანტონ ხუციანთი ბაროხი ხიზაბავრის სურფ ნიშნისა. 2 v.

1618 ია

მ. თამარაშვილი. მასალები ქართველ კათოლიკეთა შესახებ. XIX—XX

6 ფ.; 26×21; ქაღალდი; აუკინძავი; უყდრო; მხედრული; ავტოგრაფი; [XIX—XX ს.].

„საქართველოს მღვდლები.—1. Don Pietro Iacoba Scivili e Don Giovanni Enibega Scivili თბილისელები. ესენი რომიდგან უნდა წასულიყვნენ თბილისში 1686. ამათი მოსვლის წინაღმდეგი იყო P. Giustino da Livorno (quad. 3, v. 1, p. 108).

2. Don Pietro Giambo. ამას კათოლიკობის დროს ეჩმიაწინში წასულა და ეპისკოპოზობა უთხოვია 1690. (id, p. 138)...“ 1 r—4 r.

„დევნულობა—1. რაჰაში დევნულობა 1756 იქაური არხიეპისკოპოზის მოქცევის გამო (Quad. 1, v. 1, p. 31).

2. დევნულობა საქართველოს კათოლიკოზის მიერ 1670-ში. (id. p. 56)...“ 4 v.

1618 იბ

დოკუმენტების კრებული. XIX—XX

40 ფ.; 13×12; ქაღ.-ლდი; ფუყდო; ქართულ-იტალიურ-ლათინური ტექსტი; გადამწერი მ. თამარაშვილი; XIX—XX ს.).

1. არზა. გამცემი 15 სომხის კათოლიკე მღვდელი, მიმღები—მთავარმართებელი და გუბერნატორი. 1843 წ. ივლისი. (ქართულად). 1 r—3 v.

2. წერილი.—მღვდელმთავარისადმი. წერილი კათოლიკური მღვდლების განაწილებას ეხება. 1848 წ. (ლათინურად). 4 r—v.

3. წერილი. არქიეპისკოპოს კაზიმირ ღმოკოვსკისადმი კარდინალ სოლიასი (Soglia). 1848 წ. (ლათინურად). 4 v.

4. წერილი კაზმ. დმოკოვსკისა პ. შაჰყულოვისადმი. 1849 წ., (ლათინურად). 5 r—v.

5. რელაცია. პატრი ნიკოლო და ბრინჯენტის დროს ახალციხეში ეკლესიის აშენების შესახებ. ცნობები დაწერილი ჯიოვანი ბატტა და როვიგას მიერ. 1640 წ. 7 r—9 r.

6. იმავე რელაციის ქართული თარგმანი. 9 r—11 r.

7. [„პატრი ლუიჯი და პრაგას სიკვდილზე რაც მოხდა“] (იტალიურად). 11 r—14 r.

8. იმავე დოკუმენტის ქართული თარგმანი. 14 r—16 r.

9. ბარდაზის (ბარდუბი?) ციხეში მჯდარ პატრების შესახებ ცნობა, (იტალიურად). 16 r—20 v.

10. იმავე დოკუმენტის ქართული თარგმანი. 21 r—24 v.

11. წერილი ჯამბატა და როვიგოს კარდინალ ანტონელისადმი (იტალიურად). 1787; 25 r—26 v.

12. წერილი კარდინალ ანტონელისადმი (იტალიურად). 27 r—26 v.

13. წერილი კაზმ. დმოკოვსკისა პ. შაჰყულოვისადმი (ქართული თარგმანი). 28 v—31 v.

შენიშვნა: ამ წერილის ლათინური ტექსტი იხ. 5 r—v.

14. წერილი შეიცავს ტყვეობიდან დაბრუნებული კათოლიკე მღვდლების თავგადასავალს (ქართულად). 1774 წ. 31 v—33 r.

შენიშვნა: წერილს მიწერილი აქვს: „ძველი მღვდლების ხელითნაწერითგან გადმოწერილი“. 31 v.

15. ველელების (თუ ვალელების?) წერილი პატრებთან (ქართულად). 24 v—34 r.

შენიშვნა: წერილს წინ უძღვის ცნობა: „ძველათ ველელებისაგან მოწერილი წიგნი პატრებთან. ამის ნამდვილი პირი აქვს უფასს მ ე ს ხ ი ე ვ ს". 33 v—34 r.

16. წერილი ეჩმიაძინიდან მიწერილი ახალციხის პატრებთან. 1766 წ. 34 v—39 r.

შენიშვნა: წერილს დართული აქვს მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი ს შენიშვნა: „ჩვენებური რიცხვით 1766-ში არის ის მოწერილი ეჩმიაძინიდგან ს ი მ ო ნ ე რ ე ვ ნ ე ლ ი კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი ს მიერ".

1619

ფრანგული ტექსტი.

1620

იტალიური ტექსტი.

1621

ლათინურ-იტალიური ტექსტი.

1622

ლათინური ტექსტი.

1623

ლათინურ-იტალიური ტექსტი.

1624

ქრისტეფორე კასტელის ნახატების ზედწარწერები. XIX—XX

14 ფ.; 26,5×20,5; ქაღალდი; უყდრო; მხედრული; [XIX—XX ს.].

„დიდროანი სურათების ზედწარწერა—1. ბიჰვინტის უდიდესი და უძველესი ეკლესია ანდრია მოციქულის მიერ აღშენებული ღვთისმშობლის სახელზედ..." 3 r—14 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. 1. „ზედწარწერებს“ წინ უძღვის მთარგმნელის მ. თამარაშვილის „შენიშვნა“ (წინასიტყვაობა): „ავტორი აქ მოკლეული სურათებისა, ქრისტეფორე კასტელი თეათინელი, საქართველოს მისიონარი, ევროპიდან მოვიდა გორში 1632 წ..“ 2 ს—v.

2. თავფურცელზე წითელი მელნით, ს. გორგაძის ხელით წერია: „ამისი ალბომი იხ. „Antiquités de la Géorgie № 716“. 1 ს.

3. ტექსტი ნასწორებია მ. თამარაშვილის ხელით.

1625

ქრისტეფორე კასტელის ნახატების ზედწარწერები. XIX—XX

15 ფ.; 26,5×20,5; ქაღალდი; უყდო; მხედრული; [XIX—XX ს.].

„დიდროანი სურათების ზედწარწერა.—ბეჭვინტის უდიდესი და უძველესი ეკლესია ანდრია მოციქულის მიერ აღშენებული ღვთისმშობლის სახელზედ. ამ ეკლესიაში ინახება წმიდა მირონი...“ 3 ს—15 ს.

შენიშვნა: 1. „ზედწარწერებს“ წინ უძღვის მ. თამარაშვილის „შენიშვნა“ (წინასიტყვაობა): „ავტორი აქ მოკლეული სურათებისა, ქრისტეფორე კასტელი თეათინელი, საქართველოს მისიონარი, ევროპიდან მოვიდა გორში 1632 წ...“ 9 ს—v.

2. თავფურცელზე ს. გორგაძის ხელით აწერია: „ამისი ალბომი იხილე მხატვრობაში № 716“. 1 ს.

1626

იგრი—ფელეტონი. 1892

4 ფ.; 35×22; ქაღალდი; უყდო; მხედრული; 1892 წ. 1 ს.

„ფელეტონი. გადატანილია თუ არა ჩვენის ქვეყნიდამ უმთავრესი სიწმიდე საქართველოსი—კვართი უფლისა (წმინდა ნინოობის გამო).—საქართველოს ძველს მწერლებს უმთავრეს დიდებად და სიქადულად საქართველოს ეკლესიისა და ერისად მიაჩნდად (!) კვართი უფლისა...“ 1 ს—4 ს.

შენიშვნა: 1. სჰოლიოში წერია: „ეს წერილი დავწერეთ პასუხად მოსკოვის იმპ. მუზ. წევრის ბ-ნ ე. ბელოკუროვისა, რომელმაც 1891 წელს დაბეჭდა წიგნაკი: „Дело о присылке шахом Абасом ризы Господней царю Михаилу Феодоровичу в 1625 году“. 1 ს.

2. ფელეტონი დაიბეჭდა „ივერიაში“ 1892 წ. იანვრის 14, № 9. 1 ს.

1627

ფრანგული ტექსტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1628

ფრანგული ტექსტი.

1629

ფრანგული ტექსტი.

1630

ფრანგული ტექსტი.

1631

გადატანილია რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში.

1632

გადატანილია რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში.

1633

გადატანილია სომხურ ხელნაწერთა კოლექციაში.

1634

გადატანილია სომხურ ხელნაწერთა კოლექციაში.

1635

დავით გურგენიძე. სიტყვები და მოძღვრებანი. 1879—80

68 ფ.; 22,5×18; ქაღალდი; უყდო; მხედრული; 1879—80 წ. (10 r, 67 v).

1. „მოძღვრება დღესა ღვთისმშობლის შობისასა.—არ იქმნება უშესაბამო, ძმანო მართლმადიდებელნო ქრისტიანენო, რომელ ჩვენ მედღესასწაულეთა, დღესა შობისა ყოვლად წმიდისა დედოფლისა ღვთისმშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისათა, მოვიხსენოთ წმინდანი და მართალნი...“ 1 r—6 v.

2. „მოძღვრება ქრისტეს შობასა ზედა.—დიდება მაღალთა შინა ღმერთსა და ქვეყანასა ზ'ა მშვიდობა (ლუკა, 2. 11).—სიტყვანი ესე არიან, ძმანო მართლმადიდებელნო ქრისტ., სიტყვანი წმიდათა ანგელოზთა...“ 7 r—10 v.

3. „მოძღვრება ქრისტეს შობასა ზედა.—რა მივაგო უფალსა, რაოდენი მომცა მე (ფსალმუნი).—დღეს დიდ მღვთის მოწყალებას მოვიხსენებთ ჩვენ, ჩემო კეთილნო მსმენელნო...“ 11 r—12 v.

4. „მოძღვრება მეხუთე კვირიაკესა ზედა დიდ-მარხვისასა.—ძმანო ქრისტიანენო! აი, დიდმარხვა თითქმის ოავდება კიდეცა...“ 13 r—15 v.

5. „მოძღვრება ბაიაობის კვირიაკესა ზედა.—გუშინდელ დღესა, როგორც მოგვითხრობს ჩვენ წმიდა სახარება, ი. ქრისტემ აღდგინა ოთხი დღის მკვდარი ლაზარე...“ 16 r—18 r.

6. „მოძღვრება.—ამ რაოდენიმე დღის ლოცვისა და მარხულობის შემდეგ ჩვენ, ძმანო ქრისტიანენო, უნდა მიეეახლენთ საიდუმლო სინანულსა...“ 19 r—21 r.

7. „მოძღვრება. დიდსა პარასკევსა.—ერთსა წინასწარმეტყველთაგანსა შეემთხვა საოცარი სახილველი...“ 22 r—26 r.

8. „მოძღვრება. [მაზიარებელთადმი.—მიგბაძავ რა კეთილსა და საზოგადო ჩვეულებასა, ყოველსა კეთილგანწესებულსა საზოგადოებასა შინა მიღებულსა, მე, მსმენელნო, მოგილოცამთ...“ 27 r—v.

9. „მოძღვრება მარხეველთადმი.—გულის ხმა მიყავ მე, უფალო, და ვისწაელე მცნებანი შენნი (ფს. 118, 73.).—ყოველსა კეთილ-მოქმედებასა ჩვენსა ზ'ა უნდა მოუწოდეთ შენწირებასა მღუთისასა!...“ 28 r—29 v.

10. „მოძღვრება აბაღლებასა ზ'ა.—ჩინებული და დიდი სიხარულოვანი არის, ჩემო კეთილ მსმენელო, დღევანდელი დღე ესე...“ 30 r—32 r.

11. „მოძღვრება.—იცით თქვენ, მართლმადიდებელნო ქრისტიანენო, თუ რაისათვის ვეწოდებით ჩვენ ქრისტიანენი?...“ 33 r—36 v.

12. „მოძღვრება.—რა ძალიან ძნელი შეიქმნა ცხოვრება ჩვენი ქვეყანასა ზედა...“ 37 r—39 v.

13. „მოძღურება. მოუკლებლად ილოცევდეთ (1 თესალ. 5, 16).—პატ. მსმენელნო! აი, ვითარსა მოწყალესა და სანუგეშოსა მცნებასა გვაუწყებს ჩვენ უფალი ჩვენი იესო ქრისტე...“ 40 r—41 v.

14. „სიტყუა კვირიაკესა ზედა ოცდა მეექვსესა.—ეკრძალებოდეთ უკუე ვითარძი განკრძალულად ხვალთ, ნუ ვითარცა უგუნურნი, არამედ ვითარცა ბრძენნი, გამოიფრდიდით ჟამთა, რამეთუ დღენი ბოროტნი არიან (ეფეს. ე. იე, ივ.)—ესრეთ არიგებდა ოდესმე წ. მოციქული პავლე ეფესელთა ქრისტიანეთა...“ 42 r—45 v.

15. „მოძღვრება ეკლესიაში სიარულისათვისა.—მართლმადიდებელნო ქრისტიანენო! ჩვენ დღეს ვდღესასწაულობთ ყოველად წმიდა მღვთისმშობლის მიძინებასა...“ 46 r—49 v.

16. „სიტყუა კვირიაკესა ზედა ოცდა მეხუთესა—გლოცავ თქვენ მე კრული ესე უფლისა მიერ, რათა ღირსად ხვიდოდეთ ჩინებისა მის, რომლითა იჩინენით (ეფეს. დ. ა.).—წმინდა მოციქულმა პავლემ ჟამსა ცხოვრებისა თვისი-

სასა ქვეყანასა ზედა საჭიროდ ჰპოვა თხოვნა რომელთამე ქრისტიანეთადმი, რათამცა მათ ეცოდინათ ღირსეულად..." 50 r—53 v.

17. „მოძღვრება მას ზედა, თუ რა არის ეკლესია.—სიამოვნებით გიცქერით ხოლმე, ძმანო, ქრისტე, როდესაც გხედამთ, რომ ეგრე გულმოდგინეთ დაიარებით სალოცავად ეკლესიასა შინა უფლისასა..." 54 r—58 v.

18. „სიტყუა ტაძრისა დღეობასა ზედა.—მართლმადიდებელნო ქრისტიანენო! დღეს, როგორც თქვენც იცით, ამ ჩვენი ეკლესიის დღეობა არის..." 59 r—64 r.

19. „მოძღვრება, თქმული ივანე ბლოკვაძის დასაფლავებაზედ.—რა არს ესე ჩვენი, ქვეყანისა ნაშობნო, საიდუმლო, ვითარ მივეცენით ხრწნილებასა, ვითარ შეეყენენით სიკვდილსა.—ეგეშმარიტად მართლმადიდებელო ქრისტიანენო, რომ წინაშე ჩვენსა მომხდარა საკვირველი რამე..." 65 r—67 v.

შენიშვნა: 1. ყოველ „სიტყვას" ბეღს აწერს მღვდელი დ. გურგენიძე.
2. „სიტყვები და მოძღვრებანი" დაწერილია 1878—1880 წლებში. 10 r—67 v.
მინაწერები: „Дозволено Цензурой 3 марта 1881 года..." 1 r და 67 v. (ცენზორის გვარი არ იკითხება).
2. „В сей рукописи шестьдесят семь листов, печатать дозволяется. Протоирей Георгий Хелидзе". 67 v.

1636

სიტყვები და ქადაგებები. 1900

143 ფ.; 22×18 (114 ფ.); 36×22 (115-დან 133-მდე); სხვადასხვა ზომის ქაღალდი აუკინძავი; უყდრო; მხედრული; 1899—1900 წ. (14 v, 10 r).

1. „მცხეთის ათთორმეტთა მოციქულთა სობოროს კანდელაკი მღვდელი გრიგორი რუსიევი. სიტყუა მაზედ, რომელ ყეელანი მოვალენი ვართ შემწყნარებად მიცეცეთ ღუთის ტაძრებს და ამით სარგებლობა შემომწირველთათჳს.—„უკეთუ დაგივიწყო შენ, იერუსალიმ, დაივიწყენ მარჯუენეცა ჩემი". (ფს. 136, 5).—კერპთთაყვანისმცემელნი ბაბილონელები დაეცნენ ურიების სამეფოს..." 1 r—10 r.

შენიშვნა: დაწერილია 1900 წ. 10 r.

2. „მღუდელი ნიკონ სალარიძე. მოძღურება კვირიაკესა ზედა უძღებისასა.—განვიხილოთ, ძმანო ქრისტიანენო, დღეს წარკითხული სახარებისაგან იგავი..." 11 r—14 v.

შენიშვნა: დაწერილია 1899 წ. 14 v.

3. „მღუდელი ნიკონ სალარიძე. სიტყუა ხორციელის კვირიაკესა ზედა.—და მიუგოს მეუფემან მან და რქუას მათ: „ამინ. გეტყუი თქვენ, რავდენი უყა-

ვით ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავით". (მათე. 31) 15 r—18 r.

შენიშვნა: დაწერილია 1899 წელს. 18 r.

4. „მღუდელი ნიკონ სალარიძე. მოძღვრება აღსარების თქმად მომზადებულთადმი თეოდორობის კვირიაკის ოთხშაბათს.—იტყოდე შენ უსჯულოებათა შენთა პირველად, რათა განმართლდე (ისაია 43, 26).—წინასწარმეტყველი ისაია პირისაგან ღვთისა ხშირად აბიძილებდა ურიათა უსჯულოებათა მათთათვის..." 19 r—20 v.

შენიშვნა: დაწერილია 1899 წელს. 20 v.

5. „მღუდელი ნიკონ სალარიძე. მოძღვრება თეოდორობის კვირიაკის შაბათსა ზედა კოლიევს ანუ წანდილის კურთხევის წინად.—ძმანო მართლმადიდებელნო ქრისტიანენო! აწინდელსა პირველსა კვირიაკესა დიდისა მარხვისასა ჩვენში უწოდებენ თეოდორობის კვირიაკედ..." 21 r—23 r.

შენიშვნა: დაწერილია 1899 წელს. 23 r.

6. „მღუდელი ნიკონ სალარიძე. სიტყვა მეოთხესა კვირიაკესა დიდისა მარხვისასა.—„ხოლო თავდმან ჰრქვა მათ: ესე ნათესავი ვერ შესაძლებელ არს განსლვად, გარნა ლოცვითა და მარხვითა" (მარ. 9, 25).—დღევანდელი სახარება მოგვითხრობს ჩვენ, ძმანო ქრისტიანენო, რომ ერთხელ კაცმან ვინმემ მოუყვანა მოციქულთა იესო ქრისტესთა თვისი შვილი..." 25 r—28 r.

შენიშვნა: დაწერილია 1899 წელს. 28 r.

7. „მღუდელი ნიკონ სალარიძე. მოკლე სწავლა დიდ-ხუთშაბათს.—ძმანო მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო!—ვგონებ, რომელ განმავლობასა შინა მთელი წელიწადისასა არ იპოვება არც ერთი დღე იმ ზომად საღმრთო..." 29 r—30 r.

შენიშვნა: დაწერილია 1899 წ. 30 r.

8. „გუნდაეთის წმ. გიორგის ელკესიის მღვდელი სერგი მაჭარაშვილი. მოძღვრება სოფლის მრევლთადმი მუშაობის (ხვნა-თესვის) დაწყების წინ გამზადებულზედ.—სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა. ყოველმა ადამიანმა თითოული თვისი საქმე უნდა დაიწყოს ლოცვითა და ღვთის ვედრებითა, ჯერეთ სურს, რომ ღმერთმა მისი საქმე აკურთხოს და წარმატებით დააგვირგვინოს იგი..." 31 r—32 v.

9. „საუბარი წმ. მთავარმოწამის და ძლევაშემოსილის გიორგის დღესა.—დღეს, ძმანო ქრისტიანენო, წმიდა ეკკლესია დღესასწაულობს წმიდისა, დიდებულისა, დიდის მოწამის, ძლევაშემოსილის და საკვირველთმოქმედის გიორგის ხსენებასა..." 33 r—35 v.

10. „მეტეხის მღვდელი სტ. ბაიდოშვილი. სიტყვა მიმართული მეტეხის საზოგადოებას შობა დღეს 1905 წ.—ქრისტეს მიერ საყვარელო და ძალუნე-

ბურად ჩვენთან გამწყრალო ერო! თქვენ უარს არ ჰყოფთ მსმენელნო, რომ წლევანდელი წელიწადი დღე და ღამ გვპარდება თავისუფლებას..." 37 r—46 v.

შენიშვნა: დაწერილია 1905 წ. 46 v.

11. Метехского Собора свящ. С. Байдашвили. Братское послание Грузинскому сельскому духовенству.—Благодарение Богу, что настало время, когда всюду начали поговаривать о том, чтобы раз навсегда обеспечить сельское духовенство... 47 r—50 v.

12. „მღვდელი იოანნე ოქროპირიძე. სიტყვა დღესა წმიდისა დიდისა მოწამისა და ძლევაშემოსილისა გიორგისსა 23 აპრილსა.—ძმანო მართლმადიდებელნო ქრისტიანენო! დღეს წმიდა ეკლესია დღესასწაულობს..." 51 r—55 r.

13. „მღვდელი ვას. კოზმოვი. სიტყვა ბზობის დღესა.—„ოსანნა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა მეუფე ისრაელისა!" (იოან. XII, 13). მოახლოვდა მაცხოვრის ქვეყნიურ ცხოვრების უკანასკნელი დღეები..." 57 r—60 v.

14. „ვას. კოზმოვი. სიტყვა ქრისტეს აღდგომასა.—„ესე არს დღე, რომელ ჰქმნა ღმერთმან, ვიხარებდეთ და ვიშვებდეთ ამას შინა". (ფსალ. 117, 24).—მართლმადიდებელნო ქრისტიანენო, საყვარელნო ძმანო და დანო!..." 61 r—64 r.

15. „ვას. კოზმოვი.—სიტყვა კვირიაკესა დედათა-მენელსაცხებელთასა.—„და მიუგოს მეუფემან მათ და ჰრქუას მათ:..." (მათ. 25, 40).—დღევანდელ დღეს, კეთილმორწმუნენო მსმენელნო, წმ. მართლმადიდებელი ეკლესია ადიდებს დედათა-მენელსაცხებელთა..." 65 r—68 r.

16. „ვას. კოზმოვი. მოძღვრება კვირიაკესა მეცხრამეტესა. „გიყვარდეთ მტერნი თქვენნი" (ლუკა 6, 35).—ეს მცნება, საყვარელნო ძმანო და დანო, დაგვიტოვა ჩვენ ზეციერმა მოძღვარმა..." 69 r—71 v.

17. „ვას. კოზმოვი. მოძღვრება კვირიაკესა განრღვეულისასა.—„ამისა შემდგომად ჰპოვა იგი (განკურნებული) იესო ტაძარსა მას შინა..." (იოან. 5, 14).—ეს სიტყვები, საყვარელნო ძმანო და დანო, მოვისმინეთ ჩვენ დღევანდელ სახარებაში..." 73 r—76 r.

18. „მღვდელი სერგი მაჭარაშვილი. მოძღვრება ქრისტე მაცხოვრის ხატსა ზედა.—ეკლესიაში, სამეუფო კარის გვერდით მარჯვენა მხარეზე, მოთავსებულია ქრისტე მაცხოვრის ხატი..." 77 r—78 r.

19. „ს. მაჭარაშვილი. მოკლე მოძღვრება იდ-ს სეკდემბერს ჯვართამაღლებასა ზედა.—დღეს, ძმანო ქრისტიანენო, წმიდა მართლმადიდებელი ეკლესია დღესასწაულობს პატიოსნისა და ცხოველს-მყოფელის უფლის ჯვრის ამაღლებასა..." 79 r—80 r.

20. „ვას. კოზმოვი. სიტყვა გარდამოხსნის წინ.—კეთილმორწმუნენო მსმენელნო, მართლმადიდებელნო ქრისტიანენო! ამჟამად ჩვენს თვალ-წინ ჩვენ ვხედავთ მეტად სამწუხარო სურათსა..." 81 r—82 v.

21. „მღვდელი ნესტორ დევიძე. სოფ. ბობოთში ახლად გახსნილ სკოლაში სწავლის დაწყების წინა დღეს სიტყვა.—დიდი ხნის რყევის შემდეგ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძმანო ქრისტიანენო, მოვესწარით ჩვენს პატარა სკოლაში იმ სინათლის აღნთებას, რომლითაც თავი მოსწონს ყველა განათლებულ ვაჟკაცს...“ 83 r—84 v.

შენიშვნა: 1. „სიტყვას“ წინ უსწრებს ავტორის წერილი „სასულიერო მოამბის“ რედაქტორისადმი.
2. დაწერილია 1903 წ. 84 v.

22. „ს. მაჭარაშვილი. სიტყვა თქმული 15 ივლისს, 1902 წ. გუნდეეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ყოვლად სამღვდელო ლეონიდის მობრძანების დროს.—თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ, ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო! გულითადის სიხარულით მოველოდით როგორც მე, ეგრეთვე რწმუნებული ჩვდამი ეკლესიის სამწყსო, თქვენი მეუფების მობრძანებას...“ 85 r—86 r.

23. „სხერტელი. ქრისტეს მეორედ განკითხვა.—იესო ქრისტე გამოიყვანეს დღეს მეორედ დასასჯელად...“ 87 r—102 r.

შენიშვნა: დაწერილია 1905 წ. 102 r.

24. „მღვდელი იოანნე ოქროპირიძე. მოძღვრება აღსარების ლოცვის წაკითხვის შემდეგ.—ძმანო და დანო მართმადიდებელნო ქრისტიანენო! ახლა აწ რაზედ ფიქრობთ, ძმანო და დანო?...“ 103 r—105 r.

შენიშვნა: დაწერილია 1903 წ. 105 r.

25. „მღვდელი პანტელეიმონ გედევანიშვილი. მოკლე საუბარი მაზიარებელთადმი.—ბრძენთათვის არს დრო სიხარულისა და დრო ტირილისა. (სიბრძნე სოლომ.).—ამა ორმეოცისა მარხვის მადლს შეუკრებიხართ თქვენ, ძმანო,...“ 107 r—108 v.

26. „მღვდელი იოანნე ოქროპირიძე. მოძღვრება მეცხრე კვირიაკესა ზედა.—ძმანო მართლმადიდებელნო ქრისტიანენო!...“ 109 r—110 v.

შენიშვნა: დაწერილია 1903 წ. 110 v.

27. „მღვდელი მიხეილ გავაშელიშვილი. მოძღვრება სულის-წმინდის შაბათისათვის.—ძმანო ქრისტიანენო! დღევანდელ დღეს წმ. მართლმადიდებელი ეკლესია ასრულებს ძველთა და ახალთა გარდაცვალებულთა სულის ხსენებასა...“ 111 r—112 v.

შენიშვნა: 1. დაწერილია 1902 წ. 112 v.
2. წერილს დართული აქვს ავტორის წერილი რედაქტორისადმი. 112 v.

28. „მღვდელი რომანოზ ფერაძე. სიტყვა თქმული ახალსა წელსა.—ქრისტეს მოყვარენო მსმენელნო! ღუთის მადლით დავესწარით ახალსა ამას წელსა...“ 113 r—114 v.

29. „მღვდელი იოანნე შიუკოვი. მართლმადიდებელნო ქრისტიანენო! დღეს ჩვენი სამრევლო-საეკლესიო სკოლების ცხოვრებაში ეხედავთ ყველასათვის სასიამოვნო და სასარგებლო მოვლენასა...“ 115 r—v.

30. „მღვდელი იოანნე შიუკოვი. სიტყვა თქმული თელავის საკრებელო ტაძრის სამრევლო-საეკლესიო სკოლის მოწაფეთათვის დღესასწაულსა ღვთისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

31 მარტსა, 1902 წელსა.—უმთავრესი და საიმედო სახსარი ხალხთა ბედნიერებისა არის დედათა სჯულის აღზრდა-განათლება..." 116 r—118 r.

31. „სიტყვა თქმული ა. ი. ნატროშვილის ბიერ მცხეთის სამთავროს მონასტრის იგუმენიას დედა ნინოს დასაფლავებაზედ († 1905 წ. იანვრის 3 დღეს).—ყველა ადამიანი ხომ ერთი არ არის...". 121 r—122 v.

32. „მისიონერი მღვდელი დვ. გოცირიძე. სიტყვა თქმული სამრევლო ეკკლესიაში ახალწლის დღეს. ძმანო მართლმადიდებელნო ქრისტიანენო! საზოგადო ჩვეულებისაებრ დღეის დღეს მართლმადიდებელნი ქრისტიანენი ულოცავენ ერთიმეორეს ახალს წელიწადს..." 123 r—125 r.

33. „მღვდელი ვლადიმერ მაჭარაშვილი.—მოძღვრება ვენახის დანერგვაზედ.—პავლე მოციქულმა, სხვათა დარიგებათა შორის, კოლასელთა მისწერა შემდეგი:..." 127 r—128 v.

შენიშვნა: დაწერილია 1904 წ. 128 v.

34. „მღვდელი აპოლლონ ივანიცკი.—მოძღვრება 1-ს ოქტომბერს, სვეტიცხოველობას (ლოთობასა და ბილწად მოუბრობის წინააღმდეგ).—დღევანდელი დღე, ძმანო ქრისტეანენნო, ყოველად შესანიშნავია:..." 129 r—130 v.

35. „მღვდელი დიმიტრი ლეონოვი. სიტყვა უძღების შვილის კვირიაკესა ზედა.—ძმ. ქრ., გავითვალისწინოთ იგავი უძღებ შვილზედ...". 131 r—132 v.

შენიშვნა: დაწერილია 1902 წ. 132 v.

36. „კორნელი ელიზბაროვი. სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა.—და შევიდა ანგელოზი იგი მისა და რქვა: გიხაროდენ მომადლებულო, უფალი შენთანა (ლუკა, ა, კბ.)..."

შენიშვნა: დაწერილია 1901 წ. 134 v.

37. „აპოლონ ივანიცკი. მოძღვრება 1-ს ოკდომბერს, სვეტიცხოველობას (ლოთობის და ბილწად-მოუბრობის წინააღმდეგ).—დღევანდელი დღე, ძმანო ქრისტეანენო, ყოვლად შესანიშნავია..." 135 r—136 v.

38. „მღვდელი იოანნე შიუკოვი.—სიტყვა დიდმარხვის პირველსა კვირიაკესა ზედა მართლმადიდებლობისასა.—წმ. ეკკლესია დღევანდელს დღეს უწოდებს მართლმადიდებლობის კვირიაკესა..." 137 r—138 v.

39. „მღვდელი იოანნე შიუკოვი [სიტყვა] ...ბზის რტოებით და გალობით: „ოსანა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა..." 139 r—v.

40. „სიტყვა ახალ წლის დღესა ზედა.—უმეცრება გონებრივი და დაცემა ზნეობრივი კაცისა არის მიზეზი მრავალთა ბოროტ მოქმედებათა...". 140 r—141 v.

41. «ნიკო სუხიაშვილი. სიტყვა თქმული დიმიტრი იაშვილის დასაფლავებაზედ». 142 r—143 v.

42. „ვლადიმერ მაჭარაშვილი. სიტყვა თქმული სოფ. კორბოულის ღვთისმშობლის ეკკლესიაში ახალს 1904 წელსა..." 144 r—145 v.

1637

გადატანილია რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში.

1638

გადატანილია რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში.

1639

გადატანილია რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში.

1640

გადატანილია რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში.

1641

დერუჟავინი გრ.—ღმერთი (ოდა). 1825

10 ფ.; 35×22,5; ქაღალდი: სქელი ქაღალდის კანი: მხედრული (რუსულ-ქართული ტექსტი); მთარგმნელი (რუსულ დედნიდან): ივანე ბაზღიძე (2 r); გამლექსავი (ქართული ტექსტისა): მირიან ბატონიშვილი (ირაკლის ძე); 1825 წ. (2 r); დაუწერელია: 1 r—v, 8 v—10 v.

„ღმერთი.—კ. ჰოი, სივრცითა შენ დაუსრულებელო,
ცხოველო ნივთთა მოძრაობათა შორის...“ 3 r—8 r.

შენიშვნა: 1. კანზე დაკრულ ერთ ქაღალდზე წარწერილია რუსულად: „Бог, ода с переводом на грузинском языке“.

2. გ. რ. დერჟავინის ოდის რუსულსა და ქართულ ტექსტს წინ უძღვის: ბ. „Бог,—ода, сочиненная на Российском языке действительным тайным советником и разных орденов кавалером Гавриилом Романовичем Державиным, а с Российскаго на Грузинский язык переведенная титулярным советником Иваном Романовичем Базилдзевым, и в стихах, называемых по грузински „ямби“, изложенная действительным тайным советником и кавалером царевичем Грузинским Мирианом Ираклиевичем, в лето 1825-е, в декабре месяце“. ბ. „ღმერთი—ოდა, რუსულად გაჟღერებული დეისტვიტელნის ტაინის სოვეტნიკის დერჟავინისაგან, ხოლო რუსულისაგან ქართულად გარდმოღებული ტიტულარნი სოვეტნიკის ივან რომანოვიჩის ბაზღიძესაგან და ქართულსა ენასა ზედა თავისუფალ ხამბიკოდ შეწყობილი დეისტვიტელნი ტაინნი (!) სოვეტნიკის, სენატორის და კავალერის, საქართველოს მეფის ირაკლის ძის მირიანის მიერ. წელსა 1825-სა, დეკემბრის“. 2 r.

1642

გადატანილია რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში.

1643

ჟამნი. XVIII

64 ფ.; 16×9.5; ქაღალდი; უყდო; ფრაგმენტი: თავ-ბოლო ნაკლული, მეტად დაზიანებული; მხედრული, სათაურები სინგურით; [XVIII ს.].

»[ჟამნი] ...აღდგომის ლოცვა.—„უფალო! აღახუნე პირი ჩემი“ და სხვა. ძ[დელმა]: „უფალო! გნებავს ჩვენ[!]...“ და სხვა. ცისკრისა ჟამნი.—„მამაო ჩვენო“ და „გახაროდენი“ დი „მრწამსი“, ჩუმათ...“ 1 r—64 v.

შენიშვნა: 1. ძველი პაგინაციის მიხედვით ხელნაწერში დარჩენილა 416—545 ფფ. 2. ტექსტში ჩართულია დარიგებანი: „გალობა და ქაფითულუმ არ ითქმის“ (1 v), „ქაფითულუს და გალობის მაგიერათ ითქმის“. (9 r).

1644

გადატანილია რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში.

1645

გადატანილია რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში.

1646

სპარსული ტექსტი. გადატანილია მუსლიმანურ ხელნაწერთა კოლექციაში.

1647

სპარსული ტექსტი. გადატანილია მუსლიმანურ ხელნაწერთა კოლექციაში.

1648

არაბული ტექსტი. გადატანილია მუსლიმანურ ხელნაწერთა კოლექციაში.

1649

თურქული ტექსტი. გადატანილია მუსლიმანურ ხელნაწერთა კოლექციაში.

1650

სპარსული ტექსტი. გადატანილია მუსლიმანურ ხელნაწერთა კოლექციაში.

1651

სპარსული ტექსტი. გადატანილია მუსლიმანურ ხელნაწერთა კოლექციაში.

1652

სპარსული ტექსტი. გადატანილია მუსლიმანურ ხელნაწერთა კოლექციაში.

1653

სპარსული ტექსტი. გადატანილია მუსლიმანურ ხელნაწერთა კოლექციაში.

1654

არაბულ-სპარსული ტექსტი. გადატანილია მუსლიმანურ ხელნაწერთა კოლექციაში.

1655

ყარამანიანი. 1784-5

172 ფ.; 30×19,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული, სათაურები სინგურით; ხელნაწერი ნაწილობრივ რესტავრირებულია; დაზიანებულია: 14, 18, 28 ფ.; თავკაბმულობა: 1 ტ: მინაწერები სომხურ-ქართულ-რუსულ ენებზე; გადაწერის ადგილი: თბილისი (172 v); 1784-5 წ. (172 v).

«ყარამანიანი». „პირველ ჟამად სპარსეთსა შიგან იყო ჭელმწიფე დიდი, როშელსა ეწოდება თახმურად...“ 1 r—171 v.

შენიშვნა: 1. ტექსტი „ყარამანიანის“ დასაწყისი ნაწილია. შედგენილობითა და მოცულობით ტექსტი მისდევს ნ. ჩ ა ი კ ა შ ვ ი ლ ი ს კრებულში შესულ „ყარამანიანს“ (შეად. A—858, 860, 999).

2. ტექსტი სხვადასხვა ხელითაა ნაწერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ტექსტი ნასწორებია, ჩანაცმატი ადგილები სქოლიოებზეა გატანილი.
4. 97 რ-ზე ანგუანური მინაწერია.

ანდერძი გადამწერისა: „დასრულდა ამბავი ესე, ნუმცა დაესრულებით დიდებითა თქუენითა, თუმცა ყ ა ჭ რ ა მ ა ნ ი ს ამბავი სხუაც მრავალი არის, მაგრამ იმაში ამის მეტი არა ეწერა იმისი ამბავი. ესე კმა საყოფელ იყოს. აღიწერა სეკდემბერსა **იგ**, ჭრისტეს განჴოციელებითგან **ჩლჲდ**, ხოლო ქართულსა ქორონიკონსა **უობ**, სამეუფოსა ქალაქსა შინა ტფილისს. მხედველნო ამისნო, ნუმცა ჰგმობთ მწერალსა ამისსა". 172 რ.

1656

საეტლო და სამთვარიო. XVIII

245 ფ.; 22×18; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტივიფრული ხის ყდა, **დაზიანებული** დაფურცვლილი, ბოლონაკლული; ნაკლულია რვეული **იე**; მხედრული, სათაურები სინგურით; გაჩინა მრავალი ჩანახატი და ტაბულა; [XVIII ს.].

[საეტლო წიგნი] „ქ. დასაწყისი პირველი ფილასოფოსთაგან. კაცი რომელს ეტლზედ დაიბადება. ქ. წმიდა იობ ბრძანებს, რამეთუ ყოვლის კაცისა ჴელზედან შეეტყობის თვით ყოფიერნი საქმენი, რასაც იქმოდის..." 1 რ—245 ვ.

წ ყ დ ე ბ ა: ...თებერვლის თვეს: თვეზი ა, ერკემელი ბ, დეკეული **დ**, ტყუბი **ვ**, კიბორჩხალა **ტ**, ლომი **ია**, ქალწული **იდ**, სასწორი **ივ**, მორიელი **ით**, მშვილდოსანი **კა**, თხის რქა **კვ**, წყლის საქანელი **კე**, თევზი **კზ**,..."

შენიშვნა: 231 რ-დან 245 ვ-მდე ზოდიაკოების პირობითი ნიშნების ტაბულებია.

1657

კრებული. 1816—17

87 ფ.; 20,8×15; ქაღალდი, თეთრი და ლურჯი ფერის; ტყავგადაკრული ტივიფრული ხის ყდა; მხედრული, სათაურები ასომთავრული სინგურით; გადამწერი—იოსტოს; თარგმნილია რუსულიდან; დაუწერელია: 46 ვ-დან 49 ვ-მდე. 1816—17 წ. (46 რ).

1. [სასულიერო რეღლამენტი პეტრე დიდისა]. „ნაწილი პირველი. თუ რაჲ არს სულიერი კოლლეღია და რომელნი არიან საჭირონი მიზეზნი ამის მმართებლობისანი.—კოლლეღია მმართებლობითი არა სხუა რაჲმე არს, არამედ შეკრებულება მმართებლობისაი..." 4 რ—46 რ.

შენიშვნა: 1. რეღლამენტი შეიცავს შემდეგ ნაწილებს: „ნაწილი **ბ**. საქმენი განმგებლობისადმი ამისა შესაბამნი". 8 რ—31 ვ; „ნაწილი მესამე—თუთ მმართებელთა თანამდებობისა საქ ისა და ძალისათჳს". 31 ვ—34 ვ; „დამატება მოწესეთა კანონთათჳს ეკლესიისა მოყვასთა და მონაზონთა წესთასა". 35 რ—46 რ.

2. ტექსტს წინ უძღვის: **ა**. რუსული გამოცემის წინასიტყვაობა 1 რ—2 რ. **ბ**. „ფიცი წევრთა სულიერისა კოლლეღიისათა". 2 რ—3 ვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდერძი გადამწერისა: „დაიბეჭდა წელსა იუნისს მოსკოვს, და დავით გარეჯის მონასტერში დაიწერა, ხოლო უფროსღა დაიჭდება წელს 1817“. 46 r.

2. „სამუილ რაბინ იუდიანი.—ოქროს აღნაქესი.—თავი ა. მისთვის ვიჭარმედ რაჲსთვის იყოფებიან ღ[ა]ისა რისხუასა ქუშს იუდეანნი.—მჰსურს, უფალო ჩემო, რათა შენ მიერ უწყებულ ვიქმნა დამტკიცებითა სჯულის წინასწარმეტყველთა და სხვათა წერილთაგან...“ 53 v—87 v.

შენიშვნა: 1. წინ უძღვის: ა. რუსულ ენაზე გადმომლების მღვდელ-მოწაზონ ვარლაამის წერილი მუყემსთავრისადმი. 50 v—51 r; ბ. „აღნიშუნა“ (წინასიტყვაობა) 52 r—v.

2. თავდურცელზე სწერია: „ოქროს აღნაჭუსი, სამუილ რაბინ იუდიანისაგან მეორედ გადმოღებული სანკტ-პეტერბურღს, ყ[ორ]ორინის ნების სტამბასა შინა დაბეჭდილ 1782 წელს. უწმიდესის სინოდის მბრძანებლის წევრს, მაღალ ყოვლად სამღუდელოს გაბრიელს, არხიეპისკოპოსს დიდის ნეოღოროდისა და სანკტ-პეტერბურღისას და წ[ი]ს სამების ალექსანდრე ნევსკის მონ[ა]სტრის არხიმანდრიტს, მისს მაღალ ყოვლად სამღუდელოებას უმ[ო]წყალეს მწყემს-მთავარს“.

ანდერძი (ქართულად გადმოღებისა დიმიტრი ბაგრატოვანისა): „მკითხველთათჳს. ჩემგან ამ წიგნის თარგმნა შეუძლებელ იყო სალმრთოს წერილის ენის გამოუცდელობით, გარნა მ[ა]მიდის ჩემის მეფის ქაიხოსრო[ს] ასულის თხოვაბრძანებამ ვერ ურჩ ვქმენ, ვინაიმთგან დიად სურვილი აქუნდა რუსულისაგან ქართულად გადმოღებისა და ამისთჳს, წაბაძულბუღმან სხუათა ქ[რ]ისტიანეთა მთარგმნელთაგან, არღ რა ვჰრიდე ლექსთ შეუწყობლობის ყუ[რ]ადრებ[ა]სა, რათა იდიდოს ადრითგანვე მორწმუნეთა ჩემთა ერთჳსებულთაგან...“. 51 v.

ანდერძი გადამწერის: „მე დავშუთრ ამად,
ერთი მწ. მს სამად,
სულად, ძედ, მამად,
იუდელთ ვამად.

წიგნი ესე აღვწერე იოსტოს. წელს 1816“. 87 v.

1658

ორბელიანი, სულხან-საბა—ქართული ლექსიკონი. 1716

305 ფ.; (ძვ. პაგინაციით—633 გვ.); ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა ხის (ზედა ყდა გატეხილი, ყდის შიგნითა არეზე გაკრულია ვახტანგის სტამბის „წინასწარმეტყველთა“ წ[ი]გნის ნაბეჭდი ფურცლები); თავში აკლია 8 ფ.; შიგნით—2 ფ. (591—592, 595—596 გვ.): ამოვარდნილია: 1—10, 107—113, 284 ფ.ფ.; დაბეჭდულია: 1, 2, 73, 104 ფ.ფ.; ხელნაწერის მაოცვენა კიდეები ჩამოჭრილია; მხედრული; 1715 წ. 10.VIII—1716, 20. I. (301 v); ავტოგრაფი: ადგილი—„კოსტანტინეპოლე“ (301 v); ნახაზები და სქემა: 154 r („ნათესავი“), 235 r („ქარი“).

„...ადრაზაგად: ზავთით: || ადრაგუნი და ნასრანი ყვავილები ა[რს]: || ადრე: მალესავით, გინა ჩქარასავით: || ადრიანდელი: პირვანდელივით: ჩქარქმნილი: || აედონი: იადონი: || აელება: ქმათ შეწყობა: არმონია: || აემანი: მასპინძლობა...“ 1 r—300 v.

შენიშვნა. 1. ხელნაწერის ავტოგრაფიულობის ვარაუდი პირველად ა. შანიძემ გამოთქვა. (იხ. ს. ორბელიანი. ქართული ლექსიკონი. 1928 წ. გვ. XVI, სქოლიო 2).

შემდეგ, მეტი კატეგორიულობით ალ. ბარამიძემ. („ს. ს. ორბელიანის ავტოგრაფი ფიული ლექსიკონი“. „ენიმკის“ მოამბე. V—VI, გვ. 109—114).

2. ტექსტს აკლია: **თავში**—„შესავალი“ [„სახელმძღვანელო წიგნი ანბანის შესასწავლად“], ლექსიკონის ტექსტის დასაწყისი (ა—ადონიას). **შიგნით**: „ჰ“ ასოზე—„ჰეველი—ჰიერუვება და ჭიანტელი—ჭურჭელი (დაცულია ამ სიტყვის განმარტების ბოლო ნაწილი). (ნაბეჭდი 1928 წ. გ-მის 445—447, 448—449 გვ.).

3. ტექსტს ცართული აქვს: **ა**. ავტორის ანდერძი (Curriculum vitae) 301 r—v. **ბ**. „იესო ქრისტეს სამოციდათორმეტით მოწაფეთა საზეგები და ვინ იყვნენ და სად ეპისკოპოს იქმნნეს“. 302 r—303 r. **გ**. „მოჴელენი, რომელნი არიან ქართულნი და რომელთამე არღარა ჴწრდენ და დავიწყებიეს და სხვა თურქთა ენათაგან მოულიეს მისდა ნაცვლად“. 303 v—304 r. **დ**. „დასაბამიდამ ქრისტეს მოსლამდე ქართულის რიცხვით გარდავჴდა...“ 304 v. **ე**. [ავტორის ლექსი]—„ამ ლექსიკონის რიგები თუ ბრძენმა დამიწუნოთა...“ 305 r. **ვ**. „[განჴაგებ]სა და მისის თამაშობის სახელები ქართულად და თათრულად“ (ქართული სახელები გადასულია). 305 v.

ანდერძი (ავტორისა): I „ამა წიგნისა მომლაჴეებელსა სულხან საბა ორბელიანს ლოცვით მოიწყინებოდეთ, მეფის არჩილისა და მეფის გიორგისა და ბატონის ლეონის დედის ძმის წულსა, საქართველოს მსაჴურთ ის პატრონის ორბელის ძესა. ამათ მეჯეთ ბრძანებითა აღწერა ესე წიგნი, ფრიადითა შრომითა და ჴუდჴუნებითა. რამეთუ ქართლის ქეყანას ლექსიკონი ადარ იპოებოდა და ოცდაათს წელიწადს ძველ შეაწყო განმარტებით, რამეთუ ერისაგანი იყო და წარჩინებული და სოფლისა საქმისაგან უცაღო იყო. მაშინ ქორანაკონი იყო ჩქმე. ამისა შემდგომად მონორაზ იქმნა და გარეყჴის მრავალმთის წიდის ნათლიმცემლის მონასტერს დაადგრა, ქორანაკონს ჩქეს, მარტს] იწ მონორაზ იქმნა. ქორანაკონს ჩღი, დეკენბერს ა ხვარასანს წავიდა,—მეფე ქაიხოსრო ს ემო და ფებერვალს ოცს გამოისტუმრა მრავლის ნიშითა. მაის ია ქართლს მოვიდა. ქორანაკონს ჩღიბ, აპრილს 23 ისპასან წავიდა, მეფე ვახტანგს გაჰყვა. ბ ნოემბერს გამოაბრუნეა. დეკენბერს ოცს ქართლს მოვიდა. ქორანაკონა ჩღიგ, აგვისტოს იზ საფრანგეთს გაიპარა, ფრანცა, ჴეიცარია, სიცილია, რომი ნახა. ფრანციის მჴეე, რომპაპი, კრანდუკა უცხოთ კარგად დახვდენ. ყოველი კაცი გაჰკვირდა. რაც იმ ქვეყნებში უცხო და ძვირად სანახავი იყო, ყველა აჩუენეს. [რომ]პაპამ წიდის ჴვარის ნაწილი, წიდა კლემენტოს მოწამის თავი და სხვა მრავალი ნაწილი უბოძა, იო მარიამობისთვეს გამოისტუმრა. გზებზე წიდა სახლი და მრავალი წიდა ადგილები მოილოცა. კნ ღვინობის თვეს მალთას მოვიდა. ო დეკენბერს ფრანციის მეფის ხომალდი მოუვიდა, წამოვიდა. ქორანაკონსა ჩღიე, იანვარს ით კოსტანტინეპოლეს მოვიდა. იქ დაყვიანა ის წელიწუად. ფრანციის დესპანისა იდგა ჴელს შეწყობითა, იქ იწყო წერად ლექსიკონი ესე აგვისტოსს ათსა და ქორანაკონს ჩღივ, იანვარს ოცს გაასრულა. დაბადებულა სულხანსაბა ორბელიანი ქართულის ქორანაკონს ტმვ, ოკდომბერს კდ, რომ ლათინურად ოთხი ნოენბერი იქნება, დღესა კვირიაკესა, ჟამსა შუალამისასა“. (629—630 გვ.) 301 r—v.

აქვე, სხვა ხელით: „კ-დ მკვოვნებისა ჟამსა მეფეს ვახტანგს წარჰყვა ხახაროეთს და პეტერბურ-ის ქალაქს მიიცვალა იანვარს კ-ს უოგ“.

II. „ამ ლექსიკონის რიგები თუ ბრძენმა დამიწუნოთა,
ჩემს დროს ვეძიე, ვერ შევხედ თჴვეთანას დასარწმუნოთა].
ეს რა შევკრიბე, მიქებდეს მაშინ აწ დასამგუნ[ოთა],
და ყურდგლის გამდერეკსა ჴორჴს ძაღლს არ სდებენ [საძაბუნოთა].
აჴ ლექსიკონი არ იყო, დაცაჰკარგოდათ ქართვე[ლთა],
უკრძალველობით ფურცელი გაებნიეაყე ქართ ვე[ლთა]
ახლად შეჴკრიბე, შევაწყვე, ჩემი ვიშრომე სულ ხანი
და საბამან ორბელიანმან, ვის ერად მერჩვა სულხა[ნი]“. 305 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინაწერები: 1. ტექსტის ხელით: „თ. მოურნე მარიამ. განსწმედს ვეცხლისაებრ ბერ[ოა]“ „ი. მკნედ არს მიუწევნელ მოსავთა მის თა მწედ“. „კაცი გ. კნეზი კ'დ. ადეგ, ბეკან, შავი ცხენი კიტას მიეც“ 305 r.

2. სხვა ხელით: „ჭ. ვაბტანგ მეფის ნათქვამია ეს.

ქ. რადგან დაშურა ასრე საბა, ქება მმართებს აწყა მეც[ა],
შეუფერია მრავლად სიტყვა, რა ვიხილე, სიბრძნე მეც[ა].
სად ვნახვედი ასრე კრებით, ქვეყნად მცელო გინდა მე ცა,
და საქმით სცანით, თუ ვისწავლი, ვით ვანალული კიდეც მეც[ა]“. 305 r.

3. ბესაროონ გაბაშვილის მინაწერი: „ქ. მე იობის ნათსავი, გაბაონელიძე, ძე მძღურისა ზაქარია... ოდეს ვიყავ წლისა კ', მაშინ ვცხოვრებდი იმერეთს, მახლობელ ბ[ედისა] სოლომონ ძლიერისა და განმახლებელისა მეფისა დავით ანისა. რამეთუ ამას შინა ჟამთა წარვივლინე ვსენებულისა ამის მეფ საგან ერანად, შირაზ ქალაქად, ქარიმხან ზანდისა თანა და წარსულმან ავგვალე რაჰით... [მთანი] მყინვარნი და მოვედ დიგორს, ოვსეთს. ხოლო მუნით... იად მცირე და განვისვენე მოსკოვს მ... აგვისტო იყო მაშინ კ', ხოლო მუნით[ა] ყიზლარად და ყიზლარით ასტარხანს. ათცხრაჯერ ოდენ დღე მუნ დავდეგ. და ასტარხნით შთავჯედ ხვამ[ა]ლდსა ზღვისა, ჭირით და ღელვა-გემულობით [დ]ია. მეათცხრამეტესა დღესა შინა, წყლისა მოზიარი, განვედით [ადგილსა გილანისასა და მიველდით ქალაქსა, რომელსა ეწოდების რაშტი... მეცა, წარსულმან მუნადღმა მეევსესა დღესა შინა ყასმან ქალაქსა ორი დღე დავყავ. ხახშინით მეორეს დღეს საჯა (!) ქალაქსა ერაყიასსა ერთი დღე განვისვენე და მუნით ყუმს. მესამე დღესა შთავედით ჰალაქსა] დიდსა და მდიდარსა ქალაქსა, სამდღე დამვანებელთა. ორ დღე შემდგო... ...მოწ... საკვირველსა და ფრიად...“ 305 r—v.

1659

სამართლის წიგნები. XIX

239 ფ.; 30×22; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტყიფრული ხის ყდა; მხედრული, სათაურები სინგურით; დაუწერელია: 163 r—v, 202 r—203 v; [XIX ს.].

1. «სამართალი მოსესი».—„დაბადება. მცნება ღ'თისაგან სამართალი მოსესი. ა. თავ უყავ მამასა შენსა და ედ გამცნო შენ უფალმან ღ'ერთმან შენმან, რა კეთილი გეჭყოს შენ...“ 3 r—10 v.

2. «სამართალი ბერძნის».—„ლეონ ბრძნისა და კოსტანტინესა და სხუა თა მეფეთა მიერ მართლ-მადიდებელთაგან თქმული და განწესება სჯულის კანონი მეფეთა და სამართლისა მოსამართლეთათჳს, რათა რაოდენიცა ეწეროს წიგნსა ამას შინა, მცირედიცა არა განვაგდოთ, არამედ ყოველივე ვისმინოთ და ვჰყოთცა:—ა. რომ მოჰჭედს და დადგეს მსაჯულად კაცი ვინმე სასამართლოდ კაცსა ზედა, უკეთუ ენებოს კაცსა მას მსაჯულად სახელის წოდება, ამა წესთა და რიგთა ნუ განაგდებს...“. 11 r—61 r.

3. «სამართალი სომხისა».—„ესე წიგნი არს დიდისა სომხეთისა სამართლის წიგნთა ზედა გარდმოთარგმნული და ეწოდების სახელად წიგნი სამართლისა...“ 62 r—139 r.

4. «სამართალი კათალიკოზისა».—„სახელითა ღ'თისათა მე ქრისტეს მიერ კურთხეულმან, ყ'ლისა საქართველოსა კათალიკოზმან პატრიარხმან მალაქია, მე ქრისტეს მიერ კურთხეულმან აფხაზეთის კათალიკოზ მამათმთავარმან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევდემონ დავსხედით და შემოვკრიბენით ყოველნი ეპისკოპოზნი აფხაზეთისანი..." 140 r—141 v.

5. „ძეგლის დადება მეფით-მეფის გიორგის მიერ.—ა. ჩუენ მეფით-მეფემან გიორგიმ, ძემან ყოველთა შორის წარჩინებულისა მეფეთ-მეფის დიმიტრისამან, დავსდევით ძეგლი განაჩენი ესე მას ჟამსა ოდეს შევედით მთიულთა შიგან..." 142 r—147 v.

6. «სამართალი აღბუღასი».—„შევიყარენით ჰოლთა მინდობილნი ღ[თი]სანი და აწყვერისა ღ[თის]მშობლისანი და გაქცევისა. ა.—დავიდევით წინა პატრონისა პაპისა ჩემისა მანდატურთა უხუცესის ბექას განაჩენი, და იგი აგრეც სრულობით და უკლებლად დავსწერეთ..." 148 r—162 v.

7. «სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა».—მჰყოფისა უმჰყოფისა, არსისა და უარსისა და მაარსისა მქები, არათუ ღირსად და შეძლებისა ჩემისაებრ მქებელი და მმონებელი, უდებად მჰქონე მპოვნელ ვიქმენ, ვითარცა მეფენი დღითი დღე მრეველნი ჴელთა მარგალიტთა შინა და პოებენ მძივთა რათამე..." 164 r—201 v.

შენიშვნა: 1. დართული აქვს სამართლის ყველა წიგნის მუხლებრივი საძიებელი. 204 r—211 v.

2. საძიებლის დასაწყისის გასწვრივ მოხატულ ჩარჩოში ჩაწერილია: „წ[უ]ლ[უ]კიძ კ[ა]ზ დავით". 204 r.

3. მუხლებრივი საძიებელი ცხრილში მოთავსებული. 212 r—237 v.

4. ყველა ფურცლის r-ს ზედა ველზე მიწერილია; „კურთხეულმცა არის განმგებელობა ვახტანგისა".

ანდერძი (გადამწერისა): „კანონი ესე ვახტანგისა გარდავსწერე სხუათა რეულთაგან ბრძანებითა თავადის დავით კ[ა]ციას ძის წ[უ]ლ[უ]კიძისათა მღუდელმან პეტრე ქუთათელაძემ და მასვე უძღვნე, გარნა გთხოვ მორჩილად ყოველთა აღმომკითხველთა და ღირსთა განმანათლებელთა, თუ რამე ამაშიდ ნაკლულევანება და შეცთომილება ჰპოოთ—ნუ განმბრახებავთ, ვინადგან პირველი ესე არს ჩემ მიერ შემთხვევა კალმის გამართვისა. მღუდელი პეტრე ქუთათელაძე" 211 v.

1660

ოთხთავი. X (ძველი ჯრუჭი)

297 ფ.: 26×21; ეტრატი; ტყავგადაკრული ხის ტვიფრული ყდა; ორივე ყდის შიგნითა მხარეზე გადაკრულია პირისფერი თხელი აბრეშუმის ქსოვილი. ზემო ყდა შემკულია ვერცხლის სამსჭვალებით გაკეთებული ჯვრებით; ერთი, დიდი ზომისა, შუაგულშია და ორი პატარა—ყდის ზემო კუთხეებში (ქვემო კუთხეებზე ჯვრების მბოლოდ ნაკვალევია დარჩენილი). დიდი ჯვრის შუაგულში კრისტეს ჯვარცმის გამოსახულებაა. მცირე ჯვრების შუაგულში თვლების ცარიელი ბუდეებია; ასომთავრული (სათაურები სინგურით); თავსაკლული; შიგადაშიგ აკლია ფურცლები; ამოვარდნილია 97-ე ფურცელი, რომელიც ჭაღალდზე XVIII ს. ნუსხურით არის აღდგენილი; ტექსტში მრავალი გვერდი გაცხოველებულია ასოებზე მელნის ხელმეორედ შემოვლებით; ამოვარდნილია ფურცლები: 1, 2, 6, 7, 8, 14, 92—93, 107,

6. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. IV.

113, 136, 143—4, 196, 201, 202, 228—29; აკინძის დროს არეულია გვერდების თანმიმდევრობა 10 r-სა და 12 r-ს შორის; 936 წ. (291 r); მომგებელი—გრიგოლ მირდატის ძე (291 r); გადამწერი—გაბრიელ (291 r); ხელნაწერს გააჩნია მოხატული კანონები: 2 r—5 v; მინიატურები: 6 v, 7 r, 92 v, 93 r, 143 v, 144 r, 228 v, 299 r; ხელნაწერი ჩამოტანილია ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ჯრუჭის მონასტრიდან 1919 წელს.

„[სახარება მათესი].—...[ბა] ბილოვნისათ ვიდრე ქრისტესადმდე ნათესავი ათოთხმეტ...“ მ. 1, 17. 8 r—290 v.

შენიშვნა: 1. ტექსტს დართული აქვს სახარების საკითხავების საძიებლები 292 r—297 v.

2. ამ ძეგლის სრული აღწერილობა ანდერძებისა და მინაწერების დართვით და მინიატურებისა და კანონების ფოტოპირებით გამოცემულია (იხ. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია. აკ. შანიძის გამოცემა. თბილისი. 1945 წ გვ. 017—032).

3. მინიატურები შესრულებულია „ქ ა მ ა რ ა თ ა მ წ ე რ ლ ი ს თ ე ვ დ ო რ ეს მიერ“. (1 v).

1661

სვინაქსარი. 1156

340 ფ.; 25×18; ეტრატი; ტყავგადაკრული ხის ყდა; ნუსხური, სათაურები სინგურით; გადამწერი—ხუცეს მონახონი უცნად მჩხრეკავი გიორგი დოდისი (338 v); ადგილი—იერუსალიმის ჯვარის მონასტერი (438 v); 1156 წ. (338 v); ჯვარის გამოსახულება (3 r); ხელნაწერი ჩამოტანილია ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ჯრუჭის მონასტრიდან 1919 წელს.

„სჯნაქსარი. რომელ არიან კრებანი და წესნი და განგებანი დაწესებულნი წმიდათა მღდელთ მოძღრთა მიერ, რომელსა შინა წერილარს ეკლესიისა საწელიწდოჲ განგებაჲ ფსალმუნებისათჳს და გალობისა და ჴოვნისა კითხვისა და თუ რომელსა დღესა მოვიცლით, ანუ თუ რომელთა წმიდათა ვსენებასა დავაცდებთ ჟამთა ლოცვასა და მუხლთა დრეკასა და კ ლ დ წერილ არიან ცხორებანი და წამებანი დღითი დღედთა წმიდათანი სულ მცირედ და შემოკრებილად, რათა არა ფრიადი სიმრავლე წერილისა იქმნას.

თ ლ ა სეკდენბერსა აქუს დღე ლ, დღეთა აქუს ჟამი იბ და ღამეთა ჟამი იბ.

თ ლ ა სეკდენბერსა ა. გჳრგჳნი წელიწადისაჲ, დაწყებაჲ ინდიკტიონისაჲ და ჴსენებაჲ წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ...“ 4 r—329 v.

შენიშვნა: 1. ტექსტს წინ უძღვის სვინაქსარის გამოყენების წესი: „უწყებაჲ ჯერ არს, რამეთუ საუფლოთა დღესასწაულთა, რომელ არიან: ქ ე შობაჲ, განცხადებაჲ, ზ ხობაჲ, ამაღლებაჲ..“ 2 v.

2. სვინაქსარს დართული აქვს საძიებელი: „საზეელი და რიცხჳ დღესასწაულთაჲ და თუ რომელთა დღეთა შინა დაცადების საქმე თითოეულისა თჳსაჲ [ე]სრეთ გუშუწყოს...“. 329 v—335 v.

3. ხელნაწერის აღწერილობა ანდერძებისა და მინაწერებითურთ გამოქვეყნებული (იხ. ელ. მეტრეველი. იერუსალიმის ერთი ხელნაწერი. აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახ. მოზეუმის მოამბე, XV-B. გვ. 37).

ანდერძი მთარგმნელისა (გიორგი მთაწმიდელისა): „დიდებაჲ ღმერთსა, მადლი ღმერთსა, კურთხეულ არს ღმერთი. დასრულდა განგებაჲ თუეთა წელიწდისათაჲ მოსაჴსენებელითურთ თითოეულისა წმიდისაჲთ. ღმრთისათჳს ლოცვა ყავთ გლაბაკისა გ ი ო რ გ ი ს ა თ ჳ ს, რომელნიცა იკითხვიდეთ, გინა სწერდეთ, რამეთუ ღმერთმან

იცის, ფრიადი ღუაწლი და ჭირი უნაბავს ამისსა თარგმანსა სალხინებელად ცოდვათა ჩემთა და მოსაკუნებებელად სულიერისა მოძღურისა ჩ[ე]ნისა გიორგი[ს]ა, რამეთუ შემდგომად ღ[მ]თისა იგი არს მიზეზი ყოველისა კეთილისაჲ და მათითა ბრძანებითა და მადლითა და ლოცვითა მითარგმნიან ესე სალმრთონი წიგნი. ჴსენებულმცა ვართ წ[ა]ა ლოცვათა თ[ჳ]სთა ჩ[ე]ნ და მშობელნი და ძმანი ყოველნი და თ[ჳ]ნცა ღ[მ]ა მოგცეს წყალობაჲ დღეს მას დიდსა განკითხვისასა ა[ა]ნ. და ესე უწყოდეთ, დაღაცათუ ნაწროჲი უნდოდ აჰ[ჰ]ებს, არამედ დიდად მიზეზებია სიმაროლე და სიტყჳსა არა შეცვალებაჲ, ამისათჳს, რამეთუ ფრიად საკრძალავი წიგნი არს და სულთა სარგებელი და ეკლესიისა წინაშეძღუარი უცთომელი და საქმეთა სულიერთა და შუენიერთა მომთხრობელი და გულთა ჩ[ე]ნთა ლმობიერი მყოფელი და ღ[მ]ერსსა წმიდათასა მაუწყებელი, რომელი დღესამომდე სასმენელთა ჩ[ე]ნთა არა სმენილ იყო და არცა თუ ბერძენთსა უფროჲსთასა, რამეთუ სოფია წ[ა]ს არს და საპატრიაქოთა ეკლესიათა და მთაწმიდას ესევითარი სჴნაქარი. უცბად წერილთჳს შემინდვეთ". 263 v—264 r.

ანდერძი გადამწერისა: „ლოცვა ყავთ, წ[ა]რნ პატიოსანო, მ ა მ ი ს ა გ ი ო რ გ ი ს ა თ ჳ ს, ამის წიგნისა მთარგმნელისა, შეუნდეს ღ[მ]ერთმან. დაიწერა წიგნი ესე წ[ა] ქალაქსა იერ[უ]სალმს, მონასტერსა შინა ჯ[უ]რისასა, ჴელითა უცბად მჱხრეკელისა, ფრიად უღირსისა ხუცეს მონაზონისა გ ი ო რ გ ი დ ო დ ი ს ი თ ა. სრულ იქმნა ღ[მ]ერსა წ[მ]ინა მოსაჭესენებელი ესე წიგნი ბერძენთა ზედა მეფობასა მ ა ნ უ ე ლ ი ს ი ს ა, ქართულ—დ ი მ ი ტ რ ი ს ი ს ა ჲ, იერ[უ]სმს—ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი ს ი ს ა ჲ, დასაბამითგანნი წელნი იყვნენ ხ[ილ]ნ და [ქორონიკონი ტოგ]". 338 v.

მინაწერები: 1. „ესე უწყოდით ყოველთა ქართველთა ღ[მ]ერთისგან, მეფეთაგან, სურ[ა]თაგან მოცემული და ნაბოძვარი აღდგომის სალოცავ ჴელისი და სახლი, სადა არს ადაჳის თხემი გოლგოთა. ჯ[უ]რს ჯ[უ]რი დასხით, საკარობიღეს საპყრობილე დასხით. გარდამ[ჳ]სა (!) და სახლი ბირჭას ზედა. ორი სახლი არის,—ფრანგთაკენ მათი და ამიერ ჩ[ე]ნ, ორი კარი აბია. აღდგომისა კართა ზედა მარჯ[უ]ნით ჩ[ე]ნა ჴედმაჲ. საფლავზედა ჭ[ი]დ[ა]ვს, რომე ენთებოდეს ნ[ი]ადაგ, თავით ორი კანდელი, სხუაგან თჳთო. წიგნები ყჳალი უკლებად ძეს. ნუ ვინ გაიღოთ, დაკრულვილ არის. ესე ცხრეთ მცსა მამათგან და დავწერე ა ღ დ გ ო მ ე ლ მ ა ნ მ ა ხ ა რ ე ბ ე ლ მ ა ნ: ჯ[უ]რისა დასუენებაჲ კარზედა ყოველთა კ[რ]იაკეთა და დღესასწაულთა ჩ[ე]ნეა. სახელითა ღ[მ]ერთა, მამისა, ძისა და წ[მ]დისა სულის[ა]თა მე ა ღ დ გ ო მ ე ლ მ ა ნ მ ა ხ ა რ ო ბ ე ლ მ ა ნ წიგნი გავჴსენე საქართველოს ზეთისათჳს ხ ე ლ ს ა წინაშე და მას გამოეგზავნა ასი ფლური ქ[ა]ლ საფლავისათ[ჳ]ს და ჯ[უ]რეთა დიაჰ[ჰ]ირეს და მონასტერმან: მ[ა] მ[ა]ნ პ ა მ ე ნ, მოძღ[ვრ]მან ი[ო]ე, კანდელაკმან ნ ი კ ო ლ ო ზ და სრულად კრებულთა და ჴელოსანთა კელ[ა]რმან ე ვ ჳ ი ნ ა რ და მეწისქჳლემან, ყოველთათჳ დაგუჩინეთ ზეთი თორმეტი ლიტრაჲ, ყოველთა წელიწადთა მიეცემოდეს ქ[ა]ს საფლავსა ჯ[უ]რსა მონასტრისაგან და ვინცა აღდგომელი იყოს ანთებდეს ერთსა კანდელსა დღე და ღამე დაუსჳებლად ქ[ა]ს საფლავსა ზედა და არავინ მუშაღოს არცა შეცვალოს ხელასათჳს სადამდის ესე ჯ[უ]რისა მონასტერი ეგოს და მონაზონნი იყუნენ". 3 r.

2. (ჯვარის მარჯვენა მხარეს): „არის შ ე ლ ა ს შემოწერილი ყოველივე ფლური სამოც და სამი ჯ[უ]მლად სრულად. დიდებაჲ ღ[მ]ა, ყოველისა კეთილისა მიზეზსა და წ[მ]ა ცხოველსმყოფელსა პატიოსანსა გოლგოთასა, რომელსა ზედა ჯ[უ]რს ეცუა ქ[რ]ე ღმერთი ჩ[ე]ნი, რომელისა წყალობითა ღირს ვიქმენ მე უღირსი შ ე ლ ა მღდელმონაზონი აღდგომელობაჲსა და შევწირე წ[მ]ა ამას გოლგოთასა ერთი ბარძიმი ვეცხლისა, ორი თეფში, ერთი წუ[ა]წუმა სახედაში, ერთი კოჭა, ერთი კამარა, ერთი სატფობი—ესე ვეცხლისა არის, ოთხი სპილენძის სასანთლე, ერთი საყრაყი, ერთი კანდელი შემოვსწირე წ[მ]ა გოლგოთასა სალოცველად და სარობად ცოდვილისა სულისა ჩ[ე]ისა. აწ რამანცა კაცმან ჴელყოს ამისი გამოწერვა, რანიცა წ[მ]ნი ამა სჳნაქარშიგა სწერიან, ამათთამცა მადლითა კ[რ]ულია და წ[მ]ა ზჳდთა კრებაჲთაჲსნ მ[ა]დარი და ცოცხალი და ჩემთამცა ბრალთა მზღუ[ა]ლარს წინაშე ღ[მ]ისა, და შემჱდომად ჩ[ე]ნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ სწნი იყვნენ აღდგომელნი გევედრები, რათა ლოცვა ჰყოთ ჩემთჳს, რათა თ̃ქნა სასყიდელი გაქუნდეს კ̃ს მ̃რ ა̃ნ". 3 v.

3. (ჯვრის მარცხენა მხარეს). „ამა წიგნისა შემკაზმავსა ტ̃უნისძესა ა̃ნთი-მოსეს და მისთა დედა-მამათა შ̃ნეს ღ̃ნ". 3 v.

4. [სახელითა მამისათა და ძისათა და სულითა წმიდისათა ა̃ნ] „აჰა მოვიდა მაწყენელი პიმენ მას ჟამსა ოდეს თემურ დიმაშში აიარა და ჯ̃რსა სახლი აშლით ა[ა]ოჯრეს და დაჭირებჳს ზეთი და ცალი შემოსწირა და ანაონ აღდგო... და გაიჩინა სინაქსარსა ზედა სალოცავი, შ̃ნ ღ̃ნ მარტსა ა. მასვე დღესა იყიდა ვენახი და შეწირა აბესალომ ლომინაძემა ქრისთეს საფლავსა. ამა პირსა ზედა ვისცა ასე ვენაჳი ჰქონდეს, დაუკლებელად თორმეტსა ლიტრასა ზეთისასა მოსცემდეს აღდგომელსა და აღდგომელმან ანთოს ერთი კანდელი დაუსებლად და ვინცა ესჳ შეცვალოს, შენი ქ̃ო, რომელმან ეკალი დაგადგა და ძმარი მოგიაყრა და მას გჳგერდიც მო...ლე ამყოფე და მას საუკუნესა მას აბესალომის და მისისა გვარის ნუქფად გაიკეთოს (!)". 2 r.

5. „წელთა დასაბამითგან ქ̃რ̃ე, ქ̃ნსა ხმიე მოვიდა შაქარიშვილი მონაზონი ფილიპე წ̃დად იწ̃ლიმად, ჩ̃ნ ჯ̃რელთა მამასა და ძმათა და აღდგომელსა სრულ ჭირვეულთა მოგუაბარა კანდლისათჳს ასი ნაღდი ფლური სურბანის შვილის თამახის სულისათჳს. რაც ჭელისაგან გამოუვიდოდა სხვაჲც ბევრი კარგი საქმე ქნა ჯ̃რის მონასტერში. ჩ̃ნ ერობილთ ქარაველთა დაუკიდეთ დიდებულსა და შესაძრწუნებელს გოლგოთას ერთი კანდელი. არას ჟამში, სადამდის ქართველნიბაჲ იყოს, არავინ მოუშალოს. უკე დღე და ღამე დაუვსებელად ენთებოდეს და მისი სული წირვაზე იჳსენებოდეს, თამაზ ყოფილის თაგეთზ ჩ̃ნდნეს ღ̃ნ, ამისი გამთავე და დამამტკიცებელი ღ̃ნ აკურთხოს". 63 v—64 r.

6. „საბჭელითა ღ̃ისათა შეიკაზმა წ̃ჲ ესე სინაქსარი და შეიკრა ჭელითა უბნელ მთავარ ეპისკოპოზისა ვლასისითა სალოცველად და სადიდებლად მამისა ჩ̃ნისა ტ̃ფილელ მთავარ ეპისკოპოზისა ბარნაბასთჳს და სალხინებელად სულისა ჩემისა და ყოველთა ქრისტჱს მიერ ძმათა ჩ̃თა სულიერთა თანა, და აწ გევედრებით ყოველთა, რომელნიცა მიემთხჳნეთ წ̃თა ამათ წიგნთა, რა ლოცვა ჰყოთ ჩ̃ნთჳს და შენდობით მოგჳსჭნოთ, რათა თ̃ქნცა ჰპოოთ შენდობაჲ შეცოდებაჲთა თ̃ქნთა თუ კ̃ცთმოყვარისა ღ̃ისაგან. შეიკაზმა წ̃ჲ ესე სინაქსარი ქ̃ჯსა ხნ̃ჱ, დასაბამიდგან წელთა ჯ̃ოჲ, კ̃ს მოსლვითგან ჩ̃ფო. ესე წ̃ჲ წიგნი წ̃ისა გოლგოთისა არს, ძმანო, უწყოდეთ". 339 r.

მინაწერები: 1. ... სირ უგ და ყ̃ნი [მოყვარენი] მისნი". 1 r.

2. „ჯ̃რო პატიოსანო ჯ̃ე შეიწყალე ესაია და ჯ̃ლნი მისნი". 1 r.

3. „ჯ̃რო პატიოსანო შეიწყალე ძმაჲ ჩ̃ნი ჯოფრე ფაუსათ". 1 r.

4. „ო̃ შეიწყალე სინენბრინ და მოდეარ ჯ̃ირაოდ". 1 r.

5. „ჭ̃. მოჳსე გ̃ ბილმ..." 1 r.

6. „ჭ̃. ჯ̃ო განმაცხოველებელო ადიდე და შეიწყალე ე̃. ე̃. ფილიპე, ელისაბედ, ელენე, სტეფანე და მამაი ელისაბედისი ოდი და დედაი მაბილა და პაპი ფილიპესი გ̃ი". 1 v.

7. „ჯ̃რო პატიოსანო ადიდე და შეიწყალე სირ პერ კუმანდური ტაძრელთა". 1 v.

8. „ჭ̃. შე ძმაჲ პერი ტაძრელთა". 1 v.

9. „ქ̃ე ლო დაიცევ ძმაჲ ჩ̃ი პერია... დედაჲ მისი ბასილა და მამაჲ მისი პელნ̃". 1 v.

10. „შე ღ̃ო შენ ძმაჲ ჩ̃ნი გჳლიამ პატერა და დედაჲ და მამაჲ მისი". 1 v.

11. „ო̃ ღ̃ო დაიცევ და შეიწყალე ძმაჲ ჩ̃ნი [სირ] სიშოდ სილგილამ დელოლველ". 1 v.

12. „ქ. ო ლო შეიწყალე სირ ვიოდრიშ“. 1 v.

13. „ქ. რაუ, გილა, ასქით[ან], ასილინი, ჯუან, ელისაბედ-ი ე“. 1 v.

14. „სირ უდრი და მაჰად მოიჯსენენ ორ“. 1 v.

15. „სირ რაო და მიქაელ ორ შენ და ი ნე“. 1 v.

16. „ქრისტოდულ ეკონომი მოიჯსენე ორ ჩნი ძმაჲ“. 1 v.

17. „სირი ჯილიბედ მოიჯსენე ორ“. 1 v.

18. „ქ. ჯრო პატიოსანო შე და დაიცევ სირ არბერდ ბჭე და ძმაჲ ტაძრელთა ჯუან“. 1 v.

19. „ქე ორ შეიწყალე გრიგოლ, ძმაჲ მის კოსტანტინე და დედაჲ მათი მარიამი“. 1 v.

20. „ღდგომელსა ბართლომეს და მისთა მშობელთა შნ ღნ“. 2 v.

21. „სულს ზაქარიას შეუნდეს ღნ ან“. 6 r.

22. „სულს მარიამისა შნდეს ღნ ან“. 42 r.

23. „ქ. კოპაძის ასულსა ც რუთის და მისთა მშობელთა შეუნდევ ღო...“ 50 r.

24. „სულს ზაქარიასი შეუნდეს ღნ ან და მის ბღესა მარიამს შნ ღნ ან“. 1 v– 62 r.

25. „ამ თვესა, ამ დღეს და ამ ჭორონიკონს ჩყვ იერუსალიმს მდვიდი მე ფრიად ცოდვილი და უღირსი იმერელი ბერი ლავრენტი. ღო, შე ლავრენტი. ქე შე მე ცოდვილი და არა ღირსი წყალობისა იორდანე, მამუკა და სვიმონ. ვსენიც შე ორ“. 66 v–67 r.

26. „ამ თვეს ამილახორი მი[ი]ცვალა ანდრია, ღნ შნ. მისა მეუღლესაჲ დესპინა ხათუს შეუდესა ღნ ან. მთარჲსა სულჲსა მლოცველსაჲ რეკისჲ შეუნდე ღნ ან. ვინცა ბრძანოთ თჳრცა“. 112 v.

27. „წრო გრიგოლ, მიხსენ ყამაა მეორედ მოსვლისასა ცოდვილი გრიგოლ წერეთელი“. 118 r.

28. „მონოზონი ლავრენტი შე ქე ობითა მამისა პროტორესითა და ყოველთა წმინდათა ამინ“. 126 v.

29. „ცოდვილს მონაზონს რუთის და მისთა მშობელთა შეუნდნეს ღნ და მისი მელქაზედეგ და მისნი შვილნი უცოცხლე ქრს საფლავის მადლო“. 152 r.

30. „ამ ქნკს ჩყვ, ამ დღეს, ამ თვეს იერუსალემს ჯვარის მონასტერში დავდექი მე ფრ ცოდვილი და უღირსი ბერი, არაღირსი მღდელობისა, მღდელ-მანაზონი ლავრენტი გოგელაძე, ბერი ოკრიბელი. ქე შე ლავრენტი ან, აქა ჩყვ ვარ არაღირსი“. 165 r. ანალოგიური—179 r, 234 r, 339 r.

31. (ლავრენტის ხელით): „ეფთიმეს მამის სახელი ერისკაცობას აბულერით. თუ გინდა ნახე ივბისსა ოდ“. 180 r.

32. „ქ. ღმერთო შეიწყალე ყრ სამღდელო გენათელ მიტროპოლიტი ეფთვიმ ე“, 339 r, ანალოგიური—339 v.

33. „ქ. ჭორონიკონ ჩყიბ ჟამი იყო, იმერეთი გასწყვიდა და სანიშნე[ე]ლი სრვა იყო, რომ დასაბამიდგან არა ყოფილა“. 339 r

34. „გეცვდრები, ძმანო, შენდობასაჲ ჰყოფდით ცოდვილისა ურბენელისა ვლასესთჳს და მშობელთა მისთათჳს და საბრალოთ მის ძმათათჳს, რათა თრქნცა შრნს ღნ ან. ღნ იცის ბევრი ჭირი ვნახე ამის კაზმაშიგა. თუ რამ დამეშალა—ნუ დამწყევთ, ცოდვილი ვარ“. 339 v.

35. „ღმერთო შეიწყალე მესტამბის შვილი დავით“. 339 v.

36. „ღ-თო და წ-შიდაო გოლგოთა, ჯუარო პატიოსანო, შეიწყალე ზაქარია ყიც[ა]რიძე, დედ-მამა მისი შეიწყალე. ღ-თო ვინცა ბრძანოთ... თჳრცა შეგინდოს ღ-თმან“. 339 v.

37. „ღ-ო შეიწყალე ცოდვილი რუთი“. 339 v.

38. „ჩყკᲘ წელს, ივლისის ¤Გ-სა მიიცვალა ამიერ სოფლით საუკუნოდ ჰყონდიდელ-მიტროპოლიტი და კავალერი, ს'დ სამენგრელოს მწყემსთ მთავარი დადიანის კაციას ძე, სამოცდა ხუთისა წლისა, დღე სთნდებოდა რა ორშაბათი. ამის წინას დღეს წაართვეს ფოთის ციხე ოსმალთა, მხედართმთავრობითა ლევან გრიგოლის ძის დადიანისა და ლენერალ მაიორის ლიგუსათა (!), რომელიც ეპყრათ ციხე ესე მაჰმადიანთა ას ოც წელ". (საცავი ფურცლის r).

39. „ამავე ჰორონიკოთ, ამავე ივლისის კᲘ-ს, დღე სთნდებოდა შაბათი, გარდაიცვალა ქუთაისს თ'ი პოლკოვნიკი და კავალერი მდივანბეგი ქაიხოსრო პაპუნას-ძე წერეთელი, ორმოცდა მეათეჲსმეტსა წელიწადსა შ'ა მყოფი, დაიმარხა ჯრუჭის მონასტერში ¤ აგვისტოს. საუკუნოცა არს ხსენება მათი". (საცავი ფურცლის r).

40. „ჩყკთ-სა წელსა, ფებერვლის Ბ-სა, შაბათს საღამოს მირქმას გარდაიცვალა იმერეთის მეფის დავითის ასული მ'ე ხათუნ სიმონ წერეთლის, ზურაბ სახლუხუცეს ძის, მეუღლე და დარჩა ორი ძენი და ორნი პატარა ქალი". (საცავი ფურცლის v).

1662

კრებული—სწავლანი. 1040

274 ფ.; 24,5×17; ეტრატი; ტყავგადაკრული ხის ყდა; ნუსხური; სათაურები სინგურით; გადამწერი—გრიგოლ ხარტონწმიდელი (273 v); ადგილი—პალავრა (274 r); დაწერილია 201 v; დახარისებულია: 1, 273—74 ფ.ფ.; ამოვარდნილია—273 ფ.; 1040 წ. (274 r).

1. „თქუმული წმიდისა ღუანე ოქროპირისაჲ შიშისათუის ღმრთისა და სინანულისა"—სწავლასა ჭეშმარიტსა გუასწავებს ჩ'ნ დავით წ'წმ'ყლი და იტყუის..." 1 v—15 r.

2. „თქუმულ'ი მისივე მოთმინებისათუის და ამის სოფლისა აღსასრულისათუის და მოსლ'ისათუის უფლისა ჩ'ნისა ჲ'ჳ ქ'ესა მეორედ განსჯად ცხოელთა და მკდართა წიგნის კითხვისათუის და დაყუდებისა, გუაკურთხენ ო'ო. ქრისტე შეიწყალე მღდელი გრიგოლი და შეუნდეენ ცოდეანი ა'ნ.—ცხორებაჲ ყოველთა წმიდათა მართალთაჲ მოთმინებითა განწუენებულ და განბრწყინებულ არს..." 15 r—34 r.

3. „თქუმული მისივე მარხვისათუის.—რა ჟამს იმარხვიდე შ'ნ ჭაკაც, საზრდელი იგი, რომელი მოგებედოს შენ დღესა მისთუის, მისგან ნაწილი უყავ გლახაკთა..." 34 v—36 r.

4. „თქუმული მისივე მარხვისათუის და გაწმედისათუის სულისა და ძუირუჴსენებელობისათუის, გ'კ'ნ ო'ო.—ვითარცა იგი, რომელნი ასპარეზსა ცხენთასა ერთიერთსა უსწრობენ და განსხცრებიედ და სარგებელი ვერაჲ პოვან მათ...". 36 r—60 r.

5. „თქუმული მისივე დაბადებულისათუის და წინაჲთვე განჩინებულისადა ბოროტისა, ვითარმედ არარაჲ არს. ქ'სნ.—მრავალნი კაცთაგანნი იტყუიან, ვითარმედ წერილ არსო კაცსა ზედა წინაჲთვე განჩინებული ღ'თისა მიერ კეთილი, გინა ბოროტი..." 60 v—65 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. „სწავლაჲ მისივე სინანულისათუის, გუაკურთხენ ო̃რ.—ფრიად ვცოდავთ, ძმანო ჩემნო საყუარელნო, ყოვლადვე გონებითა სიტყუითა და საქმითა...“ 65 v—75 r.

7. „თქუმული მისივე სინანულისათუის და ლოცვისა მოუწყინებელად თავი მეშუიდე გ̃კ̃ზ̃ ო̃რ.— ძმანო საყუარელნო, მოვისწრაფ̃თ ტირილით სინანულად...“ 75 v—84 r.

8. „თქუმული მისივე წყალობისათუის ღ̃თისა. თავი მერვე.—წყალობასა და სამართალსა დღითი დღედ გაქებდე შენ ო̃რ...“ 84 r—88 v.

9. „თქუმული მისივე თარგმანებაჲ ჲოვნე მახარებლისაჲ და პავლესი. ამიერითგან ყოველსავე ვიქმოდეთ, რომელსა შემძლებელ ვიქმნეთ...“ 88 v—97 r.

10. „თქუმული მისივე სინანულისათუის.—გევედრები თ̃ქ̃ნ, ძმანო ჩემნო საყუარელნო, რათა იქცეოდით წინაშე ქ̃ს̃ა, ღ̃თისა ჩ̃ნისა...“ 97 r—110 r.

11. „თქუმული ̃ისივე მოწყალებისათუის მდიდრისა მისთუის დალაზარესთუის გლახაკისა. თავი ი̃ა.—საკ̃ყ̃არელნო, სამოთხესა შინა მრავალფერნი ჴუავილნი არიედ მდიდრად...“ 110 v—120 r.

12. „თქუმული მისივე სოფლისა ამის წარმავალისათუის სიკუდილისათუის და სასჯელისა. თავი მეთორმეტე. იხილეთ საყუარელნო, რომელთა დაგიტევებიეს ზრუნვაჲ ამის სოფლისაჲ წარმავალისაჲ...“ 120 v—131 v.

13. „თქუმული მისივე სიტყუისა მისთუის მოციქულისა, რომელ თქუა, ვითარმედ ქ̃ნ მშუიდობა ყო სისხლითა თუისითა ცათა შინა და ქ̃ყნასა ზედა. თავი ი̃გ̃.— მოვედით ძმანო ჩემნო და გამოვიძიოთ სიტყუაჲ იგი მოციქულისა პავლესი, რომელ თქუა...“ 131 v—138 v.

14. „თქუმული მისივე სინანულისათუის.—ისმინეთ, საყუარელნო, სიტყუაჲ ღ̃ისაჲ, რომელი განგაღუიძებს თ̃ქ̃ნ უდებებისაგან თ̃ქ̃ნისა...“ 139 r—149 v.

15. „თქუმული წ̃დისა ბ̃ასილი ეპისკ̃პ̃ოზისაჲ სინანულისათუის და სიკუდილისა. თავი ი̃ე.—არა არს საშინელ კაცთა მბრძოლთათუის არცა მახუილი, არცა ლახუარი, ვითარ იგი ჟამი სიკუდილისაჲ ცოდვილთათუის...“ 149 v—163 r.

16. „თქუმული მისივე შურისათუის და სახე სინანულისაჲ მორწმუნეთათუის. თავი მეთექუსმეტე. გუაკურთხენ ო̃რ.—ვითარცა რაჲ ორბი იგი სპეტაკი ჲპოვების ყოველადვე ადგილთა სულმყრალთა და მწინკულევანთა და ერიდების იგი ბოსტანთა და სამოთხეთა და ადგილთა სურნელთა და ეგრეთვე მწერთა დაუტევნიან გუამნი სურნელნი და ცოცხალნი და დაეხუინიენ წუთხსა წყლულებათასა, ეგრეთვე მოშურნენი...“ 163 r—173 r.

17. „სწავლაჲ წ̃დისა ეფრემისი მონაზონთა მიმართ და მარტოდ მყოფთა. თავი ი̃ზ̃.—სწავლამან ძისა ღ̃თისამან განანათლა ყოველი სოფელი და იხილა სოფელმან გზაჲ ცხორებისაჲ, რათა ვიდოდის მას შინა...“ 173 r—186 r.

18. „თქუმული მისივე თარგმანებული მეექუსისა ფსალმუნისაჲ მარხვისათუის და სინანულისათუის. თავი მეთურამეტე. გუაკურთხენ ო̃რ, გ̃ზ̃ე.— ჳ, კრებულნო მორწმუნეთანო საყუარელნო, ისმინეთ თქუმული ესე შემოსლვისათუის წ̃თა მარხვათაჲსა...“ 186 r—192 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

19. „თქუმული მისიცვე სიყუარულისათუის და სინანულისა. თავი ით.—ძმანო ჩემნო საყუარელნო, ნუმცა რაჲ აღგუირჩევიეს ცხორებასა ამას ჩრნსა ჳფროჲს სიყუარულისა...“ 192 r—201 v.

20. „თქუმული მისივე სინანულისათუის ჯრისა და პარასკევისა და კუირაკისა.—საყუარელნო, რომელთა გნებავს მონებად ორისა, მოიგეთ შიში ღთისა ყოველთა დღეთა ცხორებისა თქნისათა...“ 200 v—204 v.

21. „თქუმული მისივე სიცილისათუის და უჯეროდ განცხრომისა. თავი ოცდამე ა.—პირველი მონაზონისა სულისა ოჳრებაჲ სიცილი და განცხრომაჲ არს ჵ, მონაზონო!...“ 205 r—209 v.

22. „თქუმული მისივე უკრძალულობისათუის. თავი ოცდაპირველ. გუაკურთხენ ორ.—რომელი არა ეკრძალებოდის თავსა თუისასა, სწლაფრ (!) ეუფლნიან მას საქმენი სიკუდილისანი...“ 209 v—211 v.

23. „თქუმული მისივე სინანულისათუის. თავი კდა მესამე. გუაკურთხენ ორ.—მო-ოდესმე-ვიდა ერთი ვინმე ძმათაგანი და ჰრქუა წსა ეფრემს...“ 211 v—216 r.

24. „სწავლაჲ მისივე სინანულისათუის.—ჯერ არს ჩნდა, რათა ჰწუხდეთ მას, რამეთუ შეთხზულებაჲ ესე ცხორებისა ჩნისაჲ დღითი-დღე დაჲშალების...“ 216 r—223 r.

25. „თქუმული მისივე მხილებისათუის თავისა თუისისა და აღსარებისათუის ცოდვათა, რომელნი სიმდაბლით აჩემნა თავსა თუისსა. კე.—ვაჲ, ჩემდა საწყალობელისა, რომელი ესე ვიკითხავ დღითი-დღე დაბადებასა...“ 223 r—227 r.

26. „თქუმული მისივე დიდების მოყუარეთათუის მხილებაჲ. თავი კვ.—გაუწყებ თქნ, ძმანო ჩემნო საყუარელნო, რამეთუ ღუაწლსა შინა მწუხარებისასა მოწყლულ ვარ...“. 227 r—237 v.

27. „სწავლაჲ მისივე მონაზონთათუის და სინანულისა. თავი კჳ. გუაკურთხენ ორ.—რომელსა ჰნებავს სენაკსა შინა განსუენებაჲ, ნუმცა ემღერიან მას ეშმაკნი...“ 237 v—246 r.

28. „სწავლაჲ მისივე სინანულისათუის და სიმდაბლისა. თავი კზ. გუაკურთხენ ორ.—ნეტარ არს კაცისა მის, რომელმან გულისჴმა ყოს უძლურებაჲ თუისი...“ 246 r—248 v.

29. „თქუმული მისივე სავსე ცხორებითა. გუაკურთხენ ორ.—ჵ, კაცო უძლურო, უკუეთუ გნებავს პოყნად ცხორებაჲ, მოიგე სიმდაბლე...“. 248 v—254 v.

30. „თქუმული მისივე სიკუდილისათუის და გამოსლვისა სულისა ჴორცთაგან.—ვაჲ ჩნდა შენ მიერ ჵ, სიკუდილო, რამეთუ თანამდები ხარ უწყალოჲ...“ 254 v—264 r.

31. „სინანული მისივე, ოდეს იგი ტირილით ამხილებდა თავსა თუისსა და გლოით იტყოდა, გუაკურთხენ ორ. თავი ლა.—ჵ, სულო ჩემო, რაჲთუ ღირსთა საქმე წარმართებულ არს და საქმენი შენნი სირცხუილეულნი კუალად ქცეულ არიან შენდავე...“ 264 r—269 r.

32. „თქუმული წ̃დისა აბრაჰამ მონაზონისაჲ.—არა ჯერ არს ჩ̃ნდა მონაზონთა, რამცა მივსცენით თავნი თუისნი ნებასა ჯორცთა ჩ̃ნთასა...“ 269 v—271 v.

33. „ამონაის სიტყუანი. ოთხნი საქ[მენი] არიან, უკუეთუ ამათგანი ვრთიცა იყოს კაცისათანა, ვერ შემძლებელ არს იგი კეთილისა რაჲსამე საქმედ და არცა შეჲწირავს ღმერთი ლოცვასა მისსა...“ 272 r—273 v.

შენიშვნა: ტექსტს წინ უძღვის გადამწერის წინასიტყუაობა, რომელიც გადასულია, იკითხება მხოლოდ ცალ-ცალკე სიტყვები (1 r).

ანდერძი (გადამწერისა): 1. „ჭრისტე შეიწყალე მონაჲ შენი მღდელი გ რ ი გ ო ლ ი ა ნ“. 273 v.

2. „სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წ̃მიდისაჲთა და მადლითა ადგომისაჲთა და მეოხებითა წ̃მიდისა ღ̃ისმშობელისაჲთა და ძლიერებითა ცხოელსმყოფელისა პატიოსნისა ჯუარისაჲთა, მეოხებითა წ̃თა მთავარანგელოზთაჲთა და სერობინ-ქერობინთაჲთა და ყოველთა წ̃თა ანგელოზთა შენთაჲთა და წ̃დისა ი ე ნათლისმცემელისაჲთა და წ̃თა დიდებულთა მოციქულთაჲთა და წ̃თა მღდელთ მოძღუართაჲთა და მოწამეთაჲთა და წ̃დისა სტეფანესითა და ნეტარისა [მამისა ჩ̃ნისა] ხარიტონ მოწამისა და მოღუაწისაჲთა და ყოველთა წ̃თა და ნეტართა მამათაჲთა მე, გლახაკმან და ფრიად ცოდვილმან გ რ ი გ ო ლ ხ ა რ ი ტ ო ნ წ მ ი დ ე ლ მ ა ნ, მოვიგე წმიდაჲ ესე წიგნი სარგებელად სულისა ჩემისა და სალოცველად სულისა მშობელთა და მოძღუართა ჩემთასა და ყოველთა მიცალებულთა ჩ̃თასა, ძმათა და ყოველთა შემოვედრებულთა ჩ̃ნთასა. აწ ლმობიერად გეველ̃რები, წმიდანო ღ̃ისანო, ვინცა იმსჯერებდით წ̃სა ამას სულთა განმანათლებელსა წიგნსა, მოიკსენეთ სულნიცა ჩ̃ნნი წ̃სა ლოცვასა თ̃ქნსა, რათა წ̃დითა ლოცვითა თქუენითა ვპოვოთ ლხინებაჲ დღეს მას შინა საშინელსა, ოდეს მიაგებდეს ო რ ი და ღმერთი ჩ̃ნი ჲ ჳ ჭრისტე კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ და თ̃ქნცა ო რ ნ დაგიცვენინ, მკითხველნი და მსმენელნი ყოველნი ერთობით, ა ნ.

დაჲწერა წ̃ჲ ესე წიგნი საყოფელსა შინა წ̃დისა მამისა ხ ა რ ი ტ ო ნ ი ს ა, პ ა ლ ა ე რ ა ს, ძუელსა მონასტერსა, კელითა ფრიად ცოდვილისაჲთა, ქრონიკონსსა ხჲ. ჩანს ჩ̃ჩერკილი, დაისაჯებოს გლახ მჩხრაკალი (!). ჰ. ულხინე, ო ო სახიერო, დაკლებისათუის და უცბად ჩ̃ჩერკისათუის შემინდევით, ყოველთა დაგჯჯეროს ღ̃ნ“. 273 v—274 r.

3. **ანდერძი** (შემწირველისა): „სახელითა ღ̃ჲთა მე, ბერმან გ რ ი გ ო ლ, შევწირე წ̃ჲ ესე წიგნი თქუენი წ̃ისა ო ნ ე ი ო პ ი რ ი ს ი ს მონასტერსა დედათასა დ ე რ ტ ა ვ ს სალოცველად სულისა ჩემისა, მშობელთა და შვილთა სულიერთა და ყოველთა თჳსთა ჩემთა და ვინ რ̃აცა მიზეზითა იკადროს და გამოაკუას მუნით, ანუ ერთმანერთსა დაუყენონ, კანონი არს მას ზედა შეუწდობელი ღ̃ისაგან და ჩ̃ნგან მიწ̃კე, ა ნ. და ვინ კეთილად იმსჯოფოს, ჯ̃ი აჭუს და კურთხევაჲ“. 274 r.

მინაწერები 1. (XV—XVI საუკუნის ხელით): „ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი რუთი და მელქიზედეკ, და მისნი შვილნი უცოცხლე“ 42 v, 48 r, 69 r 274 r, ზედა ყდის შიდა მხარესა და ქვედა ყდის შიდა მხარეზე.

2. ჲ̃ წ̃ჲ ესე წიგნი სულთა განმანათლებელი—სწავლაჲ ო ნ ე ი ო პ ი რ ი ს ა—შევსწირეთ მონასტერსა ჯუარჯისასა ჩ̃ნ, გენაეთელ მიტროპოლიტ მან ბატონიშვილმან იოსებ, ვინც გამოსწიროს, წ̃ის სამებისაგან შეჩ̃ნებულ იყოს, ჩ̃ღე“. 269 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1663

კრებული. XI

342 ფ.; 25,5×19; ტყავგადაკრული ტყიფრული ხის ყდა; ეტრატი; ნუსხური, სათაურები სინგურით; ნაკლული ფურცლები აღდგენილია „ზახარიას“ მიერ: ფ.ფ. 1, 56, 184—189; რესტავრირებულია: ფ.ფ. 2, 25, 26, 63, 147, 168, 184, 240—43, 342; ბოლონაკლული; [XI ს.]; ხელნაწერი ჩამოტანილია ეკვთიმე თაყაიშვილის მიერ ჯრუჭის მონასტრიდან 1919 წელს.

1. „თ“ იანვარსა კა და აგვსტოსა იგ.—ცხორებად და მოქალაქობად აღსარებისა (!) მართლისა სარწმუნოებისა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩ“ნისა მაქსიმესი, გ. მ.—მრავლისა ქებისა და ფრიადისა შესხმისა ღირს არიან მოყუარენი ღირსნი და მოღ“წენი სათნოებისანი...“ 1 r—57 r.

2. „სიტყ“სგებად, რომელი იქმნა შორის წმიდისა მაქსიმესსა და პიროს კოსტანტინეპოლელ პატრიაქისა მწ“ვალებელისა.—ოდეს იგი პიროს კოსტანტინეპოლელ პატრიაქი განიდევნა კოსტანტინეპოლით ბოროტთა საქმეთა მისთათ“ს და წარვიდა ჰრომს...“. 57 r—73 v.

3. „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩნ“ისა მაქსიმესი ნეტარისა თალასეს მიმართ ხუცისა და მამასახლისისა მრავალთა მონასტერთაჲსა სიტყ“ვათათ“ს, რომელთად განმარტებად ეთხოა მას ნეტარისა მაქსიმესგან.—სანატრელსა მონასა ღ“თისასა თალასეს, ღირსსა მღდელსა და მწყემსსა პირმეტყ“ლთა ცხოვართასა, მაქსიმე გლახაკი მონაზონი ო“ისა მიერ გაკითხავ...“ 73 v—269 r.

4. „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩ“ნისა მაქსიმე აღმსარებელისად სიტყ“სგებისათ“ს ვნებათაჲსა მიწ“რილი მამისა თალასეს მიმართ, გ. მ.—შემკობილსა ყოვლითა სათნოებითა და მუშაკსა სულიერისა მის ქყ“ნისასა, მწყემსსა პირმეტყ“უელთა ცხოვართასა, მონასა ღ“თისასა თალასეს...“ 269 r—283 r.

5. „ნეტარისა მამისა ჩ“ნისა მაქსიმესი სწ“ავლაჲ ბ. ბრძოლათათ“ს სიძვისათა, გ. ო“ო,—მშობელი სიწმიდისა არს მარხვაჲ, ხოლო ნაყოფიერებად დედად არს სიძვისაჲ...“ 283 r—285 r.

6. „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩ“ნისა მაქსიმესი სიტყ“სგებაჲ გულის-სიტ“ყთა მიმართ სიძვისათა. თავი პირველი.—გულის-სიტყ“სა მის მიმართ, რომელი აჲძულებენ ხედვად პირთა მავნებელთა და განცდად სახეთა აღმზრზენელთა ვნებისათა და გონებით აღასრულებენ ცოდვასა...“ 285 r—294 v.

7. „საკითხავი გ. თ“უმული ვეცხლის-მოყუარებათ“ს.—ვეცხლისმოყუარებაჲ ძირი არს ყოველთა ბოროტთაჲ...“ 394 v—395 v.

8. „სიტყ“სგებაჲ გულის-სიტყ“თა მიმართ ვეცხლის-მოყუარებისათა. თავი პირველი. გ. ო“ო.—ვითარმედ ჯერ არს და სამართალ წ“ყალობაჲ ძმათა გლახაკთა და დავრდომილთა...“ 295 v—304 r.

9. „საკითხავი დ თ“უმული მწ“ხარებისათ“ს.—მწ“ხარებაჲ არს მშ“ნვარებაჲ სულისაჲ...“ 304 r—306 r.

10. „სიტყ“სგებაჲ გულის-სიტყ“თა მიმართ მწ“ხარებისათა. თავი ა. სულისა მიმართ, რომელი უმეცარ არნ, ვითარმედ უძლურებაჲ სარწმუნოებისაჲ და ვერმოგებაჲ შეუორგულებელისა სასოებისაჲ მოიღებს მწ“ხარებასა...“ 306 r—314 v.

11. „საკითხავი ე მრისხანებისათჳს.—მრისხანებაჲ ვნებაჲ არს **ბოროტი**...“ 315 r—322 v.

12. „საკითხავი ვ მოწყალებისათჳს.—მოწყალებაჲ არს უძლურებაჲ **სულისაჲ**...“ 322 v—223 v.

13. „სიტყჳსგებაჲ გულის-სიტყᲽთა მიმართ მოწყალებისათჳ.—თავი ა. გულის-სიტყჳსა მის მიმართ, რომელი მეტყჳს მისთავად...“ 323 v—330 v.

14. „საკითხავი ზ ცუდად მზუაობრობისათჳს, გ. ოᲽრ.—ცუდად მზუაობრობაჲ ვნებაჲ არს უგუნური...“ 330 v—336 v.

15. „საკითხავი ი ამპარტავანებისათჳს. გ. ოᲽრ.—ამპარტავნებაჲ სიმსივნე არს სულისაჲ სავსე წუთხითა, ხოლო ოდეს მომწიფდეს განიპოს და **სიმყრალე** ფრიადი აღმოუტეოს...“ 336 v—341 v.

წყდება: „...და ვითა აღჳდა მთასა მას კარმელსა ... მო... იგი ქᲽყნად და დადვა პირი მისი შორის ორთა მუჴლთა...“.

შენიშვნა: კრებულში შესული მაქსიმე აღმსარებლის სიტყვები და საკითხავები თარგმნილია ეკვთიმე ათონელის მიერ. (იხ. კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I. 1941 წ., გვ. 657).

ანდერძი (გადამწერის?): „ჲ, ძმანო, ოდეს [ს]ელით წერილი ეს[ე] თქუთ, ვითარმედ Ჽდმე არიან აწ იგი ველნი], რომელნი ამას წერდეს. აწ მიწა და მტ[ერ] ქმნილი არიან, რამეთუ მერედღა და ჩნᲽა მი[ვი]ცვლებით და შენდობა ყავთ ჩემ ცოდვილისა, რ... რათა გულის ჴმა ვ[ყოთ] სასუფევლის შვებ[ა], სიხარული. ვაჲ [მე] და კᲽ ვაჲმე, [ვაჲ] მე, ვაჲმე საწყალობელსა“. 103 r.

მინაწერები: 1. (XVI—XVII ს. ხელით): „ფრიად ცოდვილსა მათეს შᲽნეს ღმერთმან და ვინცა ბრძანოთ თᲽქნა შᲽნს ღმერთმან აᲽ“. 36 v.

2. (გვიანდელი ცუდი მხედრულით): „წმიდაო მაქსიმე აღმსარებელო, შეიწყალე ცოდვილი მანიასა სული, ესიცა... მიეც და მორჩილება ... სიწმინდე...“ 99 v.

3. „ჩემი ძმა ყოვლად სამღვდელო დავით ბრძანდება სასიკვდინეთ ავათ **ჩყლე** წელს, თებერᲽალში. ღვთით მორჩა და აწ მან იცის. თავადი გრიგოლ წერეთელი“. (ზემო საცავი ფურცელი).

4. „ეს მაქსიმე აღმსარებლის წიგნი აქ მღვიმეს რომ არის, მე ვითხოვე საკითხავად ჩემის ბატონის სახლთუხუცის ზუ**ზას** წერეთლისაგან და უნდა მას მიერ**თვას**. მისი ნაყიდი არის კრისტესით **ჩყე**“. (ზემო საცავი ფურცელი). **მინაწერები:** 294 v, 295 v.

1664

მაქსიმე აღმსარებელი—ცხოვრება ღვთისმშობლისა. XI

171 ფ.; 25×16; ეტრატი; ტყავგადაკრული ხის ყდა (დაზიანებული); ნუსხური, დასაწყისები და მთავრული ასოები სინგურით; თავბოლონაკლული; შიგა და შია აკლია ფურცლები; გადამწერი—იოვანე ყია (57 v); გადაწერის ადგილი—საბაწმინდის მონასტერი (165 v); [XI ს.]; ჩამოტანილია ეკვთიმე თაყაიშვილის მიერ ჯრუჭის მონასტრიდან 1919 წელს.

[ქებაჲ და დიდებაჲ შესხმაჲ და გალობაჲ ყოვლად წმიდისა, უხრწნელისა და უმეტესად კურთხეულისა, დიდებულისა ჩᲽნისა ღᲽთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიაშისი და უწყებაჲ უბიწოჲსა მის და სანატრელისა მოქალო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქობისა მისისაჲ მობითგან მიცვალებადმდე, აღწერილი ნეტარისა მამისა ჩ~ნისა მაქსიმეს მიერ ფილოსოფოსისა და აღმსარებელისა.—ისმინეთ ესე ყოველმან თესლებამან და ყურად იღეთ ყოველთა დამკვიდრებულთა ქ~ყანისათა, მოვედით [ყოველნი] მორწმუნენი და შემოკერბით ყოველნი ღ~თის მოყუარენი, მეუფენი ქ~ყნისანი და შ~ნიერნი მთავარნი, ჰაბუკნი და ქალწულნი, მოხუცებულნი ყრმათა თანა. ყოველი ენაჲ და ყ~ველი სული უგალობდეთ] „...ვაქებდეთ და ვადიდებდეთ ყოვლად წმიდასა მას უბიწოსა, უმეტესადკეთრთხეულსა ღ~თისმშობელსა და მარადის ქალწულსა მარიამს, საყდარსა მას მეუფისასა, უზეშთაეს სერაბინთა და ქერობინთაჲსა, დედასა ქრისტეს ღ~თისა ჩ~ნისასა...“ 1 r—163 v.

შენიშვნა: 1. „ცხოვრებაჲ“ დართული აქვს: ა. „განწესებაჲ საკითხავთაჲ“ 163 v—165 v. ბ. „ებისტოლე ძმისა მიპართ, რომელსა ეთხოვნეს პავნიანი იგი სიტ~ყნი წ~დისა მამისა ჩ~ნისა დ ო რ ე თ ე ს ნ ი. დაწყებაჲ სიტყჳსაჲ“... 166 r—171 v. „ებისტოლე“ ბოლონაკლულია, დაწერილია სხვა ხელით.

2. ტექსტის სათაური და დასაწყისი აღდგენილია ხელნაწერ A-40-ის მიხედვით.

3. აშიებზე, სხვა ხელით, მხედრულით, გაკეთებულია შენიშვნები.

ანდერძი (გადამწერის): 1. „ქრისტე შეიწყალე ი ო ვ ა ნ ე ყ ი ა“. 57 v; ანალოგიური ანდერძები: 102 v, 110 v, 120 v.

2. „ვინცა ვინ ამას წმიდასა სულთა განმანათლებელსა წიგნსა იმისახურებდეთ, ამით ზანდყითა მოიძიეთ საბითხავი (!) და მე ოგონორსა და უცებსა ყოველთა შემინდეთ. სახელითა მამისათა, ძისათა და სულისა წმიდისათა, მადლითა და შეწევნითა წმიდისა ღ~თისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისითა, წ~დის ძელისა ცხორებისა ძალითა, მეოხებითა დიდებულთა მთავარ ანგელოზთაჲთა, იოვანე ნათლისმცემელისა, მადლითა იოვანე მახარებელისა, ნიკოლოზისითა, საბასითა, გიორგისითა, წმიდათა მოციქულთაჲთა და ყოველთა წმიდათაჲთა, რომელნი საუკუნითგან სათნო გეყუნეს შ~ნ ო ა ჩ~ნ ა ი ჲ ქ~ა.

დაიწერა წმიდაჲ ესე ღ~თის მშობლისა ცხორებაჲ სულთა განმანათლებელი ჯუ-რაკუმაის მონასტერსა წმიდისა საბაჲსა“. 165 v.

მინაწერები: 1. „აცხოვნე ღმერთო წერეთელი ნისიმე“ (მხედრული). 19 v.

2. მინაწერი სომხურ ენაზე. 99 r.

1665

დავითნი. XVII

236 ფ.; 25×17,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფურული ხის ყდა; ნუსხური მხატვრობა: 1 v, 171 r, 236 r; დამკვეთი—ბატონიშვილი ხილიხანი; [XVII ს.]; გაჩენია ჭვირნიშანი; ჩამოტანილია ეკვთიმე თაყაიშვილის მიერ ჯრუჭის მონასტრიდან 1919 წ.

[დავითნი] „წიგნი პირველი ალილოიაჲ.—ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდაჲ ზრახვასაჲ უღთოთაჲსა და გზასა ცოდვილთაჲსაჲ...“ 2 r—170 r.

შენიშვნა: 1. ტექსტს წინ უძღვის დავით წინასწარმეტყველის სურათი, ხოლო დართული აქვს მშვენივრად შესრულებული სურათები (171 r—236 v), ბევრად უფრო ძველი (XV ს.) ხელნაწერიდან გადმოტანილი. ყოველ სურათს აშიაზე მიწერილი აქვს ეპიზოდის განმარტება, ხოლო შემთხვევაში შესაბამი ადგილიც „დავითნიდან“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ხელნაწერი აღწერილი და შესწავლილია: იხ. მეცნ. დამსახ. მოღვაწის ი რ. ს ო ნ ღ უ ლ ა შ ვ ი ლ ი ს მოხსენება (დაუბეჭდავი): „ორი დავითნის სურათების დახატვის დრო“.

ანდერძი (გადამწერისა, მხედრულად): „დაიწერა და სრულ იქმნა წმიდა ესე და სულთა განმანათლებელი დავითნი ბრძანებითა ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ა ზ ი ლ ი ხ ი ნ ი ს ა თ ა. აჲმარნეს ღმერთმან დღეგრძელობასა და ამოდაყოფასა შინა. ამინ და კირიელეისონ“. 170 r.

მინაწერები: 1. (XV ს. ნუსხური); „დამყარნეს ღ ნ ორთავე [შინა ცხორებ]ათა დედუფალთა-დედუფ[ალი] ... [თ]უ ნ, რომელთა ბრძანებითა ... დაიხატა წ ჲ [ესე] დავითი ა ნ ... იყავნ“. 1 r.

2. (XV ს. ნუსხურით): „ჴეადიდნეს და დამყარნეს ღმერთმან ორთავე ცხ რებათა შინა მეფეთ-მეფობაჲ გ ი ო რ გ ი ი რომელ[ისა] ბრძანებითა მე[ო]რედ განახლდა და [შე]იკაზმა წ ჲ ... ამინ იყავნ“. 1 r.

3. (XVI—XVII ს. ნუსხური):

„კურთხეულ ხარ შენ ტაძარსა წ ა დიდებისა შ ისსა უ
კუთხეულ ხარ შენ, რომელი ჰხი ქერობინთა და
ხედა უფსკრულთა უფროსად ჰბუ,
კურთხულ ხარ საყდართა ზედა დიდებისა სუფევისა უ,
კურთხეულ ხარ შენ სამყაროსა ზედა ცათასა უ“. 236 v.

4. (მხედრულით): „ჵ, ასულო სიონისაო, ნაყოფო [იოვა]კიმისაო, სურნელებაჲ სამოთხისაო.“[ქრის]ტეო, შემიწყალე მე გ ა ბ რ ი ე ლ-ს ი მ ო ნ ი... რათა ისწავლოს და მსახურებდეს ყოველთა დღეთა ცხორებისა მისსასთა ა ნ კ ნ. ესე არის ბჳე უფლისა... მართალი შეველენ“. 236 v.

5. (იმავე მხედრულით): „ღმერთო და ყოვლად წმიდაო ღ თისმშობელო, კარგი წერა ასწავლე... უფალო ღმერთო ნუ უხამ მტერის გულისასა და ნუ წ[ა]სდენ და ნუ წარასწყმ[ედ] ყოველსა ქუეყანასა“. 236 v.

6. „სულთა განმანათლებელი წიგნი ესე დავითნი იყო ძლიერ დაძველებული. ბრძანებითა მისის მაღალ ღირების ჯ. მონასტრის წინამძღვრის არხიმანდრიტის და კავალერის კირილესითა გავაკეთე მე უღირსმან და ცოდვილმან ჯ. მონასტრის მღდელ-მონაზონმა სოფრონ ჩყოზ“ (სცავი ფურცელი).

1666

ოთხთავი. 1743

170 ფ.; 25×17,5; ეტრატი; ხის ყდა (ნახევრად დაცული); ნუსხური, სათაურები სინგურით (საზედაო ასოებით); 1743 წ· (145 r); მახარობლის ოთხი გამოსახულება: 4 v, 41 v, 68 v, 119 v; თავკაზმული: 5 r, 42 r, 69 r, 117 r; გადამწერი—მხატვრიც ალექსი (145 r), შემკობილი ნიკოლოზ პატრიარქის თაოსნობით (4 v); დაწყებულია: 169—170 ფ.ფ.

„სახარება მათჱ.ი. თავი პირველი.—წიგნი შობისა ი ჴ ქ ჱსი, ძისა დავითისა, ძისა აბრაჰამისი...“ 5 r—145 r.

შენიშვნა: 1. ოთხთავს ერთვის: ა. „საძიებელი წ ისა სახარებისა...“ 146 r—157 v; ბ. „თვეთა მეტყველებანი ძალითა ღმრთისათა.—თვესა სეკდემბერსა დაწყება ინდიკტიონისა...“ 157 v—156 r; გ. „სახარებანი წმიდათა მამათა ჩ წ ნა ქართველთა მნათობთა ათორმეტთა ასურეთით ღ ჲ მიერ მოვლინებულთანი...“ 166 r—168 r.

2. წინ უძღვის: „შესხმა წ ღისა მახარებელისა მათესი სოფრონის მიერ თქმული“. 2 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდერძი (გადამწერის): „იესო ტკბილო, უოხე სულსა ჩემსა ფრიად ცოდვილსა მწერალსა ამისსა მხატვრისაძესა ალექსის. ქ'კს ულა". 145 r.

მინაწერები: 1. „იესო ქრისტე, ძეო მღვთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი თავადი გრიგოლ წერეთელი. ჩ'კგბ ქ'ს აქეთ, ამ წელს ოთხმოცი წელიწადი შესრულდა —ეს კარგი სახარება დაწერილა, ღ'თო აცხონე მწერალი ამისი". (სხვა ხელით): „დავით მიტროპოლიტის არის წ'ჩინება და კარგი სახარება". 1 r.

2. (კალიგრაფიული მხედრულით): „შემამკობელი ამისა ყოველად სანატრელი პატრიაქი ნიკოლაოზ მრავ ლ'ამიერ ყოსა უფალმან". 4 v.

1667

ოთხთავი. XII—XIII

278 ფ; 24,5×18,6 ტრატი; ტყავგადაკრული ტკივფრული ხის ყდა, ორი შესაკრავით; ნუსხური, დასაწყისები ასომთავრული სინგურით; ხელნაწერი შემკულია შესანიშნავი მინიატურებით (334 მინიატურა), კამარებითა და სახედაო ასოებით; მახარებელთა გამოსახულებები: 6 v, 79 v, 123 v, 200 v; თავსამკაულები: 7 r, 9 r, 122 r, 124 r, 199 r, 201 r; დახიანებულია ფ.ფ.: 83, 110, 126—127, 129, 141, 145, 152—156, 158, 162, 171, 186, 212, 213, 228—29, 231, 232, 243; რესტავრირებულია ფ.ფ.: 56—57, 59, 84, 85, 86, 87. 90, 91, 92, 96, 97, 111—116, 147, 169, 170, 172—173, 177—181, 187, 191, 198, 201, 206, 210—230, 233—242, 244—255; დაუწერელია: III r, IV r—v, 256 r—257 v, 276 r—277 v; [XII—XIII ს.]; ჩამოტანილია ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ჯრუჭის მონასტრიდან 1919 წელს.

„წ'ნდაჲ სახარებაჲ თავი მატთესი.—წ'ნგნი შობისა ი'ჳ ქ'სი, ძისა დავითისი, ძისა აბრაჰამისი. აბრაჰამ შვა ისაკი, ისაკ შვა იაკობი,..." 9 r—254 v.

შენიშვნა: 1. ოთხთავს წინ უძღვის კანონები 1 v—6 r.

2. ყოველ თავს წინ უძღვის: „ესე თავები არს... სახარებისაჲ".

3. ოთხთავს ერთვის: ა. „ევსები კარპიანეს საყურადღებო ძმასა უფლისა მიერ გაკითხვა..." 255 r—v; ბ. „ზანდუკი სახარებისა" 258 r—265 v. გ. სახარებათა საკითხავები განლაგებული თვეებზე და დღეებზე. 266 r—275 v.

4. 256—78 ფ.ფ-ბი დაწერილია XVII ს. ხელით ქაღალდზე.

5. ხელნაწერი ცნობილია „ახალი ჯრუჭის" სახელით.

ანდერძი (XVII ს. ხელით, ნუსხურით): „ღ'რო დაიცევ ორთაევ შინა ცხ'რებათა კათალიკოზი გრიგოლ". 266 r.

მინაწერები: 1. „ჩ'კყა-ს წელსა, ივლისის კ-სა შევსწერეწ'წმინდა ესეწ'სახარება დახატული წმინდის გიორგის მონასტერისათვის, როგელ არს ჯრუჭი, სამარხი ჩ'ენი, მე, დადიანის გიორგის ასულმა, ღ'ენერალ-მაიორისა და ორდენთა კავალერისა და ძუირფასის ალმასებით გაწ'ყობილის ხლმის მჭ'ონის ზურაბ წერეთლის მეუღლემან, ხასელოვანის მ'ეფის სოლომონის და იოსებ კათალიკოსის და არჩილ ბატონიშვილის დამა თამარმა და დედამან საქართველოს მეფის გიორგის სძლის და სამეფნეულოს დედოფლის მართას და დავით მიტროპოლიტის დედამ-ნ და სხუათა ხასელოვანთა ძეთა და ასულთა დედამა, და ამასთანავე შემოგწირე ერთი ვეცხლის კანდელი, რომელზედაც დაიმეება ოთხი სამთელი, და ერთი სასენებისკვრე ვეცხლის ნალბაჭი, ერთი ფილონი კარგი თეთრის დიბისა ფრანციცული და სტიხარი ალის ჩიჩაგლის ხარისა, თავისის ოლრით, თეთრის სირმის სტოფისა და საბუხრები და სარტყელი ფარჩისა და შეიწირე, დიდო მოწამეო გეორგი, მცირე ესე შესაწირავი, ვითარცა გლახაკისა მის დედაკაცისა მცირე შესაწირი შენგან განძაძლიერებელმან იესო მაცხოვარმა და უკეთუ ვინმე ხელყოს მძლავრებით და ანგა-

რებით გამოწირვა შენი ამაებისა, შერისხე შენ რისხუთა შენითა და განგმირე რისხანებისა შენისა ისრითა ამით". II r—v.

2. „ჩყკგ-სა წელსა, თებერვლს კგ-სა, დღესა პარასკევსა ალიონზე მი[ი]ცვალა დედაჩემი თამარ დადიანის ასული, დამიშრტა ნათელი სიცოცხლისა ჩემისა. მოვაკლდი გარდამატებულსა დედაშვილურს სიყვარულსა მისსა, ვეღარ ვიხილავ კეკლუცსა და შვენიერსა პირსა მისსა, აღარ მიალერსებს ჩვეულებისაებრ დედაი ჩემი, დავდალ ხელითა ჩემითა ჯვრუჭს მონასტერსა შინა მარჯუენით მხარეს მამასა (!) ჩემისა, მეუღლისა თვისისა ზურაბ წერეთლისა თანა და ძისა მისისა ნიკოლაოსისთანა და წარვიდენ ესენი განსასვენებელსა კეთილსა და სანეტაროსა, მაგრამ მე დავრჩი ობლათ და მოვაკლდი შობლიურსა სიყვარულსა მათსა, თვით ძუძუთი დედისა ჩემისათა ვარ გაზდილი მათი მოცილებული საწყალი დავით მიტროპოლიტი". III r.

3. მამაკაცის თავის გამოსახულება (მოგვიანო) და მინაწერი: „წმიდა მარკოზ წწ[ყველი]" (მხედრული) 1 r.

4. ნუსხურით: „ო[რ ი]სო გაუმარჯვე სწაულა კეთილი მონასა შ[ნსა სახელით აბრაჰამს ა[ნ". 1 r.

5. ქართული ანბანი ნუსხურად და მინაწერი: „ო[რ გაუმარჯვე სწაულა კეთილი მონასა შ[ნსა სხ[ლით ჯგერგეშ კოჩი დეკანოზასა ა[ნ". 1 r.

6. „ოთხნო თავნო სახარებანო მთე, მარკოზ, ლუკა და იოანე შეიწყალ[ეთ ფრიად ცოდვილ[ი]სა სულ[ი]ა (მხედრულით) 35 r.

7. „ქ. ესე თავებ. არის მარკოზ სახარებისა, უფალო ღმერთო გაუმარჯვე სწაულა კეთილით მონასა შენსა სახელ..." (მხედრულით) 78 r.

8. (მხედრულით) „ქ. ყოველად წმიდაო ღ[თის მშობელო ქალწულო, შეიწყალე მოქვრისა კანდალაკი მარკოზი ბუხნია. წმიდანო ოთხთაენო ქ[სენო შემიწყალე მე, ჯგირგეშკოჩი დეკანოზა ამინ. ესე დაწერილი და ნიშანი წყალობისა სამკვიდროჲ სამამულოობისა მტკიცე, დაუქცეველი, უდავო, უთუმცო, დროდაუდებელი, მიჰეზი შემოუღებელი და ყოვლისა სამიზეზოსა საქმისაგან უმიზეზოდ გამოსრული ხარ აწ და უკუნისამდენ დ[ა]რჩსა გინ". 79 r.

9. (ნუსხურით) „ო[რ ღ[რ გაუმარჯვე სწაულა კეთილი მონასა შ[ნსა სახელით ჯგერგეშკოჩი დეკანოზასა ამინ და ა[ნ". 79 r.

10. „მაცხ[რო შ[ე ცოდვილი საწყლობი მანანა ა[ნ". 221 v.

1668

ოთხთავი. XII

73 ფ.; 24,5×20,5; ეტრატი; ფრაგმენტი; უყდო; ნუსხური, სათაურები სინგურით; დაფურცვლილი და ძლიერ დაზიანებული; თავბოლო ნაკლული: გადამწერი—პეტრე (2 v); [XII ს.].

„[სახარება მათესი.— ...ხოლო იგინი გამოვიდეს] და მიმოდადვეს იგი ყოველსა მას ქ[ყანასა..." მათე, 9. 31. (1 r—73 v).

წყდება: „...არამედ მოვიდის ჟამი, და აწვე არს, ოდეს ჰეშმარიტი [თ[ყნის]-მცემელნი თ[ყნის-სცემდენ მამისა სულითა და ჰეშმარიტებითა, რამეთუ მამაცა ეგევითართა ეძიებს თ[ყნის მცემელთა მისთა..." იოანე. 4, 23.

შენიშვნა: 1. ტექსტი მრავალ ადგილას გადასულია, რის გამო ძნელდება რვეულების სათვალავის მოწესრიგება.

2. ხელნაწერს შიგნით ფურცლები აკლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინაწერები (გადამწერის): „პრე შე ორო ღრო“. 2 v, 4 r, 9 v, 10 r, 11 v, 19 r, 20 r, 22 r, 23 v, 24 v, 26 v, 27 r, 31 r, 32 r, 33 r, 41 r, 42 v, 44 r, 47 v, 48 r—v 49 v, 50 v, 55 v, 58 r—v, 59 r, 64 v, 66 v, 67 r, 71 v.

1669

იოანე სინელი—კლემაქსი. XII—XIII

223 ფ.; 36,5×29; ჭაღალდი; ნუსხური, სათაურები სინგურით; კალიგრაფიული საზედაო ასოები; სქოლიოები საგანგებოდ მოხატული; [XII—XIII ს.]; მთარგმნელი—ექვთიმე ათონელი (1 r—v); გადამწერი—ნიკოლა (171 v); ჩამოტანილია ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ჯრუჭის მონასტრიდან 1919 წელს.

„სწავლანი წ[მ]ისა და ნეტარისა მამისა ჩ[ვე]ნისა ი[ო]ე სინელ მამასახლისისანი, რომელნი მიუძღუანნა მამასა ი[ო]ანეს რაჲთელ მამასახლისსა, რამეთუ ეთხოვა მას მისგან, რათა აღწერნეს სწავლანი მონაზონთა მიმართ. პირველი თავი გამოსლვისათჳს ს[უ]ფლით, გ. მ.—შეწევნითა სახიერისა და კაცთმოყუარისა და მოწყალისა ღ[მრ]თისა და მეუფისა ჩ[ვე]ნისაჲთა ვიწყოთ სიტყად:...“ 9 v—223 r.

შენიშვნა: 1. ხელნაწერის აშიებზე მიწერილია მრავალი შენიშვნა.

2. ტექსტს წინ უძღვის: ა. „კიბე სათნოებათაჲ ცად აღმყვანებელი თქ[მ]ლი დანიელ მონაზონისა რაჲთელისაჲ წიგნისა ამისჲსა სულთა განმანათლებელისა, რომელსა ეწოდების კლემაქსი, რომელ არს კიბე...“ 1 v—2 v.

ბ. „ცხორებაჲ წ[მ]ისა და ნეტარისა მამისა ჩ[ვე]ნისა ი[ო]ე სინელ მამასახლისისაჲ, მოძღრებით განთქმულისაჲ, სულთა განმანათლებელისაჲ, ჭეშმარიტად სანატრელისაჲ, რომელი ესე აღწერა დანიელ მონაზოხმან რაჲთელმან...“ 2 v—7 r.

გ. „ებისტოლე წ[მ]ისა მამისა ი[ო]ე რაჲთელ მამასახლისისაჲ ი[ო]ნეს მიმართ სინელ მამ სახლისისა“... 7 r—8 r.

დ. „ებისტოლე წ[მ]ისა და ნეტარისა ი[ო]ე სინელ მამასახლისისაჲ ი[ო]ნეს მიმართ რაჲთელ მამასახლისისა, რომელსა ზედაწერილი ესე არს ფიცარნი სულიერნი: ი[ო]ნე ი[ო]ნეს ახარებს...“ 8 r—9 v.

ანდერძი (მთარგმნელის ექვთიმე მთაწმიდელისა): „ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რომელნი იკითხვიდეთ, ანუ სწერდეთ წ[მ]ა ამას წიგნსა. წ[მ]ნო ღ[მრ]თისანო, ვითარმედ ნეტარსა მას მამასა, რომელსა ესე სულთა განმანათლებელი წიგნი უთქუამს, არა თუ კლემაქსი ეწოდების, ნუ იყოფენ, არამედ ი[ო]ანე არს სახელი მისი, ხოლო კლემაქსი წიგნსა ეწოდების და არს კლემაქსი ბერძულითა ენითა ვითარმედ კიბეო. ხოლო ამისთჳს ეწოდების წიგნსა ამას კიბე, რამეთუ ვითარცა კიბე სათნოებათაჲ შეჰმნა წიგნი ესე და მდაბალთა საქმეთაგან იწყებს და თანა მაღალთა მიმართ აღუვალს, ვითარცა თჳთ აღსასრულსა წიგნისასა ჰ[ა]ოით გამოსახული კიბე სათნოებათაჲ, ხოლო რომელსა გამოკრებული იგი მცირედი პირველ ეთარგმნა—კლემაქსი ეთქუა მის წ[მ]ადა. აწ უკუე ვინ წიგნისა სახელსა იტყოდის, თქუნ კლემაქსი, რომელ არს კიბე, ხოლო უკუეთუ წ[მ]ა მის სახელსა იტყოდის, თ[ქუ]ნ ი[ო]ე, ვინაჲთგან უკუე პირკეღსა მას თარგმანსა მრავალი მრუდად დაეწერა და მრავალი დაეგმო, ამისთ[ჳ]ს მე, გლახაკმან ეფთჳმე, ბრძანებითა წ[მ]ისა მამისა ჩ[ვე]ნისაჲ ი[ო]ნესითა ვთარგმნე ესე, ვითარცა თჳთ მას წ[მ]ა ეთქუა ბერძულად, რამეთუ ბერძენი იყო იგი ნათესავით. აწ უკუე რომელნიცა იკითხვიდეთ ამას წ[მ]ა წიგნსა, ლოცვა ყავთ წ[მ]ისა მამისა ჩ[ვე]ნისა ი[ო]ნესთჳს და ჩემთჳს ცოდვილისა ეფთჳმესა, და რომელნი სწერდეთ, ვითარცა აქა ჰ[ა]ოით, ეგრეთ დაწერეთ, და თავნი, ვითარცა აქა იყვნენ, ეგრე დასხვნით, რამეთუ მეცა, ვითარცა მიპოვნიან, ეგრეთ დამისხმან ყოველნი წ[მ]ითნიცა, და ამითცა სიტყუათა ნუ ვინ დააგდებთ, არამედ დასწერდით ღ[მრ]ისათჳს და ჩემსაცა ცოდვილისა სახელსა“. 1 r—1 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდერძი (გადამწერის): „სულსა ნიკოლასსა შეუნდვენ ღ-ო ღ-ო ა-ნ, რომელმან იშრომა ესე წიგნი“. 171 v. ანალოგიური ანდერძები: 114 r, 116 v, 203 r.

მინაწერი (მბეჭდური): „ქ. ესე წმიდა კლიმაქსი ღირსის მამის დაყუდებულის გერმანეს ნაქონი არის და მე ყოვლად სამღვდელომან გენათელ მიტროპოლიტმან ეფთვიმემ დაყუდებულის სულის სათნად ჯრუჭის უდაბნოს მონასტერს შევწირე და ვინც გამოსწეროს, წმინდის სამებისაგან შერეულნი იყოს. თებერვალს ზ, ქ-ს აქეთ ჩ-ჟა“. 3 r. აქვე ბეჭედი, რომლის ლეგენდაში იკითხება: „მიტროპოლიტი ეფთვიმე“.

1670

დიდი სჯულის კანონი. XIII—XIV

296 ფ.; 32×28; ქაღალდი: ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; ნუსხური, სათაურები და მთავრული ასოები სინგურით; [ქაღალდი მრავალ ადგილას რესტავრირებულია; [XIII—XIV ს.]; ჩამოტანილია ქვემთიმე თაყაიშვილის მიერ ჯრუჭის მონასტრიდან 1919 წელს.

„შეკრებაჲ კანონთა საეკლესიოთაჲ განყოფილი ათოთხმეტ ნაწილად.— დიდისა ღ-ისა და მაცხოვრისა ჩ-ნისა ი-ჳ ქ-ს მოწაფენი და მოციქულნი და მათ თანა შემდგომად მათსა და მსგავსადვე მათსა წ-ისა ეკლესიისა მათისა მღდელთმთავარნი და მოძღ-რნი წარმართთა და ჰურიათაგან შეკრებულისა და საეშმაკოჲსა მძლაერებისა და საცთურისაგან განთავისუფლებულისა...“ 3 v—296 r.

შედგენილობა:

1. „კანონნი წ-თა მოციქულთანი“. 63 r—67 v.

2. „კანონნი სამას ათრვამეტთა წ-თა მამათა ნიკეას შეკრებულთანი...“ 67 r—70 v.

3. „კანონნი ანკჳრიას შეკრებულთა წ-თა მამათანი...“ 70 v—72 v.

4. „კანონნი ნეოკესარიას შეკრებულთა წ-თა მამათანი...“ 72 v—73 v.

5. „კანონი ღანგრას შეკრებულთა წ-თა მამათანი...“ 73 v—75 v.

6. „კანონნი ანტიოქიას შეკრებულთა წ-თა მამათანი...“ 75 v—79 r.

7. „კანონნი ლაოდიკიას ფრიგჳისასა შეკრებულთა ნეტართა მამათანი...“ 79 r—82 r.

8. „კანონნი წ-თა მამათა კოსტანტინუპოლის შეკრებულთანი...“ 82 r—84 r.

9. „კანონნი წ-თა მამათა ეფესოს შეკრებულთანი...“ 84 r—86 v.

10. „კანონნი ექუსას ოცდაათთა წ-თა მამათა ხალკიდონს შეკრებულთანი...“ 86 v—90 r.

11. „კანონნი სარდიკიას შეკრებულთა წმიდათა მამათანი...“ 91 r—95 r.

12. „კანონნი კართაგენს შეკრებულთა ორას ათშჯდმეტთა ნეტართა მამათანი...“ 95 r—133 v.

13. „აწ-ლა დასრულდა მრავალკანონნი ესე და ჴირმრავალი კრებაჲ კარჭიდონისაჲ კონსტანტინუპოლის შინა კრებისა მიერ ქმნილთა მოსაჴსენებელთაგან აღაპისთჳს და ვაღადისთჳს, რომელნი უჴდებოდეს ურთერთას საეპისკოპოსოსა ზედა-ბოსტრისასა...“ 133 v—134 v.

14. „კანონნი კოსტანტინუპოლის გუმბადსა შინა სამეუფოჲსა პალატასსა შეკრებულთა წ~თა მამათანი...“ 134 v—159 r.

15. „კანონნი მეორედ ნიკეას შეკრებულთა წ~თა მამათანი...“ 159 r—167 v.

16. „კანონნი, დასხმულნი წ~ისაგან და დიდისა პ~რ და მეორედ კონსტანტინუპოლეს ყოვლად პატიოსანსა ტაძარსა წ~თა მოციქულთასა შეკრებულისა კრებისა...“ 167 v—172 r.

17. „კანონნი, დასხმულნი წ~სა მიერ კრებისა, რომელი შემოკრბა სახელგანთქმულსა და სახელოანსა შინა ტაძარსა ღ~ისა სიტყჳსასა სოფია წ~დას...“ 172 r—172 v.

18. „[კანონი] ნეტარისა დიონჳსი მთავარეპისკოპოსისა ალექსანდრიელისაჲ...“ 172 v—174 r.

19. „წ~ისა პეტრე მთავარეპისკოპოსისა ალექსანდრიელისა და მოწამისა კანონნი, რომელნი წერილ არიან სინანულისათჳს თქუმულსა მას სიტყჳსა (!) შინა მისსა...“ 174 r—178 v.

20. „ეპისტოლე კანონიანი წ~ისა გრიგოლი ეპისკოპოსისა ნეოკესარიელისა საკჳრველთმოქმედისაჲ...“ 179 r—183 r.

21. „წ~ისა ბასილი ეპისკოპოსისა კესარიაჲ კაპადუკიელისაჲ ამფილოქჱს მიმართ იკონიელ ეპისკოპოსისა კანონთათჳს ეპისტოლე პ~რლი...“ 183 r—199 r.

22. „ეპისტოლე კანონიანი წ~ისა გრიგოლი ეპისკოპოსისა ნოსელისაჲ...“ 199 r—204 v.

23. „მიგებაჲ კანონებრივი ტიმოთე წ~ისა მთავარეპისკოპოსისა ალექსანდრიელისაჲ...“ 204 v—205 v.

24. „თეოფილე წ~ისა მთავარეპისკოპოსისა ალექსანდრიელისაჲ სიტყ~ჲ...“ 205 v—207 r.

25. „წ~ისა კჳრილე მთავარეპისკოპოსისა ალექსანდრიელისაჲ. კჳრილე დომნოს...“ 207 r—208 v.

26. „მრგუალივ მოსაჲლილი ეპისტოლე გენნადის წ~ისა ეპისკოპოსისა კოსტანტინუპოლელისა და მის თ~ა წ~ისა კრებისა მისისაჲ...“ 208 v —210 v.

27. „ეპისტოლე დაწერილი კოსტანტინოპოლით მარტჳრი ეპისკოპოსისა ანტიოქიელისაჲ...“ 211 r.

28. „წ~ისა ათანასი ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსისაჲ ეპისტოლე რუფინიანეს მიმართ ეპისკოპოსისა...“ 211 r—212 r.

29. „ძეგლის წერაჲ წ~ისა და ღმრთივ შეკრებულისა კრებისაჲ, რომელი შემოკრბა ბრძანებითა კეთილად მსახურისა და ღმრთივ დაცულისა მეფისა ჩ~ნისა დავით აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა მეფისაჲთა პირთათჳს, რომელნი ქუეშო მოჴსენებულ არიან...“ 212 r—219 r.

30. „კანონი მეექუსე კართაგენს შინა შეკრებულთა ორასა ათშჯდმეტთა ნეტართა მამათაჲ, რაითა საცხებელი ხუცესთა მიერ არა იქმნებოდის...“ 219 v—223 v,

31. „კანონი მეშჯდე კართაგენს შეკრებულთა ორასა ათშჯდმეტთა ღმრთშემოსილთა მამათაჲ...“ 223 v—227 v.

32. „კართაგენის შინაარსა წ[ა]რისა კრებისა კანონთა[გან] ორმეოცდამესამე— შემნებელთათჳს...“ 227 v—233 v.

33. „[კანონნი] წ[ა]რისა დიონჳსიოჲსი ვიდრე საშუალად თავადმდე...“ 233 v—244 v.

34. [კანონი] „წ[ა]რისი ბასილისი...“ 244 v—246 v.

35. „კანონი ასდა მორე მეექუსისა კრებისაჲ...“ 246 v.

36. „კანონი სამეოცდამეცხრე წ[ა]თა მოციქულთაჲ...“ 246 v—248 v.

37. „კანონი მეათცხრამეტე ღანგრას შეკრებულთა წ[ა]თა მამათაჲ...“ 248 v—250 v.

38. „ექუსთ-დღეთათჳსისაგან წ[ა]რისა ვასილისა...“ 250 v—257 r.]

39. „პ[ა]ვლეს კრებასა შინა დიდისა ათანასისაგან დადებულისა განწესებისაგან, რომელი ეპოვე ფრიად ძუელსა შინა მრგუალსა ეტრატისა წიგნსა...“ 257 r—262 v.

40. „წ[ა]რისა მღდელმოწამისა პეტრე ალექსანდრიელისა კანონი მეათხუთმეტე...“ 262 v—265 v.

41. „ყოველად განთქმულსა პატრიკსა უფალს პეტრეს მდაბალი მაქსიმე მონაზონი. მოთხრობაჲ თავ-თავეული ქ[რისტ]ე ღ[მრთ]ისა ჩ[ინ]ისა საცხოვრებელისა პასექისათჳს აღწერილისა კანონისა მიერ მოარგმანებელი...“ 266 v—284 v.

42. „კანონნი შეცოდებულთანი, აღწერილნი ნეტარისა მამისა ჩ[ინ]ისა ი[ო]ანე მიერ კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა, რომელსა ეწოდა მმარხველ...“ 285 r—289 r.

43. „კანონნი შეცოდებულთანი, განწესებულნი წ[ა]რისა მამისა ჩ[ინ]ისა ი[ო]ანე მმარხველისა მიერ კოსტანტინეპოლელ პატრიაქისა...“ 289 r—290 r.

44. „კანონნი დღითი-დღეთა ცოდვათანი, ვითარცა წ[ა]რ ბასილი განმიწესნა...“ 294 v—296 r.

შენიშვნა: 1. წინ უძღვის: ა. „განწესებანი ყოვლაი წმიდისა მოციქულისა პავლესნი სჯულისკითა კანონთა“. (1 r—2 r); ბ. „განწესებანი წმიდათა მოციქულთა პეტრე და პავლესნი“. 2 r—3 v. გ. „შეკრებაჲ კანონთა საეკლესიოთაჲ განყოფილი ათოთხმეტ ნაწილად“. 3 v—5 v. დ. „შესავალი ზანდუკისა თავთაჲსა“. 5 r—7 v ე. „თუ რომელთა კრებათაგან და პირთა, ანუ რომდენნი კანონნი შეკრებულ არიან აწინდელსა ამას წიგნსა შინა“. 7 v—62 r.

2. ხელნაწერს ამიებზე მრავალი „შეისწავლენი“ და შენიშვნა აქვს მიწერილი.

მინაწერები: 1. (ნუსხური): „ღ[მრ]თ აცხონე მოძ[ღრ]ი ი[ო]ანე“. 37 r.

2. (მხედრული) „შუამთის ხახულისა ღ[მრ]თისმშობელო, დაიცევ შემომწირველი შენი“. 160 r.

3. (მხედრული). „ყოველად უსამღვდელოესი მიტროპოლიტი მრავალჟამიერ დავით, სახლთხუცის წერეთლის ხეროპის ძე, რომ ეს ჭეშარიტება მეკითხა, აწ ვსცან ივნისის კ, წელსა ჩყკბ, ჯრუჭს“. 1 r.

4. (მხედრული). „ესე წმიდა და სუეთა განმანათლებელი სჯულის კანონი შუამთის ხახულისა ღ[მრ]თისმშობლისა არს. ვინცა გამოაჭრას წ[ა]ა ტაძარსა მისსა, დღესა მას განკითხვასა მიეცეს სატანას გამოუხსნელად“. 296 v.

5. 155 r-ზე და 159 r-ზე დავით მიტროპოლიტის შენიშვნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1671

ხრონოლრაფი. 1752

321 ფ.; 30×20; ქალალდი; ტყავგადაკრული ტრიფრული ხის ყდა; მხედრული; 1752 წ. (321 v); გადამწერი—გრიგოლ მღუდლის ძე დიკანოზი ალექსი (321 v); ადგილი—თბილისი (321 v); ჩამოტანილია ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ჯრუჭის მონასტრიდან 1919 წელს.

„სამღთოთა და სამღვდელოთა მსოფლიოთა მოთხრობათა შემოკლებულად მოთხრობა ხონოლრაფისა(!)—სათნო უჩნდა სიბრძნითა შემოქმედსა მას ღმერთსა და უფალსა ჩუენსა...“ 5r—319v.

შენიშვნა: 1. ხრონოლრაფს წინ უსწრებს სარჩევები. 1r—3r.

2. დართული აქვს: „განწესებაჲ ბერძენთა მეფეთაჲ, რომელი დასხა და დაადგინა მანვე დიდმან კოსტანტინე პირველმა მეფემან ბერძენთამან“. 320r—321v.

ანდერძი (გადამწერის): „ქ. წერილნი გულისაითანი, კმა საყოფელნი სმენად კაცთ, სათნო ჩენილ არიან ზეგარდამო და მათ შორის შეკრებული მრავალთაგან ხრონოლრაფი ესე, მომთხრობელი თითოეულად ძველისა და ახლისაჲთა: ვითა ფუტკარნი გოლსა თითოსახეთა სუნნელთაგან აღიწბობენ, ჰურთა მათ ცვილთასა აღავსებენ, რომლისაგან სიტკბოება მოუკლებელ არს, ეგრეთ ცხოვრებითა შეუეთა ძლიერთასა და კაცთა ღირსთასა და ამბავთა ამოთა, ძველთა და ახალთასა, ნანდვილ ტკბილად წარმოიტყვის მატიან[ე] ესე, რომლისა წერად ჴელჰყავ ტფილელთა მოქალაქე ქრისტეს ჴელაანის მხატერის გრიგორ მღუდლის ძეთან დიკანოზმან ალექსიმ, რამეთუ უფროსად ღმით ვნუსხევდი, რამეთუ ფრიად მასწრაფებდენ და მეცა ვისწრაფდი, რათამცა ბსწრაფდ ადრე აღმეწერებ. და ამის დედანი სხუა არა იპოვებოდა პრლ ქართლში და მალმალ გამომართვიან ამისი დედანი და დიდის ხვეწნით და საძსახურის შეძლებით კიდევ სადაცა შეეხვედი, აღვწერი და დიდის შრომით აღვწერე და ესეცა უწყებულ იყავნ თქუენდა, თუმცა რამ ამაში ცთომილი ან სიტყუა მეტ[აკლები ან წინაუკანა ნახოთ რამე, სარწმუნო იყავით, რომ შეცთომით არა დამიწერიეს რა და დედანი დიდად აჲის მწერლისაგან ნაწერი იყო და მოაკლი ტყუილი ეწერა და მე, რადგან საჩქაროდ ვწერდი, ჩქარა წერაში გამართვა ჩემგან არა ეგებოდა, ვინათგან დედანს მთხოვდენ. და ამისათვის თუ ვინმე მიეთხუევნეთ ცთომილსა, მე ნუ შეურაცხჰყოფთ და რომელსაც მიეთხუევნეთ ცთომილსა, გამართვედეთ ნაძმაკვესა ამას ჩემსა და სიმდაბლით ვმოკენებობ წინაშე თქუენსა, აღმომკითხველონო, რათა წმიდათა ლოცვათა თქუენთა მომიძღვანებდეთ. ქ[რ]ს განბორციელებითგან ჩ[ნ]ს, ქ[რ]ს ღმ, მაისს დამდეგს“ 321v.

მინაწერები: 1. „ჩყკზ წელს. ეს ხანაორაკეი (!) დავით მიტროპოლიტის არის. მისის გარდაცვალების შემდგომ ჯრუჭის წმინდის გეორგის მონასტერშიდ დაშდეს, ვინც წაიღოს მოპარვით ანუ ძალით, შეჩვენებულ იყოს ამინ. დავით მიტროპოლიტ[ი]“. (ქვ. საცავი ფურცელი). 299v—300r.

2. „ქ. ქმნილი ხელითა და გონებითა ასახსნელნი ლექს-რკვეულნი სიტყვანი ესე, გამონატაცი ალექსანდრეს ძეს გიორგის მიერ.

ა. ქ. წურბელსა ესხნეს სამ ასულ, სამთა მათ ვერ განძღეს და მეოთხესა არ კმა ეყო თქმად, თუ კმა არს.

ბ. ქ. ხუთ ათას ხუთას ნაწელმან მკვდარმან წ[რ]დ სვა სისხლი და მიიღო უკადავება.

გ. ქ. საწადისა მძებნელმან წესძინაცა ორი და ერთი იგი ვერვინ აუწყა, თვინიერ მკვდრისა მის ჴაბუკისა.

დ. ქ. პირუტყვმან ენა ისწავა, რომელიცა ამხილებდა უფალსა თვისსა და იგი სცემდა კვერთხითა.

ე. ქ. ყოველნი ღელვანი ზღვისანი აღდგა, ნავი იგი ვერ დანთქა, ნაყოფი ხისა მოისთლო, სე იგი ვერ შეარყია.

ვ. ქ. ქუამან ამა ჰყო ძლიერად კაცობრივ, რომელი ენმარა ტყვესა და იყო ექვს დღე.

ზ. ქ. მკრეფელმან ხილისამან სამოც ათ წელ მძინარემან დაუჭნობელი ხილი კ"დ სცა ერთა".

თ. ქ. ფრინველმან მიმღებელმან ეფისტოლისამან ცხოველ ჰყო მკვდარი.

ი. ქ. გველი პირით, ორბი ფთით, მელი კუდით წინააღმდეგნი ქალაქს დანიშნენ.

ი. ქ. ზღვა აღადუღა ჭურჭლით ნაქცევმან და დედაკაცი სარცხვილეულ ჰყო.

ქ. მოწამეთა, გელათი, ჩხარი, ბარბარა, გოგნი, კაცხი, სვეტი, ღვიმე, ჯვრუჭი, უბისა, მონასტერი ვარძია, ხორითი, ბარბა წმინდა, ვანი, ხონი, მათხოჯი, მარინე ფარცხნალს, ვანისა მ"ღვთის.. ნიკოლოზ წ"ა, ჭელიში, გლოლა, მრავალძა" (3 v).

1672

ქართველ წმიდათა ცხოვრებანი. 1740,

492 ფ.: 20×14; ქაღალდი: ტყავგადაკრული ხის ყდა: ნუსხური, სათაურები სინგურით: თავკაზმულობა—3 r: დაუწერელია: 201 v—202 v, 372 v: გადამწერი—სიონის მთავარდიაკონი აჭრონ (490 v): გადაწერის ადგილი—თბილისი (490 v): 1740 წ. (490 v).

1. „მოქცევაჲ მირიან მეფისა და მის თანა ყოვლისა ქართლისა წმიდისა და ნეტარისა დიდისა ჩ"ნისა ნინო მოციქულისა მიერ.—პირველად უკ"ც ვაჭასენოთ ცხ"რბაჲ წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩვენისა და ყოვლისა ქართლისაჲ განმანათლებელისა ნინო მოციქულისაჲ..." 12 v—46 v.

შენიშვნა: 1. „მოქცევაჲ" შეიცავს შემდეგ ნაწილებს:

ა. „თქმული აბიათარ მღდელისა, რომელი დაემოწაფა წ"ა და სანატრელსა ნინოს". 23 v—24 v.

ბ. „მისივე თქმული აბიათარ მღდელისა კუართისათჳს ღ"ჲ ჩ"ნისა იესუ ქ"სა". 24 v—30 r.

გ. „თქმული სიდონია დედაკაცისა, რომელი იყო მოწაფე წმიდისა ნინოსი, რომელი ესე იხილა და დაწერა მოქცევა სასწაულთაჲ მირიან მეფისაჲ, და შვერდომა ნინოსი აღსარებისათჳს ქ"ისტესისა, ჯ"ჲ აღმართებისათჳს, ეკლესიათა აღშენებისათჳს და მას შინა სასწაულთა მისთათჳს". 30 v—32 r.

დ. „თქმული მისივე აღშენებისათჳს ეკლესიათასა". 32 r—36 v.

ე. „აღმართებისათჳს პატიოსნისა ჯ"რისა". 36 v—39 v.

ვ. „წიგნი, რომელი მიუწერა პატრიაქმან ჰრომისამან და ბრანჯთა მეფემან ნინოსა და მეფესა და ყოველთა ერთა ქართლისათა". 40 r—46 v.

2. „მოქცევაჲ" წინ უძღვის ნინოს სავედრებლის საგალობლები. 3 r—12 r.

2. „ოკდომბერსა ა. საკითხავი სუ"ტისა ცხოველისა, კუართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისა, მ. გ.—საჭირო უკუ" ვიდრემდე იქმნა ჩ"ნდა, ჵ, ღ"ს მოყვარენო, პირველ გარდასრულთა ამაო მრავალ რიცხუ"დთა წელთა დუმილით თანა წარვდასა, აწღა სადმე მოვსენებად და განფრთხობად..." 57 v—106 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: 1. „საკითხავი“ შეიცავს შემდეგ ნაწილებს:

ა. „მოთხრობაჲ აბიათარ მღდლისაგან კურთისათჳს საუფლოსა, თუ ვითარ მოგუშნიჯა“. 64 v—72 v.

ბ. „უწყებაჲ სიდონიას მიერ დედაკაცისა დაბნელებისათჳს და მოქცევისა მირიან მეფისა და პატიოსნისა ჯუარისათჳს, რომელი იქმნეს შინას მიერ“. 73 r—106 v.

2. ტექსტს წინ უძღვის საგალობლები სვეტიცხოველისა. 47 r—57 v.

3. „ცხორებაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა ირწესი და ეფთჳმესი და უწყებაჲ ღირსისა მის მოქალაქობისა მათისა, აღწერილი გლახაკისა გიორგის მიერ ხუცეს-მონაზონისა, მ. გ.—კურთხეულ არს ღმერთი, რომელსა ყოველთა კაცთა ჰნებაჲს ცხრაჲ და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსლვა...“ 112 r—144 r.

შენიშვნა: 1. ტექსტს დართული აქვს გიორგი მთაწმინდელის ანდერძი: „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წ[ა]ისათა და მეოხებითა წ[ა]ისა ღ[მ]თ[ის] მწობლისათა მე, მამამან გიორგი, მოვიცალ[ე] ნაწილნი წ[ა]ისა ეფთჳმე[სი]...“ 143 v—144 r.

2. ცხოვრებას წინ უძღვის იოანე და ეკვთიმეს სახელობის საგალობლები. 107 v—111 v.

4. „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წ[ა]ისა და ნეტარისა მამისა ჩ[უ]ენისა გიორგი მთაწმინდელისა, მ. გ.—ჴსენებაჲ მართლისა ქებით აღსრულების, იტყოდა ბრძენი სოლ[ომონ]...“ 151 r—201 r.

შენიშვნა: ცხოვრებას წინ უძღვის გიორგი მთაწმინდელის სახელობის საგალობლები. 144 v—150 v.

5. „თვესა მაისსა ზ. ცხოვრებაჲ წ[ა]ისა მამისა ჩ[უ]ენისა ი[ო]ე ზედაძნელისა, რომელი ბრძანებითა ღ[მ]თისათა და წინა[მძ]ღრობითა სულისა წ[ა]ისათა მოიღინა ქ[ა]ყნათ შუამდინარით ქ[ა]ყნად ქართლისა ათორმეტთა მოწაფეთა მისთა წ[მ]თა თანა, განაახლა და განავრცო წ[მ]ნ მამამან ჩ[უ]ენმან ქართლისა ქ[ა]ზნ არსენ, გ. მ.—სულნი მართალთანი ჴელთა შინა ღ[მ]ათა წერილისაებრ და არა შეეხოს მათ რაჲთურთით რომელიმე შემაწუხებელთაგანი...“ 213 r—229 r.

შენიშვნა: „ცხოვრებას“ წინ უძღვის იოანე ზედაზნელის სახელობის საგალობლები. 203 r—212 v.

6. „აღსებითგან მეშვიდესა ოთხშაბათსა ჴსენებაჲ წ[ა]ისა მამისა დიდო[სა] ქართველისა, მწყ[ა]ხრ. ღ[მ]ღ[ა]. ყ[ო]ი ს[ა]ხ[ა]. ბ გ[ა]. მ.—განისმაჲ რაჲ კიდეთა სოფლისათა საქმენი დაგით საკ[ა]ვრელისა...“ 229 v—235 v.

7. „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წ[ა]ისა ღ[მ]თშემოსილისა მამისა ჩ[უ]ენისა დავით გარეჯ[ე]ლისა, გ. მ.—საჴსენებელსა მართლისასა მომთხრობელთა და მოქალაქობასა წ[მ]თასა აღმწერელთა და გონებისა სადაჲ თ[ა]ლთა გაწმედილად ჯერ-იყო ქ[ო]ნებად, ხოლო ენასა მეტყ[ო]ველსა კეთილად მორთულად და შესწორებულად მოთხრობასა აღწერად...“. 246 v—268 r.

შენიშვნა: ცხოვრებას წინ უძღვის დავით გარეჯელის სახელობის საგალობლები 236 r—246 r.

8. „ც[ხ]ორებაჲ და საკ[ა]ვრელებანი წ[ა]ისა და ნეტარისა მ[ა]ოსნი, რომელი იყო ანტიოქიით შუამდინარისათ, ხოლო მოიწია ქ[ა]ყნად ქართლისა და დაემკჳდრა სარკინისა მღ[ვ]მესა, რომელი-ესე აღწერა ღირსმან მარტჳრი, პირველ რომელსა ეწოდა ი[ე]რე, რომელი იყო მოწაფეთაგანი წ[ა]ისა ი[ე]რუსა კოსტანტინეპოლით, გ. მ.—ჴსენებითა წ[მ]თათა ოდესცა სადა იქმნა განძღომაჲ ცნობის მჭ[ო]ნებლ[ო]ბ[ა]გან, არა თუ ვინმე სრულიად წარტყ[უ]ვნილ იყოს გონებითა ეშმაკი-

სა მიერ და თ̃ლნი სულისანი აქუნდეს ყოვლად უმხედველო, რამეთუ წერილ არს: ჴსენებაჲ მართლისა ქებით აღესრულების...“ 277 v—312 v.

შენიშვნა: 1. ცხოვრებას დართული აქვს: „თქმული წ̃ისა და ნეტარისა შიოს მიერ, რომელსა მარადის იტყჳან ოზითად მკჳდრი მის მონასტრისანი. ჲ გ̃ ი.—ჯერთხეულ ხარ შენ ყოველად წ̃ა ღ̃ისმშობელო...“ 312 v—313 r.

2. „ცხოვრებას“ წინ უძღვის შიოს სახელობის საგალობლები. 268 v—277 r.

9. „თ̃ა აგჳსტოსა იზ. დაძინებაჲ წ̃ისა მამისა ჩ̃ნისა ისე წილკანელისა ეპისკოპოზისა, რომელი იყო ათორმეტთაგანი.—ბრძენთა მაქებელნიცა ბრძენნი უჴმნ და წ̃თა შემსხმელი წ̃ჲ ჯერ არსო—იტყჳს ვინმე ბრძენთაგანი...“. 316 v—327 r.

შენიშვნა: 1. ტექსტს წინ უძღვის საგალობლები. 312 v—315 v.

2. 316 r-ზე მოთავსებულია საგანგებოდ დახახულ ჩარჩოში აკროსტიხული იამბიკო—აქებდითნი ჴსნის ერისთვისშვილის იესესი: „აქებდითნი წ̃ისნი ჴმაჲ ჲ. შ̃ნ სიტყ̃ჲ, რომელთაჲ თავნი იტყჳან იამბიკოჲ: ჴსნის ერისთავის შვილი იესე ვადიდებ წმიდასა ისეს მადიდებელი მისი“.

10. „თ̃ა ნოემბერსა იგ. წ̃ისა მღდელმოწამისა აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოზისა ათორმეტთაგანი, რომელი იწამა ცეცხლის მსახურთა მიერ ქართლს, თქმული არსენი კათალიკოზისა მიერ, გ. მ.—ხოლო ჯერ არს, რათა მცირედ შუა შემოვიღოთ ჴსენებაჲ წ̃ისა და უბიწოსა მღდელთმოძ̃ღ̃რისა და მოწამისა...“ 327 v—331 v.

11. „თ̃ა იანვარსა იზ. წ̃ისა და ნეტარისა მამისა ჩ̃ნისა ანტონი მარტომყოფელისა.—ესე იყო ქ̃ყნით ასურეთით მოწაფეთაგანი წ̃ისა ი̃ე ზედაძნელისა...“ 335 v—336 r.

შენიშვნა: ტექსტს წინ უძღვის ანტონ მარტყოფელის სახელობის საგალობლები. 332 r—335 r.

12. „თ̃ა სეკდენბერსა იგ (!). წ̃ისა მამისა ჩ̃ნისაჲოსეს ალავერდელისა, რომელი იყო ათორმეტთაგანი. უფალო ღაღადყავი. უქცევეთ ათთა მუჴლთა ზედა და ვიტყჳთ პირველად დღესასწაულისათა და მერმე წ̃ისა, ჴმა ბ. ეჰა გჳ.—ეჰა, სულისა ებანო და ქნარო სიტყჳსა...“ 336 v—341 r.

შენიშვნა: საგალობელის ტექსტს გააჩნია მუსიკალური პუნქტუაცია.

13. „თ̃ა ნოემბერსა ი. წამებაჲ წ̃ისა მოწამისა კოსტანტი ქართველისა, რომელი იწამა ბაბილონელთა მეფისა ჯაფარის მიერ, მ. გ.—საყ̃რელნო, განცხადებულ არს ყოველთათჳს, ვითარმედ არა ვინა იყო აღწერა (!) იგი წიგნთა, გარნა მადლითა სულისა წმიდისათა...“ 341 v—348 r.

14. „თ̃ა ნოემბერსა იზ. წ̃ისა მოწამისა გობრონისი, რომელი განიყვანეს ყეელის ციხით, ხოლო აღწერა სტეფანე მტბევარ ეპისკოპოსმან ბრძანებითა აშოტ ერისთავთ ერისთავისათა, გ. მ.—ჩუსულებაჲ აქ̃ს განგებაჲსა ღ̃ისასა სწავლად გონებასა ზედა დაბადებულთა მისთასა...“ 348 v—357 r.

შენიშვნა: 350 r-ს მეორე სვეტზე წყდება ტექსტი და გრძელდება 361 v-ზე.

15. „თ~ა ოკდომბერსა **ლა.** წამებაჲ და ღ~წლი წ~თა და დიდებულთა მოწამეთა დავით და კოსტანტინესი, რომელნი ეწამნეს ქ~ყანასა ჩრდილოეთისასა სანახებსა არგუშთისასა, საბრძანებელსა ქართველთასა, შემდგომად დიდისა და მაღლისა მეფისა მიცვალებისა ვახტანგ გორგასლისასა, რომელმან მეფობაჲ ყოველისა ქ~ნისა განაგო, გ. მ.—მეფობასა ბერძენთა ზედა ღ~თის მსახურისა ჰერაკლესი, ოდეს იგი განაგებდა საბრძანებელსა თჳსსა კუ~რთხითა მეფობისა თჳსისათა...“ 561 v—369 v.

შენიშვნა: ტექსტს წინ უძღვის დავით და კოსტანტინეს სახელობის საგალობლები. 357 v—361 r.

16. „თ~ა ივლისსა **კთ:** მარტჳლობაჲ და მოთმინებაჲ წ~ისა ევსტათი მცხეთელისაჲ, გ. მ.—წელსა მეათესა ხუასროს მეფისასა და არვანდ გუშნასპისასა მარზაპანობასა ქართლისასა მოვიდა კაცი ერთი სპარსეთით, სოფლისა არშაკეთისა, ძე მოგჳსა...“ 373 r—383 v.

შენიშვნა: ტექსტს წინ უძღვის ევსტათი მცხეთელის სახელობის საგალობლები. 370 r—372 v.

17. „თ~ა ოკდომბერსა **იზ.** წ~ისა მოწამისა შუშანიკ დედოფლისა, მ.ჩ.გ.—და აწ მტკიცედ გითხრა თ~ნ აღსასრული წ~ისა და სანატრელისა შუშანიკისი...“ 384 r—395 r.

18. [გრიგოლ დოდორჩელი] „თ~ა სეკდემბერსა **იგ.** წამებაჲ ყოვლად დიდებულისა მოწამისა დედოფლისა ქეთევანისა, რომელი იწამა სპარსთა მეფისა მიერ ქალაქსა შირაზისასა.—საქმისა რაჲსამე კეთილისა დამწყებელსა გონებაჲცა კეთილი უჭმს და ფრიადითა სიბერძნითა აღსავსე...“ 405 r—422 r.

შენიშვნა: წამებას წინ უძღვის დედოფალ ქეთევანის სახელობის საგალობლები. 395 v—404 v.

19. „თ~ა მარტსა **კ.** წამებაჲ წ~ისა და ნეტარისა მეფისა ჩვენისა ლუარსაბისა.—ხოლო წ~ჲ და ნეტარი ესე აღმოეცენა ქყ~ნით ქართლით...“ 425 v—428 r.

შენიშვნა: წამებას წინ უძღვის მეფე ლუარსაბის სახელობის საგალობლები. 422 v—425 v.

20. „თ~ა მარტსა **კ.** წამებაჲ წ~ისა მოწამისა არჩილისი, რომელი იყო მეფე ქართლისა.—და ვითარცა გარდაჴდეს წელიწადნი ორმეოცდაათნი მოსვლისაგან მურვან ყრუსა, კ~დ მოვიდა ჰიჯუმ, ნათესავი მოჰმადისი...“ 428 v—430 r.

შენიშვნა: წამებას წინ უძღვის მეფე არჩილის სახელობის საგალობლები. 428 r—v.

21. „ცხ~რბ~ჲ და მოქალაქობაჲ წ~ისა მამისა ჩ~ნისა ილარიონ ახლისა, გ. მ.—შემოსლვამან ამან ჟამთამან ჩ~ნ ზედა კეთილი ნაცვალი პირველთა მათ შემოიღო...“ 434 r—455 v.

შენიშვნა: ცხოვრებას წინ უძღვის ილარიონის სახელობის საგალობლები. 430 r—433 v.

22. „თ~ა დეკემბერსა **ბ.** ც~ხრბაჲ და მოქალაქობაჲ მამისა ჩ~ნისა პეტრე ქართველისა, რომელი იყო ძე ქართველთა მეფისა, გ. მ.—მნებავს უწყებად თქ~ნდა, ძმანო ჩემნო საყუარელნო, ც~ხრბაჲ წ~ისა და ნეტარისა მამისა პეტ-

რესსა, რომელი-იგი იქმნა მნათობ პალესტინისა და უფროსად ყ-ისა სოფლისა...“ 461 r—467 v.

შენიშვნა: ცხოვრებას წინ უძღვის პეტრე ქართველის სახელობის საგალობლები. 456 r—460 v.

23. „თ-ა იანვარსა ზ. წამებაჲ წ-ისა და ნეტარისა ქრისტეს მოწამისა აბოსი, რომელი იწამა ქართ-ს, ქალაქსა შინა ტფილისისასა, ჴელითა სარკინოზთაჲთა.—საყვარელნო მამისანო და მეგობარნო და მონანო ქ-ს ძისა ღ-ნო და სამკჳდრებელნო სულისა წ-ისანო...“ 471 r—487 v.

შენიშვნა: 1. წამებას წინ უძღვის აბოს საგალობლები. 468 r—470 v.

2. ტექსტში არ არის შესული „აბოს წამების“ IV კარი-„ქება წმიდისა მოწამისა ჰაბოსი“.

24. „თ-ა აგჳსტოსსა გ. წ-ისა მოწამისა რაჟდენისა, რომელი იწამა ქართლს, სოფელსა შინა წრომს. მწუხრი. უ-ო ღ-ყჲ. ბი, სასწაული. დ გ-ი. ქრისტეს მორწმუნენო, მოვედით დღესასწაულსა ამას...“ 488 r—490 v.

შენიშვნა: ხელნაწერში შესულ საგალობლებს გააჩნია მუსიკალური პუნქტუაცია.

ანდრძი გადამწერისა: 1. „მამაო წ-ო გ ი ო რ გ ი, მეოხ და მფარველ მეყავ წინაშე ქ-ა ცოდვილს ა რ ო ნ ს“. 201 r.

2. „ჩ, ი-ე მნათობო ქართლისაო, მამათა თ-ლო და მონაზონთა დიდებაო, წარმიმართე სარბიელი ესე უცებად მწერალს მთავარდიაკონს ა ჰ რ ო ნ ს“. 229 r (ანალოგიური ანდრძი 455 v-ზე).

3. „დიდებაჲ ღმერთსა, სრულმყოფელსა ყოვლისა კეთილისასა და მადლობაჲ ყოვლად წ-სა ღ-ისმშობელსა, რომელთა ძალითაჲ აღვწერე მე ტფილის ქალაქსა მყოფომან და მჯდრმან მოყმემან წ-ისა სიონისამან მთავარ დიაკონ ა ჰ რ ო ნ, გარნა ძეთაგან დეკანოზისათა ცხებულმან. უწყის ღმერთმან, ჭრიადი მაქუნდა სურვილი ამათ წ-თა წამებათა შესხმათა და გალობათა შეკრებისათჳს და ძლით შევკრიბე და თუ რაამე წერით ცთომილებაჲ ჩემი იხილოთ, ნუ მწყევთ, ორ-ნ გამართეთ. სრულ იქმნა სეკდმბერს კ, ქ-ს უ-ს, ქრისტეს აჴეთ ჩლ-ი. სრულმქმნელი ნაზოომისა ემადლოს ღმერთსა“. 490 v.

მინაწერები: 1. „ჩყნგ-სა, თებერვლის იდ-სა გარდაიცვალა დ ა ვ ი თ მ ი ტ რ ო პ ო ლ ი ტ ი იმერეთისა. ჩყნე-სა, დეკემბრის ა-სა გარდაიცვალა ს ი მ ო ნ მ ი ტ რ ო პ ო ლ ი ტ ი ს ძმა წ ე რ ე თ ე ლ ი. სულმან მათმან კეთილთა შინა განისვენოს“. 491 v.

2. „ამ დიდის სჯმეთ წერეთლის სძალი, უბრწყინვალესის თავადის აბაშიძის ასული, სამაჯალითო კნეინა მართა გარდაიცვალა აბასთუმანში მუცელა სახადითა ჩყვგ-სა, ავგისტოს კბ-ს, დღითგან მეოე საათზე. ღმერთმან სანატრელსა შინა საუკუნო განსვენება მიმადლოს და საუკუნოდ ყოს ხსენება მისი ა-ნ“. 491 v.

1673

სადღესასწაულო. XIII

352 ფ.; 16.5×12,5 ტეტრატი; კიდეები რესტავრირებულია ქაღალდით; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა (დაზიანებული); ყდის ყუა ტილოგადაკრული; ნუსხური, სათაურები სინგურით; [XIII ს.]; ბოლონაკლული: მომგებელი—ვანენი ყოფილი ნისიმე (325 v—326 r); ჩამოტანილია ეჭვთიმე თაყაიშვილის მიერ ჯრუჭის, მონასტრიდან 1919 წ.

„თ~სა სეკდენბერსა ა. გჳრგჳნი წელიწადისაჲ, დაწყებაჲ ახლისა ინდიკტიონისაჲ და წ~დისა სჯმონისა. ო~ო ღ~ღყვ. ჳ~ჲ ა. ლ~ცისაგან.— თავადისა ქ~ს ღ~ისა მოძღურებისა მიერ ლოცვაჲ გჳსწავებიეს ჩ~ნ...“ 1 r—352 v.

შენიშვნა: 1. სვინაქსარული მასალა მიდის 31 იანვრამდე. 275 r. ბოლოში დართული აქვს გამორჩენილი დღეების (სექტემბრის, ოქტომბრის და ნოემბრის თვეების) მასალა. 275 r—352 v.

2. აშიებზე აქვს მრავალი სქოლიო და შენიშვნა.

3. 85 v-ზე მოთავსებულია ბეჭედი, რომლის ლეგენდაში იკითხება: „მოწა ღ~ნი კოლოზ“.

4. ანდერძში მოხსენებული პირის (ვანენი ყოფილი ნიშიმე) საშუალებით ხელნაწერი XIII ს. თარიღდება.

ანდერძი (გადაშწერისა): „წმიდანო მამანო! ესე რომელიცა ერთობილი დღე დაგურჩომოდა, ამა წიგნისა ბოლოსა ამად მოვაქციეთ, რომე იმა მუჯლებსა დაყრილსა, რაჲცა საგალობელთა თუშთა ბოლოსა ჩაგჳრთავს, მას თანა ამად აღარ ჩაერთვოდა, რომე ესე სეკდე[ნ]ბრისა ოთხისაჲ და ქ~ისაჲცა იანვრისა და დეკემბრისასა ქუშმოით აღარ მოექცევოდა, აწლით იჭნებოდა და აღარ მირიგებით იქნებოდა, საძიებელად გაძნელდებოდა და რაჲ წიგნისა ნაკუშთი ნახა პატრონმან ვანენი ყოფილმან ნიშიმე, რომე არ გასქელდებოდა, ესე ჩ~გან დაგდებული აქა ბოლოსა დაგუაწერინა“. 325 v—326 r.

მინაწერები: 287 v—288v; 330 v.

1674

იოანე ოქროპირი—სწავლანი. XV—XVI

196 ფ.; 22×15,5; ქაღალდი (სქელი); უყდო; ნუსხური, სათაურები სინგურით; დახიანებული, პირველი სამი ფურცელი დახეულია; პირველი ფურცელი გადასულია; თავბოლოსნაკლული; [XV—XVI ს.] დაწერილია: 156 v, 158 v.

1. „[...]ის მოქმედსა მრ~ღ შეურაცხ ვყოფთა...“ 1 r (ბოლოსნაწყვეტი).

2. „თარგმანებისაგან სიტყჳსა მას, ვითარმედ ყოველნი წარღგომად ვართ წინაშე ქ~სსა.—ვითარ არა სძრწი შენ, რომელი [ეგე] იტყჳ, თუ...“ 2 r—v (ფურცლის მეორე ნახევარი გადასულია).

2. ტექსტის სტრიქონებს შუა და აშიებზეც ბერძნული მინაწერები.

1860

უქმი და ხსნილი დღეების კალენდარი. XVIII—XIX

4 ფ.; 11,2×9,5; ქაღალდი; ფრაგმენტი; ნუსხური; ხაზი და ტექსტი მდარე; [XVIII—XIX s.].

„...თ~ა სეკდენბერსა აქუს დღე ლ. ნშობ ყწ (!) უქმ ჴსნლ[ი]...“ 1 r—4 r.

წყდება: „... მარხო ზა დდიბსა ოქმი...“

შენიშვნა: ტექსტი უქარაგმოა და ძალზე გაუმართავი.

ანდერძი გადაწერის: „ამს მ̃წრ ნკლზ მარგან...“ 4 v.

1861

გამოკრებილი სადღესასწაულო. XVII

10 ფ.; 11×7,3; ქაღალდი; ნუსხური, დასაწყისები და მთავრული ასოები სინგურით; კიდეები შემოცვეთილი; დაზიანებულია: 5—10 ფ.ფ.; [XVII ს.].

[გამოკრებილი სადღესასწაულო] „... მშობელსა და მზრდელსა ცხორებისა ჩ̃ნისასა უქმი და ჭსნილი. გალობს 9 დღე. იდ. ამაღლებაჲ პატიოსნისა ჯ̃ჲ. ოხითა. აცხოვნე უფალო ერი შენი...“ 1 r—10 v.

წყდება: „... ო̃რ ჩ̃რ რ̃ი ... შინა დამკჳდრებულ ხარ და დ̃დაბლებულთა ხედავ რამეთუ... და წ̃ჲთა შ̃ა განისუ҃ნებ... ეგე იჳ̃ლისა...“.

1862

ლოცვანი. XVIII

5 ფ.; 8,5×8; ეტრატი; ფრაგმენტი; ნუსხური; დაშლილი; მეოთხე ფურცელი ქაღალდია; დაწერილია მდარე შავი საღებავით, საშინელი ხელით; პალიმფსესტი, თავდაპირველი ტექსტი, ნუსხური, არ იკითხება; [XVIII ს.].

[ლოცვანი] „... შ̃ნთა ზვარაკისა... მსხვერპლი იგი აბრამისნი...“ 1 r.

წყდება: „... ო̃რ ზვარაკი ... არ̃ხე სამოველ წინაწვარმ̃ეტყლი...“

შენიშვნა: ტექსტი სრულიად გაუმართავია და ძნელად იკითხება.

1863

საკითხავები. XI

2 ფ.; 15×12,5; ეტრატი; დაზიანებული; კიდეები შემოცვეთილი; ადგილები გადასულია; [XI ს.].

[საკითხავები] „... თქ̃ა: ნუ გეშინინ ასოლო, სარწმონოებამან შ̃ნმან გაცხოვნა შ̃ნ...“ 1 r.

წყდება: „... ვითარ უკუე არა ... ყოველივე მომანიჭოს ჩ̃ნ. ვინ არს მაბრალობელ რჩეულთა მათ ღ̃თისათა. ღმერთი არს განმამართლებელ. ვინ არს დამსჯელ. ქე ი̃ჳ, რომელი მოკუდა, უფროჲსღა აღდგა, რომელი იგი ზის მარჯუენით ღ̃ჲსა და რომელი იგი მეოხ არს წმიდათათ̃ს. ღ̃თი დ̃ბლ არს ზრახ...“ 2 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1864 ა

ჟამნი. XVI

42 ფ.; 9×14; ქაღალდი, სქელი, მოყვითალო ფერის: ფრაგმენტი; ტყავგადაკრული ხის ყდა; ზემო ყდაზე ტყავის მხოლოდ პატარა ნაწილია შემორჩენილი; ზემო ყდის ფიცარი გატეხილია; დაზიანებულია: 35—42 ფ.ფ., [XVI ს.].

„[ჟამნი] „... რ მრავლობითა იყვნესა იგინი ჩ~მთანა. ესა მ~ესა ღ~ა და დამდაბლნესა იგინი, რომელი წინა ვ~ე იყო საუკუნესა...“ 1 r.

წ ყ დ ე ბ ა: „... დ~ბ. აწ რომელი ჩუნთუ იშევა ქ~ე ქალწულისაგან. ჯურცუმა დაითამინე სახიერა... სიკუდილითა სიკუდ...“ 42 v.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1 ტექსტის ენას ამეტობა ახასიათებს.
2. გადამწერი ჭარბად და უადგილოდ ხმარობს ქარაგმებს.

1864 ბ

ლოცვა. XV—XVI

1 ფ.; 13,5×9; ეტრატი; ფრაგმენტი; ნუსხური; ეტრატი დაზიანებული, კიდეები მოხეული, ფურცლის შუა გული ამოგლეჯილი; [XV—XVI ს.].

[ლოცვა] „... ცემულ იქმენ მონათა შ~ნთა ზედა, აღჳჳსენით ჩ~ნ ცისკარსა წყალობითა შ~ნითა, უფალო, ვიხარებდით ყოველთა დღეთა ჩ~ნთა...“ 1 r.

„წ ყ დ ე ბ ა: „... უბიწოსა ოდეს მოხუიდე სუფევითა შ~ნითა; ვიდოდიან იგინი უმანოკობითა გულისა მათისაჲთა. შ~ს სახელისა შ~ნისა. არა დავიდევი წინაშე... ჩ~მთა საქმე უსჯ... მყოფველნი...“ 1 v.

1865

კურთხევანი. XIV—XV

64 ფ.; 14×11,5; ეტრატი; ტყავგადაკრული ხის ყდა, ქვემო ყდა არა აქვს; ნუსხური, დასაწყისები სინგურით; თავბოლონაკლული; [XIV—XV ს.].

[კურთხევანი]. „... მსგავსად მცნებათა შენთა მომჭალაჲქეობდეს (!), რათა დაიცვას ბეჭედი აღაუტეხლად და მიემთახიოს ნეტარებასა რჩეულთა შენთასა სასაუფეველისა შენისა...“ 1 v—64 v.

წ ყ დ ე ბ ა: „... მოსლვათა მისთასა და თვად... მოავალინა განამაზადებულითა სამაკვიდარებლით თ~სით ანგელოზი...“

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1. კურთხევანის შედგენილობა: ლოცვაჲ შესლვისა დედაკაცისასა ეკლესიად მეორმაოცესა დღესა. 1 v—2 v.

ლოცვაჲ რაჟამს ეკლესიად შეიდეს ყრმისა დედაჲ დღესა მეორმაოცესა. 2 v.
ლოცვა განბანისა ნათელღებულთა 17 r.
განგებაჲ გურგუნისა კურთხევისა. 19 v.
ლოცვა ახუმსა გაურგაუნაისა. 25 v.
კურთხევა საფლავის კვეთისა. 26 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წესი, რომელი აღესრაულების დაფლვისა შესაუწნებულისა. 26 v.

განგებაჲ უ̃თუ [არა] წ̃თგან რაჲმე შთავარდეს წყარაოსა ანუ ჯაურაღამაულსა. 58 r.

უ̃თუ შეგინებული რაჲმე შთავარდეს ჰურაჰელსა შინა ზეთისასა. 59 v.

ლოცვაჲ შეგინებულისა მაჰამელისა ზედა. 60 v.

ლოცვაჲ ყოველივე საჭმარისა შეგინებაჲულ[სა]. 61 v.

ლოცვაჲ ჰურჰელსა ზედა შევ-ნებულ[სა]. 63 r.

ლოცვაჲ დიდებულისა მოწამისა ტაქრიფონისა ყ̃ველთჳს ვენაბისა ყანისა და ბაოსტნისა. 63 v.

2. 1 r-ზე თავდაპირველი ტექსტი წაშლილია და მოგვიანო ხელით, ნუსხურით, დაწერილია ლოცვა. ახალი ტექსტიც საგრძნობლად გადასულია, ცუდად იკითხება.

3. ტექსტის ენა ამეტობით ხასიათდება.

4. ტექსტი წყდება ია რეფულზე.

მინაწერები (XV ს. მხედრულით): 2 r—3 r, 4 v—5 v, 6 v—7 r, 8 r—10 r, 11 v—16 r, 17 v, 21 v—22 v, 24 v—26 v, 27 v, 28 v—29 r, 31 v—33 r, 34 v—35 r 36 v—37 r.

1866 ა

იბაკონი. XIII—XIV

14 ფ.; 14×12; ეტრატი; ფრაგმენტი; ნუსხური, დასაწყისები და მთავრული ასოები სინგურით; პალიმფსესტი, ძველი ტექსტი ასომთავრულით, რამდენიმე აშიაზე ტექსტი იკითხება; ეტრატი ძალზე დაზიანებულია, 1—3, 10—14 ფ.ფ.-ის მხოლოდ ხახვრებია შემორჩენილი, დანარჩენები გაყვითლებული და დაგლეჯილია; [XIII—XIV ს.].

[იბაკონი] „... ჰ, მორწმენენო, ტრფიალი იგი ვეცხლისაჲ, რომელმან მისთჳს [შ]ეშტკლიბა, იულტოდეთ უძღებებისა მისგან...“ 1 r—14 v.

წყდება: „... ამღლდი დიდებით, ქრისტე ღმერთო, და მხიარულ ყუენ მოწაფენი შენნი აღთქმითა მით სულისა წ̃მთა...“

შენიშვნა: ფრაგმენტი შეიცავს: „ოხითა, იბაკონი საზატიკონი“ 4 r. „ოთხშაბათსა შუახატიკისაჲ ოხითა აღდგომისა იბაკოჲ“. 7 v.

1866 ბ

სულთა განმანათლებელი მატიანე. XIV—XV

2 ფ.; 14×12; ეტრატი; ნუსხური, დასაწყისები და მთავრული ასოები სინგურით; პალიმფსესტი, ძველი ტექსტი ნუსხური, ცუდად იკითხება; [XIV—XV ს.].

«სულთა განმანათლებელი მატიანე». „... ჰრქუა უფალმან თჳსთა მოწაფეთა: უკუეთუ მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი მათნი, მოგიტევნეს თ̃ქნცა მამამან თ̃ქნიან ზეცათამან შეცოდებანი თ̃ქნნი...“ 1 r—1 v.

ანდერძი: „სახელითა ღ̃მთა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისაჲთა და წმიდისა ი̃ნე ნათლისმცემელისაჲთა და წმიდისა ი̃ნე მახარებლისაჲთა, და წმიდათა მთავარანგელოზთაჲთა მიქელ და გაბრიელ, და წმიდისა ღმრთის მშობლისაჲთა, მარადის ქალწულისა მარიამისითა, და წმიდისა ძალთა ზეცისა მეოხებითა და რომელ-

ნი საუკუნითგან სათნო ეყუნეს უფალსა ჩ~ნსა ი~ჳსს ქრისტესა, ამათ ყოველთა წმიდათა მადლითა და მეოხებითა და შეწევნითა დაიწერა წმიდაჲ ესე სულთა განმანათლებელი მატიანე დღესა მისთჳს საშინელისა და შესაძურწუნებელისა, ოდეს მეორედ მოვიდეს ქ~ე ღმერთი ჩ~ნი, ძალნი ცათანი შეიძრნენ და შეძრწუნებულნი საყდარნი დაიდგნეს, მდინარე ცეცხლისა დიდღეს წინაშე მათ ყოველთა, მაშინ საყჳრსა დასცემთ, დასაბამიდგანნი მკუდარნი აღდგენ და ერთ ჰასკ იქმნენ და ყოველნი ქმნულნი გამოცხადნენ და მაშინ წარუდგენ ყოველნი წინაშე ღმრთისა შიშველნი და თავდადრეკილნი და განარჩიუნეს ცოდვილნი მართალთაგან, ვითარცა ცხჳარნი თიკანთაგან. მართალნი მარჯუენით, ხოლო ცოდვილნი მარცხენით. ო~ო ი~ჴ ქ~ე ღ~ო ჩ~ნო შეიწყალე და აცხოვნე სულნი ჩ~ნნი". 2 r—v.

1866 გ

კურთხევანი. XV—XVI

7 ფ.; 14,5×10,5; ეტრატი; ფრაგმენტი; ნუსხური; პალიმფსესტი, თავდაპირველი ტექსტი ნუსხური, ეტრატი ძალზე დახიანებული; არ იკითხება: 1 r, 2 r, 7 v; XV—XVI ს.].

[კურთხევანი] „... აკ~ნე, უფალო, წყალობითა შ~ნითა ზუარაკი ესე, ვითარცა აკურთხე ზუარაკი იგი ჳბოჲ ჰაბრამისი..." 1 v—7 r.

წ ყ დ ე ბ ა: „... განანათლე... გულნი ჩ~ნი ნათლის[ღებისა] შენისაჲთა... გამობრწყინენ ლამპარნი სულთა ჩ~ნთანი...".

1867 ა

საკითხავები. XIV—XV

8 ფ.; 14×11,5; ეტრატი; ფრაგმენტი; დაწლილი; ნუსხური, სათაურები სინგურით; [XIV—XV ს.].

[საკითხავები]. „...მოციქულნო ყოვლისა ბოროტისა... ექმნენით ტანჯვათა სიმწარენითაგან ისხენით..." 1 r—8 r.

წ ყ დ ე ბ ა: „... ე ბ რ ა ე ლ თ ა. ძმანო, უკუეთუ ანგელოზთა მიერ, რომელი იგი ითქუა სიტყუაჲ მტკიცე..."

შენიშვნა: 1. ხელნაწერი წარმოადგენს H—1869-ის ნაწილს.

2. მერვე ფურცელი გასვრილია და ცუდად იკითხება.

1867 ბ

საგალობლები. XIV—XV

10 ფ.; 16×12,5; ეტრატი; ფრაგმენტი; ნუსხური, დასაწყისები სინგურით; ძალზე დახიანებული, დაბეჭდილი, დასვრილი; ტექსტი ცუდად იკითხება; [XIV—XV ს.].

[საგალობლები] „...შობაჲ მოუკლებელი და ...ნებისაჲ განახლებული ... განიცადა [და] თ~ქა..." 1 r.

წ ყ დ ე ბ ა: „... დაიცვენ ბეჭედნი უფნებელად... ქ~ე. აღდგომასა საფლავითა, რომელმან კლიტენი..."

1867 გ

ლოცვანი. XIV—XV

1 ფ.; 15×12; ეტრატი; ნუსხური, მთავრული ასოები სინგურით; დაზიანებული; [XIV—XV ს.].

[ლოცვანი] „... ურნნა ყ~ნი სნეულებანი შ~ნნი. კ~ხრ ო~.

რომელმან იჴსნა განხრწნისაგან ც~ხრბაჲ შ~ნი და გ~რგნოსან გყო შ~ნ წყალობითა და შეწყნარებითა. კ~ხრ ო~...“ 1 r.

წ ყ დ ე ბ ა: „... კაცი ვითარცა თივა არნ დღენი მისნი. ვითარცა ყუავილი ველისა ... აყუავდეს. კ~ხრ შ~ნ ო~...“ 1 v.

1868

ლოცვანი. XV—XVI

4 ფ.; 15,5×11; ეტრატი; ფრაგმენტი; ნუსხური, მთავრული ასოები სინგურით; პალიმფსესტი, ძველი ტექსტი ასომთავრული, აშიებზე ადგილები აკითხება, [XV—XVI ს.].

[ლოცვანი] „...ნი მონისა შენისა, ანუ ოდეს მიჰყოს სასჯელი ჩემი მდევართაჲ ჩემთაგან, მითხრნეს მე უსჯულოჲსა ზრახვანი, არამედ არა იყოს ვითარ სჯული შენი, უფალო, ყოველნი მეცნიერებანი შენნი და ჭეშმარიტებითა არიან, უსამართლოდ მდევნიდეს და შემეწიე მე...“ 1 r—4 v.

წ ყ დ ე ბ ა: „... და განგიმზადოს თ~ქნ სამკაულნი ზეცათანი გჳრგჳნი დაუჭნობელი. კურთხეულ ხარ შენ უფალო...“

1869

საკითხავები. XIV—XV

16 ფ.; 14×11,5; ეტრატი; ფრაგმენტი; დაწლილი; ნუსხური, დასაწყისები სინგურით; [XIV—XV ს.].

[საკითხავები]. „... რათა ღ~თისა ვაცხონადეთ ქ~ს თანა, თანა ჯ~რცამაულ ვარ, ხოლო ცხოველ არაღარა მე ვარ, არამედ ცხოველ არას ქ~ე...“ 1 r—16 v.

წ ყ დ ე ბ ა: „...და რაჲ ვეგენით ვაცხვანდით მაცხოვრებითა მისითა. ა~ლჲ. აღიარებენ ცანი...“

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1. ტექსტი ამეტობით ხასიათდება.
2. ხელნაწერი H—1865-ის და H—1867-ის ნაწილია.
3, ხელნაწერს გააჩნია რვეულებრივი პაგინაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1870

ოთხთავი. XIII—XIV

98 ფ.; 24,5×18,5; ეტრატი: უყდო; დაშლილი; ნუსხური, დასაწყისები და მთავრული ასოები სინგურით; თავნაკლულია; აკლია შიგადაშიგაც; თავკაზმულობა—63 r; იოვანე მახარებლის გამოსახულება (62 v); დაზიანებულია ფ.ფ.: 30—31, 47, 49—61, 65—95; გადამწერი—გიორგი (97 v); [XIII—XIV ს.]; ჩამოტანილია სვანეთიდან აკაკი შანიძის მიერ 1921 წელს.

[სახარებაჲ ლუკაჲსი] „... რამეთუ აჰა ესერა ვითარცა იყო ქმაჲ მოკითხვისა შენისაჲ ყურთა მომართ ჩემთა ჰკრთებოდა ყრმაჲ ესე სიხარულით მუცელსა ჩემსა...“ ლუკა. 1. 44.

შენიშვნა: 1. ხელნაწერს გააჩნია რვეულებრივი პაგინაცია. ხელნაწერი იწყება იგ რვეულით.

2. ხელნაწერს აკლია 56—57, 62—63, 92—97 ფურცლებს შორის.

ანდერძი: „სამებაო ერთღობო, დღესა მას დიდსა სასჯელისასა იქსენ სატანჯველთაგან სასტიკთა და საშინელთა გიორგი ამის წიგნისა აღმწერელი მეოხებითა წმიდათა შენთა ათორმეტთა მოციქულთაჲთა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობლისაჲთა და ყთა... ზეცისა ძალითაჲთა, რომელნი სათნო გყვნეს...“ 98 v.

მინაწერები: 25 v—26 r, 28 v—29 r, 61 v—62 r.

1871

ოთხთავი. XIV—XV

101 ფ.; 20×17; ეტრატი: უყდო; დაშლილი; ნუსხური; მთავრული ასოები სინგურით; ნაკლულია; პალიმფსესტი; ძველი ნაწერი ასომთავრულით და მსხვილი ნუსხურით, ზოგი ფურცელი კარგად იკითხება; გადამწერი—ათანასე (20 v), [XIV—XV ს.]; ჩამოტანილია სვანეთიდან აკაკი შანიძის მიერ 1921 წელს.

[სახარებაჲ მათესი] „... თუმცა და სიდრონს, თუმცა იქმნეს ძალნი თქუენს შორის, მაშინვე სამმცა ძაძითა ნაცარსა ზედა მსხდომარეთა შეინანეს...“ მათე, 11, 21. 1 r—101 v.

წ ყ დ ე ბ ა: „... მე ვარ მწყემსი კეთილი და ვიცნი ჩემნი იგი და მიციან ჩემთა...“ იოვანე, 10, 14.

შენიშვნა: 1. ლუკას თავის სახარებას წინ უძღვის „სასწაულები ლუკას თავისა“. 21 v.

2. ყველაზე სრულად ოთხთავში შემონახულია იოვანეს სახარება.

ანდერძი გადამწერის: „წმიდანო ღმერთშემოსილნო მამანო, ქრისტეს მოყუარენო, ვინცა წმიდა ამას სახარებასა და ლოცვასა იმსახურებდეთ, ლოცვასა თჭსა მომიგსენეთ ღმრთისათჳს ფრიად და მწარედ ცოდვილისა ამისი მწერალისა ა თ ა ნ ა ს ე ს თ ჳ ს. ვინ ჩემთჳს შენდობა ჰპრძანოთ, ღმერთჱნ თჭნა მოგაგოს. აჰა და მას საუკუნესა, ან“. 20 v.

მინაწერები: „ღმრთისა თავისდებობითა მცხოვარი ჯაბ შისა. პირველი მოციქული იწნე. ქ ო ჯ მ ე ლ ა ნ ი. მ უ ღ ჩ ა მ ა გ ი ა ნ ი მ ა მ ი ს თ ვ ა ლ ჩ ა მ ა გ ი ა ნ

და ჯუჯუნა საპრანი, მქა ქოჯმელანი, ისო ჩამაგიანი და აჯუ ქოჯელანი. აბუ საჭრიანი და ირნე კორსიანი, გიორგისაჲ იოსელიანი სურდა ჟაბეშისა სოფელი ესე ასრეი მოგიცემია, ვითამცა მაცხოვარი აღმაშინებელ იყო. ვრნი წინა დაუდგეს უშელოდ (!) მახარობელისა ჭყარიანისა სათიბი ლასგურელდაში მოგიცემია". 21 r.

მინაწერები: 48 v, 64 v, 68 v, 88 v—89 r.

1872

ოთხთავი. XIV—XV

18 ფ.; 21×18,5; ეტრატი; ფრაგმენტი; ნუსხური, მთავრული ასოები სინგურით; დაშლილი; დაზიანებულია: 1, 4, 5, 6, 7, 8, 15 ფ.ფ.; დასვრილია მელნით—16 ფ.; პალიმფსესტი, თავდაპირველი ტექსტი XI ს. ნუსხური, შინაარსით—საგალობლები; [XIV—XV ს.].

[სახარება მათესი] „... და ხოლო თუ ვინმე თრქას სიტყჳ ძისა კაცისაჲ, მიეტეოს, ხოლო რომელმან თრქას გმობაჲ სრლისა წმიდისაჲ, არა მიეტეოს..." მათე, 12. 32. 1 r—16 v.

წყდება: „... ხოლო იესუ მიუგო და ჰრქა: არცა მე გითხრა, რომლითა ჴელმწიფებითა ვიქმ ამას და იწყო იგავით..." ლუკა, 20. 8. 9.

შენიშვნა: ოთხთავს ერთვის: ა. „ესე თავები არს სახარებათა სასწაულთანი..." 17 r—v. ბ. საგალობელი—აღდგომაჲ ქრსი ვიხილეთ, თაყუნის ვსცემთ წმიდასა მას უფალსა..." 18 r.

მინაწერი: „სეტისა მთავარმოწამისა და მაცხოვრისა ნახურისა თავსდებობითა და შუამდგომელობითა დაუწერეთ ჩრ ერთობილთა ჩრ ერთობილთა ლენჯერელთა და სეტიელთა ესე ძველი დაწერილი, ახლად დამტკიცებით ფიცით შემოგჳფიცა ერთმანერთისათჳს, ამა დაწერილსა საქმეთაცა გავათავებთ. ეგრეთვე ჩრთა მათისა ასრე დაგჳსკუნა: ერთისა ვარგისა სრული სისხლი სიტყუა უთქუმელად ედვას, რომელმაც ჴელი იკბაროს პატივისაგან მეტი ბრალობაჲ არაჲ მიხუდეს. ამისა გათავებისათჳს თავსდებად ესე ზემოწერილნი წრნი კაცთაგან ჩენილნა: პირნათელ ჯაფარაძე, იობიანი დუდილა გოშგოლეთიანი, ახნავი ცაანიანი, იოვანე ხრთეგიანი, პატრ ველდიანი, დუდილა, ფურთილიანი". 18 v.

1873

ს. გორგაძე—ქართული წყობილსიტყვაობა. 1909

25 ფ.; 36,5×22; ქაღალდი; უყდრო მხედრული; ავტოგრაფი. 1909 წ.

„ქართული წყობილსიტყვაობა. (ლექსთა-წყობის თეორიიდან). I ენის კეთილხმოვანება. ლექსი. ლექსთაწყობის სისტემები.—სიტყვაკაზმული მწერლობის ერთს უძვირფასეს და უსაჭიროეს სამკაულს ენის კეთილხმოვანება შეადგენს..." 1 r—25 r.

შენიშვნა: 1. ტექსტი დაწერილია მხოლოდ ფურცლის ცალ გვერდზე.
2. ტექსტი ნასწორებია წითელი მელნით, ავტორის ხელით.

1874

ს. გორგაძე—ქართული წყობილსიტყვაობა. 1911

86 ფ.; 23×17,5; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; მხედრული; ავტოგრაფი; დაუწურელია: 35 r—36 v; 1911 წ. (2 r).

„ქართული წყობილსიტყვაობა. I შესავალი.—კულტურული განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე ადამიანი ორგვარის სიტყვიერის ფორმით ხატავს თავის აზრებსა და გრძნობა-სურვილებს: სადასიტყვაობით და კაზმულსიტყვაობით...“ 5 r—82 r.

შენიშვნა: 1. თავფურცელი: „ს. რ. გორგაძე, ქართული წყობილ-სიტყვაობა. ლექსთა-წყობის თეორიიდან. (2 r).

2. წინ უძღვის ავტორის წინასიტყვაობა. (3 r—v).

3. დართული აქვს სარჩევი (86 r—v).

4. ტექსტი ნასწორებია წითელი მელნით ავტორის ხელით. ხოლო ფანქრით სხვა ტამბო ნიშნები და მითითებები აქვს გაკეთებული.

5. 87 r-ზე მოთავსებულია ლექსთა დამუხლვის სქემები: „თეორიულად შესაძლებელი კომბინაციები მუხლებისა“.

6. ტექსტი დაბეჭდილია (იხ. „გრდემლი“, ტ. I, 1912 წ.).

1875

ს. რ. გორგაძე—საქართველოს ისტორია. 1910

87 ფ.; 22,5×18; ქაღალდი, უყდო, დაშლილი; 3 რვეული; მხედრული; დაზიანებულია: 41, 42, 43 ფ.ფ.; ავტოგრაფი; 1910 წ. (1 r).

„შესავალი. I. წინასწარი ცნობები. 1. ქართული ენა.—დრო იყო—ადამიანები ერთ ენას ლაპარაკობდენ, მაგრამ როცა გამრავლდენ და ერთმანეთს დაშორდენ, ენაც თანდათან შეეცვალათ...“ 4 r—85 r.

შენიშვნა: 1. ხელნაწერის თავფურცელზე წერია: „ს. რ. გორგაძე. საქართველოს ისტორია. მოკლე სისტემატური კურსი. მოზრდილთათვის. I შესავალი. უძველესი ისტორია. ძველი ისტორია. თბილისი. 1910 წ.“ 1 r.

2. ტექსტს წინ უძღვის სარჩევი.

3. ტექსტი სასტამბოთ არის გამზადებული, გააჩნია ავტორის მითითებები სტამბისათვის.

4. ტექსტი დაბეჭდილია (იხ. ს. რ. გორგაძე. საქართველოს ისტორია. კუთაისი, 1915 წ.).

მინაწერები: 78 v.

1876

ს. რ. გორგაძე—საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი. 1904

49 ფ.; 36×22,5; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; მხედრული; ავტოგრაფი; 1904 წ. (40 v).

ს. რ. გორგაძე. საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი. (იმერეთის ეპისკოპოსს უძღვნის ავტორი). I.—ისტორიული გარე-

მოებანი.—დიოკლეტიანეს დევნულობით მოქანცულმა ქრისტიანობამ ნაწყ- მოწვნებით ამოისუნთქა, როდესაც რომის იმპერიის დასავლეთის ერთერთ ტახტზე ქრისტიანეთა მწყალობელი და გულით ქრისტიანი კოსტანტინე დიდი ავიდა (306 წ.)...“ 1 r—40 v.

შენიშვნა: 1. ტექსტი სასტამბოდ არის გამზადებული. მთელი რიგი ადგილები წითელი, ლურჯი და შავი ფანქრით არის ნასწორები და გადაშლილი.

2. წერილი დაიბეჭდა (იხ. „მოამბე“ 1903, № 3, განყ. II, გვ. 1—44; № 4, განყ. II, გვ. 1—24; № 5, განყ. II, გვ. 1—30).

მინაწერი (ავტორის): „უმორჩილესად ვთხოვ რედაქციას: 1) ჩვენი მართლწერა უცვლელათ დაიცვას. 2) ჰონორარი თავისი შეხედულებით მოგვცეს* 3) მომავალ წელში ორივე გამოცემა („მოამბე“ და „ცნ. ფურცელი“) მათი დამატებითა და პრემიით უსასყიდლოთ გვიგზავნოს. 1904 წ. ს. გორგაძე.

*) ამასთანავე, თუ შეიძლება, ბეჭდვის დროს ეს სტატია რამოდენიმე ცალად ცალკე წიგნაკადაც ამოიღოს ჩვენთვის. ს. გ.“ 1 r.

1877

ს. რ. გორგაძე—წერილები საქართველოს ისტორიიდან. 1905

129 ფ.; 35×22,5; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; ნუსხური. სათაური წითელი მელნით; ავტოგრაფი; დახიანებულია: თავფურცელი, 28, 77, 126, 129 ფ.ფ.; 1905 წ. (29 v).

„წერილები საქართველოს ისტორიიდან. I. მეფობის დასაწყისი. ყველა ერის ისტორიის დასაწყისი ბურუსით დაფარულია...“ 1 r—129 v.

შენიშვნა: 1. „წერილები“ 2 ნაწილისაგან შესდგება.

2. ტექსტი ნასწორებია წითელი და შავი მელნით.

3. ტექსტი დაბეჭდილია. (იხ. „მოამბე“, 1905, № 9, განყ. II, გვ. 29—60; № 10, განყ. II, გვ. 15—58.

1878

ებრაული ტექსტი

1879

სპარსული ტექსტი

1880

ქადაგება. XIX—XX

9 ფ.; 22×17,5; ქაღალდი; უყდო რვეული; მხედრული; დაუწერელია: 5 v. მეცხრე ფურცელი ავარდნილია; [XIX—XX ს.];

[ქადაგება] „ყოველს ღუთის მოყვარის კაცს ვალი აქუს, რომ რაიმე ღუთის საამო გასწალოს, მარა ღუთის მოყვარება თუ გაქუს და ცეცხლი გულში, შენც ყური უნდა მი[ა]პყრო...“ 1 r—9 v.

წ ყ დ ე ბ ა: „... ვაი, მაშინ არაწმინდავების ცოდვის მოყვარეთა, ვაი, მაშინ მემრუშეთა, მაგინებელთა, ურჩთა ან მტაცებელთა. ვაი, მაშინ ზარმაცთა, ეზარება წირვალოცვაზე მისვლა და არა ეცადეს სიცოცხლეში შენანება ცოდვისა და რომელთა...“ 9 v.

შენიშვნა: ტექსტი ნაწერია გაუმართავი ენით და ხელით.

1881

სამთვარიო. XIX--XX

18 ფ.; 17,5×11; ქაღალდი; უყდო; მხედრული (გაუმართავი); [XIX—XX ს.].

[სამთვარიო]. „ერთსა მუთვარესა დიღე კეთილი, თესივა, ნერიგუა, ცუხარითა სურა წარიწყიმეთილი იპოსი...“ 1 r—17 r.

წ ყ დ ე ბ ა: „... ბედნიერი იყოს ღვთისა მოშიში სხვისი ნაქნარსა არამზერი იყოს. სინება მისი სიმუხურვასაგან არსი ზაფირისაგანი და სნეული... თუ დარიჩესა პბ წელი დაყესო“.

შენიშვნა: ტექსტი უწიგნურად არის ნაწერი, ახასიათებს ამეტობა და იმეტობა.

მინაწერები: 17 v, 18 r—v.

1882

ლოცვანი. XVIII

18 ფ.; 10,5×7,5; ქაღალდი; უყდო; მხედრული; თავბოლონაკლული. დაზიანებულია 19 ფ.; [XVIII ს.].

[ლოცვანი] „... ყოვლისა სიმტკიცისაო, იესო! ღმერთო, მოქმედო წყალობისაო, იესო!...“ 8 r—15 v.

წ ყ დ ე ბ ა: „...ღმერთო ჩემო, ყოვლად ძლიერო იესო. უფალო ჩემო ყოვლად უკუდაო იესო...“

შენიშვნა: ლოცვას ერთვის: ბ. „ათორმეტნი თვენი საცნობელნი დღეთა და ჟამთა“. 1 r—7 v.

ბ. მოგვიანო გაუმართავი ხელით დაწერილი ლოცვა. 16 r—18 v.

1883 ა

საკითხავები. XVIII

2 ფ.; 21,3×15,3; ქაღალდი; ფრაგმენტი; ნუსხური; დაზიანებული, ქვემო ნაწილი მოგლეჯილი; [XVIII ს.].

„... ურიათაგანთა, რომელი მოსრულ იყვნეს მარიამისა და მართასა, იხილეს რომელი იგი ქმნა იჴუ და ჰრწმენა მისსა მიმართ, აჴნ. ცისკრად სახარებაჲ მათესი...“ 1 r—2 v.

წ ყ დ ე ბ ა: „... ახალსა კ̃ცსა სახარება მათესი... ვიეთნიმე შეიპყრნენ... იყვნენ ხოლო ლმი ერთი...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

1883 ბ

სვინაქსარი. XVII—XVIII

2 ფ.; 27,5×20,5; ქაღალდი; ფრაგმენტი; ნუსხური, დასაწყისები და მთავრული ასოები სინგურით; კიდეები შემოცვეთილი; [XVII—XVIII ს.].

«სვინაქსარი» „... ყ~რ ჯ~ღ. შაბათსა შემდგომად ჯ~რთა აპყრობისა. პ~ლი კორინთელთა. ძმანო იხილეთღა ჩი. ვიდრე წინაშე ღ~ჲ, სახარებაჲ ლუკასი...“ 1 r—2 r.

წყდება: „... სახარებაჲ მათესი თავი ხჲგ. ჰრქუა ო~ნ: იღჳძებდით, რამეთუ არა უწყით. განიცადე. იხარებდით მიმართ“. 2 r.

მინაწერები: (მხედრულით) ქ. ღ~თო და წმიდაო მოწამეო ქრისტესნო, რომელნი და რანიცა წმიდასა სუინაქსარსა შიგა სწერიან მათო მადლო გაუმარჯჳე მეფესა ალექსანდრესა და მიეც ძლევა და გამარჯუება და დაუმორჩილენ ყოველნი მტერნი ქუეშე ფერჯთა მისათა. ამინ, ამინ, ამინ“. 2 r.

1884

საკითხავები. XVIII

15 ფ.; 14,5×10,5; ქაღალდი; ფრაგმენტი; ნუსხური, დასაწყისები სინგურით; [XVIII ს.].

[საკითხავები] „... მათ ყოველთაგან წიგნთა მისთჳს დაშეახლნეს დიდებაჲსა მას ვიდრეცა ვიდოდეს, ხოლო თავადმან მიზეზ ყო ოშორეს ადრე წარსლვა...“ 1 r.

წყდება: „... საღ~თო სამოციქულო კორინთელთა მიმართ ეპისტოლე პავლე მოციქულთა საკითხავი... ხოლო რომელმან მოსცის თესლი მთესველსა და პური საზარდელად მოგეცინ თ~ქნ და განამრავლენ თესლი თ~ქნი...“ 15 v.

შენიშვნა: ტექსტი შეიცავს სახარება—სამოციქულოს საკითხავებს.

1885 ა

დავითნი. XV—XVI

3 ფ.; 21×16; ეტრატი; ფრაგმენტი; ნუსხური, დასაწყისები და მთავრული ასოები სინგურით; ეტრატი ძალზე დაზიანებულია, მეორე და მესამე ფურცლის ნაგლეჯებია შემორჩენილი, პირველ ფურცელს მარჯვენა კიდე შემოგლეჯილი აქვს; [XV—XVI ს.].

[დავითნი] „... რომელთა უნდა მშჯდობაჲ მონისა შ~ნისა და ენა ჩემი იტყოდეს სიმართლესა მარადღე ქებასა შ~ნსაჲ...“ 34, 27—28. 1 r—3 v.

წყდება: „...ამას დავემკჳდრო, რამეთუ მთანავს ესე ნადირნი მისნი კურთხევით ვაკურთხნეთ და გლახაკნი მისნი...“.

შენიშვნა: ტექსტის ენას ამეტობა ახასიათებს.

17. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. IV.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1885 ბ

სახარება. XVI

2 ფ.; 20,5×14; ეტრატი; ფრაგმენტი; ნუსხური მთავრული ასოები სინგურით ეტრატი ძალზე დაზიანებულია, პირველი ფურცლის მცირე ნაწილია შემორჩენილი მეორე ფურცელიც ალაგ-ალაგ ამოჭრეულია; [XVI ს.].

[სახარება მათესი] „... იყვნენ მგელ მტაცებელ. ნაყოფთა მათთაგან იცნეთ იგინი. ნუ უკუე შეკრიბიან ეკალთაგან ყურძენი...“ მ. 7. 15—16, 1 r—2 v.

წყდება: „... ხოლო ათორმეტთა მათ მოციქულთა სახელები ესე არს: პირველად სიმონ, რომელსა ეწოდა პეტრე და ანდრეა, ძმაჲ მისი, იაკობ ზებედესი და ი[ო]ნე, ძმაჲ მისი. ფილიპე და ბართლომე, თომა და მატათეოს მეზუ[ა]რე, იაკობ, ალფესი და...“ მ. 10. 2—3. 2 v.

1885 გ

თავები მარკოზის სახარებისაჲ. XI

1 ფ.; 21×14,5; ეტრატი; ფრაგმენტი; ნუსხური, მთავრული ასოები სინგურით; ეტრატი ძალზე დაზიანებულია, მხოლოდ ნახევარია შემორჩენილი, [XI ს.].

[თავები მარკოზის სახარებისაჲ] „... სიტყუაჲ ო[ჲ]ჲ მოწაფეთა მიმართ. რასა იტყჳან ჩემთჳს და აღიარა პეტრე და ასწავა უფალმან ვნებისათჳს...“ 1 r—v.

წყდება: „... **ლგ**. მისთჳს ოდეს იგი ჰკითხეს უფალსა: უკუეთუ შეჰგავს, რათა დაუტეოს ვინმე ცოლი თჳსი, რათაჲ გამოცადონ იგი და მოიყვანეს ურმები, რათა ჴე...“

1885 დ

საგალობლები. XI

1 ფ.; 20×16; ეტრატი; ფრაგმენტი; ნუსხური, დასაწყისები და მთავრული ასოები სინგურით; ეტრატი ძალზე დაზიანებულია, ფურცლის კიდეები მოგლეჯილი; ტექსტი გადასულია და ცუდად იკითხება; [XI ს.].

[საგალობლები] „... ურწმუნოთა ერნი, ვითარცა მჭეცნი [ვ]ნებულნი ღრჩენდეს კბილთა...“ 1 r.

წყდება: „... **ღმ**ნა. განანათლ...“

შენიშვნა: ტექსტს გააჩნია მუსიკალური პუნქტუაცია სინგურით.

1885 ე

საგალობლები. XI

1 ფ.; 18×16,5; ეტრატი; ფრაგმენტი; ნუსხური; ეტრატი დაზიანებული, კიდეები შემოხეული, ტექსტი გადასული; [XI ს.].

ეროვნული ბიბლიოთეკა

[საგალობლები] „... აწ უკუე განვიშორნეთ საქმენი ბნელისანი და შეჵმოსოთ საჭურველი ნათლისაჲ...“ 1 r—v.

წყდება: „... გინა თუ დაეცეს დგეს სამე, რამეთუ შე...“

1886

ოთხთავი. XI

19 ფ.; 27,5×20,5; ეტრატი; ფრაგმენტი; ნუსხური, მთავრული ასოები სინგურით; ძალზე დაზიანებული, ბევრ ადგილას ტექსტი გადასულია, ეტრატის კიდეები შემოკვეთილი, დაგლეჯილია და ცუდად იკითხება 11—12, 16 ფ.ფ.; [XI ს.].

[სახარებაჲ იოვანწსი.—ან]დრია ძმჲსამან სიმონ პეტრესმან. არს აქა ყრმაჲ, რომელსა აქუს ხუთი პური ქრთილისაჲ და ორი თევზი...“. ი. 6, 9. 1 r—19 v.

წყდება: „... და ცხოვართა ჴმისა მისისაჲ ისმინიან და თჳსთა ცხოვართა უწჳნს სახელით და გამოიყუანნის იგინი და ოდეს ყოველნი თჳსნი იგი განიყუანნის...“ ი. 10, 3—4.

შენიშვნა: 1. ზოგიერთი მუხლის დასასრულს, ტექსტში, სინგურით წერია: საკჳრა, შაბათისაჲ, კრკისაჲ, საშაბათოჲ.

2. კანონები გატანილია სქოლიოებში.

მინაწერები: (XI—XII ს. მდივანშეწონბრულით). „პატრონსა მე მ ა ნ დ ა ტ უ რ თ უ ხ უ ც ე ს მ ა ნ დ ა დ ი ა ნ მ ა ნ... ჩუენისა გამარჯჳებისათჳს ქერაბინსა... და ყოველსა კაცისაგან...“ 8 r.

1887

ოთხთავი. X

12 ფ.; 27,5×21, ეტრატი; ფრაგმენტები; ასომთავრული, დასაწყისები და სახედაო ასოები ასომთავრული სინგუროთ; დაზიანებულია ფ.ფ.: 3—4; 7—12 ფურცლების ნაგლეჯებია შემორჩენილი; [X ს.].

[სახარებაჲ მათწსი] „... გომორისაჲ უმოლხინეს იყოს დღესა მას საშჯელისასა ვიდრე შენ...“ მ. 11, 24. 1 r—12 v.

წყდება: „... და ვითარცა ესმა, რამეთუ იესუ წარმოვალს, ჴმობდეს ჴმითა დიდითა: შემიწყალენ ჩუენ...“ მ. 20, 30.

შენიშვნა: 1. ამ ნომრის ქვეშ გაერთიანებულია X საუკუნის სახარებათა რამდენიმე ფრაგმენტი (2 ან 3).

2. სახარების კანონები ქვემო აშიებზეა გატანილი.

3. ზოგიერთი მუხლის დასასრულს სინგურით წერია; სწლისაჲ, შაბათისაჲ კრკსაჲ და სხვა.

1888

საკითხავები. X

2 ფ.; 24,5×20; ეტრატი; ფრაგმენტი; ასომთავრული, დასაწყისები სინგურით; ორივე ფურცელს კიდეები შემოხეული და ადგილები ამოგლეჯილი აქვს; [X ს.].

[საკითხავები] „... არა უწყით, რამეთუ ესე ნათ[ელ] ვიღეთ, ჰპრრ ესე განცხადებისა მესამესა დღესა. სახარებაჲ მათჱს თავისაჲ, და ვითარცა მოვიდ იგი მიერ კერძო სოფელსა...“ 1 r.

წ ყ დ ე ბ ა: „... რომელ... არს ხატი ღ̅თისა უხილავისაჲ არა თავთა თუსთა...“ 2 v.

შენიშვნა: ფრაგმენტი შეიცავს სახარება—სამოციქულოს საკითხავებს.

1889

საგალობლები. X—XI

3 ფ.; 26,5×21; ეტრატი; ფრაგმენტი; ნუსხური, დასაწყისები სინგურით; ეტრატი დაზიანებულია, მეორე ფურცლის მხოლოდ ნაწილია დარჩენილი; ეტრატის კიდეები მოგლეჯილია; [X—XI ს.].

[საგალობლები] „... რჩეულნო ღ̅თისანო პატიოსანნო მეფენო, გ̅ხნ ქ̅ეს მორწმუნენი, რომელთა ღ̅თისაგან მოგვიღებიეს საჭურველი მტკიცეჲ უძლეველი...“ 1 r—3 v.

წ ყ დ ე ბ ა: „...ა̅დ ბ თ ს ა. შ̅ნ შ̅ს აღესრ. ესერა ჴ̅ჲ ღაღადებისაჲ. გულთა შინა დღეს ბერწთა და უქმთაჲ მოწეუნულ არს და იტყვის: აწ განმზადენით გზანი ო̅რისანი...“

შენიშვნა: ტექტს გააჩნია მუსიკალური პუნქტუაცია (შავი წერტილები).

1890

ოთხთავი. XIV—XV

2 ფ.; 26×25; ეტრატი; ფრაგმენტი; ნუსხური, მთავრული ასოები სინგურით; ეტრატი დაგლეჯილი და დასერილია; პალიმფსესტი, თავდაპირველი ტექსტი ასომთავრული, ცუდად იკითხება; [XIV—XV ს.].

[სახარებაჲ იოვანესი] „... არამედ დიდებისათჳს ღმრთისა, რათა იდიდოს ძე ღმრთისაჲ მისგან. უყუარ[დ]ა იესუს მართა დ̅აჲ მისი და ლაზარე...“ ი· 11. 4—5. 1 r—2 v.

წ ყ დ ე ბ ა: „... ხოლო რომელსა უყუარ მე, საყუარელ იყოს იგი მამისა ჩემისაგან და გამოუცხადო მას თავი ჩემი. ჰრქუა მას იუდა, არა ისკარიოტელმან...“ ი. 14. 21.

შენიშვნა: ხელნაწერი ნაწილია H—1836 ა-სი.

1891 ა

საგალობლები. XI

2 ფ.; 20,8×16,8; ეტრატი; ნუსხური, დასაწყისები ასომთავრული სინგურით; ეტრატი ძალზე დაზიანებულია, ტექსტი ცუდად იკითხება; [XI ს.].

[საგალობლები]. „... და ძალმწე ჰირსა, რომელნი გევედრებით, მიჳ[სენ] ვნებათაგან სულიერთა და ჴორციელთა...“ 1 r—2 v.

წ უ დ ე ბ ა: „... დაბადებულთა ჳსნისათჳს... ქრისტე და გუერდით შ-ნით... თათჳს განსაწმედელად ...ანი, რათა სარწმუნოებით...“

1891 ბ

საგალობლები. XI

2 ფ.; 23×16; ეტრატი; ფრაგმენტი; ნუსხური; დასაწყისები სინგურით; პირველი ფურცლის მხოლოდ ნახევარია შემორჩენილი; [XI ს.].

[საგალობლები] „... მჳსნელი ჩუენი ჰჯრიათა შორით შეპყრობილი ...უთა, რამეთუ შეყუნეს სიცრუესა და განაშორნეს ჴეშმარიტებასა...“ 1 r—2 v.

წ უ დ ე ბ ა: „...და პირველ თქმულთა მათ უბიწოთა მართალთა... იქმენ. **სხნი.** ო-ო დაღაცათუ...“

1892

ოთხთავი. XI

2 ფ.; 21,5×15; ეტრატი; ფრაგმენტი; ნუსხური, მთავრული ასოები სინგურით: [XI ს.].

[სახარებაჲ ლუკაჲსი] „... ხოლო იესუ ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა: დაისხენით თქუენ სიტყუანი ესე ყურთა თქუენთა...“ ლუკა. 9, 43—44. 1 r—2 v.

წ უ დ ე ბ ა: „... არამედ ვაჲ, თქუენდა, ფარისეველნო, რამეთუ ათეულსა აღიღებთ პიტნაკისასა და ტეგანისასა და ყოვლისა მხლისასა და თანა წარჰვალთ სამართალსა და სიყუარულსა ღმრთისასა...“ ლუკა. 11, 42.

1893 ა

საკითხავები. XIII—XIV

3 ფ.; 17,5×14; ეტრატი; ფრაგმენტი; ნუსხური, დასაწყისი და მთავრული ასოები სინგურით; პირველი ფურცელი დაზიანებულია; ეტრატი დასვრილია, ადგილები ცუდად იკითხება; პალიმფსესტი, თავდაპირველი ნაწერი ასომთავრული არ იკითხება; [XIII—XIV ს.].

[საკითხავები]. „... ხურა და ნებითა ღმრთისაჲთა შ[ეის]უენა და შეეძინა იგი მ-მ... თჳსთა და იხილა მან განსახ... ნელი. საცნაურ ყავნ თქ-ნდა კაცნო, ძმანო...“ 1 r—3 v.

წ უ დ ე ბ ა: „... არა კაცთა იტყჳნ, არამედ ღმერთსა, რამეთუ არავის ესმის, რამეთუ სულითა იტყჳს“.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 3 v-ს ქვემო აშიაზე სინგურით წერია: „ქ-ე ღ-ო შ-ნ მადლმან შ-ი ვარ“.

1893 ბ

საგალობლები. XIV—XV

6 ფ.; 16×14; ეტრატი; ფრაგმენტი; ნუსხური, დასაწყისები სინგურით; დაზიანებულია: 1, 5, 6 ფ.ფ.; ეტრატის ფურცლები გასვრილია; პალიმფსესტი, თავდაპირველი ტექსტი ნუსხური, ცუდად იკითხება; [XIV—XV ს.].

[საგალობლები] „... განხრწნილი აღადგინოს ქ̃ნით და შთაჴდა სული მისი ჯოჯოხეთად და საკრველნი განხეთქნა და სიკუდილსა მძლედ გამოუჩნდა. და აღადგინა დაცემა ჩ̃ნი...“ 1 r—6 v.

წყდება: „... ხოლო ჰურიანი მიეცნეს ბნელსა განუნათლებელსა, სასწაულთმოქმედო უფალო, დიდებაჲ შ̃ნდა. მკუდრად შეგრაცხეს შ̃ნ მაცხოვარ...“

1893 გ

საკითხავები. X—XI

2 ფ.; 18×14; ეტრატი; ფრაგმენტი; ნუსხური, დასაწყისები სინგურით; მეორე ფურცელი ძალზე დაზიანებულია; [X—XI ს.].

[საკითხავები] „... მაშინ მიიქცეს იგინი იერუსალემად ... მისგან, რომელსა ჰქჳან ზეთის ხილთაჲ, რომელ არს მახლობელ იერუსალემს, ვითარ შაბათის გზაჲ...“ 1 r—2 v.

წყდება: „... უწყით, რამეთუ ყოველი ... კუნესის და ელმის ... და არა ესოდენ ხოლო ... ნაყოფი სულისაჲ ...ითა შ̃ნა ჩ̃ნთა...“

შენიშვნა: ფრაგმენტის ნაწილი იხ. № 1895-ის ქვეშ.

1893 დ

სიტყვა გულისთქმისათვის. XII—XIII

1 ფ.; 24×14,5; ეტრატი; ნუსხური; ძალზე დაზიანებული, კიდეები შემოხეული, შუაგული ამოგლეჯილი. [XII—XIII ს.].

[სიტყვა გულისთქმისათვის] „... თ̃ქნი წინაშე კაცთა, რათა იხილნენ საქმენი კეთილნი და ადიდე... მამ̃სა თ̃ქნსა ზ̃ცთ...“ 1 r—v.

წყდება: „... და ქებულებაჲ ღმრთისა მიერ, ვიდრეღა ბოროტად ქცევითა ქო... განთქმულებასა, რამეთუ ო̃რი და მაცხო[ვარი]...“

1893 ე

2 ფ.; 15×11; ეტრატი; ფრაგმენტი; ნუსხური, დასაწყისები სინგურით; ეტრატი დასვრილი და დაზიანებულია; [XI ს.].

«საძიებელი». „... იე. ივლიტაჲსი და კ̃ესი.
ივ. ანტიოხოსისა, კ̃ესი და ივლიტაჲსი.
იზ. მარინა მოწამისაჲ... "1 r—2 v.

წყდება: „... ოკდომბერსა ლა დღე. საძიებელი.
ა. არეთაჲსი და მისთანათა.
ბ. ანანია ეპისკოპოზისა მოწამისა.
გ. ვიგტორ და სტეფანიდოჲსი.
დ. დანიელ წ̃მტყუელისაჲ..."

1894

ოთხთავი. XVI

10 ფ.; 20,5×18; ეტრატი; ფრაგმენტი; ნუსხური; ეტრატი, ძალზე დაზიანებული, დაშლილი და გაშავებულია ნესტისაგან; ტექსტი მრავალ ადგილას გადასულია ცუდად იკითხება; პალიმფსესტი, ძველი ტექსტი—ასომთავრული და ნუსხური [XVI ს.].

[ოთხთავი] „... გფარვიდეს შ̃ნ, ამისთჳსცა შობილსა მას წმიდა და ძე მაღლისა ეწოდოს მას..." ლ. 1. 35. 1 r—10 v.

წყდება: „... მიუგეს მსახურთა მათ და ჰ̃ქს: არა საღა ვინ იტყოდა კაცი ესრეთ ვითარ კაცი..." ი. 7. 46.

1895

საკითხავები. X—XI

9 ფ.; 18,5×16; ეტრატი; ფრაგმენტი: დაფურცლული: ნუსხური, სათაურები ასომთავრულით; ძალზე დაზიანებული, ეტრატის შუაგული ამოგლეჯილია: 3—9 ფ.ფ.; უკანასკნელი ფურცელი გაცხოველებულია; ტექსტი ცუდად იკითხება; [X—XI ს.].

[საკითხავები] „... ნათესავთა შ̃ნთა ... შ̃ნ კელთა ჩემთა მღდელთმოძღუართა რაჲ გიქმნის. ჰრქუა მას ი̃ჳ: მეუფებაჲ ჩემი არა არს ამის სოფლისაგანი..." 1 r—9 v.

წყდება: „...გუამი შ̃ი დადვეს ახალსა საფლავსა და ნიად ცისკარსა მაგდანიელმან და ს̃ხთა მათ დედათა მის თანა მოიღეს ნელსაცხებელი..." 9 v.

შენიშვნა: 1. ფრაგმენტის უკანასკნელი ფურცელი გაცხოველებულია.
2. ფრაგმენტის ნაწილი იხ. №—1893 გ-ს ქვეშ.

1896

საგალობლები. XIV—XV

9 ფ.; 18,5×13,5; ეტრატი; ფრაგმენტი; ნუსხური, დასაწყისები სინგურით; დაზიანებულია: 7—9 ფ.ფ.; პალიმფსესტი—ასომთავრული და ნუსხური; ასომთავრულია: 5, 8—9 ფ.ფ.; ნუსხურია: 1—4, 6—7 ფ.ფ.; [XIV—XV ს.].

[საგალობლები] „... ბელო ქ̃ს შობისა. გ̃ხნ განყოფილთა შეერთებაო. გ̃ხნ დამჭსნელო მტერობისაო...“ 1 r—9 v.

წ ყ დ ე ბ ა. „...მგლოვარებაჲ დედათა მათ გარდაიცვალა მსწრაფლ დიდად სიხარულად, რაჟამს იხილეს აღდგომილი უფალი და ცვეს და თ̃ყნი სცეს და ღაღადებით იტყოდეს...“.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ტექსტი შეიცავს: „გალობანი აღდგომისანი“ 2 r—6 v, და „გალობანი ღ̃ისმშობლისანი“. 6 r—9 v.

1897 ა

ლოცვანი. XIV—XV

10 ფ.; 13,5×11; ეტრატი; ფრაგმენტი; ნუსხური, დასაწყისები სინგურით; პირველი და უკანასკნელი გვერდი ცუდად იკითხება; [XIV—XV ს.].

[ლოცვანი] „...და ღირს ვიქმენით უკუდავთა მათ ზეცისა კეთილთა შ̃ნდა. დიდებასა შევსწირავთ, [მა]მისა ძისა და წ̃მიდისა სულისა აწ̃, მარადის...“ 1 r—10 v.

წ ყ დ ე ბ ა: „...მაოტებელ ეშმაკთა მო ...წინაღმდგომთა ...მივახლებული... ...ძალთა...“

1897 ბ

საეკლესიო კალენდარი. XIV—XV

4 ფ.; 12,5×10; ეტრატი; ფრაგმენტი; ნუსხური; ეტრატი მუქი ყავისფერი, გასვრილი, ცუდად იკითხება. (XIV—XV ს.].

[საეკლესიო კალენდარი] „... ა ერთი, ბ ორი, გ სამი, დ ოთხი, ე ხუთი, ვ ექსი, ზ შვიდი, ჱ რვა, თ ცხრა, ი ათი, კ ოცი...“ 1 r—4 v.

წ ყ დ ე ბ ა: „... თ̃ა აგჳსტოსა აქუს დღე ლ̃ა. დღეთა აქუს ჟამი იბ̃, ღამითა ჟამი იბ̃... [ფე]რისა ცაელებაჲ უფლისა ჩ̃ნისა... 4 v.

1898

კურთხევანი. XV—XVI

6 ფ.; 14×12,5; ეტრატი; ფრაგმენტი; ნუსხური, დასაწყისები და მთავრული ასოები სინგურით; ადგილები ცუდად იკითხება; [XV—XVI ს.].

[კურთხევანი] „... ცოდვისათჳს კ̃დ ... მისცე ... კაცთა მოყვარებისათჳს შ̃სა, განაუსუ[ე]ნე სულსა მონისა შ̃ნისასა...“ 1 r.

წ ყ დ ე ბ ა: „... ნუგეშინის ცემდით და რჩუათ ...თა გაონებითა განაძლიერდით...“ 6 v.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ტექსტს ახასიათებს ამეტობა.

1899

საკითხავები. XIII—XIV

4 ფ.; 16×13,5; ეტრატი; ფრაგმენტი; ნუსხური, დასაწყისები სინგურით; მეოთხე ფურცელი დამწვარი და დაგლეჯილია; [XIII—XIV ს.].

[საკითხავები] „... [მო]გიყვანე თ᾽ქნ ქუეყანასა იერუსალემისასა, და სცნათ, რამეთუ მე ვარ უფალი ღმერთი თქ᾽ნი...“ 1 r.

წყდება: „... ფა ვიდრე იგი მოვიღოდეს, ამას ოდენ სიტყუასა ეტყოდეს მო...“ 4 v.

1900 ა

კურთხევანი. XIV—XV

4 ფ.; 11,5×9; ეტრატი; ფრაგმენტი; ნუსხური, მთავრული ასოები სინგურით; ეტრატი გასვრილია, ადგილები ცუდად იკითხება; [XIV—XV ს.].

[კურთხევანი] „... შემოავლოს ჯ᾽რი და განუცვალოს გჯრგჯნი და თქუას მღუდელმან: მშჳდობაჲ ყოველთა თავნი ჩნ᾽ნი უფალსა მოუდრიკნეთ...“ 1 r.

წყდება: „... ამისსა შემდგომად მ᾽ღ მოიღოს სასმელი...“ 4 v.

1900 ბ

საგალობლები. XIII—XIV

4 ფ.; 14×10; ეტრატი; ფრაგმენტი; ნუსხური, დასაწყისები და მთავრული ასოები სინგურით; პალიმფსესტი, თავდაპირველი ნაწერი ასომთავრული არ იკითხება; [XIII—XIV ს.].

[საგალობლები] „... ნებ᾽ლთა. და ღირს ყვენ ხილვად შენდა. მეოხებითა წმიდათა შენთა მარტჳლთაჲთა...“ 1 r.

წყდება: „... საყოფელთა მათ საყუარელთა, რომელნი გამოირჩევიან და შეივედრენ მონანი შენნი მრავალ მო...“ 4 v.

1900 გ

დავითნი. XV

2 ფ.; 13×10,5; ეტრატი; ფრაგმენტი; ნუსხური, მთავრული ასოები სინგურით: ტექსტი სულ გადასულია, იკითხება მხოლოდ რამდენიმე სიტყვა; [XV ს.].

[დავითნი] „... რაოდენ გზის...“ 1 v.

„უკუმცა ... ესმინა ჩ᾽ი...“ 2 r.

1900 დ

ლოცვანი. XV—XVI

1 ფ.; 11×11; ეტრატი; ფრაგმენტი; ნუსხური; ქვემო კიდე მოხეული; პალიმფსესტი ძველი ნაწერი, ნუსხური ადგილ-ადგილ იკითხება; [XV—XVI ს.].

[ლოცვანი] „... უწ̃ყნი ჩემნიცა ესე საქმენი, ნუ მომიძაგებ და ნუცა პირსა შენსა გარე მიაქცევ ჩემგან, არამედ შემინდევნ მე ყოველნი შეცოდებანი ჩემნი...“ 1 r—v.

წ ყ დ ე ბ ა: „... მე ამას მივსცემდე სარწმუნუებითგან მტკიცებული შენსა გამოუთქუმელსა კაცთმოყუარებასა და თჳთ ვითარცა მონაჲ ცოდვისა გამოუცდელ ვპოუ...“ 1 v.

1900 ე

კონდაკი. XIV—XV

2 ფ.; ეტრატი; ფრაგმენტი: ნუსხური, მთავრული ასოები და დასაწყისები სინგურით; [XIV—XV ს.].

[კონდაკი] „...ეგრეთვე სასუმელი შემდგომად სერობისა მეტყუელმან...“ 1 r—2 v.

წ ყ დ ე ბ ა: „... კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა და გამოგვიჩნდა ჩუენ...“

1900 ვ

საკითხავები. X

1 ფ.; 14×11,5; ეტრატი; ფრაგმენტი; ნუსხური; პირველი გვერდი გასვრილია, არ იკითხება; [X ს.].

[საკითხავები] „... რა ჟამს რტონი მისნი და ჩჩუ... გამოვალნ ... რათა იხილო არნ ზაფხ...“ 1 r.

1900 ზ

საგალობლები. XIV—XV

2 ფ.; 12,5×10,5; ეტრატი; ფრაგმენტი; ნუსხური, დასაწყისები და მთავრული ასოები სინგურით; [XIV—XV ს.].

[საგალობლები] „... და არცა ერთი ბრალი სიკუდილისა უპოეს...“ 1 r—2 v.

წ ყ დ ე ბ ა: „... ვითა საშოთა შენთა გამოჩნდა მზე...“

1990 ℣

საგალობლები. XIV—XV

1 ფ.; 14×12; ეტრატი; ფრაგმენტი; დიდი ზომის ფურცლის ნაგლეჯი; ნუსხური, დასაწყისები სინგურით; პალიმფსესტი, თავდაპირველი ნაწერი ასომთავრული არ იკითხება; [XVI—XVI ს.].

[საგალობლები] „... დაბადებულნი განანათლენ კაცთმოყუარე, ამისთჳსცა განსცხრების ყოველი...“ 1 r—v.

წყდება: „... მკუდრეთით აღდგომისა შენისათჳს. მრავლ... ქრისტე ღმერთო დიდებაჲ შენდა...“

1901

სპარსული ტექსტი

1902

სპარსული ტექსტი

1903

სომხური ტექსტი

1904

სპარსული ტექსტი

1905

რუსული ტექსტი

1906

რუსული ტექსტი

1907

მონტესკიე—გულისჴმისყოფისათვის სჳლტთასა. 1840

139 ფ.; 33×21,5; ქაღალდი; უყდო; მხედრული; თავბოლონაკლული; მთარგმნელი—მეფის ძე დავით (ბატონიშვილი); გადამწერი—გრიგოლ წერეთელი (136 r) 1840 წ. (135 r), დაუწერელია 136 v—138 r; 139 r.

[გულისყოფისათვის სჳლტთასა] „... წიგნი დ. თავი ზ. ვაჭრობაჲ არღარა შეართმიდა ენებასა კონსტიტუციასა მათსა და არცაღა წარწყმენდნენ

იგინი საკუთარსა სარგებლობასა თჳსსა.—თავი ზ. თუ ვითართა შემთხვევათა შინა საკუთარნი ესე წესდებულებანი სარგებელ იქმნებიან...“ 1 r—136 r.

წყდება: „... თავი მეათე, სისუსტისათჳს მეზობელთა სახელმწიფოსათა. ოდეს რომელსამე სახელმწიფოსა ჟამის მეზობელი დაახლოვებული დაცემისადმი, უხამს არს მისწრაფებაჲ დაცემისა მისისა. რაჲ უმჯობეს სახელმწიფოჲსა, ვითარცა ყოლაჲ ესე ვითარისა მეზობელისა, რომელიცა იტჳირთევდის ყოველსა ჭირსა მისთანა. და იშვიათ შეიმთხვევის, რომელ დაპყრობითა ესე ვითარისა სახელმწიფოჲსათა განმრავლებულ იქმნეს ძალი ნივთიერებითი, რაოდენ წარწყმდების ძალი შესმენილებითი...“ 136 r.

შენიშვნა: 1. ხელნაწერი შეიცავს მონტესკიეს თხზულების პირველ ნაწილს. მეორე ნაწილი, გრიგოლ წერეთლისეე გადაწერილი იხილე H—1424 ნომრის ქვეშ.

2. ტექსტი იწყება მეოთხე წიგნის მეშვიდე თავიდან.

3. დართული აქვს მეექვსე თავის საძიებელი (138 v).

4. სქოლიოებში ავტორის შენიშვნებთან ერთად მთარგნელის (დავით ბატონიშვილის) შენიშვნებიც არის.

ანდერძი (გადამწერისა): „ჸდ ნანვარსა გავათავე გადმოჯღნვა ამა თ-ის წიგნის მონტესკუსა, ჩემის ხელით, კნიაზ გრიგოლ წერეთელი. ამაღამ შევათავებ ორმოცდა მეათცამეტეს წელს. ჩყმ წელს“.

მინაწერი: 139 v.

1908

ლათინური ტექსტი

1909

ბარამ-გულანდამიანი. 1813

122 ფ.; 21×16; მოლურჯო ქაღალდი; ტყავგადაკრული ტყიფრული მუყაოს ყდა; მხედრული, დასწყისები სინგურით; დაზიანებულია: 2, 4 ფ.ფ.; დაუწერილია: 1 v—4 r; ყდა ჭიანჭაჭამი; გადამწერი—ერევნელი არუთინას შვილი სიმონაშვილი გივურქა, (120 r); გადაიწერა 1813 წ. (120 v).

„კარი პირველი ბარამისა გულანდამისა პარსულისაგან გადმოთარგმნული ბრძანებითა ქართველთა მეფის ვახტანგისათა.—იყო ქვეყანასა ურუმელთასა ხელმწიფე ქიშვარ სახელოვანი, ულტებელი, მორჩმული და სიმდიდრისაგან გალაღებული...“ 5 r—120 r.

შენიშვნა: სათაურს წინ უსწრებს: „მოგახსენოთ თქმული, თქმული (!) და გაგონილი ბარამისა მიჯნური გულანდამისა პარსულისაგანი. წელსა **ჩყიგ**, 1813-სი, თიბათვის ც-ში“. 5 r.

ანდერძი: „კურთხეულ იყოს ენიც ამისთანა, თუ სხვა რიგი ანბე[ბი]ს წიგნები ნახოს და გადაწეროს და იმაზე იჭირნახულოს. თუ ცოცხალი იყოს, ღმერთმა ადღეგრძელოს, თუმც მკვდარი—ღმერთმა აცხონოს. ამას მეტი არა ეჭ[ი]რებაჩა. დაიწერა ჴელთა ჩემთა ერევნელი არუთინას შვილის სიმონაშვილი გივურქას. დაწერილა

მეტნაკლები, შემინდეთ. აღიწერა ქ"ეს ფა. წელსა ჩყიგ—1813, რომელიც წაიკითხოთ და შეიტყოთ, უკანვე პატრონს უბოძეთ". 120 r—v.

მინაწერები: 1 r, 4 v, 120 v, 121 r—v, 122 v.

1910

პეტრე მკაწვრელისა და ალაჯორისათვის. XIX

4 ფ.; 21,5×16,5; მოლურჯო ქაღალდი; უყდო; მხედრული; თავბოლონაკლული; [XIX ს.].

[პეტრე მკაწვრელისა და ალაჯორისათვის] „...გან განძვინებულმან რქუა და მარიამცა. მაშინ განძვინდაცა დედოფალი და უბრძანა პრეპოზიტთა და იკდიკოსთა თვისთა და გარდამოითრიეს პატრიაქი და განაძეს..." 1 r.

წ ყ დ ე ბ ა: „... ხოლო ღ"უთივ განხმობილმან მიქელ უპყრა სახელსა მისსა და შთამოზიდა ძლიერად და გამოათრია ქვეყანად და დაკვეთა და დასცა ქვითა მით, რომელი აქუნდა ქუდსა შინა მისსა და განტვინნა უმღრთო..." 4 v.

1911

სპარსული ტექსტი

1912

საგალობლები (ფოტოპირები) 1922

I—IV+8 ფ.; 21×17; ფოტო ქაღალდი; ფოტოპირები (აკინძული); მუყაოს ლურჯი ყდა; ნუსხური, დასწყისები ასომთავრულით; 1922 (4 r).

„[საგალობლები] ... ქმნეს გ"რგნსა ქ"ეს მიერ მჭსნელისა ჩ"ნისა და აწ სენი იგი [იქ]ურნების მათ მ"რ და ყოველთა მორწმუნეთა ეხარების..." 1 r—8 r.

წ ყ დ ე ბ ა: „... წარგიყვანა შენ ზაკვით მონამან სიცრუისამან ღირსო, და ... წინაშე ღმრთის მო...ისა და სულთა განმხრწნელი..."

შენიშვნა: 1. ფოტოპირებს წინ უძღვის აკად. კ. კეკელიძისა და პროფ. დ. გორდეევის შენიშვნები. 1 r– IV r.

2. ყდაზე წერია: ა. „ქართულ ეტრატზე დაწერილი ხელნაწერის 2 ფრაგმენტის 8 ფოტოგრაფიული სურათი, რომელიც საგალობელს შეიცავს, დ. პ. გორდეევისა და პროფ. კ. კეკელიძის შენიშვნებით".

ბ. „მიქაელ მოდრეკილის კრებულიდან ორი ფრაგმენტი, რვა ფოტოგრაფიულ სურათად".

1913

თუშური ლექსები (კრებული). XIX—XX

124 ფ.; 22×18; ქაღალდი, ექვს ცალკე რვეულად აკინძული; უყდო; მხედრული; [XIX—XX ს.]; შემკრები—ივანე ბუქურაული; ნაწერია ცალ გვერდზე.

„თუშის ქალი.—თუშის ქალმა სთქვა: შევირთავ
ბასრის ხმლის ამომღებელსა...“ 91 ტექსტი. 1 r—124 r.

შენიშვნა: 1. მასალები გამოქვეყნებულია „ძველ საქართველოში“ (ტ. II, განყ. 5).

2. ნაბეჭდი მასალების განრიგი არ მისდევს ხელნაწერს, მაგრამ მასალა დაბეჭდილია სრულად.

3. ხელნაწერს დართული აქვს ჩამწერის მრავალი შენიშვნა (გახსნა გეოგრაფიულ და საკუთარ სახელებისა, ლექსების შინაარსის განმარტება და სხვა). ზოგი შენიშვნა ფანქრით არის წაშლილი და არ დაბეჭდილა.

4. დაბეჭდილ მასალას დაერთო ტექსტი № 22-ის ორი ვარიანტი, რომელიც ხელნაწერში არ არის (ძვ. საქ., ტ. II, განყ. 5, გვ. 63).

1914

ხალხური ლექსები (კრებული). XIX—XX

73 ფ., 22×18, ქაღალდი, რვეულად აკინძული; უყდრო; მეედრული; შეკრების ადგილი:—ქართლი; შემკრები—თედო რახიკაშვილი; [XIX—XX ს.]; დაუწერელია ფ.ფ. 19 v, 20 r, 39 r—v.

„რუსთველმა სთქვა: ამ ჩემს სიტყვას
ასე ვიტყვი, ძირს არ დავცემ,
კაცმა კაცი ჩემთან მოჰკლას,
ღმერთს ვიმოწმებ, არსად გავცემ...“ 367 ტექსტი. 1 r—73 v.

შენიშვნა: 1. მასალა გამოქვეყნებულია „ძველ საქართველოში“ (III ტომი, განყ. 2).

2. არ დაბეჭდილა ორი ლექსი ა. „რუსთ ხმაწიფე და ხოსტარი
ორივე თავადებია...“ (43 v).

ბ. „მაღლა მაღალსა მთაზედა
სისხლისა გუბე მდგარიყო... (49 v).

გ. „ყველა ზეპილი აყვავდა
შენ რაღასა იქ კიტრიკო...“ (73 r)

დ. „ქალო, კრულო გეხვეწები
წელიწადი გამოგსვლია...“ (73 v).

3. ხელნაწერს ე. თაყაიშვილის ხელით (წითელი მელნით) გაკეთებული აქვს სათვალავი, რომელიც მიგვითითებს ტექსტის შესაბამ ნომერზე დაბეჭდილ მასალებში. სათვალავი ერთია თ. რახიკაშვილის მიერ ქართლში ჩაწერილ ყველა მასალისათვის, იხ. №№ H 1915, H 1916, H 1917, H 1918, H 1919.

1915

ხალხური ლექსები (კრებული). XIX—XX

ფ. 21×18; ქაღალდი რვეულად აკინძული, უყდრო; მხედრული; შეკრების ადგილი—ქართლი; შემკრები—თედო რახიკაშვილი; [XIX—XX ს.]; დაუწერელია—78 ფ.

„თამარ ქალი ქალია,
სიტყვის ქამანდარია...“ 318 ლექსი. 1 r—77 v.

შენიშვნა: 1. მასალა გამოქვეყნებულია „ძველ საქართველოში“ (ტ. III, განყ. 2), არ დაბეჭდილა შემდეგი ლექსები:

ა. „მე რო საჭმე მომივიდა
ის არ მოსვლია სხვასაო...“ (14 v)

ბ. „სადილმა სამზარეულმა
ღონე ნამგალზე დაყარა...“ (20 v)

გ. „ტყიდან გამორბის ნადირი,
ფეხი აქვს ტალახიანი...“ (40 r)

დ. „ურემო, ფერხო მაღალო,
ხუნდი გიყრია გიშლისა...“ (42 v)

ე. „ჰერი, ბიჭო მუხრანელო,
ვისა სთხოვდი მუქარასა...“ (64 r)

ვ. „გასათხოვარი ქალი ვარ,
ღობეზედ დავილაჯები...“ (76 r)

ზ. „დედაჩემი მეუბნება
შვილო, რად არ ირთავ ქალსა...“ (76v).

2. ამ ხელნაწერის დასაწყისი იხ. H—1914.

1916

ხალხური ლექსები (კრებული). 1886—1910

34 ფ.; 22×18; ქაღალდი; რვეულად აკინძული; უყდო; მხედრული; შეკრების ადგილი—ქართლი; შემკრები—თედო რაზიკაშვილი; 1886—1910 წ.წ.; ქართლი.

„ლიახვივით ავდიდდები,
მეჯუდასავით დავშრები...“ 275 ტექსტი. 1 r—77 v.

შენიშვნა: 1. მასალა ვამოქვეყნებულია „ძველ საქართველოში“ (ტ. III, განყ. II). არ დაბეჭდილა ხუთი ლექსი:

ა. „თითის თითი სტკიოდა,
წუნა გაშავებიაო...“ (5 v)

ბ. „შორით მესმა ქება შენი,
უცხო თემსა მოამბესა...“ (15 r)

გ. „ქალო, შენი ეგ მიყვარდა
ეხო-ეხო სიარული“ (31 v)

დ. „ქალმა აიღო ქვა დამცხო,
რა გულმა გააბედინა...“ (43 r)

ე. „მაღლა იხვი მოფრინავდა,
ბოლო გაშლილი ბუღბული...“ (34 r).

2. ამ ხელნაწერის დასაწყისი იხ. H. 1914, 1915.

1917

ხალხური ლექსები (კრებული) XIX—XX

45 ფ.; 22×18; ქაღალდი; რვეულად აკინძული; უყდო; მხედრული; შეკრების ადგილი—ქართლი; შემკრები—თედო რაზიკაშვილი; [XIX—XX ს.].

„ახალი ლექსი გამოვთქვათ
ახალ ხელმწიფის ხელშია...“ 203 ტექსტი. 1 r—44 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: 1. მასალა გამოქვეყნებულია „ძველ საქართველოში“ (ტ. III, გვ. II), არ დაბეჭდილა შემდეგი ლექსები:

ა. „ქალი ქმრის დაწუნებული
სამშობლოს მიშავდებოდა...“ (4 r)

ბ. „სიცხეობა ჩამოვარდა,
გაიპრა სომხების ყანა...“ (11 r)

გ. „მე რომ რძალი მოვიყვანე...“ (13 r)

დ. „დალოცვილმა ხელმწიფემა
ეს რა საქმე მოიგონა..“ (13 r)

ე. „კობლიაანთ ქორწილი ქნეს,
დაკლეს ხარი ადიბლური...“ (13 v)

ვ. „ხორეშანა, ხორეშანა...“ (13 v)

ზ. „აპრილი აპრიპარტიო,
თებერვალი და მარტიო...“ (13 v)

თ. „ჩემ მტერსამც გაჰბოზებია
თავის ალალი დედაო...“ (15 r)

ი. „ერთხელ მეც ვიყავ მეცხვარე,
ცხვარი გავშალე ლელოსა...“ (15 v)

ია. „ჩიტის ბოლოს რქასა
ჩიტი მოეხარშა“ (19 v)

იბ. „დედა ... ორეხელო...“ 20 v

იბ. №№ 121—124, 128—130, 135, 137, 138, 142, 143, 147, 152, 153, 160, 161, 166, 167, 174, 176, 177, 182.

შაირები:

იგ. „ალექსანდე პოპოლიკო,
შენი საქმე როგორ იყო...“ (44 v)

2. ხელნაწერი შეიცავს შემდეგ ცნობებს მთქმელების და ჩაწერის ადგილის შესახებ: ტექსტი № 164, 165—„პეტრო საათაშვილი, მაწყვეთ სოფლის სკოლისა“. (26 v)
№ 169—„არბოელი გლეხი ხატიკაცისაგან გაგონილი“. (28 v)
№ 170—„ჩაწერილი მღ. დავით კავკასიძის მიერ“. (30 r)
№ 173, 174—„ვანო მეზრიშვილი, სოფ. პატარა გარე-ჯვარი“ (30 v)
№ 195, 200 „სოლომონ გულიშვილი ს. ქიწისი 1886 წელი“. (42 v)
№ 201—„ეს ვარიანტი გადმოვიწერე პატივცემულ მღვდლის მამა დავით კავკასიძის რვეულიდან: ს. გორიჯვარშია. ს. გორიჯვარშია ჩეწერილი“. (43 r).
3. ხელნაწერის დასაწყისი იხ. H 1914, 1915, 1916.

1918

ხალხური ლექსები (კრებული). XIX—XX

14 ფ.; 22×18; ქაღალდი; აკინძული; უყდო; მხედრული; [XIX—XX ს.]; შეკრების ადგილი—ქართლი; შემკრები—თედო რახიკაშვილი.

„რას ვაქნევ შავწვებ, ნაწრეტსა,
მინდორსა ბალახიანსა და
წითელი შუშის დამცველი
უნდა ვწუავდე წივასა ტალახიანსა...“ 88 ტექსტი. 1r—14 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: 1. ტექსტები გამოქვეყნებულია „ძველ საქართველოში“ (ტ. III, განყ. II). არ დაბეჭდილა ორი ლექსი: ა. „მე ჯავახეთს რა მიშავდა...“ № 52 (8 r);
ბ. „ყოველდ წმინდა ღვთისმშობელო...“ № 62 (10 r).

2. ხელნაწერის დასაწყისი იხ.: H 1914—1917.

1919

ხალხური ლექსები (კრებული). XIX—XX

22 ფ.; 22×18; ქაღალდი; აკინძული; უყდო; მხედრული; [XIX—XX ს.]; შეკრების ადგილი—ქართლი; შემკრები—თედო რახიკაშვილი; დაუწერელია ფ.ფ.: 16, 22.

„შაირები და ლექსები
სულ ახლა მომაგონდაო,
თქვენებურ ქალთან მივედი,
ლოგინზე გამიგორდაო...“ [117 ტექსტი, 1 r—21 v].

შენიშვნა: 1. ლექსები გამოქვეყნებულია „ძველ საქართველოში“ (ტ. III, განყ. II), არ დაბეჭდილა 4 შაირი №№ 18, 30, 102, 111.

2. ხელნაწერის დასაწყისი იხ. H 1914—1918.

1920

ხალხური ლექსები (კრებული). 1889

50 ფ. 23×18; ქაღალდი; რვეულად აკინძული; უყდო; მხედრული; 1889 წ.; შეკრების ადგილი—ქართლი; შემკრები—თედო რახიკაშვილი; დაუწერელია ფ. 20; ხელნაწერი თითქმის მთლიანად ნაწერია ცალ გვერდზე.

„ელი ელამდა, ზღვა ბიბინებდა,
ზღვისა კიდესა კარავი იდგა...“ 183 ტექსტი. 1 r—50 v.

შენიშვნა: 1. მასალა გამოქვეყნებულია „ძველ საქართველოში“. (ტ. III, განყ. 2).

2. დაბეჭდილ მასალის განრიგი ზოგჯერ არ მიყვება ხელნაწერს, მაგრამ მასალა დაბეჭდილია სრულად.

1921

ხალხური ზღაპრები და არაკები (კრებული). XIX—XX

270 ფ.; 22×17; ქაღალდი; 10 რვეულად აკინძული; მხედრული; [XIX—XX ს.]; შემკრები—[მელიტონ კილენჯყერიძე]; დაუწერელია ფ.ფ.: 80, 82 v, 260—270.

1. „შავი მზე და მთვარე თეიმურაზები.—იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა! იყვნენ ცოლქმარი, ჰყავდათ ერთი შავი ცხენი...“ 1 r—11 r.

2. „ზიკვატერა და მიკვატერა.—იყო ერთი უშვილო ხელმწიფე...“ 11 r—15 v.

3. „ლევანი და დევები.—იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა? იყო ერთი დედაკაცი, ჰყავდა ორი ვაჟი და ერთი ქალი...“ 15 v—24 r.

4. „დავით დათულაშვილი.—იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა? იყო ერთი ხელმწიფე. ჰყავდა სამი ქალი და ერთი ვაჟი...“ 24 r—29 r.

5. „ვაშლიშვილი.—ერთს დიდებულს მეფეს ერთი ქალი ჰყავდა...“ 29 v—33 r.

6. „ეკლესიის მაშენებელი მეფე და მისი სამი ვაჟი.—ერთს მდიდარს მეფეს ჰყვანდა სამი ვაჟი...“ 33 r—36 v.

7. „დათვ-კაცა.—იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა? ერთს უბრალო გლეხს ჰყავდა ისეთი ლამაზი ქალი, რომ მხეცებიც კი ენატრებოდნენ მის ცოლობას...“ 36 v—40 v.

8. „გაუცინებელი ხელმწიფე.—იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რაღა იქნებოდა? იყო ერთი ხელმწიფე, რომელსაც თავის დღეში არ გაეცინა...“ 40 v—43 v.

9. „ავათმყოფი ხელმწიფის შვილები.—ერთს ხელმწიფეს ჰყავდა სამი ვაჟი...“ 44 r—49 r.

10. „სამი ძმა.—იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა? იყო ერთი მონადირე ღარიბი კაცი, ჰყავდა სამი ვაჟი...“ 49 r—53 r.

11. „საყდრის ამშენებელი მეფე და სამი ვაჟი მისი.—იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რაღა იქნებოდა? იყო ერთი მეფე, ჰყავდა სამი ვაჟი...“ 53 r—57 v.

12. „ბერდათუნა.—იყო ერთი ბერდათუნა, კაცი ძლიერ ღონიერი...“ 58 r—60 v.

13. „გლახაკი უშვილო და ეშმაკი.—იყო უშვილო გლახაკი...“ 60 v—63 r.

14. „ნასია.—იყო ერთი ნასია...“ 63 r—65 r.

15. „ხელმწიფე და ორი მისი ვაჟი.—ერთს ხელმწიფეს ჰყავდა ორი ვაჟი...“ 65 v—69 v.

16. „ხელმწიფის შვილი და მგელი.—იყო ერთი ხელმწიფე...“ 70 r—75 v.

17. „ორტკაველი კაცი და ხელმწიფე.—იყვნენ უშვილო ცოლ-ქმარი გლეხები...“ 75 v—78 r.

18. „ბაყაყის ხოკი (სამი ძმა).—იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რაღა იქნებოდა?...“ 78 r—79 v.

19. „ღვთის შვილი გიორგი.—იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რაღა იქნებოდა? იყო ერთი გიორგი ღვთის შვილი...“ 81 r—82 r.

20. „დალაღანა.—იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა? იყო ცხრა ძმა...“ 83 r—85 v.

21. „კონსტანტინე.—იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რაღა იქნებოდა? იყო ერთი მეფე, უშვილო, მდიდარი და დიდი საბრძანებლის პატრონი...“ 85 v—92 v.

22. „უშვილო ცოლქმარი.—იყო უშვილო ცოლქმარი...“ 92 v—95 r.

23. „ღორის თავი.—იყო უშვილო ცოლქმარი ხელმწიფე...“ 95 r—97 r.

24. „ცხრა ძმა და ცხრა და.—იყო ერთი ხელმწიფე, რომელსაც ჰყავდა ცხრა ვაჟი და ცხრა ქალი...“ 97 r—99 v.

25. „ხეთაგანი და დევთაგანი.—იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა? იყო ერთი სახელმწიფო, პატარა სივრცით, მაგრამ ძლიერ მდიდარი ბუნებით...“ 99 v—110 v.

26. „სამი ძმა და მზეთუნახავი ქალი.—იყო სამი ძმა, ერთი უცოლო, ორი ცოლიანი...“ 111 r—113 r.

27. „სამი ძმა.—იყო და არა იყო რა, სამი ძმა იყო...“ 113 v—117 r.

28. „ღარიბი ცოლქმარი და მამალი.—იყო ერთი ძლიერ ღარიბი ცოლქმარი...“ 117 r—120 r.

29. „ასის მკვლელი.—იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა? იყო ერთი მდიდარი სოვდაგარი, ჰყავდა ქალ-ვაჟი...“ 120 r—123 r.

30. „შამაია.—იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხელმწიფე უშვილო...“ 123 r—132 r.

31. „ხელმწიფის და მეწისქვილის შვილები.—იყო ერთი მეფე, ჰყავდა ერთი მეწისქვილე...“ 132 v—135 v.

32. „უშვილო ხელმწიფე.—შვილები მშვილდ-ისრებს იწყობენ და სანადიროთ მიდიან...“ 135 v—138 r.

33. „პეტრია და ცქვიტია.—იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა? იყო ძლიერ მდიდარი, მაგრამ უშვილო ხელმწიფე კაცია...“ 138 v—145 v.

34. „მეფე და მისი შვილები.—იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა? იყო მეფე, ჰყავდა სამი ვაჟიშვილი...“ 145 v—148 v.

35. „სამი ძმა და ეშმაკი.—იყო და არა იყო რა, იყო სამი ძმა მონადირე...“ 147 v—150 r.

36. „ღარიბი გლეხი და დევები.—იყო ერთი საწყალი გლეხი...“ 150 r—153 r.

37. „გლახა ან ნაცარქექია.—იყო სამი ძმა--ცხვრის მწყემსები...“ 153 r—158 r.

38. „ქვრივი დედა და შვილი.—იყო საწყალი ქვრივი დედა-კაცი...“ 158 r—162 r.

39. „სამი ძმა.—იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხელმწიფე...“ 162 v—166 v.

40. „ზღვაში ნაპოვნი.—ერთმა მდიდარმა და უშვილო ვაჭარმა ზღვაში მგზავრობის დროს კალათი დაინახა ზღვაში, მეხელმანდეს გამოატანია, გახსნა, შიგ მშვენიერი ვაჟი ნახა, იშვილა და სასწავლებელში მისცა...“ 167 r—169 v.

41. „ცხრა ძმა.—იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რაღა იქნებოდა? იყო ერთი კაცი, ჰყავდა ცხრა ცოლიანი ვაჟიშვილი, ხელობით მონადირე...“ 169 r—174 r.

42. „ალექსი გმირი.—იყო და არა იყო რა, იყო ერთი გლახა, ჰყავდა ერთი რაში და დროს სულ იმასთან ატარებდა...“ 174 r—178 v.

43. „დათვიაშვილი.—იყო და არა იყო რა? ღვთის უკეთესი რაღა იქნებოდა? იყო ერთი ობოლი და-ძმა, ცხოვრობდენ მუდამ ერთს ქოხში ერთი უდაბურ-ტყის მახლობლად...“ 178 v—183 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

44. „მარჯიხოლი (მერცხალი).—ერთს ქვეყანაში ერთი მეფე იყო, სახელათ შარდენი...“ 183 v—189 r.

45. „ხელმწიფის ცოლი და მოსამსახურე—იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რაღა იქნებოდა? მთელ დედამიწაზე იყო ერთი ცოლქმარი...“ 189 r—192 v.

46. „გლეხის შვილი.—იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა? იყო ერთი უშვილო ცოლქმარი—გლეხები...“ 192 v—195 r.

47. „დედაბრის შვილი და ურიის ბეგუედი.—იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა? იყო ერთი დედაბერი, ჰყავდა ერთი ვაჟი...“ 195 r—197 r.

48. „ხელმწიფის ცოლი.—

შენიშვნა: ზღაპრის ტექსტის მაგიერ მოცემულია სიუჟეტის მთავარი მომენტები სხვა ვარიანტებთან შედარებით.

49. „თვალმაქცი ოსტატი და შაგირდი.—იყო ერთი ღარიბი გლეხი და ერთი ვაჟიშვილი ჰყავდა...“ 198 v—200 v.

50. „ქაჩალი.—იყო ერთი ძლიერ მდიდარი კაცი...“ 200 v—209 r.

51. „და-ძმა.—იყო ერთი ბერიკაცი, ჰყავდა მოხუცივე ცოლი...“ 209 v—212 r.

52. „სამი ძმა.—იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა? იყო ერთი მეფე, ჰყავდა სამი ვაჟი...“ 212 r—215 r.

53. „გლეხის შვილი და მღვდელი.—იყვნენ ძლიერ ღარიბნი ცოლქმარნი...“ 215 v—217 v.

